ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა



10

1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

375
გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი

10

ოქტომბერი
1988
თბილისი
სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პოეზია და პროზა

3. ბენო კალანდია — შემოდგომის სონეტები
12. ზურაბ კანდელაკი — ბევრი რამ ხდება, ჭორაციო... მოთხრობა, დასასრული
51. ჯარჯი ფხოველი — ლექსები
55. შერმადინ ქალდანი — ლექსები
57. რამინ საჯაია — ლექსები
58. გიორგი კეჟალმაძე — ალეს საგოლოო ბედი. მოთხრობა
73. ალექსანდრე ტაბატაძე — ლექსები
75. ლანდა მესხულია — ლექსები
77. ჯემალ მეხრიშვილი — მოთხრობები
92. მერაბ მეტრეველი — ლექსები
93. ბივი გოგნაძე — ლექსები
94. თენგიზ კოტეგრიძე — ლექსები
95. გონდო მაცაბერიძე — ლექსები

ახალი თარგმანები

97. ინგლისური ხალხური პოეზიიდან — ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

102. ბივი გეგეჭკორი — „მე ვდგავარ, თითქოს ფამსვლელი არ ვარ...“
103. თამაზ ბაძაღუა — ლექსები

106. ლიტერატურული სიახლენი

წ ე რ ი ლ ე ბ ი

108. გიორგი მერკვილაძე — ადამიანი და პიროვნება
120. რევაზ სირაძე — „ვიცი, რაგსათვის ვარ“
134. მარინა თაბუკაშვილი — რეალიზმი ქართული ფარმართობის ხელოვნებაში

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

140. მაია გოფაძე — თორნთონ უაილდერის თეატრი

ახალგაზრდა მეცნიერი „ცისკარში“

148. ბია მურულია — პარადიგმული სახეები „დავითიანში“

რ ე ც ე ნ ზ ი ა

155. ზაზა სიხარულიძე — ფოლკნერის გაკვეთილები

159. ქ რ ო ნ ი კ ა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
ბივი ალხაზიშვილი
თეიმო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ბივი გეგეჭკორი
ბურაბ გეგეშიძე
ბიორგი გუბლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
ბურაბ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
ბოგი ფერეთელი
ბიორგი ჭანტურია
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯეზაძე

გენო კალანდია

შემოდგომის სონეტები

I

...და წეროსავით გაზაფხულზე დაიღუპები,
მაისის მწვანე სანახებში — ლაქაშებშორის,
ფაზისის კართან გულნაკრტენი იკივლებს ქორი,
ცა გალურჯდება მაგნოლიით, მწუხრის ღრუბლებით.

დაგრჩება ობლად სიყვარული თვალცრემლიანი,
ადგილის დედა-ღამეების შავი ოლარით,
დახედავს ნაწერს, უკანასკნელს, ვინმე სკოლარი,
ვით შუაღამის ჩამქრალ კოცონს მგზავრი გვიანი.

დაგრჩება მამა — ნეკერჩხალი მზეზე გამხმარი,
ქამის სურათი: მხიარული წამით ამქარი,
კანდელაბრები, ტავერნები, ოქროს ფიალა.

თოვლით, ყინულით დაგბეჭდავენ მესაფლავენი,
შაბათს — შოპენი შეგიფარებს, კვირას — რაველი
და საქართველო მოგიგონებს, როგორც იარალს.

II

დაწერე, როგორ ამოვარდა გრიგალი ზღვაზე,
როგორ დაცურდა შუადღისას ღრუბელი მქისე,
დაწერე თოვლზე, პიკის ქალზე, ვარსკვლავზე, ნისლზე,
შხამივით შესვი შემოდგომის წვიმები მლაშე.

მკერდიდან სიტყვა ამოიღე — ნაგლეჯი გულის,
წყვდიადის ნეკნზე საკუთარი სიცოცხლე დასწვი,
ვით ზემო ქართლის ხეობაში ჩარჩენილ არწივს,
შეგჯბარბაცებს მშობლიური სისხლი და სჯული.

დაწერე, როგორ გაილია ზაფხული უცებ,
ის ქალიც როგორ დაემგვანა უნაბის ფურცელს,
ფიქრების ნაცვლად ნემსის შვავი ჩატოვე ტვინში.

დაწერე ცრემლზე, მარტოკაცზე, სასჯელის ძელზე,
მადლობა უთხარ ჭალადიდის ბინდისფერ ლერწმებს,
შენივ ფრჩხილებით გამოთხარე შენივე ნიში.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ბიბლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

გადმოუცვივდა შემოდგომას ოქროს კბილები,
კოლხეთის ცხელი ხოდაბუნით მოდის ელია,
ღრუბლებს კოცნიან და წყალს სვამენ ზეცით რცხილები,
დგას ლაფაროში თეთრი გოგო და კამელია.

მოთქვამს ჩონგური — სიყვარულის ტყუპი დაია,
მკათათვის წვიმამ სევდა იცის, მელანქოლია,
გალმით ყანაა, ყანის იქით მწვანე მოლია,
ღრუბელი ადგას შენს ლურჯ სარკმელს და ძველ აივანს.

წარსულს იგონებს გულის ოხვრით ქვრივი მამიდა,
კვირის საკურთხით, ცვილის სანთლით იწვის მაგიდა,
ო, ეს ცხოვრება უმძიმესი სიმწრის ლოდია.

მოთქვამს ჩონგური — ფრთებდამწვარი ცისკრის ფრინველი,
შენსავით ასე საყვარელი და საკვირველი,
ღმერთო, მიცოცხლე ეს სიმღერა და მელოდია!

IV

სამურზაყანოს ფაცი-ფუცით ჩერდება გული,
მასპინძელს მზე და იზაბელა შემოაქვს დოქით,
ვით მუხის შტოებს ცისარტყელას შვიდფერი თოკი,
შემოხვევია ოდის რიკულს ვენახის სული.

ქართული თაფლით გეწებება ქართული ბაგე,
თითქო უბიდან ვარდისფერი ამოდის ია,
ვით პაპანება აგვისტოში ნიავი ფრია,
ფრიალებს სარკმლით მშობლიური კილო და ჰანგი.

ციმციმებს სხივი, როგორც თვალი პატიოსანი,
ცა ყვითლად ღუის ტყისპირებზე და ლოქოსავით
გაიტყლაშუნებს შემოდგომის ღრუბელი ჭალით.

საღამო ლურჯი აბრეშუმით შეგიკრავს ღილებს
თმას შეგინამქრავს თუთარჩილა და ღამის თრთვილი
მკერდზე ცრემლებად დაგეყრება განგების ძალით.

V

მინატრე, როცა გაზაფხული აგიმღვრევს სხეულს,
როცა უბეში ჩაგიდგება არაგვის შფოთი.
მინატრე, როცა დაფიონზე ალუბლის ტოტი
ახალი ვარდით გაანათებს ცას სიზმარეულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინატრე დღისით, შეღამებით, უფროორე ღამით,
გედივით ჩარგე ატლასებში სადაფის ყელი,
ტყუპი დის მსგავსად მოეფერე ორივე ხელით
თოვლისფერ მუხლებს — მოლოდინის ალმურით დაღლილთ.

მინატრე გულით, სიზმარ-ცხადის პირველი ვნებით,
ცისკრის წყალივით გადმოღვარე სარკმლიდან თმები,
ღვთისმშობლის დარად მომანათე უეცრად თვალი.

მინატრე წყნარი ამინდების, სიზმრების კვირას,
მინატრე შენი ღამეების მძარცველად, ჩრდილად,
მკერდზე ჯვარივით ამომკვეთე ტრფიალის ალი.

VI

როცა განგება ამაფარებს წყვდიადის ფარდას,
როცა თვალებში ჩამიდგება უკუნი ღამე,
თუ გულში წყენა, სამდურავი გქონია რამე,
გთხოვ, მორჩილებით მომიტევო აღსავლის კართან.

ვიყავით ერთად, წუთისოფლის ნაირფერ ულოს,
ხან ხვატი წვავდა, ხან სიამის ნეტარი ელდა,
მთელი ეს ოცი წელიწადი, ვით ტომის ბელადს,
ხელში მახვილი და ფიალა მეჭირა ერთად.

იფურცლებოდა სიყვარული, ვით თოვლის ფარა,
თმებში, თითებში, სარეცელზე სწრაფად და ჩქარა,
სალამურივით მიშრებოდა ნაღამევს ყელი.

უბიდან ღვეფი გამომქონდა შიშველი პეშვით,
თოვლში, წვიმაში, წელიწადის სუყველა თვეში, —
ცა — ქუდად მქონდა, სამეჯლისოდ — ოდიშის ხმელი.

VII

ვეღარ ამოვთქვი, რუქაია, ოქროს შაირი,
ვერ ჩამოვაგდე ღამის ციდან მთვარის ფიალა,
მე ბედისწერამ სამუმივით გადამიარა,
ჩვენ, ჟამი შეგვხვდა, საყვარელო, სულ სხვანაირი.

ჟამთაღმწერლები, პოეტები ქმნიდნენ ეპოქას,
ქვეყნის მძლევართა ორიოდე მახსოვს სახელი,
ვით ყრმას ალპიურ ყვავილივით თვალებახელილს,
ცოდვილი მამა კარის ზღურბლთან შესთხოვს შენდობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც ისე ვითხოვ პატიებას იმათ წინაშე,
ვინც სიმღერებით და ოცნებით ივლის მიწაზე,
არ დაივიწყოს ძველი ბაღის გრილო მცირედი.

ბედნიერების, სილამაზის შუქი მწყაზარი
მიუწვდომელი იყო, როგორც ყელი ყამარის,
მაგრამ აროდეს დაუკარგავს სიზმრის იმედი.

VIII

უეცრად ვკვდებით პოეტები და რაინდები,
ჩვენ სხვა ცხოვრებას, რუქაია, არ ვართ ჩვეული,
გამოჭმული გვაქვს აწ ისედაც ქარცი სხეული
მამულზე ფიქრით... შემოდგომის ყრუ ამინდებით.

ალალზე ვდგებით... საქართველოს ციხე-ტაძრებზე
აღბეჭდილია ჩვენი კოცნა სანთლის ალივით,
საკუთარ ძვლების და ცრემლების გვიდგას მარილი,
ცამეტი ნიშნით ვგავართ ხარებს და მეხანძრეებს.

ვლოცულობთ მზეზე, სიყვარულზე და გაზაფხულზე,
ვგავართ სენაკის ბერმონაზვნებს, — ქრისტეს მსახურებს,
ნაგვემი შუბლით და ჩაცვივნულ თვალთა ოვალით.

გადარჩენილი ვარსკვლავების ქუდი გვახურავს,
სხვა სინათლეში, სხვა სივრცეში მივალთ მეფურად,
სახელი გვრჩება — ბუმბულივით ჰაეროვანი.

IX

წყალი შეუდგა, რუქაია, იმედს, მოლოდინს,
დღე — არის თეთრი საწამლავი, ღამე — ბალზამი,
ვერ დავამშვენე აბრეშუმით, ვარდით დარბაზი,
ღარიბი ვიყავ და ღარიბი დავრჩი ბოლომდის.

დაწყევლილი ვარ ჯალადიდის მწვანე ქორალით,
მშობლის თვალებში ჩარჩენილი ირმის ნახტომით,
რკინას ფურჩნიდა, ჯოგს მწყემსავდა ჩემი გვარ-ტომი
და ნოესავით ნიაღვარში ედგა ბორანი.

დარბეული ვარ უცხო ზღვების უცხო ქარებით,
ჟანტი წყვდიადის სველი კვამლით მეწვის თვალები
და კალმის წვერით სტრიქონს ვსინჯავ, როგორც იარაღს.

და სასომიხდილს მეღებება წითლად პერანგი,
სიკვდილი მინდა... მიბრუნდება, ვით ბუმერანგი,
სიტყვა, რომელმაც ერთი ქედი გადაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X

...და გაზაფხულის წვიმასავით ცოცხლობ ბალახში,
ცოცხლობ ღრუბლებში, გამჭვირვალე ტბების თვალებში,
ვით ვარდის შტოზე დაცურებულ ცისკრის აბრეშუმს
გიხდება სოფლის თუთარჩელა, მზე და ბადახში.

ცოცხლობ ღამეში, ვარსკვლავების ცისფერ სუნთქვაში,
აგვისტოს ალზე ფოსფორივით გეწვის სხეული,
ზღვებს გადმოლახავს, ცას ჩამოხსნის შენი რჩეული,
მამაშენს თავზე დაადგება რისხვა-მუქარით.

განძეულს გაშლის საგანგებოდ შენთვის მოკვლეულს,
გულს გადაგიხსნის, დაგპირდება ქვეყნის გოლეულს,
აგიფეთქდება მკერდში მზე და იასამანი.

მშობელს სოფელი შეიბრალებს, როგორც დავრდომილს,
გადაგორებს აღდგომის კვერცხს ნიშნად მადლობის,
ოღონდ გახსოვდეს ის უბრალო ბორცვი სამარის.

XI

ბიძაჩემს, — პართენ კალანდიას, — ხელობით ფერშალს,
საწუთრომ შხამი და ბალღამი არგუნა ბედად,
აღსავლის დღემდე სხეულს მისას ტანჯავდა სნება,
ვით მორიალე მორიელი, მატლი და ეშმა.

სარკმლიდან ჭვრეტდა მიძინების ღვთაებრივ ცარგვალს,
აეაზას მკერდზე სანიშნობო ვარსკვლავი ენთო,
თითქო ჟამიჟამ ცოდვილ მიწას წყდებოდა ერდო
და ხომალდივით მიფრინავდა მწუხრისას სადღაც.

ორი წყრთა ჰქონდა, ორი ადლი წამწამი, წარბი,
ხერხემლის ძვალი — გამომშრალი ყვითელი აბით,
შემოდგომის ბზის ტოტებივით — მუხლები მკვდარი.

მოკვდა... ანდერძად დაგვიტოვა სიტყვები მწირი:
ვიშვი, ვეწამე, სააქაო დამიჯდა ძვირი,
აწ მიწას ჩემსას მიმაბარეთ ზეზელა მდგარი.

XII

ღვთისმშობლის თვალით ჩამოჰყურებს მთოვარე სოფელს
და მისი შუქი იდუმალი ანათებს ბილიკს,
როგორც ოდესღაც სიყვარულით დაზაფრულ შოპენს,
შუბლის ძვალი მაქვს ყინულივით ცივი და ტფილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო, ეს სონეტიც დღეს იმისთვის დავწერე მხოლოდ,
რომ სიტყვა გითხრა უეცარი ხოტბის და ქების,
რომ მდევარივით გაზაფხულზე ჩაგისაფრდები
მწვანე ჭალების, ალუბლების, მინდვრების ბოლოს.

ქვესკნელის ბაღად მეჩვენება ხეები წყალზე, —
ღრუბლის ჯაგებით, ვარსკვლავებით, წვიმებით სავსე,
რიჟრაჟის დარად ფურცელ-ფურცელ მეშლება ტანი.

საკუთარ მხრებით ვეზიდები საკუთარ კუბოს,
მზე ჩადის ზღვაში... და ღამდება უფრო და უფრო,
და გზისპირ მოჩანს სასაფლაო — მარადი ვანი.

XIII

როდესაც მთვარე გაიტაცებს სიშორის სამანს,
თავბრუდამხვევი მცხუნვარებით ნათდება სივრცე,
სული, ვით სიმი იწყებს ჟრჟოლას, ღვთაებრივ ციმციმს
და შენი ნებით სამოთხეში საცაა ჩავალ.

პერანგზე, როგორც თაფლით სავსე მაისის სკაზე
ფაქიზად მიდევს თითი... ორი ველური ხუნდი
შემომანათებს აბრეშუმის პაწია ბუდით, —
ვარდის სურნელით, თეთრი მზით და ნექტარით სავსე.

სიცოცხლედ მიღირს სიყვარულის ამგვარი წამი,
ღამეთა წიაღ მოტორტმანე მიჯნურის ნავი,
ერთმანეთს, ერთურთს სამუდამოდ ჩაწნული ჩრდილი.

სიამის ვანი... ვარსკვლავებით მორწყული ველი,
სონეტი, რონდო, ვით სიცხეში ნიავის ყელი,
ბალიშისგულზე იისდარი კურცხალი წყვილი.

XIV

მე ვარ, მე შენი მეციხოვნე, შენი რაინდი,
გაჩეხილი მაქვს საფეთქელი დაშნის ყუათი,
ვით უცხო თესლით მოწამლული ჰაჯი-მურატი,
ჯერ კიდევ ვსუნთქავ შემოდგომის მკვდარი ამინდით.

ცეცხლით, დურბელით გემუქრება სპარსი, ხაზარი,
ჯიმით, ჯამფილით უდგას სისხლი ყრმათა, ქალწულთა,
ტაო-კლარჯეთით გამოჰყვება მესხეთს ხანძარი
და თვითმკვლელივით გაქვავდება წუთით აწყურთან.

ცხენის ფლოქვებში აირევა ტვინი ცხედრების,
სისხლისფერ ბორცვებს დაკვდება მზე გახელებით,
იქვე, მახლობლად დაფრინდება ველზე ყორანი.

ქერის მაგივრად ქვიშას ვაჭმევს ალი ბაღვაში,
უხსენებელი ჩაგიჯდება ჩოხის კალთაში,
მაგრამ მახვილით განათდება გზა ნაომარი.

XV

მშობელმან ჩემმან მიანდერძა მამული ესე, —
ურიცხვი განძით, მთელი მისი უძრავ-მოძრავით,
დარუბანდიდან ნიკოფსიით ტყორცნა ბოძალი,
მერმე ხელი მკრა და შემაგდო უბელო ცხენზე.

მღვრიე მორევში გადამაგდო აღდგომის ღამით,
წინაპრის ძვლებით მოკირწყლული გზებით მატარა,
მიჩვენა კერის ნაღვერდალი ცხელი, თაკარა,
ვარძია, გრემი — ფეხადგმული დიდება ჟამის.

მიჩვენა ჯაჭვის საჭურველი დიდგორის ლომის, —
ხმლით, ვაზის ჯვარით ქრისტე-ღმერთის წინარე მდგომი,
ცხენთა ფლოქვებში მოქცეული მტრის უცხო ფარა.

შეგირდად მიმცა კირითხუროს, უჯარმელ მჭედელს,
ქართლის ცისფერი ვარსკვლავები ამომჭრა ბეჭზე
და სოხუმს ზედა დამასახლა — სამოთხის კარად.

XVI

სონეტით, სტანსით ვეთხოვები საკუთარ ცხედარს,
ჭაობისდარი უღიმღამო წარსული მტკივა,
როგორც დოღის ცხენს ჩვენებური ჩალა და თივა,
მაჟრჟოლებს ტანში შემოდგომის შუქი და სევდა.

გამოვიგლოვე მეგობრები — ჭრილობა ღია,
ცრემლში, ნაღველში ამერია დღეების რიცხვი,
როგორც მწუხრისპირ ქვაფენილზე აჭრილი სისხლი,
საკუთარ მიზანს, გამართლებას პოულობს ტყვია.

ჩემივე ნებით მოვიწამლე ჩემივე თავი,
ოცნებად მექცეს მე უპოვარს ის ქალი ლამის;
თავთუხის ყანა რომ მიჩვენა ფაზისის პირას.

გაინიხვნა კარი... გადმოიფრქვა უეცრად მნათი,
ვიხილე ცხადად ყოვლიწმინდის მზისფერი კვართი
და უფლის ფერხთით საკუთარი სიკვდილის კვირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVII

დილამდე სასმელს ვეძალები, ვით ძველი ბარდი,
ცრემლში, ნაღველში მერამდენედ ვაწებებ კალამს,
დილამდე გავალ, გავეცლები ამ უცხო ქალაქს, —
მკვდარი ლომივით ზღვის უბესთან გაშხლართულს ოდით.

ტავერნის შხამი, დარდუბალა ფილტვებში ჩამდის,
ვით შავი ოქროს დამღუპველი მჭვარტლი და კუპრი,
ქვესკნელის ქოროდ მეჩვენება ზრიალი სუფრის,
ვიღაცა ქარცი დედაკაცის დამყურებს ლანდი.

თხუთმეტი მსხემი, დარდიმანდი მაგიდას უზის,
ტორტმანებს სუფრა, ვით გვალვაში აქლემის კუზი,
დიონისური აღტკინებით სიცოცხლე მიდის.

ხორხოცებს ღამე — ფეხადგმული ბებერი დევი.
უფლის სახელით ანგელოზი მეძახის ზევით,
მე კი მიწაზე მენატრება სიკვდილი მშვიდი.

XVIII

უკვე მზეც ჩაქრა... შეეჩვია თვალები წყვდიადს,
ღამურას ფრთებით იხურება სარკმელი ვიწრო,
ვით უწვრთნელ შეგირდს სატანჯველად ფუნჯი და ტილო,
მე ეს სტროფები, ეს წამება მარგუნეს წილად.

თითქო ყრმობიდან საფლავის ქვა დამკიდეს გულზე,
თითქო საყდარში გამითეთრდა უეცრად თმები,
კაკლის ძველ ლებანს დაემგვანა ქუთუთოები,
ნიკაპის ძვალი, საფეთქლები — სამყურას ფურცლებს.

შვიდი დღის ნაღველს მასმევს ცოლი — ნოემბრის წვიმა,
ჟამი-ჟამ სული მეხუთება და სუნთქვა მიჭირს,
ჩრდილივით დამსდევს შემოდგომის კვამლი და იჭვი.

მაციებს ღამე... მკერდს მიკორტნის ველური ჟამი,
თითქო ოჯახში სახლიკაცი მესვენოს მკვდარი,
თითქო არაგვთან ერთად მახრჩობს მცხეთაში მტკვარი.

XIX

რატომ იფიქრე, რომ ოცნების დავხურე წიგნი,
რომ უკანასკნელ შეღამებას ვესწრებით ერთად,
რომ სნეულივით არაფერი მახარებს ქვეყნად
და ნაწილ-ნაწილ სხეულს მიღრღნის წყეული ფიქრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ იფიქრე, რომ ახლოა ნანატრი ფსკერი,
რომ მწუხრის ღრუბელს სამარეში ჩაიტანს წყალი,
რომ მთელი წელი ოდიშისკენ გამირბის თვალი
და ცისარტყელად მეხატება იელის ყელი.

გათვალული ვარ სულიწმინდის, ქიაჩის ხატით,
თითქო პანაშვიდს მიხდის უკვე ცოდვილი მარტი
და შავი კუბო სამეგრელოს შუკებით მიაქვთ.

ბედნიერი ვარ! — ხელთ მიჭირავს ქართული ქნარი
და სიტყვა მრჩება, ვით ნამდვილი ზურმუხტის კვარი,
საფლავის ბორცვზე გაზაფხულის ამოდის ია.

XX

აქ განისვენებს მონა ღვთისა, — გენი ქართული,
კაცი გულადი, ალვასავით ლაღი, თვალადი,
ლხინის, სერობის ფეოდალი, სუფრის თამადა
და ბანოვანთა გულის ქურდი სახელგანთქმული.

პირველყოფილი მონადირე, მეხის მტყორცნელი,
ელიას დარად ოჯალეშის ცრემლით ნაკურთხი,
გულუხვი, როგორც ოქროსფერი ყანა თავთუხის,
თამამი, როგორც გიორგობის მწველი კოცონი.

შვიდი დუელის გადამტანი, კიდევ ამდენი
ღია ჭრილობის, — მოხასხასე წითლად ვარდების,
ოდიშის დიდი ბატონივით ვარსკვლავთმრიცხველი.

მოკვდა... საკუთრივ მიილია მისთვის სოფელი, —
ქვეყნიერების შექმნის დღიდან ცრუ და ორფერი,
უფალი იყოს მისი შემწე და განმკითხველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კანდელაკი

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...

მოთხრობა

10

ჯერ ნატალი წავიდა, დაიხურა დოღისა და რბოლის სეზონი და წავიდა, თუმცა არ უნდოდა წასვლა, იალიან არ უნდოდა, მაგრამ მამას ხომ არ მიატოვებდა, უნდა წაჰყოლოდა, თორემ სულ დაიღუპებოდა მამა, საბოლოოდ გალოთდებოდა. ბევრი ცრემლი დაღვარა წასვლის წინ, ჩამოვალ, აუცილებლად ჩამოვალო, ჰპირდებოდა, ხომ მიმიღებ, ხომ არ დამივიწყებო. გაუწაფავი ხელით დახატული ნახატი აჩუქა — არყის ჭალაში ქართული ეკლესია ჩაეხატა ნატალის, შორს კი, უკანა ხედზე, ცხენი მოჩანდა, ფრთიან რაშს ჰგავდა, ზღაპრიდან გადმოსულს და თუ კარგად დაუკვირდებოდით „პეტროპოლისსაც“ ამოიცნობდით ამ ფრთიან რაშში. — „მუდამ გფარავდეს წმინდა ჯვრის მადლი, არ დამივიწყო.“ — დაბლა მიაწერა, ილიკოს დააწერინა და გულმოდგინედ გადახატა ქართული ასოები, ქართულსაც ვისწავლი, აუცილებლად ვისწავლი, ჩამოვალ და ვისწავლიო. მაგრამ არ ჩამოვიდა ან იქნებ, უნდოდა ჩამოსვლა, და ვერ ჩამოვიდა, თუმცა ამას ილიკოსათვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მთავარი ის იყო, რომ არ ჩამოვიდა. წერილებს კი იწერებოდა. ჯერ ხარკოვში გამოდიოდნენ, მერე — მოსკოვში, ნატალის მამის ცხენები წარმატებას აღწევდნენ, თვითონ ნატალიმაც „ორი პრიზი მოიგო „პიგმალიონინთ“, ამიტომ მეორე სეზონზეც დარჩნენ მოსკოვში. — ჩამოდი მოსკოვშიო, — იწერებოდა, — ხომ იცი, მე ვერ ჩამოვალ, სანამ სეზონი არ დამთავრდება არ გამომიშვებენ, არ მოგენატრე? მე ძალიან, ძალიან მომენატრეო!.. — ილიკომაც რამდენიმე წერილი გაუგზავნა, მერე გადაწყვიტა, ჩავალ მოსკოვში და ვნახავ, აუცილებლად ჩავალო და წერილი აღარ მისწერა, რა საჭიროა, ისედაც ხომ მალე ვინახულებო, მაგრამ ვერ მოახერხა წასვლა. წერილი კი, ისევ არ მისწერა, მაინც ჭქონდა იმედი მოკლე ხანში მოვახერხებ მოსკოვში ჩასვლასო... და შეწყდა წერილები, ეტყობა გული დასწყვიტა ნატალის ასეთმა უყურადღებობამ, ან შეიძლება სხვას შეხვდა, იქნებ ილიკოსნაირს, იქნებ უკეთესს, იქნებ უარესს, ვინ იცის? ბევრი რამ ხდება... ილიკო კი დროდადრო უყურებდა არყის ჭალაში ჩახატულ ეკლესიას და ნატრობდა, ღმერთო, ჩემზე უკეთესს შეახვედრე, ჩემზე ბევრად უკეთესს, ნატალი ღირსიაო! სხვა, ილიკოს, აღარაფერი შეეძლო და დამთავრდა, ასე დასრულდა ეს ზღაპარი, არყის ჭალის ზღაპარი.

მერე, „პეტროპოლისი“ გაქრა. ერთ დილით, ცოტათი გვიან ჩავიდა ილიკო

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 8, 9.

იპოდრომზე და არ დახვდა ცხენი. გიჟს ჰგავდა ნურიევი — წაიყვანეს! ვიღაცეებმა წაიყვანეს!.. ჩემთვის არ უკითხავთ, ისე წაიყვანეს... ხმაც კი ვერავინ ამოიღო!.. დიდი ფული გადაიხადეს... საბუთებიც არ გაუფორმებიათ, რაღაც ქაღალდი ანაბეზეს დირექტორს და დირექტორმა ხმა ვერ ამოიღო, დირექტორმაც კი ხმა ვერ ამოიღოო!.. — დირექციაშიც ვერაფერი გაიგო ილიკომ, არც დირექტორის მოადგილემ და არც ადმინისტრატორმა არაფერი იცოდნენ. ყველა გულდაწყვეტილი იყო, ენანებოდათ ცხენი, ასეთი ცხენი აღარასოდეს გვეყოლებაო. — დაღუპავენ ცხენს, იმათ რა იციან ცხენის მოვლაო! — დარდობდა ნურიევი. — ნეტა ვინ იმათ?! ვინ იყვნენ ისინი?! ნუთუ?! მაშინ ხომ?!. —მერე გაიგო ილიკომ, რომ გაუფრთხილებიათ დირექტორი, უფრო სწორად კი, დამუქრებიან — ხმა არ გაიღოთ არავისთან, ვითომ დაგეღუპათ ცხენი, ასე თქვითო, თორემ!..

გული ეტკინა ილიკოს, ისე წაიყვანეს „პეტროპოლისი“ რომ ვერც კი დაემშვიდობა, რაღა მაინცდამაინც იმ დღეს დაიგვიანა, რაღა იმ დღეს! მაგრამ რომ არ დაეგვიანა? მოახერხებდა რამეს, ხელს შეუშლიდა იმათ თუ რა? პირიქით, უფრო ეტკინებოდა გული, „პეტროპოლისიც“ დაინახავდა მის უმწეობას, ახლა იმედი მაინც ექნება ცხენს, ილიკო დამიხსნისო! — ამითღა იმშვიდებდა თავს.

იმედი!.. იმედი!.. ისევ იმედი!..

დრო კი, მიდიოდა...

მერე მოულოდნელად გაიღვიძა მიძინებულმა იმ გაფრთხილებამ, მაშინდელმა — შორი გზა მოიარეო! — და ისევ ჩაესმა ყურში ის „ლ“, ამაზრზენი, გულის ამრევი — ხომ გასწავლეს სკოლაში, ხომ გასწავლესო?! — და იმის შიშით, ყური არ ამიწიონო, იმწამსვე დაეთანხმა თავის დაქნევით, მასწავლესო და თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან ყური აღარავინ აუწია, ოღონდ ეს იყო თავის თავისა შერცხვა, მაგრამ მერე რა? თავის გამართლებას რა დიდი რამე უნდოდა? და გაიმართალა თავი — სხვებიც ხომ ასე იქცევიან და მე რითი ვარ სხვაზე მეტიო! — მერე, იმდენჯერ გამეორდა ილიკოს გონებაში ეს კითხვა-პასუხი, და ეს ისე თავისთავად ხდებოდა, ისე უბრალოდ, ისე სხვათაშორის, რომ ილიკოს უკვე აღარც კი უკვირდა, რატომ მეკითხებიან, რატომ მასწავლიან ჭკუასო, აღარც ის „ლ“ სჭრიდა ყურს, შეეჩვია, თითქოს მშობლიურიც გახდა და ალბათ, ჩქარა, თვითონაც აითვისებდა ამ „ლ“-ს.

დრო კი... ოჰ, ეს დრო!

და გაწყდა, გაწყდა იქ, სადაც ყველაზე სუსტი იყო, ვეღარ გაუძლო აბრეშუმის ძაფით ნაქსოვმა რგოლმა, ვეღარ გაუძლო და დაიშალა ყველაფერი, ისევ დაიფანტა, ისევ აირ-დაირია... ილიკო კი ვერ მიხვდა ამას, აზრზეც ვერ მოვიდა!

და მაინც, ყველაფერი თითქოს რიგზე იყო. ილიკო ისევ მუშაობდა უსინათლოთა დრამწრეში, რასაც ავალებდნენ, იმას აკეთებდა. ამბობდნენ, რამდენიმე კარგი ნამუშევარიც განახორციელაო, სიამოვნებდა როცა აქებდნენ, სულ ერთი იყო ვინ აქებდა, აბა როგორ, შორი გზით უნდა ევლო, უხიფათოდ!

ადრინდელ მეგობრებსაც დაუბრუნდა, ისევ მათთან იყო, ისევ ერთად ატარებდნენ დროს, ერთად სვამდნენ, ერთმანეთს ადღეგრძელებდნენ, აქებდნენ, სიყვარულს ეფიცებოდნენ, განსაკუთრებით ილიკოს ეფერებოდნენ, უხაროდათ მისი შემობრუნება. ილიკომ კი ისევ აიფარა უდარდელი კაცის ნიღაბი, ისევ სიზარმაცეს აბრალებდა ყველაფერს, მეზარება, რა მნიშვნელობა აქვსო, ამბობდა და ცდილობდა დაევიწყებინა ის დღეები, კარგი დღეები, ციდან ჩამოფრენილი, მისთვის, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი, რადგან როდესაც ის დღეები თავს ახსენებდნენ, ისე დაუმახინჯებლად ირეკლებოდა სინამდვილე მის გონებაში, გეგონებოდათ, ძველებური

კარადის სარკეში იყურებაო — მავთულზე გამობმული ძაღლივით დარბოდა წინ და უკან, იმ კარგ დღეებსა და აწმყოს შორის, და თუ ასე გაგრძელდებოდა, მთელი სიცოცხლე ვერ ასცდებოდა ეს სირბილი, ვერ აიშვებდა თავს ვერასოდეს, გრძნობდა ამას, იცოდა ეს, და ამიტომაც ცდილობდა დაევიწყებინა დასავიწყებელი, ამოეშანთა, ამოეძირკვა, მეგობრების დახმარებით ცდილობდა და ხუმრობდა მათთან ერთად, იცინოდა, სხვებს დასცინოდა, მაშინდელ თავის თავს რომ აგონებდნენ, იმათ, და ამით შვებასა გრძნობდა, ოღონდ დროებით, ყოველთვის ვერა, იმიტომ რომ, იმ სარკეს ვერაფერს უხერხებდა, მაინც ხედავდა, საკუთარ მიმქრალ თვალებს ხედავდა, თვითონ ხედავდა და სხვები კი ვერ ამჩნევდნენ, ან რას შეამჩნევდნენ, ხომ იცინოდა! და გრძელდებოდა ყველაფერი ისევ ისე, ხომ იცინოდა! ხანდახან კი, როცა ვერ შველოდა ვერც სიცილი და ვერც მეგობრები, როცა სარკიდან მიმქრალი კი არა, უკვე მიცვალებულის თვალები უყურებდა, აი, მაშინ, შეშინებული, ალიონზე იპოდრომზე ჩადიოდა და ამ დროს მასში, თითქოს რაღაც იცვლებოდა, სევდასა გრძნობდა დაკარგვის გამო და ეს სევდა ახარებდა, რადგან დარდობდა კეთილ ჟორჟზე, მის გადამრჩენზე და ისევ უნდოდა მისი ნახვა, ნატალის ბედიც აწუხებდა, დამნაშავედ გრძნობდა მასთანაც თავს, „პეტროპოლისიც“ ახსენდებოდა და ისევ უვლიდა ჟრუანტელი იმ თვალების გახსენებაზე, და, რაც მთავარია, კვლავ ხედავდა იმ საოცარ ველს, უკიდეგანოს, სანთლებით მოფიფქულს და ისევ ფარავდა ყველაფერს ის დიდი ლოცვა, „დედაო ღვთისავ...“, და ისევ ისე, როგორც მაშინ, ახარებდა მზის ამოსვლა, ისევ ისე უგდებდა ყურს იმ დილით ჯერ ფეხდაუკარებელი მიწის სუნთქვას და უნდოდა, ძალიან უნდოდა, დაუსრულებელი ყოფილიყო ეს წამები, მაგრამ აღარ ემორჩილებოდა უკვე სიცილს მიჩვეული მისი გონება და ეს ყველაფერი, ძალიან მალე, ისევ ღაც ქრებოდა, იფერფლებოდა და აღარ ახარებდა მზის ამოსვლა, სულ ცოტა ხნის წინ აღტაცებული რომ შესცქეროდა — რა მოხდა მერე, დიდი ამბავი, მზე ხომ ყოველთვის ამოდის, ბუნების კანონია და მე რა მიხარიაო, — და აღარც ის სუნთქვა ახარებდა, ჯერ კიდევ ფეხდაუკარებელი მიწის სუნთქვა — აღარ ესმოდა, აღარ გრძნობდა და რა გაახარებდა? და აღარსად იყო ის სიხარული, ის წყნარი სიხარული, ის ნამდვილი სიხარული, მის ადგილს კი, სულ სხვა სიხარული იკავებდა — ნურიეევისაგან ნათხოვი ცხენი, ისეთ დროს გამოჰყავდა სარბენ ბილიკზე, როცა იქ, უამრავი მოვარჯიშე ირეოდა, მოდას აყოლილი ქალი და კაცი, იმათ აწონებდა თავს და მათ აღტაცებულ მზერას რომ იჭერდა, ეს ახარებდა, თუმცა, ესეც უნდა ვთქვათ, იშვიათად, როცა თავის თავს ამაში გამოიჭერდა, სირცხვილი სწვავდა და უჩუმრად მიიპარებოდა თავლებისაკენ; უფრო ხშირად კი, სირცხვილის ტრაბრნობას იოლად ამარცხებდა, თავს იმართლებდა, ისევ სხვებს იშველიებდა, სხვებიც ხომ... — მიჩვეული იყო უკვე თავის მართლებას!

და იზრდებოდა მის ირგვლივ კეთილმოსურნე ნათესავ-ახლობლების წრე, საცოლეც კი გამოუძებნეს, ახლა აღარაფრით დაიწუნებოდა! წარსული? — რა მოხდა მერე, ვის არ ჰქონია გატაცებები, ზოგს ორი წყება ცოლ-შვილი ჰყავს მიტოვებული და მაინც არ დაიწუნებიანო. — ასე ფიქრობდნენ, ასე სჯეროდათ, წრეს ჰკრავდნენ ილიკოს გარშემო და წრეში ჩამდგარნი ფერხულს უვლიდნენ, უხაროდათ და ერთხმად ყვიროდნენ, პატარა ბავშვების მსგავსად, სიცილ-ხარხარით — ილიკო, ილიკო! ჰოპ, ილიკო, ილიკო! — და მოუთმენლად ელოდნენ იმ წამს, როდესაც ილიკოც დაიყვირებდა მათთან ერთად — ჰოპ, ილიკო, ილიკო!

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო!..

და თითქოს ყველაფერი რიგზე იყო... თითქოს!

თითქოს!..

და მაინც, მათთან მყოფი, საბოლოოდ არ იყო მათთან, რადგანაც ღამე არსებობდა! გრძელი ღამე!.. ღამით კი, ხშირად, ძალიან ხშირად, ძლივს დაძინებულს, ეღვიძებოდა, ორთქლმავლის კივილი აღვიძებდა და სიბნელეში თვალებდაჭყეტილი, დიდხანს, დიდხანს უგდებდა ყურს ორთქლმავლის ქშენას და წყვდიადში, საოცარი კი იყო, მაგრამ ნელ-ნელა ისახებოდა გამურული, დიდი ორთქლმავალი, ძველისძველი, და ვაგონები, ვაგონები, სარკმელებაჭედილი ვაგონები და... ხედავდა მას! რ, როგორ ნათლად ხედავდა, ორთქლში გახვეულს, შავპალტოიანს, გულგაღეღილს, გაფითრებულ სახეს ხედავდა, ცრემლჩამდგარ თვალებს და... ხმა!.. მისი ხმა ესმოდა!.. გულიდან ამოხეთქილი, ორთქლმავლის კივილს რომ ფარავდა... რა ხმა იყო ეს!.. „ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი...“! და მიდიოდა მატარებელი, უკანასკნელი მატარებელი!.. და მიუყვებოდა დაცარიელებულ ლიანდაგებს, მოტეხილი, შეშინებული... მიდიოდა, მიდიოდა, ძლივსღა მილასლასებდა და არ უჩანდა გზას დასასრული, უკვე მუხლები ეკეცებოდა, მაგრამ მაინც მილასლასებდა... როდემდე, როდემდე უნდა ევლო დაუსრულებელ ლიანდაგებზე?!. და საბოლოოდ სასომიხდილი, ნელა, ძალიან ნელა, თოვლის ფანტელივით ეცემოდა შავ, მაზუთიან რკინებს შორის, და იმავ წამში, თითქოს ამას ელოდებოდნენო, ციდან ფიფქები იწყებდნენ ცვენას, მოფრინავდნენ, მოფარფატებდნენ, ლამაზები, იისფერები და ივსებოდა თოვლით მიდამო, მისი თოვლით, იისფერით!.. და ის იწვა იისფერ თოვლში, ფანტელები კი ისევ მოფრინავდნენ, მოფარფატებდნენ, თავს აწონებდნენ თავიანთ პატრონს, ეალერსებოდნენ დამწუხრებულს, გათოშილ გულს უთბობდნენ ნაზი ამბორით და მოჰქონდათ წერილები, სამკუთხედად დაკეცილი ბარათები.

„ჩემო ძვირფასო, ჩემო უგონო სიყვარულო... აი, მიიღე ჩემგან ეს მინდვრის ყვავილები, ისინი ნორჩებია და უტყვი, მაგრამ მაინც თავდავიწყეთ ბით მოისწრაფიან შენსკენ. ჩემო ძვირფასო, ყოველდღიურად გადავცემ შენს მოკითხვას ჰაერის ტალღებს, ხომ გესმის?

ხო, მე არ ვიღებ შენს წერილებს, ხო, მე მიყვარს დუმილი, მაგრამ რა რიგ ძნელია მთელი სიცოცხლე ესაუბრო დუმილს. არ გსაყვედურობ, არ არის საჭირო, მაინც მოგწერ და მოგწერ ბარათებს, სანამ ცხოვრების ქარიშხალი სამუდამოდ არ დამიხუჭავს თვალებს. დღევანდელი დილა იყო ვარდისფერი, ვარდისფერი, მზემ სისხამზე ვარდებით მოფინა თოვლი. თოვლიც ვარდისფერი, ვარდისფერი იყო, ასეთი დიდებული ვარდისფერი ჯერ არ მინახავს არც ბუნებაში, არც ხელოვნებაში.

ამ ვარდისფერ ტონებში გაბრწყინდა, აკიაფდა ვარდისფერი ფიქრები, მომაგონდა შენი „იისფერი თოვლი“.

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა...“

ღმერთო, ალბათ, როგორ სტკიოდა გული! დუმილი!.. დუმილი!.. რა უნდა ექნა? და დნებოდა ნელა იისფერი თოვლი და ისევ ლიანდაგები, შავი, მაზუთიანი ლიანდაგები, და მიდიოდა ბოთლით ხელში, ისევ მილასლასებდა, პალტოგახდილი, გაძარცვული, რა უნდა ექნა?!.

როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!..

ვიღაცები კი იცინოდნენ, იქნებ უხაროდათ კიდეც! უხაროდათ, ხომ შეიძლება?! ის კი... ღმერთო დიდებულო!.. „ქალაქში მტვერში წაიქცა ბავშვი...“ და ემზადებოდა, ემზადებოდა დიდხანს, ძალიან დიდხანს ემზადებოდა, დაცლილ ჭიქას მაღლა სწევდა და უყურებდა, უყურებდა, დიდხანს უყურებდა, მერე ხელს უშვებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თვალს ადევნებდა, როგორ ვარდებოდა ჭიქა, როგორ იმსხვრეოდა!.. ვარდნას უყურებდა!.. — სულ წავიდა ხელიდანო! — ამბობდა ვიღაცა, ის კი ისევ და ისევ, უყურებდა დამსხვრეულ ჭიქას! ღმერთო დიდებულო! ვარდება ჭიქა და იმსხვრევა!.. ემზადებოდა!.. ემზადებოდა!..

ეჰ!..

და ვეღარ იძინებდა ილიკო... ოცნებაში ხედავდა დაუდგმელ სცენას და ბოლმა ახრჩობდა — როგორ დავუთმე, რატომ დავუთმეო?! — ყველაფერი ახსენდებოდა და თავის უმწეობა აცოფებდა.

რატომ?!. რატომ?!.

ერთ ღამეს კი, უფრო სწორად, გათენებისას რომ ჩაეძინა, სიზმარი ნახა.

ისევ ჟორჟის ფაცხაში იყო. მაღლა მიეპყრო ჟორჟს მზერა, თითქოს იქ უნდოდა ჭეშმარიტების დადგენა და ჩურჩულით იმეორებდა ერთსა და იგივეს, მისთვის წყეევლად მოვლენილს, გონებისა და გულის ამაფორიაქებელ სიტყვას — რატომ?! რატომ?! — და მოხდა სასწაული, უეცრად სადღაც გაქრა ფაცხის კედლები და ამავე დროს იწყო ნგრევა ირგვლივ არსებულმა, ყველა კედელმა, დახვავდა, დაზვავდა ნანგრევები, ამოიცსო ირგვლივ მიდამო და გამოჩნდა ნანგრევებს მიღმა, დიდი სივრცე უკიდეგანო და დაუბერა სუფთა ნიავმა, მაცოცხლებელმა, თავდაპირველად ობლად მდგომი ხის ფოთლები ააშრიალა, ჯერ მათ იკითხეს, რატომ, რატომო? ჩურჩულით დაეკითხნენ ერთმანეთს, მაგრამ ჩურჩულიც მისწვდა, იქვე, მათ ახლოს მორაკრაკე ანკარა წყაროს, წყაროც რაკრაკით შეეხმიანა, რატომო? ნაკადულიც დაინტერესდა. მთის ბობოქარმა მდინარემაც თავის მგრგვინავი ხმით დაიგუგუნა და აისხა მძივად, რატომ, რატომო? აშრიალდა ტყე, ყვავილები, ბალახიც და ჩაღწია ამ ხმამ ნანგრევებში, იქიდანაც შეეხმიანენ, იმედი მიეცათ თითქოს, რატომო, ჩვენც გვაინტერესებს, ოღონდ გვიშველეთ, გამოგვიყვანეთ აქედანო! შეესმინა ჭარმა მათი ვედრება და ... მძლავრად დაუბერა, რომ მიფანტ-მოფანტა ბეტონის მძიმე ფილები და იწყო ხალხმა გამოსვლა ნანგრევებიდან. რატომ, რატომო? შრიალებდა, რაკრაკებდა, გრგვინავდა ყველაფერი და დაიგუგუნეს ნანგრევებიდან გამოსულებმაც ერთხმად, რატომო?! უხაროდათ, მგონი გადავრჩითო, და პასუხის მოლოდინში, ჟორჟს მიაპყრეს მზერა. შეკრთა ჟორჟი ამდენი ხალხის დანახვაზე, დაიბნა, შეშინდა კიდეც, აღარ იცოდა რა უნდა ეთქვა, ენა წაერთვა, ვერ იკისრა, ვერ ზიდა მძიმე ტვირთი, იდგა უმწეო, იღიმებოდა, მხოლოდ იღიმებოდა, ისინი კი ითხოვდნენ პასუხს, მისგან, ჟორჟისაგან, მაგრამ პასუხი არ არსებობდა. ცრემლი მოადგა თვალზე ილიკოს, რადგან ისინი, პასუხის მომლოდინენი უკვე ღელავდნენ, სულ ცოტაც და, ვიღაც ერთი დაიყვირებდა, მოგვატყუაო და გასრესდნენ, გადათელავდნენ ჟორჟს, მოღიმარ ჟორჟს! რაღაც უნდა ეღონა ილიკოს, უნდა როგორმე გადაერჩინა თავისი მხსნელი, მისკენ გადადგა კიდეც ნაბიჯი, მაგრამ ჟორჟმა ხელი ასწია და... შეჩერდა ხალხი, თითქმის დაწყნარდა. ჟორჟი კი ისევ ისე იღიმებოდა და როცა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ მაშინ თქვა, წყნარად, აუღელვებლად, თუმცა იცოდა, რაც მოჰყვებოდა მის ამ სიტყვებს — არა, არ გეტყვით, თორემ ყველაფერი ისევ განმეორდებაო და მე რომ გითხრათ რასაც მოითხოვთ, მერე უკვე სხვები იტყვიან თქვენზე, რატომო! ამიტომაც ვერ ეღირსებით ჩემგან პასუხსო! — ყველაზე ადრე ილიკო მოვიდა აზრზე, წამები წყვეტდნენ ახლა ყველაფერს, უნდა დააწროს მათ ილიკომ, უნდა გააქციოს, გადამალოს ჟორჟი, ძალით უნდა გამოარიდოს გამძვინვარებულებს, თორემ ჟორჟი თავისი ნებით ფეხს არ მოიცლის ადგილიდან, წამები... წამები... უსაშველოდ გაიჭიმა ეს წამები, ილიკო კი ნაბიჯსაც ვერ

დგამდა, უნდოდა და ვერ ახერხებდა!.. დროზე!.. დროზე!.. ახლა ისინი გაიაზრებდნენ ჟორჟის ნათქვამს და... დროზე!.. და გადადგა ერთი ნაბიჯი, მერე მეორე... ჩქარა!.. ჩქარა!.. ვილაცას იდაყვი გაჰკრა, გზიდან ჩამოიცილა, მერე მეორეც, მესამეც და უეცრად ყურში ჩაავლეს ხელი — შენ რა, დაგავიწყდა სკოლაში ნასწავლიო! — და ყური ისე მტკივნეულად აუწიეს, რომ ილიკო ადგილზე გაშეშდა, და როცა ის-ის იყო უნდა ეთქვა — არა, როგორ გეკადრებათ, მახსოვს, მახსოვს, მაპატიეთო, — იგრიალა, იხუვლა ხალხმა, მოგვატყუა, მოგვატყუაო! — ღრიალებდნენ და, ალბათ, ჟორჟის ბუნდოვაც კი არ დარჩებოდა, რომ უეცრად, თვალსა და ხელს შუა, ჟორჟი სადღაც არ გამქრალიყო. გაუხარდა ილიკოს ჟორჟის გადარჩენა, უფრო მეტად კი ის გაუხარდა, რომ თვითონაც გადაურჩა შერცხვენას. მერე ყველა აქეთ-იქით მიმოიფანტა და იმ ადგილზე, სადაც ჟორჟი იდგა, ოთხი წოთელი ასო გამოიკვეთა — ა. ს. ე. ლ.

ოფლში ცურავდა გაღვიძებული ილიკო და იმ ოთხ ასოს იმეორებდა — ა. ს. ე. ლ., ა. ს. ე. ლ., ნეტა რას ნიშნავს, რას უნდა ნიშნავდესო — და უეცრად გონება გაუნათდა, მიხვდა, მიხვდა, სად უნდა მოეძებნა ჟორჟი, ცისფერი სახლი და ის ოთხი ასო, ის სახლი ხომ ცისფერი იყო — ადამიანის სულის ექსპერიმენტული ლაბორატორია! — ღმერთო, რამდენჯერ ჩაუვლია ამ სახლის წინ, რამდენჯერ და როგორ ვერ ხვდებოდა?!

სასწრაფოდ წამოხტა ლოგინიდან და იმის შეგნებამ, რომ ჟორჟს ჩქარა ნახავდა, დაავიწყა სიზმარში ნანახი, ზოგჯერ სიზმრისაც ხომ რცხვენია ადამიანს.

ეჰ, რა სასიძო დაიკარგა.

11

საწერ მაგიდასთან მჯდომმა კაცმა, როგორც იქნა, ასწია ქაღალდებში ჩარგული თავი, სათვალე მოიხსნა და ილიკოს მიაპყრო მზერა. — გისმენთო — და ისეთნაირად დაიცქერდა მის წინ დახვავებულ ქაღალდებს, რომ ამით ილიკოსთვის მიენიშნებინა — დროზე თქვი სათქმელი, ხომ ხედავ, რამდენი საქმე მაქვსო.

— იცით... — დაიწყო ილიკომ და სათქმელი ვეღარა თქვა, კაცს ისევ ისე გაეკეთებინა სათვალე და თავი ისევ ქაღალდების გროვაში ჰქონდა ჩარგული. ასე არაფერი გამოვიდოდა! ამ კაცს გულისყურით უნდა მოესმინა, ის იყო უკანასკნელი იმედი, ასე უთხრეს — ამ საქმეში თუ ვინმე დაგეხმარებათ, მხოლოდ ზარექაშვილი, ჩვენი განყოფილების გამგეო. — ორი საათი დადიოდა ილიკო ოთახიდან ოთახში, მაგრამ ვერაფერი გაარკვია, ან როგორ უნდა გაერკვია, მან ხომ ჟორჟის გვარი არ იცოდა და მგონი არც ნამდვილი სახელი და არც ის იცოდა დანამდვილებით, მართლა იმყოფებოდა ჟორჟი აქ, ცისფერ სახლში, თუ არა.

— გისმენთ... რა გნებავთ?.. — შეეკითხა ზარექაშვილი და ისევ მიაპყრო მზერა ილიკოს.

— იცით... — ისევ დაიწყო ილიკომ და ისევ ვერაფერი თქვა, ახლა აზრი ზარექაშვილის სახეზე მოულოდნელად გაჩენილმა ღიმილმა გაუწყვიტა. ის სახეგაბადრული მისჩერებოდა ილიკოს, მერე, უეცრად წამოდგა და მისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა.

— ილიკო!.. ვერ მიცანი?.. ჰა, ვერ მიცანი?.. ინდიკო ვარ!.. ინდიკო! არ გახსოვარ?!

ყველაფერს წარმოიდგენდა ილიკო, მაგრამ ამას?.. ამას კი, ვერაფრით წარმოიდგენდა! ღმერთო, ნუთუ ეს, თავის თავში დაჯერებული სათვალიანი კაცი, ის ზონზრეხა ბიჭი იყო?.. ნუთუ? — განყოფილების გამგე?! ის ინდიკო?!.. წმინდაო საბაო, საიდან სადაო!.. თუმცა!.. — უფრო გასაოცარი კი მაინც ის იყო, რომ ამდენი ხნის შემდეგ, რო-

---

ზურაბ კანდელაკი

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქ. სსრ კ. მარქსის

გორ, რანაირად იცნო ინდიკომ? ისინი, მაშინ, ხომ იშვიათად ნახულობდნენ ერთმანეთს, ორჯერ ან სამჯერ თუ უთამაშიათ ერთად, მეტჯერ არა, ან საერთოდ თამაშობდნენ კი ერთად? ილიკოს რომ ეცნო, ეს უფრო არ იქნებოდა გასაკვირი, ილიკოს ფანჯარა ხომ ინდიკოს ეზოში გადიოდა და ილიკო ფანჯარაში რომ იყურებოდა, ხშირად ხედავდა თავის ეზოში მოთამაშე ინდიკოს, მაგრამ ინდიკო ხომ ვერ ხედავდა ასე ხშირად ილიკოს, ეზოდან ოთახში რას დაინახავ, მით უფრო რომ, ილიკოს დედას ფანჯარაზე ფარდა ჰქონდა აფარებული, ჰო, რა თქმა უნდა, ინდიკო, თავის ეზოდან თითქმის ვერ ხედავდა ილიკოს, ვერ ხედავდა და მაინც იცნო! ილიკო, თვითონ, ალბათ, ვერასოდეს ვერ იცნობდა, ახლაც უყურებდა და არ სჯეროდა, ვერაფრით ვერ უკავშირებდა მის წინ მდგომ კაცს, იმ ზონზოროს ბიჭს, მაგრამ დაუჯერებელი არაფერი იყო, მის წინ ინდიკო იდგა და უღიმოდა.

— ინდიკო?! — ძლივს ამოიღო ილიკომ ხმა და ინდიკომ, თითქოს ილიკოს დასტურს ელოდაო, კარგა ხნის უნახავი ძმასავით ჩაიკრა გულში. გაუხარდა ინდიკოს ილიკოს ნახვა, გულით გაუხარდა და ეს სიხარული ილიკოსაც გადაედო, ახლა ორივეს ერთნაირად უხაროდათ, რადგან ბავშვობა გაახსენდათ, მართალია, სულ სხვადასხვანაირი, მაგრამ მაინც ბავშვობა, საოცრად კარგი, და ბავშვობაში გადავარდნილებს სხვა ყველაფერი დავიწყდათ. გახსოვს, გახსოვსო? — განუწყვეტლივ იმეორებდნენ. მათ ქუჩაზე მცხოვრები ყველა ბიჭი გაიხსენეს, ისინიც კი, რომლებსაც სხვა შემთხვევაში, ალბათ, ვერაფრით გაიხსენებდნენ, ახლა კი, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ნელ-ნელა იძენდნენ ხორციელ სახეს, სადღაც შორს, მეხსიერების უძირო ფსკერზე ჩაძირულები. და უხაროდათ რომ ახსოვდათ, უხაროდათ, თითქოს ისევ ის პატარა ბიჭები იყვნენ. — ის თუ გახსოვსო?.. — და ინდიკო ისე ახარხარდა, რომ სიცილისგან სუნთქვა შეეკრა, წამოწითლდა, ხველა აუტყდა. — ღმერთო ჩემოო... და სული ძლივს რომ მოითქვა — ის თუ გახსოვს, საპირფარეშოს კარებს ინდიკოო... — და ვეღარ გააგრძელა, ისევ შემოუტია მძლავრმა სიცილმა, — ინდიკოო, რომ დავაწერე... — ძლივსღა წარმოთქვა. — მახსოვს, მახსოვსო! — და ილიკოც აჰყვა სიცილში, მაგრამ ინდიკოსაგან განსხვავებით, აჯობა სიცილს — არ ეწყინოსო — და ბავშვობიდან უმალ დაბრუნდა, გაახსენდა რისთვისაც იყო აქ მოსული. ინდიკო კი არა ცხრებოდა, სიცილისაგან ლამის ტიროდა — ჰო-ჰო-ჰო, რა მგლიჯა მაშაჩემმა, თავი კინაღამ წამაცალა! — და ამის თქმაზე სიცილი მასაც დაეხსნა. — ვენაცვალე იმის ხელს, იმან მომიყვანა ჭკუაზე, თორემ, ვინ იცის, რა ვიქნებოდიო! — და ცხვირსახოცით სიცილის ცრემლები მოიწმინდა. — იქნებ სხვა ცრემლებია ეს უკვეო, — გაიფიქრა ილიკომ და ის ნათქვამი გაახსენდა: ეს თუ თავის შვილს ასე, სხვას როგორო!

— ახლა მითხარი, როგორა ხარ? რას აკეთებ? — ინდიკო საბოლოოდ გამოეხსნა სიცილს და ადრინდელი გამომეტყველება, ისეთი, ილიკოს შემოსვლისას რომ ჰქონდა, დაუბრუნდა.

ილიკომ, როგორც უკანასკნელ ხანს სჩვეოდა, მხრები აიჩეჩა, რა ვიცი, არა მიშავსო.

— ცოლ-შვილი?

ილიკომ აქაც ძალიან მოკლედ უპასუხა, არაო.

— შენ რა გითხრა ბიჭო, რაღას უცდი მერე?.. მე ქალ-ვაჟი მყავს, გოგო მეორე კლასშია, ბიჭი მერვეში, სულ მე მგავს!

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და მდივანმა ქალმა, არაფრით რომ არ უშვებდა ილიკოს კაბინეტში იმან, ორი ფინჯანი ყავა შემოიტანა, ჯერ ილიკოს მიაწოდა, მიიოთვითო, — ღიმილით უთხრა, ეტყობა, მათმა სიცილმა მისაღებშიც გააღწია და მდივანი ქალი, ახლა, თავის ღიმილით ცდილობდა უნებლიე შეცდომის გამოსწორებას.

ინდიკომ სიგარეტს მოუკიდა, ყავა

მოსვა და გავიდა თუ არა მდივანი ქალი, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— აბა, რამ შეგაწუხა, ჩემო ილიკო? რაში დაგჭირდა ჩემი თავი?.. მომენტარე და მოვედიო რომ მითხრა, დაგიჯერებ?

და როცა ილიკომ აუხსნა მისი მოსვლის მიზეზი, ინდიკო ერთხანს ჩაფიქრდა.

— ჟორჟიო შენ ამბობ... ჟორჟი... არც გვარი იცი და ფიქრობ, რომ შეიძლება სახელიც მოგონილია, არა? — ილიკომ თავი დაუქნია. — ჟორჟი აქ რამდენიმე გვყავს... — და თითებზე ჩამოთვლა დაიწყო: ჟორჟ დანტონი, ჟორჟ ბიზე, ჟორჟ პომპიდუ, ჟორჟ მელიესი... ჟორჟი ამადუც ჟორჟს მიეკუთვნება, არა?.. მაგრამ შენ რომ ეძებ, ვგონებ, ის სულ სხვაა... იქნებ დანტონი?.. იყო აქ კიდევ ერთი ჟორჟი... ჟორჟ კოლხიდელი.. შეიძლება ის არის?.. ჟორჟ კოლხიდელი... მაგრამ სადღაც გაქრა... იქნებ ის არის, ვისაც შენ ეძებ?.. სურათით იცნობ?

და როდესაც ილიკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ინდიკომ ზარით მდივანი იხმო და ჟორჟ კოლხიდელის პირადი საქმის მოტანა დაავალა, მერე ილიკოს ბოდიში მოუხადა, უფროსთანა ვარ შესასვლელი, სულ მცირე ხნით დაგტოვებ და სანამ დავბრუნდები, შენ ჟორჟ კოლხიდელის პირად საქმეს გაეცანიო.

ილიკო ვერაფერს მიხვდა, რა შუაში იყო აქ დანტონი?.. ან ჟორჟი ამადუ?.. ბიზე?!. დაბნეულმა ხმა ვერ ამოიღო, თვალი გააყოლა კარში გამავალ ინდიკოს და... ღმერთო, ნუთუ სიმართლე იყო, რასაც ამ სახლზე ლაპარაკობდნენ? ნუთუ მართლა სიმართლე იყო?!. თუ ასეა, რა უნდოდა აქ ჟორჟს, რა?!. შეიძლება სჯობდა სიმართლე ეთქვა ინდიკოსთვის, მან ხომ დამალა, ხომ არ უთხრა, თუ რა ვითარებაში შეხვდა ჟორჟს, ძველი წიგნები აქვს და კონსულტანტად მჭირდებაო, ეს მოიმიზეზა, იქნებ ყველაფერს თუ ეტყოდა, ინდიკო უფრო ადვილად დაეხმარებოდა, ან კი, დაუჯერა ინდიკომ? ასე იოლად დაუჯერა?.. თუ მართალია რასაც ამბობენ, ინდიკო უეცრად ახალი აზრი დაებადა, იქნებ ჟორჟი აქ მუშაობს, ინდიკოსავით განყოფილების გამგე თუ არა, შეიძლება რომელიმე განყოფილების რიგითი თანამშრომელიაო? მაგრამ არა, შეუძლებელი იყო, ჟორჟი და აქ მუშაობა? მაშ რაში იყო საქმე, სად იყო ძაღლის თავი დამარხული?

ამასობაში, მდივანმა ქალმა ჟორჟ კოლხიდელის პირადი საქმე შემოიტანა და ილიკოს წინ დაუდო. ილიკომ გულის ფანცქალით გახსნა საქაღალდე და პირველივე გვერდზე ჩაკრულ სურათს დააცქერდა — სურათიდან ჟორჟი შემოსცქეროდა, მისი ჟორჟი, ოღონდ ახალგაზრდა, ბევრად ახალგაზრდა, ვიდრე მაშინ იყო, ის იყო, ის:.. ან?.. და სადღაც გაქრა, მის გონებაში გაელვებული ჟორჟის გამოსახულება, ისევ დააცქერდა სურათს, ახლა უკვე სურათზე გამოსახული ადამიანი აღარავის აგონებდა, მეხსიერება დაძაბა, იქნებ როგორმე ისევ აღვიდგინო, ერთი წამის წინ გაცოცხლებული სახეო, მაგრამ ვერ შესძლო და დაეჭვდა ილიკო, ის არის თუ არაო?! მერე ისევ მიამსგავსა — ის არის! ის! — და ძალიან მალე ისევ დაეჭვდა, არა, ასე არ შეიძლებოდა, განუწყვეტლივ ხომ არ იმარჩიელებდა?! გამოსავალი ერთი იყო, უნდა გაცნობოდა პირად საქმეს და მხოლოდ, აქედან გამომდინარე დასკვნა გაეკეთებინა.

სურათის ქვეშ ეწერა: ჟორჟ კოლხიდელი. დაბადებული 1916 წელს. ყულფიდან ჩამოხსნილი. — უფრო დაბლა კი, წითელი ფანქრით იყო მიწერილი: ეშინია 37 წლის შესრულების (როცა 37 წლის გავხდები, მოვკვდებიო.).

ილიკომ სურათჩაკრული გვერდი გადაშალა და შეუდგა ჟორჟ კოლხიდელის პირადი საქმის კითხვას:

საკუთარი დაკვირვება.

ჟორჟი საკმაოდ რთული პიროვნებაა, მას უყვარს დედა და გარშემო მყოფნი; იგი ყველასთვის სასიამოვნოა.

ჟორჟი დაბადებულა ნორმალური;

დედის ავადყოფობის გამო იზრდებოდა ხელოვნურ კვებაზე; 15 თვის ასაკში ამოეჭრა კბილები, ამავე პერიოდისათვის დაიწყო ლაპარაკი და სიარული. 18 თვის ასაკში შემთხვევით თავში მოხვდა ჯოხი, რის შემდგომაც მას დაეწყო შეტევები ცნობიერების დაკარგვით და კრუნჩხვებით.

ფიზიკური სტატუსი. კვება დამაკმაყოფილებელი. შინაგანი ორგანოების მხრივ შესამჩნევ გადახრას ადგილი არ აქვს. მკაფიოდ გამოხატული ჰიპერტრიქოზი. თავის ტვინის ნერვები ნორმის ფარგლებშია. მხედველობა და სმენა დამაკმაყოფილებელი, რეაქცია სინათლეზე და აკომოდაციაზე შენახულია. მყესთა რეფლექსები აწეულია. პათოლოგიური რეფლექსები არ არის.

ფსიქიკური სტატუსი. ყორჟი გარეგნულად ორიენტირებულია. იცის, რომ იმყოფება თბილისში, იცის სად ცხოვრობს მისი დედა, იცის, რომ იგი არის 33 წლის, და სხვა.

ყორჟს აქვს სიტყვათა და გამოთქმათა საკმაოდ მდიდარი ლექსიკონი, იცის გვარი, სახელი და მამის სახელი გარშემო მყოფ პერსონალისა, იცის ლექსები; ყველას მიმართ თავაზიანია, უყვარს ბუნება, ხან მთელი საათობით გადასცქერის მტკვარს. უყვარს კინო, სიმღერა, ხშირად თვითონაც მღერის, არაიშვიათად სწორად იღებს მოტივს.

ყორჟს უყვარს მუშაობა და ხშირად ასრულებს რთულ დავალებებს, მაგალითად, არიგეს გაზეთებს, ალაგებს აფთიაქის კალათას, ეხმარება მომვლელ პერსონალს და სხვა.

შეხვედრისას შემხვედრს მიმართავს: „დილა მშვიდობისა“ ან „გამარჯობა“, თუ გაჯავრებულია, ბრაზობს, ყვირის, მაგრამ ეს აფექტური განტვირთვა ძლიერ ხანმოკლეა. კარგი მადა აქვს, დეტალურად აქცევს ყურადღებას კვების რეჟიმს, რომ არაფერი გამორჩეს. იცის თავის საწოლი. აქვს საკუთარი კოვზი, ყურადღებას აქცევს ლოგინის და საკუთარი ტანისამოსის სისუფთავეს.

როგორც ვხედავთ, ყორჟი წარმოადგენს ფრიად რთულ პიროვნებას, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა ამისი ფსიქიკური აპარატისა. დეტალური გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მისი ცოდნა ატარებს მხოლოდ და მხოლოდ მექანიკურ ხასიათს და ის სრულიად მოკლებულია ასოციაციურ, შინაგანი ლოგიკური კავშირის მქონე მეხსიერებას.

შედარებათა უნარიანობა შეადგენს ცნების წარმოშობის პროტოტიპს, ესე იგი, საძირკველს, ანუ შინარე სტადიუმს, რომელზედაც შენდება რთული ინტელექტუალური აქტი: საგანთა, ფაქტთა და მოვლენათა განზოგადება. მაგრამ, რომ შევძლოთ შედარება, დაპირისპირება ან განზოგადება, საჭიროა არა მარტო სტატიკური ინტელექტის მარაგი, არამედ პირველ რიგში აუცილებელია დინამიკური, ასოციაციური მოქმედება, რომ გადავწყვიტოთ ამოცანა: ორი მეტია თუ სამი ან განვასხვაოთ „ადრე“ თუ „გვიან“, აუცილებელია მოხდეს კონკრეტულ წარმოდგენათა ასოციაციური შეეღლება. ექსპერიმენტული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ყორჟის ფსიქიკური აპარატი მოკლებულია დინამიკურ, ასოციაციურ მოქმედებას.

1949 წელი.

მომდევნო ფურცელზე რაღაც რებუსის მსგავსი ჩანაწერები იყო გაკეთებული.

სივთსიბოლენვამსლეწ 8391სერმიტაპაადილიტრეწ აჯასეიმატერვხადხაბხაბ ხაბ ანიჩრაადაგმაცალივსაჯ სადთილიდვკისუჩუჩუსუს ნათნევჩადვხომნადიხიცსიმოკხასნიშ.

1954 წელი.

მდგომარეობა უმჯობესდება. **ოყიირულამრონსივთლევოყესი.** უჭირს აკვიატებული ბოდვითი აზრების მოცილება. **აბემაწაბედყწივარა.**

1956 წელი.

რატომ ეძახის თავის თავს ყორჟ კოლხიდელს?

1957 წელი.

დაიჭირეს ყოფილი გამომძიებელი, სახელად ყორჟი. 1953 წლის შემდეგ სადღაც იმალებოდა. ჩვენი ყორჟი მო-

წმედ დაიბარეს... აქ ხომ არ იმალება საიდუმლო?!

1957 წ. 17 ნოემბერი.

ის ჟორჟი, გამომძიებელი, ეძებდა თურმე ვიღაც კოლხიდელს.

1957 წ. 21 ნოემბერი.

ჟორჟს ჩვენგან წასვლა არ უნდა. ყველაფერი რიგზეა, ოღონდ ვერ ელევა თავის მოგონილ სახელსა და გვარს, ჟორჟ კოლხიდელს. ჩვენთან დარჩა სამუშაოდ. გვეხმარება ყველანაირ საქმეში.

1958 წ.

ბოლო დროს სადღაც დადის. ერთხელ ორი კვირითაც კი გაუჩინარდა.

1967 წელი.

ამ ჩანაწერებმა სულ დაბნია ილიკო. ერთადერთი ხელის ჩასაჭიდებელი მხოლოდ ის იყო, რომ ჟორჟი ერთხელ ორი კვირით გაუჩინარებულა. ჩანაწერის მიხედვით, ჟორჟის გაუჩინარების დრო თითქოს ემთხვეოდა იმ ორ კვირას, ეს იყო და ეს, სხვას, რაც იქ ეწერა, არავითარი კავშირი არ ჰქონდა ილიკოს ჟორჟთან, სხვაზე თუ არაფერზე. მის ინტელექტზე ხომ ჰქონდა წარმოდგენა. ისევ დახედა სურათს, ისევ ვერ მიხვდა, ვინ შემოსცქეროდა სურათიდან, ის ჟორჟი იყო თუ სხვა. მაინც რა ემართებოდა, რა უბედურებაა, რატომ ავიწყდებოდა მისი გარეგნობა? ან?.. და როგორც ადრე, მრავალჯერ, ახლაც გაიფიქრა, ეგებ ყველაფერი მართლა ჩემს წარმოსახვაში მოხდაო! მაგრამ ხმა?! ხმა ხომ ახლაც ყურში ედგა, მისი თბილი ღუღუნა ბარიტონი... ახლაც ჩაესმა. რატომ, რატომმო! ისევ ჩაუკვირდა ყოველად გაუგებარ ასოებს, რას უნდა ნიშნავდეს ეს რებუსი? რას?.. ყულფიდან ჩამოხსნილი?!. ყულფიდან ჩამოხსნილი?!.

— ეგ არის ვისაც შენ ეძებ? — გამოარკვია ფიქრებში გართული ილიკო ინდიკოს ხმამ. ინდიკოს ისეთი ნეტარი ღიმილი ეფინა სახეზე, რომ აშკარა იყო — მისი ვიზიტი უფროსთან შესანიშნავად დამთავრდა.

— არა... მე მგონი, არა... ან იქნებ... რა ვიცი... — ისევ ჩაუკვირდა ილიკო, მისთვის გაუგებარ ასოთწყობას. — თუ ძმა ხარ, მითხარი, ეს რას ნიშნავს?

— შიფრია! — არც კი დაუხედია იმ გამოუცნობი გამოცანისთვის, ისე უპასუხა ინდიკომ და უმალ ილიკოს სახეზე ცნობისწადილის ჩქარა დაკმაყოფილების სურვილი აღიბეჭდა, ალბათ, ინდიკო ახლავე ყველაფერს ამიხსნისო, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა, ინდიკოს სახეზე საპასუხო გამომეტყველება გაჩნდა, ვერაფერს გეტყვი, ვერაფრით ვერ დაგეხმარებიო და ეს, სულ მალე, სიტყვებითაც დაუდასტურა — მე არა მაქვს ამ შიფრის გასაღები და, გინდაც მქონდეს, მაინც ვერ გაგიმხელ, ხომ იცი... პროფესიული საიდუმლო!.. ეთიკა... უფლება არა გვაქვს და არ გეწყინოსო. — რაღას იზამდა ილიკო, კაცმა პირდაპირ უთხრა სათქმელი, არ დაუმალა, არც ყალბი მიზეზები მოიმიზეზა და აზრი აღარა ჰქონდა ჩაძიებას, არც იყო წესი, ნორმალურად აღზრდილები ასე არ იქცეოდნენ და ინანა ილიკომ, უნდა ამომეწერა ეს ასოები, იქნებ როგორმე მე თვითონ ამომეხსნა შიფრიო

ამ დროს ინდიკოს ისეთი რამე გაახსენდა, რომ თვითონაც კი გაუკვირდა.

— ილიკო, რა რიცხვია დღეს? — ინდიკო მაგიდის კალენდარს დასცქეროდა და თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

ილიკო დაფიქრდა, რა რიცხვი იყო დღეს? ხუთი თუ ექვსი? — მგონი ექვსიაო, — უპასუხა და გაოცებული მიაჩერდა ინდიკოს, ნეტა რა უხარია, რა მოხდა მერე, დღეს თუ ექვსიაო.

— სწორია!.. ექვსი აპრილია!.. მერე?!.

— რა მერე?..

— როგორ თუ რა?!. ექვსი აპრილი. ილიკო ბატონო!.. კარგი ახლა. შეეშვი იმ ჟორჟზე ფიქრს, რა წიგნები უნდა ჰქონდეს ისეთი, სხვაგან რომ ვერ იშოვო?.. მე გაშოვიებ, ნუ გეშინია!.. ახლა კი დაუბრუნდი ექვს აპრილს!.. მერე რაო!.. ეს როგორ წამოგცდა?!. თუმცა.

ასეა ბატონო. ზოგს ავიწყდება... ზოგი კი მალავს თავის...

და ილიკოს, ახლაღა გაახსენდა, რომ დღეს, ექვს აპრილს, მისი დაბადების დღე იყო, ღმერთო, რამ გამოაშტერა ასე, დღეს ხომ 35 წლის გახდა! და სანამ რამის თქმას მოასწრებდა, ინდიკომ, ჯიბიდან საფერ-კალამი ამოიღო და ილიკოს გაუწოდა. — ჰოდა, გილოცავ დაბადების დღეს!.. ეს ჩემგან სახსოვრად!.. ოქროს კალამი აქვს, უბრალო არ გეგონოსო!.. — და ისე თბილად გაუღიმა, ისე ენერგიულად ჩასჩარა ხელში საჩუქარი, რომ ილიკომ, უარის თქმა ვერ მოახერხა, — გმადლობო, — ძლივს ჩაილაპარაკა, თანაც უკვირდა, ო, როგორ უკვირდა, ჩემი დაბადების დღე, მეც კი არ მახსოვდა და ინდიკომ საიდანღა გაიგო, როდის მოვევლინე ამ ქვეყანას, კალენდარში რომ არ არის ალნიშნული, ნათელზე ნათელია, მაშ საიდან, საიდანო?!

— ვიცი, შენ ახლა რასაც ფიქრობ, ვიცი!. — ინდიკომ სიამოვნებისაგან ხელები ისე მოიფშვნიტა, თითქოს მართლა ძალიან ძნელი გამოსაცნობი იყო ილიკოს გაკვირვების მიზეზი. — შენ ახლა ფიქრობ, საიდან იცის ინდიკომ ჩემი დაბადების დღე, როგორ გაიგო, ვინ უთხრაო, ასე არაა?.. იქნებ არავის უთქვამს და უბრალოდ ახსოვს!.. ხომ შეიძლება? — თვალები ისევ ეშმაკურად უციმციმებდა — მოთმინება! მოთმინება, თავადო ლევან!.. კინო ჩვენც გვიყვარს, ეგრე კი არ არის საქმე!.. ოპერაც!.. აბა! — იცინოდა, ხუმრობდა ინდიკო — მოითმინე, თავადო, და მალე ყველაფერს გეტყვი, ყველაფერს გაიგებ... ახლა კი, წავალთ და შენ დაბადების დღეს აღვნიშნავთ!.. ციც! — თითი დაუქნია ილიკოს და უარზე ფიქრიც კი შეაწყვეტია — უარის თქმა არ გაბედო, მე გპატიჟებ, დღეს ისეთი საქმე გამომივიდა, რომ მაღარიჩის გადახდა მეკუთვნის! თანაც... — და მოულოდნელად საქმიანი იერი მიიღო — თანაც, საქმე მაქვს შენთან, ძალიან სერიოზული საქმე!.. ბატონ გერმანეს დავალებით!..

ოჰო!.. ამას ხომ არ ელოდა და არ ელოდა! როგორ, ნუთუ ბატონმა გერმანემ იცის, რომ ამქვეყნად არსებობს ადამიანი, რომელსაც ილიკო ჰქვია?!! წარმოუდგენელია!!. წარმოუდგენელი!!! და კიდეც მეტიც, ილიკოსთან საქმე აქვს?!! მართლაც რომ ბევრი რამ ხდება ამ ქვეყნად!.. იქნებ ინდიკომ იხუმრა?.. არა, ეს ხომ უფრო წარმოუდგენელია, ასეთ ამბებთან ხუმრობა არ შეიძლება და, რა თქმა უნდა, ინდიკომ მშვენივრად იცის, რა შედეგი მოჰყვება ასეთ ხუმრობას! მაშ რაშია საქმე?!.

— წავიდეთ ჩქარა, წავიდეთ მალე, ქალაქის ბოლოს საყდარში.. — ისევ გამხიარულდა ინდიკო, — მხოლოდ ერთი წამი მადროვეთ და მერე, როგორც გენებოთ, ისე იმსხურეთ თქვენი მონამორჩილი!.. ახლა ისინი იქნებიან შუა ჯვარის წერაში, წავიდეთ მალე, წავიდეთ ჩქარა... — და ინდიკო სიმღერა-სიმღერით გავიდა კაბინეტის უკან მდებარე, პატარა, დასასვენებელ ოთახში.

დასასვენებელ ოთახში, ტახტი, მაცივარი და სეიფი იდგა. ინდიკომ, მიიხუტა თუ არა კარი, სიმღერა შეწყვიტა, ჯიბიდან სეიფის გასაღები ამოიღო, იოლად მოარგო ბუდეს და დახელოვნებულ მძარცველივით, ნაზად, დაუძაბავად გადააატრიალა გასაღები. ინდიკოს ბავშვივით უხაროდა, ამ ბეჰემოტის მსგავსი რკინის ურჩხულის დამორჩილება — აბა, სხვა ვინმე თუ გააღებს, ასე იოლად, ასე უხმაუროდო — და სეიფის გახსნადაკეტვის ყოველი პროცედურა ენით აუწერელ სიამოვნებას ანიჭებდა. საკუთარი სახსრებით შეიძინა ინდიკომ ეს სეიფი, რადგან წესით, სამსახურებრივი იერარქიით, მის განკარგულებაში, ჩვეულებრივი რკინის კარადა უნდა ყოფილიყო, სეიფს რომ ეძახიან რატომღაც, თორემ ისე, ადვილად რომ იღება ისეთი, როგორიც სხვა განყოფილების გამგეებსა და მათ მოადგილეებს ედგათ. ასეთი სეიფი კი ინდიკოს არ გამოადგებოდა და მან ყველაფერი იღონა, რათა ის ვითომ სეიფი, ნამდვილით შეეცვალა — მოახერხა ნებართვის აღება,

ნაცნობების დახმარებით იშოვა და დიდი ვაივაგლახით ამოათრევინა თავის კაბინეტში. თავიდან გაუჭირდა, ძნელად ემორჩილებოდა ახალი სეიფი, გაბრაზებულმა ბეჰემოთი შეარქვა და მართლაც, რაღაცით წააგავდა, მძიმე, ტლანქი რკინის ყუთი. ბეჰემოთს, მაგრამ ინდიკომ შესაშური მონდომება გამოამჟღავნა. ნიჭიც, რაღა თქმა უნდა და, მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ერთად აღებული მონდომება და ნიჭი. ნამდვილ ბეჰემოთსაც კი ათვინიერებს, და ინდიკომაც მოათვინიერა თავისი რკინის ბეჰემოთი, მოათვინიერა და მოთვინიერებული, ძალიან შეუყვარდა, ეფერებოდა, მოფერებით ეძახდა ახლა ბეჰემოთს, უნდა მოფერებოდა კიდეც, აბა, რა უნდა ექნა, ის ხომ პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და მისი საიდუმლოს უტყვი შემნახველი იყო — არავინ იცოდა, თუ რას ინახავდა ინდიკო სეიფში. სეიფი კი გამოტენილი იყო, არა საიდუმლო დოკუმენტებით, არც სხვისი მაკომპრომეტირებელი საბუთებით, ბევრს რომ ეგონა ასე და ამის გამო პატივს რომ სცემდნენ და მლიქვნელურად უღიმოდნენ, არა, მსგავსს არაფერს არ ინახავდა ინდიკო სეიფში, ამისთვის თავის უტყვ ბეჰემოთზე უფრო საიმედო საცავი ჰქონდა, საკუთარი თავი, სეიფი კი, გამოტენილი იყო სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა ხარისხის წინდებით, დიახ, წინდებით, ჩვეულებრივი, მამაკაცის წინდებით, მაღაზიაში ნაყიდით.

სეიფის ოსტატური გაღებით ნასიამოვნებმა ინდიკომ, ერთი წყვილი წინდა ამოარჩია და სეიფის კარი ისევე ოსტატურად დაკეტა, როგორც გააღო. ფეხსაცმელი გაიხადა და ტახტზე ჩამოჯდა, მერე წინდები გაიხადა, მუჭში მოკუჭა და ფრთხილად, თითქოს ფრანგული სუნამოაო, ისე დაყნოსა. უკვე კარგა ხანია, არავითარი სუნი აღარა ჰქონდა მის წინდებს, მაგრამ ის შიში, შერცხვენის შიში, ჭაბუკობის დროიდან გამოყოლილი, არ სცილდებოდა, და, იცვლიდა წინდებს დღეში ხამჯერ, ყოველთვის ყნოსავდა გამოცვლილ წინდებს, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ აღარ არსებობდა ის მძაფრი სუნი, ასეთ-ოვნელი, რომ აწამებდა დიდი ხნის მანძილზე, ის, მემკვიდრეობით მიღებული, რის გამოც, ღამე ვერ რჩებოდა ვერავისთან, მატარებლით მგზავრობისა რცხვენოდა და ვინ ჩამოთვლის, კიდევ რამდენი რამის რცხვენოდა. ბავშვობაში კი, ო, ბავშვობაში ძალიან უყვარდა ეს სუნი, ეს ხომ მამამისის სუნი იყო, ჩექმებისა და ფეხზე დახვეული ფეხსახვევის სუნი. ვინ იცის, რამდენჯერ შეპარულა მამის ოთახში, როდესაც მორიგეობიდან დაბრუნებულს ეძინა, ჩაცუცქულა მამის ჩექმებთან და... ყნოსავდა, ყნოსავდა, მერე თავისი ფეხი მიჭქონდა ცხვირთან, მსგავსი სურნელი ასდიოდა მის ფეხსაც, მაგრამ მამის სუნში კიდევ სხვა რაღაც სუნი იყო შერეული და განიცდიდა ამას ინდიკო, ყველაფერში უნდოდა მამას მსგავსებოდა და მხოლოდ ერთხელ არ დასწყვეტია გული ინდიკოს, ეს მაშინ მოხდა, როდესაც ინდიკომ ფეხი გაიჭრა და იარიდან გამონადენი სისხლი ოფლში შეეზილა, აი, ეს სისხლში აზელილი ოფლის სუნი, სულ სხვა რამ იყო, თითქმის არაფრით განსხვავდებოდა მამის სუნისგან და გაიხარა ინდიკომ, სიამაყით აღივსო გული, ახლა ნამდვილად ვგავარ მამასო, და ეზოში, მამამისივით შემოვიდა, გაჭრილი ფეხის ტკივილიც ხელს უწყობდა, დიდი ინდიკოც ხომ კოჭლობდა ოდნავ, სწრაფად ისროლა აქეთ-იქით ქორული მზერა, შობელძაღლებიო, თავისთვისაც, მამის მსგავსად ჩაიბურტყუნა, თუმცა ეზოში, თუთის ხის ჩრდილში მიყუჟული ორი მოხუცი კაცის გარდა, არავინ იყო. ტკბილად საუბრობდნენ მოხუცები და გაუკვირდა ინდიკოს, რატომ არ ჩუმდებიან ჩემს დანახვაზე, რატომ თავიანთ სახლებში არ მიდიანო, ასე არ იყო, ასე არ იქცეოდნენ მამამისის დანახვაზე, რამდენჯერ უნახავს საკუთარი თვალით, საკუთარი ყურით გაუგონია — სუ!.. გაჩუმდით, მოდის!.. წავედით, დროა უკვე, ერთად რომ გვნახავს, რამე არ იფიქროსო! — ახლა კი, რა, ინდიკო პატარა

რომ იყო, ამის გამო არ ეშინოდათ მისი?!. შობელძაღლებიო, ისევ გაიმეორა და ისე ჯიქურ გაემართა თუთის ხისაკენ. რომ მის დანახვაზე, მოხუცებს ეშმალ პირკიტა ეცათ. — აუ!. ჩაიდანი დამრჩა ნავთქურაზეო! — ძლივს მოიფიქრა ტყუილი ერთმა. — აუ!. წამლის დალევის დრო მოსულაო! — მეორემაც ისაა მხარი და გაშორდნენ სანუკვარ ჩრდილს, თავიანთ სახლებისკენ წალასლასდნენ. ამბავი კი დარჩა მოუთხრობელი, საინტერესო ადგილზე შეწყვეტილი.

ეჰ, რა დრო იყო!..

მერე კი... როდესაც ინდიკო სკოლას ამთავრებდა, მის წინ მჯდომმა თანაკლასელმა ბიჭმა, მასზე ძლიერმა, ღონიერმა, უთხრა — ფეხები დაიბანე, შე ვირიშვილო, ნუ აგვაკოთეო! — მერე? მერე, დასვენებაზე ინდიკომ რომ შებედა, რა შენი საქმეაო და მაგრად რომ მოხვდა ცხვირ-პირში, მაშინ მიხვდა, თურმე ხშირად, რაც შენ გსიამოვნებს, სხვას არ სიამოვნებს! და იმ დღის შემდეგ, იქცა ტანჯვად ინდიკოსათვის, ერთ დროს სიამაყის მომგვრელი სუნი, თანაც, რაც მთავარი, მამამისს აღარ ეცვა უკვე ჩექმები, ძველი დიდებიდან, ის მყრალი სუნიც შერჩენოდა და დაიწყო ინდიკომ ფეხების ბანა დილა-საღამოს, მერე სამჯერ და ხანდახან ოთხჯერაც დღეში, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, ვერ იცილებდა იმ სუნს ვერაფრით და იტანჯებოდა ბიჭი, იტანჯებოდა, ოღონდ არასდროს, გულშიც კი, მამის მიმართ საყვედური არ დასცდენია, არც ამ სუნზე, არც სხვა რამეზე.

ინდიკომ ქალაქში გაახვია გამოწაცვალი წინდები და სანაგვე ყუთში მოისროლა, სასწრაფოდ ჩაიცვა ახალი და წამოდგა თუ არა, გაქრა ის მოგონებები, რომლებმაც კარგა ხანია თავი დაანებეს და მხოლოდ ახლა, ილიკოს გამოჩენისას წამოყვეს თავი. წარსულს ჩაბარდა ის სუნი, ფრანგულმა დეზოდორებმა და ძვირფასმა ფეხსაცმელმა განდევნეს სამუდამოდ, ახლა აღარაფრის აღარ რცხვენოდა, ახლა პირიქით, უკვე აღარავინ თაკილობდა მასთან სიახლოვეს, თაკილობდა კი არა, ბევრს დიდ პატივადაც მიაჩნდა ეს. და მაინც ეშინოდა, ვაითუ, ისევ დამიბრუნდეს ის სუნიო, ამიტომაც იცვლიდა წინდებს დღეში სამჯერ, ამიტომაც ყნოსავდა ასე ფრთხილად გამონაცვალს, მაგრამ ამაო იყო მისი შიში, წინდების ყოველი გამოცვლა არწმუნებდა ამაში და ეს ძალასა და ენერგიას მატებდა — ბევრი რამ ავისრულე ბავშვობის დროს ნანატრი და კიდევ ბევრ რამეს ავისრულებო! — დაქადნებით ამბობდა ხოლმე. ახლაც ასე მოიქცა, ახალ წინდებში ამაყად გაიმართა — ავისრულეს, ავისრულებო! — და ილიკო დაუდგა თვალწინ, დღევანდელი ექვსი აპრილიც ხომ ბავშვობისდროინდელი ნატვრის კიდევ ერთი განხორციელება იყო.

უფრო გახარებული დაბრუნდა კაბინეტში.

— წავიდეთ მალე, წავიდეთ ჩქარა, ქალაქის ბოლოს საყდარში... — მხარზე ხელი გადახვია ილიკოს და ასე ხელგადახვეული მიიყვანა კართან, — ჩვენ წავედითო, — უთხრა მდივან ქალს. — შეგიძლია შენც წახვიდე, შეფმა იცის, არ მომიკითხავს, გამიშვაო. — შეფი?! ვინაა შეფი? ნუთუ გერმანოზიშვილი? დავიჯერო ასე ახლოა მასთან ინდიკო? — გაიფიქრა ილიკომ, — ნეტა რა საქმე აქვს ბატონ გერმანეს? — უნდოდა კიდეც ეკითხა ეს ინდიკოსთვის, მაგრამ გადაიფიქრა და სანამ მანქანაში ჩასხდებოდნენ, სხვა რამე შეეკითხა.

— როგორი კაცია ბატონი გერმანე?

— როგორიო?! ამას რა კითხვა უნდა! — ინდიკოს თვალები გაუბრწყინდა და ცერა თითი მაღლა შემართა — აი, ასეთი!.. პიროვნებაა, ჩემო ძმაო, პიროვნება!.. დიდი პიროვნება!

თვალებში შესციცინებდნენ ინდიკოს ოფიციანტები, თითქოს წინასწარ გრძნობდნენ მის ყოველ სურვილს, ამას ხომ არ ინებებთ, ჩემო ბატონო, ამას ხომ არაო და მოჰქონდათ, მოჰქონდათ.

ყველაფერი, მგონი ჩიტის რძეც კი მოიტანეს და ისეთი სუფრა გაიშალა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი და, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა. პირველი ჭიქით ილიკოს დაბადების დღე მიულოცა ინდიკომ, თვითონ თამადობდა, და მერე, მერე დაიწყეს, მაგრამ რა დაიწყეს, ვინ არ ახსენეს, რა არ გაიხსენეს, არავინ დარჩენიათ უდღეგრძელებელი და ყოველი დალეული ჭიქის შემდეგ, უფრო და უფრო უჩუყდებოდა გული ილიკოს — ეს რა ყოფილა, ყოჩაღ, ყოჩაღ ინდიკოო, — და ივსებოდა სიყვარულით, ინდიკოს სიყვარულით — მე კი, რას არ ვფიქრობდი და არ მინდოდა მასთან წამოსვლაო. — სიმთვრალის და წყეების წერტილს უახლოვდებოდა უკვე, რამდენიმე ჭიქაც და... ინდიკომ ისევ შეავსო ჭიქები — მოდი ამ ჭიქით პოეზიას გაუმარჯოს და, კერძოდ, პოეზიის დიდ მეფესო! — და თავისი სადღეგრძელო ლექსითაც გაამაგრა — „მესაფლავეევ, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება. იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება?“ — ლამის ატირდა ილიკო, კიდევ ერთხელ გამოლანძღა საკუთარი თავი, წინასწარ არაფერი არ უნდა იფიქრო ადამიანზეო, თვალცრემლიანმა გამოსცალა ჭიქა-და ამ დროს, ინდიკომ ხელის ოდნავი მოძრაობით, ვიღაცას ნიშანი მისცა და გაისმა რესტორნის დარბაზში:—„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!“ — გაუბრწყინდა ინდიკოს თვალები, ზუსტად, ზუსტად შეასრულეს დანაბარები, ილიკომ კი, ღმერთო, ეს რა ხდებაო და დაურბინა მთელ სხეულში ჭიანჭველებმა. — „მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა...“ — მღეროდა რესტორნის ესტრადაზე ასაკგადაცილებული მომღერალი. უხამსი იყო ეს სიმღერა, მაგრამ ილიკოს, გენიალურზე გენიალურად ეჩვენებოდა, აბა რა, ამ დროს სხვანაირად როგორ იქნებოდა?! დრო!.. დრო!.. ყველაფერს თავისი დრო აქვს!..

— იცი, ინდიკო, რა გამიკეთეს, რა მიქნეს!.. — მოუნდა, ძალიან მოუნდა, ყველაფერი მოეყოლა, ყველაფერი ეთქვა ინდიკოსთვის, — იცი, ინდიკო, დაცილილ ჭიქას მაღლა სწევდა და დიდხანს ეჭირა ზეაწეული, მერე ხელს უშვებდა და უყურებდა, ბიჭო, ვარდნას უყურებდა!.. თავის ვარდნას!.. და იწვა მერე... იისფერ თოვლში... იისფერი უნდა ყოფილიყო თოვლი.... აუცილებლად! მერე მოფრინდებოდნენ ანგელოზები, იისფერი ანგელოზები და ცაში აფრენდნენ, ძირს დანარცხებულს ააფრენდნენ ცაში!.. ვითომ ძირს დანარცხებულს!..

— უთავბოლოდ ლაპარაკობდა ილიკო, თავს ვერ აბავდა სათქმელს, ყველაფერი ნაკუწ-ნაკუწად ირეკლებოდა მის გონებაში. ესტრადიდან კი ისევ მოისმოდა: „იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა, ვარდთა დიოდა ნელი სურნელი...“ — ალბათ, ვერაფერი ვერ გავაგებინეო და თავიდან დაიწყო ილიკომ, ცდილობდა თავი მოეყარა გაფანტული აზრებისათვის და ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა...

— მესმის, მესმის, ჩემო ილიკოო! — თავს უქნევდა ინდიკო, — კარგია, კარგი... „მას გახელილი დარჩა თვალები...“ არა?

— ჰო, ჰო, ასეა, „მას გახელილი დარჩა თვალები...“ გესმის, გახელილი დარჩა თვალები!.. ან...

— პენსნე ეკეთა, არა?.. იმას?.. რამ მოგაფიქრა, კაცო?!. მართლა ამბობდა, „ვეფხისტყაოსანში“ ვერ ვხედავთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას, ის ზღაპრული პოემააო?

— ასე ამბობდა, ასე!

— ამნაირმა პოემამ შეიძლება მოიპოვოს მრავალი მკითხველი, რომელიც უსაქმოდ და უდარდელად ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობსო. არა?.. შენ რა გითხრა, მაინც სად მოძებნე, საიდან მოიტანე ეს ადგილი?!

— და ამ კაცთან უნდა მისულიყო პალტოს სათხოვნელად!.. შენ გეკითხები, მივიდოდა?.. მივიდოდა?!.

მაგიდას დაარტყა ხელი ილიკომ, ისე მაგრად დაარტყა, რომ ეტკინა და ტკივილმა, თითქოს ოდნავ გამოაფხიზლა — მე ეს არ მითქვამს, ამის შესახებ ხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ამომიღია და საიდანო? საიდან იცის ინდიკომ?!

— ჯერ კიდევ შორს იყო, 1959 წლის 17 მარტი, მაგრამ ახლოვდებოდა ათას ცხრაას ოცდაა...

— სსუუ! — თითი მიიდო ტუჩზე ილიკომ. ეს საიდანღა, ინტონაციაც რომ მსგავსი აქვსო და ისევ დაეწინასლა გონება, საიდან და, ალბათ, ვთქვი, ალბათ, ახლა მოვყეევო... ჰო, ჰო, მოვყევი, რა თქმა უნდა მოვყევი, თორემ ხომ არ დაესიზმრებოდაო. — ასე იყო ინდიკო, ასე, მაგრამ გეფიცები, სულ სხვა რამის თქმა გვინდოდა, იმათ კი...სულ სხვანაირად გაიგეს, სულ სხვა ამბავი მიიტანეს!.. „მაგრამ ამაოდ მოვუწოდებდი მათ, ვინც ამაოდ მომიწოდებდა...“

ისევ დაუდგა თვალწინ ყველაფერი, ისევ ჩაესმა იმ ზარის ხმა, ცალფა, ობოლი ზარის ხმა, უეცრად შორიდან, თითქოს ციდან ჩამოფრენილი ზარების გუგუნი რომ შეეხმიანა! რა საოცრება იყო, რა სასწაული, რა დამთხვევა! „რისთვის გაშინებს, მითხარ სიკვდილი თუ არვინ მოვა სიკვდილის გარდა..“ „გალკ, ჩემო ძვირფასო, გალკ...“ „მას შემდეგ რაც შენ წახვედი, რაღაც საშინელმა სიცარიელემ მოიცვა მთელი ჩემი არსება“... „შვილო გატუნია, ჭკუით იყავი, არ შემომიკიდო დაუვსებელი ცეცხლი“... ზარები კი, გუგუნებდნენ, გუგუნებდნენ... „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი...“ და მოფრინავდა, მოფრინავდა, ფრთებგაშლილი მოფრინავდა... „ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი...“ ო, რა იყო ეს, ამას სიტყვებით ვერ აღწერს კაცი, მართლაც რომ სასწაული იყო. გაოგნებულები ისხდნენ დიდხანს, ღმერთის მოვლენილ წყალობად მიიჩნიეს ეს და იქნებ მართლაც ასე იყო, ვინ იცის? — ორშაბათი იყო, შვიდი საათი სრულდებოდა და სიონში წირვა იწყებოდა. სიონის ზარების გუგუნმა შემოაღწია რეპეტიციაზე!

— ,რა, ასეთი სასწაულები არ მეორდება, არასოდეს არ მეორდება!

— რა, რა არ მეორდება, ილიკო?

— სასწაულები!. სასწაულები არ მეორდება!

„ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე...“, ახლა ამ სიმღერას მღეროდა მომღერალი. ეს სიმღერაც უყვარდა ილიკოს — საიდან იციანო, — უკვირდა და თან უკვე აღარაფერი უკვირდა. — კარგი ბიჭია, ინდიკო, კარგი! მერე რაო რომ იქ... — და ინდიკოს გაუღიმა, ინდიკომაც გაუღიმა.

— შენ ჟორჟს არავითარი წიგნები არა აქვს... — ღიმილით უთხრა, რბილად, შემპარავად.

— ჰო, მართალი ხარ! — იმწამსვე დაეთანხმა ილიკო. — ჟორჟი კარგია!.. ძალიან კარგი!..

— ნახავ შენ ჟორჟს, აუცილებლად ნახავ! ვიცი, ვინც არის!.. ჟორჟ დანტონი რომ არ არის, ეს დანამდვილებით ვიცი! ჟორჟ დანტონი გილოტინის აღდგენაზე ოცნებობს... ჟორჟ კოლხიდელი კი, ჰუმანისტია!.. ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ჰუმანისტი!

„რომ მითხარი მოვალო, ჭირიმე, რატომ დაიგვიანე?..“

ისევ სავსე ჭიქა ეჭირა ინდიკოს, ილიკომაც მოჰკიდა ხელი ჭიქას, სულ ახლოს იყო ის წერტილი, ილიკოს წერტილი.

— დედაშენის ხსოვნისა დავლიოთ, ჩემო ილიკო!

— მშობლების ხსოვნისა იყოს! — ჭიქა მიუჭახუნა ილიკომ.

— არა, მარტო დედაშენის!.. და იცი რატომ?.. შენ ხომ არ იცი, საიდან მახსოვდა ექვსი აპრილი?.. დედაშენმა დამპატიჟა მაშინ, შენ დაბადების დღეზე! შენ. არც კი იცოდი... ფანჯრიდან დამიძახა, ეზოში ვთამაშობდი მარტო, მე ხომ თითქმის არ მყავდა მეგობრები! ლამის ვიტირე სიხარულისგან, ბიჭო, მე ხომ ძალიან მინდოდა თქვენთან სიახლოვე!.. მაგრამ შემეშინდა, ვერ მოვბედე მოსვლა... თქვენ ხომ ისეთი სუფთები იყავით, რაღაცნაირები, სხვანაირები... და იცი, ილიკო, ფანჯრიდან გიჰვ-

რიტინებდით!.. როგორ მინდოდა თქვენთან ყოფნა!.. ახლაც თვალწინ მიდგას ის ნამცხვარი, წვრილი, სიგარეტის მსგავსი, სიგარეტებს რომ ეძახდით, რა გემრიელად ჭამდით!.. და მე აღარ მინდოდა მამაჩემის მოტანილი არც ზუთხი და არც ქათამი... თქვენთან ჩაის დალევაზე ვოცნებობდი და იმ ნამცხვარს ვნატრობდი!.. ვიჭიუტებოდი ფანჯარაში და ვტიროდი, ილიკო, გესმის, ვტიროდი! და თან მშურდა, თქვენი გაჭირვებისა მშურდა... ეჰ, რაა ბავშვობა... რატომ არ მოვედი, ნეტა?.. მე თვითონ არ ვიცი, მაგრამ ექვსი აპრილი ჩამრჩა მეხსიერებაში!.. ჩამრჩა!.. აუხდენელ ნატვრად!.. და ახლა ავისრულე ეს ნატვრა... ხომ ხედავ, ექვსი აპრილია და ჩვენ ერთად ვართ!.. კარგი ქალი იყო დედაშენი, ძალიან კარგი, უჭირდა და მაინც არაფერს იმჩნევდა, შენც არ გაკლებდა არაფერს, არა?.. მოდი მისი ხსოვნა იყოს, სამარადისო ხსოვნა!.. დამპატიჟა, გესმის?!. მე კი მრცხვენოდა... — ეტყობა, ინდიკოც უახლოვდებოდა თავის წერტილს.

უსიტყვოდ დალია ილიკომ, ღმერთო ჩემო, რა არ ხდება ამქვეყნად, რას არ გაიგებ კაცო, — ძლივსღა გაიფიქრა ლანისლულ გონებაში .

„და ორი ზარი საბედისწერო, ერთმანეთისთვის მიუწვდომელი...“

— ახლა კი, ჩემო ილიკო, შენ საქმეზე გადავიდეთ... ბატონი გერმანე კარგი თვალით გიყურებს, ძალიან კარგით!.. შენთან მოლაპარაკება დამავალა... განზრახული აქვს, ჩვენი მხატვრული განყოფილების ხელმძღვანელად დაგნიშნოს! ასე რომ მოსალაპარაკებელი არაფერია, ტუზი დაგეცა! ტუზი!.. შენ ხომ გესმის ეს რას ნიშნავს? ეს, ძალაა ჩემო კარგო, ძალა!.. და იცი, რა თქვა კიდევ, გააკეთოს, ის დაამთავროს... შეწყვეტილიო!.. ყოველმხრივ ხელს შევუწყობო!.. ოღონდ!..

ვერაფერს ვერ მიხვდა ილიკო, რა მხატვრული განყოფილება, რა შუაში იყო „ცისფერი სახლი?“ რა კავშირი ჰქონდა მასთან? მის ნამუშევართან? თვალები დახუჭა და თავი გააქან-გამოაქანა, ეგებ ცოტა გამოვფიზიზლდეო, ეგ-თუ მართლა ბევრი რამ ხდება?.. ადამიანის სულის ექსპერიმენტული ლაბორატორია??. რას ნიშნავს?..

— ექსპერიმენტი აქვს ჩაფიქრებული, დიდი ექსპერიმენტი და სწორედ შენნაირი კაცი სჭირდება! — სიმთვრალისკენ დაქანებული ინდიკო, თითქოს გამოფიზლებულიყო — ილიკო, მერე კი... ვენეცია!.. კანი!.. კარლოვი ვარი!.. ფესტივალები!.. პრიზები!.. მიღებები... ინტერვიუები... თუ გინდა, კანბერაც, ლონდონიც!.. რა, სხვაზე ნაკლები ხარ თუ?!. შენ მხოლოდ ყურად იღებ მის რჩევას, სხვა არაფერი! ო, რა კაცია, რა გონების პატრონია, რომ იცოდე!.. მესმია, ჩვენდა სასიკეთოდ მოვლენილი!..

აილწა ილიკო, სისხლი მოაწვა თავში, ნუთუ დასცინის ინდიკო? თითქოს ოდნავ გამოფიზიზლდა, არა, არა! ვერ გაბედავს, ბატონ გერმანეს სახელით ხუმრობას როგორ გაბედავს!

— რა მოგვივიდა, ილიკო? გაგიხარდა? თუ გეშინია? ნუ გეშინია!.. მხოლოდ სამ წვეთ სისხლს გაიღებ, მხოლოდ სამ წვეთს! და ყურად იღებ მის რჩევას! ძნელია?.. აჰა, გამომართვი. — და პატარა, პრიალა ქაღალდი ჩასჩარა ხელში, წრეში ჩასმული სამკუთხედი ეხატა ზედ. — ხვალ ზეიმია „ცისფერ სახლში“ კარნავალი გვაქვს... ამ საშვებით შემოგიშვებენ! — ისევ შემოუტია სიმთვრალემ. — სამი წვეთი სისხლი!.. მეტი არაფერი, ილიკო! და კიდევ, ყველაფერზე სსუუ-ჩჩუუ!.. სსუუ-ჩჩუუ!.. სამი წვეთი სისხლი!.. ჟორჟსაც ნახავ იქ! ექვს საათზე!.. ჩჩჩჩ-ससस...

და აირია ყველაფერი ერთმანეთში, აგუგუნდა რესტორანი, ვიღაცები მოდიოდნენ მათ მაგიდასთან, მიდიოდნენ, ღვინოს აგზავნიდნენ და ყურის წამღებად გაჰკიოდა ორკესტრი. ინდიკოც ყვიროდა, ილიკოც, სხვანაირად ვერაფერს გააგებინებდნენ ერთმანეთს.

— ძალაა მთავარი!.. ძალა!

— ჟორჟი კეთილია!..

— ძალა!

— ჟორჟი კარგია!.. ჟორჟს გაუმარჯოს!.. კეთილ ჟორჟს გაუმარჯოს!

— მე ძალა მაქვს, ილიკო!.. დღეს სადოქტორო დამიმტკიცა ბატონმა გერმანენ?!.. მე შენს გვერდით ვიქნები! არავის დავაჩაგვრინებ შენს თავს!.. ერთად ვიქნებით... იმპრესარიო ინდიკო! გავასაღებ... ყველაფერს გავასაღებ!

— გილოცავ, ძმაო!.. მოდი, გაკოცო... გაგიმარჯოს!

— გილოცავ!.. მეც გილოცავ!.. — ვიღაც, ტახივით კაცი მიუჯდათ, ჭიქა ჩამოიპირქვავა და იმწამსვე თავი მაგიდაზე ჩამოსდო და ფშვინვა ამოუშვა.

— ილიკო! გელაპარაკები მე შენ... მე ძალა მაქვს! ყველაფერი შემიძლია, შენც თუ მოინდომებ, შენც შეძლებ ყველაფერს!.. ხედავ ამ ბეჭედს? — მარჯვენა ხელის არათითი გაუწოდა ილიკოს — ხომ ხედავ? იცი, ეს რა ბეჭედია?!. იცი, რა ძალა აქვს ამ ბეჭედს?.. — ჩვეულებრივი ბეჭედი იყო. ოქროს საქორწინო ბეჭედი — აი, მიყურე! — ინდიკომ ბეჭედი მოიძრო და ღვინით სავსე ჭიქაში ჩაადგო — აბდარაბდაუბარადაბრა...აბდარაბდადაბრაუბრა... დაბარაუბრარაბდაბდა... — რაღაცას ბუ-
 რტყენუბდა თავისთვის, მერე ილუზონისტივით გაშალა ხელები, ჯიბიდან გაქათქათებული ცხვირსახოცი ამოიღო და ჭიქას გადააფარა — შიფრია ეს ილიკო, შიფრი! ვინც ეს შიფრი იცის, იმას ყველაფრის გაკეთების უფლება აქვს! აბა, ახლა რა მოვიმოქმედოთ?! ახლა ჩვენ... გინდა, ისინი დავსაჯოთ, ისინი, ჩვენ ხომ ჩინოვნიკები არა ვართო, რომ იძახდნენ, დავსაჯოთ?

ამის გაგონებაზე, სიტყვა დასჯის გაგონებაზე, ტახივით კაცმა თავი ასწია, სისხლით აევსო უცებ თვალები და კბილებიც აუკაწკაწდა — დავსაჯოთ, დავსაჯოთო! — გახარებულმა დაიყვირა. — შენ ვინა ხარო? — წაილუღლუღა ილიკომ. — ვინა ვარ და, ვინცა ვარ! ბიჭებო, თქვენი ხათრით ყველაფერს ვიზამ, ხელმოწერილი ქაღალდი არა მჭირდება! ორმოში ჩავყრი და პირქვედამხობილებს ზედ მოვაჯდები და კეფაში... ბახ!.. ბახ!.. — საჩვენებელი თითი... ბოლოვერივით წინ გაიშვირა — ბახ! ბახ! — ლოპრმორეული ყვიროდა გაუთავებლად — ბახ! ბახ!.. ორნი არიან, ორი გასროლა, ბახ! ბახ!

— არა, ინდიკო! არა, გენაცვალე, გააჩერე! გეხვეწები გააჩერე! ასე არ შეიძლება! როგორ შეიძლება! — წარმოიდგინა, დაიჯერა ილიკომ, თითქოს თავისი თვალით უყურებდა სიკვდილით დასჯას — არა! არა! არ შეიძლება!

— არ შეიძლება და... არ შეიძლება! — დაეთანხმა ინდიკო, მერე, იმ ტახივით კაცს მკლავზე დაქაჩა — დაჯექი! ხომ გაიგე, არ შეიძლებაო!

— კარგი, ბატონო, მე თქვენი ხათრით, თორემ.... განა საქმე მაკლია? — და ტახივით კაცმა ლოპრმორეული დრუნჩი, ისევ მაგიდაზე ჩამოსდო.

— აბა, რა შეიძლება, ილიკო? — არ ეშვებოდა ინდიკო. — ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავსაჯოთ ისინი!

და ამუშავდა ილიკოს ფანტაზია, რა შეიძლებაო? მართლაც, რა?

— რა და... იმ გაბერილს კარტოფილის გამფცქვნელად დავაყენებდი... კარგია, არა? — და თვალწინ დაუდგა ილიკოს, მოფოლხოებული, ღიპიანი, ლოყებდაბერილი, ქონითა და ჭუჭყით გაზნიმული სახე. — და მხოლოდ ნაფცქვნებს, კარტოფილის ნაფცქვნებს ვათქვლეფინებდი! სხვა, ყველა საქმელს აღვუკვეთავდი!

— ყოჩაღ, ილიკო! ყოჩაღ! აი, ეს მესმის! ოღონდ რესტორანში არა!.. რესტორანში არა!.. უბრალო სასადილოში! — ინდიკოსაც აუმუშავდა ფანტაზია, — და თუ კიდევ იტყვის როდისმე, ჩინოვნიკი არა ვარო, მე, აღარც იმ ნაფცქვნებს მივცემდი! აი, ეს მესმის!.. მეორეს, მეორეს? შენ სეხნიას? წვერებიანს?

— მეორეს?.. მეორეს? — დაფიქრდა ილიკო.

— არ თქვა! მე ვიტყვი! — ახარხარდა ინდიკო. — მე ვიტყვი, მე! — ბიძგი უკვე მიღებული ჰქონდა მის ფანტა-

ზიას. — მეორეს... ბორდელში მეთვალ-ყურედ დავაყენებდი! -ჰა, როგორია?

— მშვენიერია! მისი საქმეა!.. თვალი უნდა ადევნოს, თუ მეძავნი, თავიანთ მოვალეობას რა რიგ პატიოსნად ასრულებენ... მაგრამ ინდიკო, ბორდელები რომ არ არსებობს? — სერიოზულად დაფიქრდა ილიკო ამ საკითხზე.

— რა მოხდა მერე, არა უშავს, მაინც მოვუძებნით ადგილს, რა, განა ცოტაა კახპები? სახელს რა მნიშვნელობა აქვს, ნუ ერქმევა ბორდელი, დიდი ამბავი! მესამე? მესამე არ დაგავიწყდეს!.. მათი უფროსი... ის არ დაგავიწყდეს, ის მელოტი! მაღალი! ვითომ ვაჟკაცი! მონადირე! ის სად გავუშვათ? სად? — მთელი ხმით ყვიროდა, ხარხარებდა ინდიკო. — მეოთხე?! მათზე უფრო უფროსი?!. თუმცა, ის ხომ უჩვენოდაც დასჯილია, ძაღლივითა ყეფს, ბინძური სიცოცხლის გადასარჩენად!

— ბახ! ბახ! ბახ! — ისევ ასწია თავი ტახივით კაცმა. — მე კი ვამბობ, რომ საჭიროა, მხოლოდ ბახ! ბახ! ბახ!.. სხვა არაფერი!.. ოღონდ... თქვენ თუ არ გინდათ, მე სხვაგან წავალ, — და სხვა მაგიდისკენ წაბარბაცდა.

ისევ ტრიალებდა, ისევ ღრიალებდა რესტორანი.

— სამი წვეთი სისხლია საჭირო, ილიკო, სამი წვეთი სისხლი!

სულ დაენისლათ ტვინი ღვინის ორთქლით.

— ახლა კახპებში წავიდეთ, ილიკო, კახპებში!

ბანცალ-ბანცალით გამოვიდნენ ქუჩაში. ქუჩაშიც ბევრი იბორიალეს, სახლი აერია ინდიკოს, როგორც იქნა, მიაგნო, სადღაც შევიდნენ, ვიღაცები გააღვიძეს — კახპებიაო — ამბობდა ინდიკო. არ უნდოდა ილიკოს იქ შესვლა, ეშინოდა, ვაიმე, ის არ დამხვდეს, ზღვისფერთვალებაო. ძალით შეიყვანა ინდიკომ, გული გადაუქანდა მაინც, ვაიმეო! იმას მიამსგავსა!.. მერე, ვიღაცა მუხლებზე ეჯდა, შიშველი ქალი, ილიკოს კი, ძილი უნდოდა მხოლოდ, ვეღარაფერს გრძნობდა, ვეღარ ხედავდა, ბუნდოვნად ახსოვდა რესტორანი, ბახ, ბახ! ტახივით კაცი, ლობრმორეული. ყავამ ოდნავ მოიყვანა აზრზე და ინდიკოს ჩააცივდა, საიდან იცი ასე დაწვრილებით ყველაფერი, მე ბევრი რამე არ მითქვამს შენთვის და საიდან იცი, ძმობას გაფიცებ, მითხარი, საიდან იცი. მერე, იმ ქალს, მუხლებზე რომ ეჯდა, ეძახდა ზღვისფერთვალებას, მერე ეძინა სადღაც, მერე ვიღაცამ შეანჯღრია — ბიჭი! ბიჭი! კიდევ კითხულობ ლეიბის ქვეშ დამალულ წიგნებსო?! — ჩაესმა ყურში, ინდიკოს ხმა იყო თითქოს. მერე კი, — შობელძაღლები, შობელძაღლებიო!

12

შავ ფრაკში გამოწყობილმა მეკარემ საშვი გულმოდგინედ გასინჯა, მერე მოწიწებით დაუკრა თავი ილიკოს, მეორე სართულზე მიბრძანდით და იქ მოგართმევენ საკარნავალო კოსტიუმსო, აი, — ანიშნა მარჯვნივ მდებარე თეთრ მარმარილოს კიბეზე — ამ კიბით ადითო. კიბის დასასრულს კაცი დახვდა, იმასაც შავი ფრაკი ეცვა, იმანაც, როცა გულმოდგინედ გასინჯა საშვი, მოწიწებით დაუკრა თავი, აქეთ, აქეთ მობრძანდითო და ილიკო, სარკეებიან ოთახში შეიყვანა. პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზს ჰგავდა ეს ოთახი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ, იატაკიც და ჭერიც სარკისა იყო. სანამ გაოცებული ილიკო აზრზე მოვიდოდა, ვიღაცამ მხრებზე ჭრელი მოსასხამი მოახვია, სხვამ შავი ნიღაბი მოარგო სახეზე, მერე, წოწოლა, მოსასხამივით ჭრელი ჩაჩი ჩამოაცვეს თავზე. — მშვენიერია! ბრწყინვალეა! დიდებულია! კარნავალს დაამშვენებთო! — ღიმილით ეუბნებოდნენ, თან მოსასხამს უსწორებდნენ — აბა, ახლა ნახეთ, ახლაო! — თვალები აუჭრელდა ილიკოს, ვერაფრით ვერ ამოარჩია, ვერ დაეჭირა, ყოველი მხრიდან არეკლილი საკუთარი გამოსახულება, ისინი კი, ყველა სარკიდან ულიმოდნენ, შესაციცინებდნენ, მოწონების ნიშნად ცერს მაღლა სწევდნენ — იფ, იფ, უკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესს ვერც კი ინატრებს კაცი! — ბოლოს, როგორც იქნა, ერთ სარკეზე გაამახვილა ყურადღება, იქ დაიჭირა თავისი გამოსახულება, არლეკინს მიამსგავსა თავი — კომედია დელ'არტეო — თავისთვის თქვა. — დიახ! დიახო! —, დაეთანხმნენ, ისევ გაუღიმეს და ასე, პირზეღიმილმოფენილებმა, დერეფანში გამოიყვანეს — ახლა აქეთ, აქეთ მობრძანდით, ახლა ბაჟი უნდა გადაიხადოთო.

იმ ოთახშიც, რომლის კარებს, ლამაზი, სხვადასხვა ფერის ასოებით ეწერა „საბაჟო", ყურადღებით დახედეს საშვს, რომელიღაც ჟურნალში ჩაიხედეს, გადაამოწმეს, — ინებეთო! — უკან დაუბრუნეს და თეთრ, გაქთქათებულ მაგიდასთან მიიყვანეს. — თუ შეიძლება, ხელი გამომიწოდეთო — გაუღიმა თეთრხალათიანმა, ფუნთუსა ქალმა. საერთოდ, ფეი შეკმოდგა თუ არა „ცისფერ სახლში". ყველა უღიმოდა, მაგრამ ეს ღიმილი უფრო სანდო იყო თითქოს, და გაუწოდა ილიკომ ხელი, ნდობითვე გაუღიმა თვითონაც. ფრთხილად შეეხო ქალი მის თითებს, არათითი ამოარჩია, სხვები მოაკეცია — ამ თითს პური შია, შიაო... ჰოდა, ახლავე, ახლავეო — და უეცრად თითში ჩხვლეტა იგრძნო ილიკომ, ეტკინა ნაჩხვლეტი, უფრო კი, ტკივილზე მეტად, ეწყინა, რატომ მომატყუა, მე ხომ ვენდეო, მაგრამ ამის თქმა ვერ მოახერხა, ქალმა არ დააცადა, ისევ ისე გაუღიმა, ვითომც არაფერიო, შეაქო კიდეც — ყოჩაღ, ყოჩაღო! — და ხელი, მწარედ მოუჭირა ნაჩხვლეტთან — კარგია! კარგი!.. სამი წვეთია საჭირო, მხოლოდ სამი წვეთი! — და ეს სამი წვეთი სისხლი, შუშის პატარა ნატეხით, ნაჩხვლეტზე სამჯერ დადებით აიღო, მერე ზედ შუშის ასეთივე ნატეხი დაიფარა, სინათლეზე გახედა შუშებში გამომწყვდეულ სისხლს და ილიკოს ხელი ჩამოართვა — გილოცავთ! გილოცავთო!

ქალის შემდეგ, იმ კაცმა მიეულოცა, არლეკინის მოსასხამი რომ მოახურა, საოცრად ნაზად ჩამოართვა ხელი, — ხომ არ გეტკინათო, — დაინტერესდა და როცა დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო,. ილიკოს ხელკავი გაუყარა და საიდანაც შემოვიდნენ, იმის საწინააღმდეგო მხარეს წაიყვანა. — ახლა, თქვენ ამ კარში გახვალთ!.. — ილიკომ, ახლაღა შეამჩნია, სამი, სხვადასხვა სიმაღლის კარი, ეტყობა, მხოლოდ ახლოს მისვლისას შეიძლებოდა მათი დანახვა. — აი, ამ კარშიო, — შუა კარზე მიუთითა კაცმა, — ოღონდ, ერთი წამით უნდა მომაპყროთ თქვენი ძვირფასი ყურადღება! დაიხსომეთ, არავითარ შემთხვევაში, რაც არ უნდა ნახოთ, რაც არ უნდა გაიგონოთ, ნიღაბი არ მოიხსნათ, არავითარ შემთხვევაში! ეს კანონია!.. კანონის დამრღვევი კი, მოგეხსენებათ, ისჯება, ზოგჯერ მკაცრადაც, ძალიან მკაცრად!.. ახლა, ხელისმოწერით დამიდასტურეთ, რომ გაფრთხილებული ხართ! — და ჯიბიდან ამოღებული ქაღალდი ნაჩხვლეტ თითზე მიადო. ნაჩხვლეტს, ჯერ კიდევ არ ჰქონდა პირი შეკრული და ამიტომ ქაღალდს, სისხლის მცირე ლაქა დაეტყო. კაცმა, საგულდაგულოდ დაკეცა სისხლით დალაქული ქაღალდი, ჯიბეში ჩაიდო და მხოლოდ მერე გაუღო კარი ილიკოს.

ბზინავდა, ბრწყინავდა, ელვარებდა ყველაფერი. თავის სამოსში გაახვია ილიკო სიკაშკაშემ, თავის ნაწილად აქცია, ზეიმი, მხოლოდ ზეიმი, დიდი ზეიმი, სხვა არაფერი! და ხარობდნენ, იცინოდნენ, გაჯგიმულები დაადიჯებდნენ, ცეკვავდნენ კიდეც, სერპანტინებშიც იხლართებოდნენ და მძლავრობდა ხალისი, ფრთებგაშლილი დაჰქროდა კიდით კიდემდე, აბა მიდით, მიდით, გაიხარეთ! გიხაროდეთო! და უკრავდა დიდი ორკესტრი, უკრავდა საზეიმოს, დიდებულ, ზეაწეულ მარშს უკრავდა — „გიხაროდეს, გიხაროდეს, ჩემო ტკბილო მეგობარო!" — ვიღაცები მღეროდნენ მარშის მოტივზე, ილიკოც აჰყვა, თავისდა უნებურად, „ჩემო ტკბილო მეგობარო!..", სულ დაავიწყდა რისთვისაც იყო მოსული, მას ხომ ჟორჟი უნდა ენახა, „შენი ნახვა მენატრება...", მაგრამ მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნებდა კი ამდენ ხალხში, ამდენ სიცილში, ასეთ სიმხიარულეში რას იპოვიდა?! და აითქვიფა სიცილ-ხარხარში, მარშის ხმაზე ამაყად და უზრუნველად დაიბიჯებდა. — ილიკო, მერე კი... ვენეცია!.. კანი!.. კარლოვი ვარი!.. ფესტივალები!.. პრიზები!.. მარშთან ერთად მოჰქროდა მისკენ ინდიკოს ხმა — ვენეცია!.. კანი!.. და არლეკინის მოსასხამით დამშვენებული, აქეთ-იქით იყურებოდა, ვინ, ვინ გაუწვევდა მეტოქეობას? იქნებ მასავით სხვაც ფიქრობდა კანზე, ვენეციაზე? ხომ შეიძლება? იქნებ ინდიკო, ან სხვა ვინმე, ინდიკოს მსგავსი, სხვასაც შეეპარდა? იქნებ ის სამი წვეთი სისხლი სხვამაც გაიღო? იქნება მეტიც?! მაგრამ არა, ის თითქოს აშკარად გამორჩეული იყო, მას ხომ მოსასხამიც ესხა და მასხარას ჩაჩიც ეხურა თავზე, თანაც ნიღაბი, შავი ნიღაბი! უმრავლესობას კი ამშვენებდა მხოლოდ თითო ნიშანი კარნავალისა, ზოგს მხოლოდ ჩალმა, ზოგს მხოლოდ ფრაკი, ზოგს ცალი თვალი ჰქონდა ახვეული მეკობრესავით, ზოგს მხოლოდ დაშნა ჰქონდა გარჭობილი, ზოგი კი, საერთოდ უნიღბოდ იყო და ყველას, მაინც ერთნაირად უხაროდა! მაშ, რა ხდებოდა? რა ახარებდათ?! ინდიკო, ინდიკოს უნდა აეხსნა ყველაფერი და ინდიკოს დაუწყო ძებნა, ოღონდ ძებნაში, ოდნავ უშლიდა ხელს ნიღაბი და მისი მოხსნა გადაწყვიტა, სულ დაავიწყდა ის გაფრთხილება, ეგონა რომ, ახლა მთავარი მხოლოდ ინდიკოს ნახვა იყო, წაიღო კიდეც ხელი მის მოსახსნელად და ამის გამო, ალბათ, მკაცრად დაისჯებოდა, მაგრამ ვიღაცამ დროულად დაჭაჩა ხელზე. — თქვენ რა, პირობა, ასე ჩქარა დაგავიწყდათო! — ფრანგული პარიკი ეხურა იმ კაცს, მეთვრამეტე საუკუნის პარიკი. — ჟორჟ დანტონიო! — გაეცნო, მერე ყურში ჩასჩურჩულა — ასეა, ძმაო, ყველა ყველას უნდა დაეკვირდეს!.. მშვენიერი წესია, ყველა რომ ასე მოიქცეს, არავინ არასოდეს არ შეცდება!.. მე რომ ეს წესი დამერღვია, თქვენც დაარღვევდით წესს! მერედა, კარგი ხომ არ იქნებოდა ეს?! ჯაშუშობა და მაბეზღარობა რა შუაშია?!. სიკეთეა მთავარი, სიკეთე!.. არ დაგავიწყდეთ და თქვენც ჩემსავით მოიქეცით! — თავი დაუკრა ილიკოს, მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთო და სანამ წავიდოდა, მოულოდნელად დაიყვირა — გილიოტინაა საჭირო! გილიოტინა! ის დაამყარებს წესრიგს!.. მე, ჟორჟ დანტონი ვამბობ ამას!

თვალი გააყოლა ილიკომ ჟორჟ დანტონს, ალბათ, გიჟიაო, ან იქნებ კარნავალის გამო იქცევა ასე? და ინდიკოს ნათქვამი გაახსენდა — ჟორჟ დანტონი გილიოტინის აღდგენაზე ოცნებობს, ჟორჟ კოლხიდელი კი ჰუმანისტიაო! — ჰუმანისტი... ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ამ დროს, ერთ-ერთმა ჩალმიანმა, ჟორჟ დანტონის სიტყვების გამო, აღშფოთება ვერ დამალა — როგორ შეიძლება ჩვენს დროში ასე აზროვნება! ჭკუას ვერ სწავლობს ეს კაცი! — აღელვებული ჩანდა. — ხომ მართალს ვამბობ? — შეეკითხა ილიკოს და სანამ ილიკო პასუხს გასცემდა, მოულოდნელად დამშვიდებულმა და იმაში დარწმუნებულმა ჩალმიანმა, არავინ გვიყურებს და ყურსაც არავინ გვიგდებსო, ილიკოს ჩასჩურჩულა — ინსტრუქციას ჩქარა მიიღებთო! — უთხრა თუ არა ეს, ისევ აღშფოთდა, გაბრაზებულმა გამოაჯავრა ჟორჟ დანტონს — გილიოტინა, გილიოტინაო! იმათი დედა ვაცხონე, ხომ გააყოფინეს თავი საყვარელ გილიოტინაში!.. გილიოტინა!.. გილიოტინა!.. — და ხალხს შეერია. რაღაც არ მოეწონა ეს ჩალმიანი კაცი — ეჰე, ესენი მგონი არ ხუმრობენ, უნდა გავერკვე ყველაფერშიო, — და უფრო მონდომებით დაუწყო ძებნა ინდიკოს, ოღონდ, ნიღბის მოხსნა აღარ უცდია, პირობა არ ავიწყდებოდა, პირობა დავდე და პატიოსნება მოითხოვს სიტყვის შესრულებასო, შიში? არა, შიში რა შუაშია! ისინი თამაშობენ და მეც ვთამაშობო! მაგრამ რა თამაშს?! „აქ მკვდრები დაქრიან ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით, რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს. დარბაზში ისმოდა:

დომინო! დომინო! გამოჩნდა დ ო მ ი ნ ო“.

ამ დროს დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. მიზეზი? მიზეზი გახლდათ ჩიტის მოფრენა... და მოიტანა ჩიტმა ამბავი, ამბავი ფრიად სასიხარულო!

— გაიგეთ!.. გაიგეთ?!.

— აბა, რა ბედნიერებაა!

— გილოცავთ!.. გილოცავთ!

— დანამდვილებით!.. ნამდვილია!.. ისეთმა კაცმა თქვა, რომ...

— რა ბედნიერებაა!

ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, კოცნიდნენ, ეხვეოდნენ, განაღებულები პატარა ბავშვებივით ხტუნაობდნენ.

— ვაშა!.. ვაშა!..

ილიკოსაც ჩამოართვეს ხელი, მიულოცეს, განსაკუთრებით ენერგიულად ჩამოართვა ხელი ერთმა ჩაფსკენილმა, სულ მთლიანად მელოტმა კაცმა.

— გილოცავთ, ამხანაგო!.. გილოცავთ! — ღორივით წვრილი თვალები ჰქონდა ამ კაცს და თავი ბილიარდის უნომრო ბურთულას მიუგავდა.

— რას?

— როგორ თუ რას?.. ამხანაგო!!. წამოდით, წამობრძანდით!

მელოტმა ხელი ჩაჰკიდა ილიკოს და დარბაზის შუაგულისკენ წაიყვანა. გაოცებისგან კინაღამ შეჰყვირა ილიკომ — ცისარტყელის ყველა ფერად იშლებოდა მარმარილოს აუზიდან არეკლილი პროჟექტორის სხივები, როგორ ვერ შეამჩნია ამდენ ხანს ეს ვებერთელა აუზი, თან რა აუზი! მთლიანად მარმარილოსი, ისეთი, თვით შაჰ-აბასსაც რომ შეშურდებოდა! ო, რა ხდებოდა მის გარშემო — დაჰყურებდნენ, ჩაჰყურებდნენ, ხელით ეხებოდნენ, ეფერებოდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, გაუთავებლად ულოცავდნენ ერთმანეთს და ეოლოდნენ, ჩიტის მოტანილი სასიხარულო ამბით გულაძგერებულები, რაღა თქმა უნდა, აუზში წყლის ჩასხმას ელოდნენ, აბა, სხვას რას უნდა დალოდებოდნენ ცარიელ აუზთან?!

— თვალს აამებს და გულს ახარებსო! — აღფრთოვანებას ვერ მალავდა მელოტი. — მაგრამ ეს რაა, თქვენ შე-რე ნახეთ, მერე რა იქნება, წყალს რომ ჩაგვისხამენ!.. მტერს თვალს დაუბრმავებს და გულსაც გაუხეთქავს! — და უეცრად მის ხელში მათრახი გაჩნდა — მტერი, მტერი არ დაინდო, ჩემო კარგო!.. ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ, პირნათლად მოვიხადეთ, ახლა ჯერი თქვენზეა, ძვირფასებო! კარგად დაიხსომეთ, ჩვენ რომ დაგვენდო მტერი, ეს აუზი არ გვექნებოდა! ხომ გესმით?! არ გვექნებოდა! აი, ასე!.. ასე უნდა ურტყა მტერს! — და მათრახი აატყლაშუნა, დიდი არ იყო ეს მათრახი, მოკეცილი, მუშტშიც ჩაეტეოდა, მაგრამ ხმა, ცირკში რომ ატყლაშუნებენ ნადირთა დასაშინებლად, ისეთი ჰქონდა. დიდი ოსტატობით იქნევდა მათრახს, ზაპაშნისაც შეშურდებოდა და ირინა ბუგრიმოვასაც, იქნევდა მათრახს და თან ვიღაცებს აგინებდა — ოჰ, მე თქვენი დედაო!... — ციბრუტივით ტრიალებდა ეს დროული კაცი, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან — ასე!.. ასეო! — ოფლმა დაუსვეა პრიალა თავი, ქშინავდა უკვე, ის კი, ურტყამდა, მაინც ურტყამდა არარსებულ მტერს და როცა ძალიან დაიღალა, მხოლოდ მაშინ დამშვიდდა — აჰა, გამომართვიო! — და ილიკოს, მათრახი ძალით ჩატენა ხელში, თვითონ კი, ვალმოხდილი, მწყობრი ნაბიჯით — ერთი! ორიო! — გაემართა აუზთან შეჯგუფულ წყლის მომლოდინეებისაკენ.

გაოგნებული დაჰყურებდა მათრახს ილიკო, ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, თუ რა ხდებოდა, რა ორომტრიალში იყო ჩაბმული, ან იქნებ ჩათრეული, უკვე ჩათრეული.

არადა, მართლაც რა ხდებოდა?*

„ჟქ მკვდრები დაქრილნ ზღაპრული რაშებით და ბედის ეტლებით...“

და გრძელდებოდა თამაში!

ვიღაცამ, ილიკოს ოთხად მოკეცილი ქაღალდის ნაგლეჯი ჩაუდო ხელში, თან

---

* (იმათთვის, ვისაც ინტერესებს) ისეთი არაფერი, თამაშობდნენ მხოლოდ! კარნავალი იყო და-სხვა რა უნდა ეკეთებინათ? კარნავალი, ნიღბოსანთა ზეიმი!

ჩასჩურჩულა, ბარათია და შეუმჩნევლად წაიკითხეო. აქეთ-იქით მიმოიხედა ილიკომ, ბოლომდე იცავდა თამაშის წესებს, რასაც ეუბნებოდნენ, იმას აკეთებდა და ამის გამო, სანამ არ დარწმუნდა, არავინ მითვალთვალებსო, მანამდე არ გახსნა ბარათი.

„ცეკვა „ქართულის“ შემდეგ, იმღერებ „ჩელესტე აიდას“! ბატონ გერმანეს ძალიან უყვარს ეს არია. აბა, შენ იცი! ი. ზ.“

ერიჰა!.. როგორ უნდა ემღერა, როდესაც სიზმრის გარდა, არასოდეს არსად უმღერია! ან როგორ გაიგეს?.. და რიგიანად გაოცებაც კი ვერ მოასწრო, რომ მის წინ საიდანღაც ჟორჟ დანტონი ამოისვეტა, თითი დაუქნია — აჰ, შე ეშმაკო! — ხუმრობით უთხრა, რა თქმა უნდა, სიყვარულითაც. — მომე მათრახი, ხელს გიშლის, სულ ერთია, ფუნთუშა არა გაქვს და ცარიელი მათრახი, ხომ იცი, უკვე აღარა სჯრისო. — გაუწოდა ილიკომ მათრახი და ის ბარათი, ყოველი შემთხვევისათვის, პირისკენ გაიქანა, კინოში ნანახი და წაკითხული გაახსენდა, კონსპირაციაც ხომ საჭირო იყო, მაგრამ ჟორჟ დანტონს არ გამორჩენია ეს მოძრაობა, ოღონდ ვითომ ვერ შეამჩნია, მათრახს დაუწყო თვალიერება, მერე ილიკოს თვალი ჩაუკრა ეშმაკურად — აიდა, არა?! — და სანამ ილიკო რამის თქმას მოახერხებდა, ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

ო, რა ფხიზელი და მახვილი თვალი ჰქონდა!

— ყველა, ყველას უნდა დააკვირდეს!.. ნუთუ სიზმარშიც?! აბა, საიდან. გაიგეს?.. ნუთუ სიზმარშიც არ... ნუთუ სიზმარსაც!!. არა, არა! ასე არ შეიძლება, დროზე უნდა ნახოს ინდიკო! დროზე! უნდა მორჩეს ამ თამაშს! უნდა ყველაფერი გაარკვიოს, რა შუაშია სიმღერა? სიმღერისთვის მოიწვია ბატონმა გერმანემ? აკი, ინდიკომ უთხრა, ის ნამუშევარი დაამთავროსო!.. სიმღერა რა შუაშია?! — და „ო, მშვენიერო აიდა...“, მაინც წაიღიღინა, არაფერი გამოუვიდა და დაუწყო ძებნა ინდიკოს — უნდა უთხრას, დროზე უნდა გააგებინოს, რომ არ შეუძლია, არ იცის სიმღერა, რომ მხოლოდ სიზმარში იმღერა, თორემ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს ინდიკოს, ან რას იფიქრებს ბატონი გერმანე?!

ილიკო აუზთან შეჯგუფულ ხალხისკენ გაემართა, შეიძლება იქ ვნახო ინდიკოო, თუმცა, მაინცდამაინც დიდი იმედი არ ჰქონდა, ამდენ ხალხში, ამდენ ნიღბოსანში რას მივაგნებო. აუზისაკენ მიმავალი ილიკო, ევროპულად ჩაცმულმა უცნობმა შეაჩერა და გამოკვეთილი იმერული აქცენტით მიმართა:

— უკაცრავად გახლავართ, ბატონო, მაგრამ ორიოდე წუთით უნდა დამითმოთ თქვენი ძვირფასი ყურადღება.

— გისმენთ!..

— ბოდიშს მოგიხდით... დიდ ბოდიშს, ბატონო!.. რაცხა მინდა გევიგო თქვენგან და...

— გისმენთ, ბატონო!.. ბრძანეთ!

— რა და... არ ვიცი რაფრა გითხრათ... თქვენ თუ არ გნებავთ, ნუ მეტყვით!.. მარა ოუცილებელია ჩემთვის მაგის ცოდნა... რადამესის არია უნდა იმღეროთ, ბატონო ჩემო?

გაოცება გაოცებას მოსდევდა, ეს რა ხდებოდა!.. ნუთუ ასეთ მაღალ დონეზე იყო დაყენებული — ყველა ყველას უნდა დააკვირდესო?!

— მართალი ყოფილა! — დაასკვნა უცნობმა. — ეჰ, მე მინდოდა ხოზე გემღერათ, მარა რას იზამ, მჯობნის ბატონო, მაშინაც მაჯობა და ახლაც მჯობნის დიდი ჯუზეპე!.. ისე კი, მეც მაგარი ვარ!.. არა?.. რას იტყვით? — და სუფთა ფრანგულით, ხოზეს არიის დასაწყისი წაიმღერა — ჟორჟ ბიზე გახლავართ, ჩემო ბატონო! — ცილინდრი მოხდენილად მოიხადა და თავი დაუკრა ილიკოს. — ჟორჟ ბიზე!

ზურაბ კანდელაკი

გევრი რამ ხდება, ჰიპრაციო...

ოჰო-ჰო-ჰო!.. ჟორჟ ბიზე დ იმერუ-
ლი აქცენტი?! ეს უკვე რაღაც ახალი
იყო! ნუთუ ილიკოს დასცინოდნენ!.. ნუ-
თუ ყველაფერი ეს მის გასამასხრებლად
მოაწყეს, მაგრამ რატომ? რისთვის?.. გა-
ღიზიანდა ილიკო, ჟორჟ დანტონი რა-
ღაცით მაინც წააგავდა მის დიდ ორე-
ულს!.. ეს კი?!. რაცხა... მარა... ბოშოს
თქმა აკლდა მხოლოდ... მაშ, ხუმრობდ-
ნენ, არა? კარგი, თუ ხუმრობაა, იყოს
ხუმრობა! კარნავალია? — იყოს კარნა-
ვალი! და ჟორჟ ბიზეს თავი დაუკრა,
მასხარას ჩაჩიც წაიძრო.

— მე ილიკო ვარ!.. ილია მურომეცი!
— სხვა ვერაფერი მოიგონა. — გაგი-
გონიათ?.. ახლა ეს მითხარით, ბოშო,
ჟორჟ პომპიდუს ვერ ვხედავ რაცხა,
ხომ ცოცხალია? — იმერულად მოუქ-
ცია და ამით გამოხატა თავისი გაღი-
ზიანება.

— ტყუილად ცხარობთ, ჩემო ბატო-
ნო... სიდოური მურომეცი ხართ თქვენ!
და რომც იყოთ ნამდვილი მურომეცი,
მაინც არ დაგიჯერებთ, იმიტომ რომ, არ
უთქვიათ თქვენზე, მურომეციაო! აი,
ისინი რომ იტყვიან თქვენზე, მურომე-
ციაო, დევიჯერებ მაშინ! ხოლო, პომ-
პიდუ, თქვენც კარგად იცით, არ არის
ცოცხალი!.. მარა, მაინც აქ არის, ე,
ეგერ, შეხედეთ, ჟორჟ დანტონის გვერ-
დით მოაბიჯებს, ხედავთ?.. მგონი აქეთ
მოდიან, დევიმალოთ, თორემ თუ დაგ-
ვინახა, ლაპარაკით ღღინს გაგვაცლის,
აგერ, ფარდას ამოვეფაროთ.

ილიკო და ჟორჟ ბიზე, ფარდას ამო-
ეფარნენ, დროზე მოასწრეს დამალვა,
დანტონი და პომპიდუ, ზუსტად იმ
ადგილზე შეჩერდნენ, სადაც წამის წინ,
ისინი იდგნენ.

ნუთუ დანტონის მახვილ თვალს
დაემალა?!

— თქვენ გგონიათ დე გოლი ყვე-
ლაფერში მართალი იყო?!. როგორ
გეკადრებათ?.. მე, მისი სახელი მჩაგ-
რავდა მხოლოდ... მისი სახელი!.. სა-
უბედურად ყოველთვის!..

— გილიოტინა!.. გილიოტინა!.. მე კი
ვამტკიცებ, საჭიროა გილიოტინა!

მახვილ თვალს და ფხიზელ ყურს
ვერსად დაემალები კაცი!

დანტონი მათი სამალავისკენ წამო-
ვიდა, ფარდა გადასწია, ილიკოს ეშმა-
კურად ჩაუკრა თვალი და ისევ პომპი-
დუსთან დაბრუნდა, მოულოდნელად
შეწყვეტილი საუბარი განაახლა და
ასე ლაპარაკ-ლაპარაკით დაშორდნენ
იმ ადგილს, სადაც ილიკო და ჟორჟ
ბიზე იმალებოდნენ.

ესეც პომპიდუ! იქნებ ყველაფერი
სინამდვილე იყო?! ხომ უთხრა ინდი-
კომ, ჟორჟი აქ რამდენიმე გვყავსო —
ჟორჟ დანტონი, ჟორჟ ბიზე, ჟორჟ
პომპიდუ, ალბათ, ჟორჟ მელიესიც გა-
მოჩნდებაო, მერე, ჟორჟ კოლხიდე-
ლიც? ნეტა, ის არის თუ არა? ჟორჟ
კოლხიდელი... ჰუმანისტი... მაშ ყველა-
ფერი სიმართლეა?!. სად მთავრდება
თამაში და სად იწყება სინამდვილე?..
სად?.. „ო, მშვენიერო აიდა...“

— რაცხა, სწორედ ვერ მღერიხართ
მგონი. — გაახსენა თავისი არსებობა
ჟორჟ ბიზემ.

— ჰო? — ნუთუ ხმამაღლა წაიღი-
ღინა?.. თუ ჟორჟ მელიესიც აქ არის,
მაშინ?..

— ჟორჟ მელიესიც აქ არის?

— აბა, სად წავა, აქ არის!.. მაგასაც
დაგანახებთ, ჩაჰკირკიტებს იმ თავის
სინემას და სხვა არაფერი ახსოვს!

— ჟორჟი ამადუ?

— მაგი არ ვიცი... მე მხოლოდ
ჟორჟებს ვიცნობ.

— განა ის ჟორჟი არ არის?

— არა, ბატონო!

— როგორ? ჟორჟი ამადუ?!.

— არა, ბატონო, ჟორჟ დანტონი!..
ჟორჟ ბიზე! ის კი, ჟორჟი ამადუა,
ჟორჟი!.. ჩვენიანი არ არის!.. ჟორჟ —

ჟორჟი, ხომ გრძნობთ განსხვავებას? ერთი გვყავდა კიდევ ჩვენიანი, მარა, სადღაც გაქრა, დაიკარგა, არავინ იცის მისი ასავალ-დასავალი... — აქ, დროებით შეწყვიტეს საუბარი ილიკომ და ჟორჟ ბიზემ, რადგან...

დარბაზში, სიხარულით გამოწვეული ჩოჩქოლი ატყდა, ტალღად მოასკდა აღტაცება და კინალამ წალეკა ყველაფერი, დიდი სიხარულ-აღტაცებაც საშიშიაო, ამბობენ, ამის მიზეზი კი გახლდათ, ისევ და ისევ ჩიტის მოფრენა!.. და მოიტანა ჩიტმა აბავი, ამბავი ფრიად სასიხარულოზე უფრო ფრიად სასიხარულო!

— რა ბედნიერებაა! რა ბედნიერება!

— გილოცავთ!.. გილოცავთ!

— ათ წუთშიო, არა?!

— ათ წუთში! ზუსტად ათი წუთის შემდეგ!

— ვაშა!.. ვაშა!..

— გილოცავთ ხალხნო! გილოცავთ!

ისევ დასცხო ორკესტრმა მარში, სიზეიმო, ზეაწეული — „გიხაროდეთ! გიხაროდეთ!..“ — გრიალებდა ორკესტრი.

— ესეც თუ მუსიკაა?.. — ხელი ჩაიქნია ბიზემ. — წახდა ხალხი, წახდა, ბატონო! — თქვა იმის შემდეგ, როცა დარწმუნდა ყურს არავინ გვიგდებსო, — ნამეტანად წახდა!.. ადრე, ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, როგორ არა, მაგრამ ასე კი არა, უკეთესი გვინდოდა, სხვაზე უკეთესი მუსიკა გვინდოდა დაგვეწერა... ნადირის არია აიღეთ, რა დიდებულად მღეროდა ჩვენი ვანო, სარაჯიშვილი!.. ჩემი კარმენი?!. მაგრამ მაინც მჯობდა უდიადესი ჯუზეპე!. ვერ ვაჯობე და ხმას არ ვიღებდი, ასევე იყვნენ სხვებიც, ბატონო — მწერლებიც, პოეტებიც, მხატვრებიც... არტისტები ინტრიგანობდნენ ხანდახან და ისიც, უმეტესად ქალები... ეგ იყო და ეგ... ერთმანეთს რავა დაბეზღებდნენ ან თავს რავა დეიმცირებდნენ... ახლა კი, ოღონდ აჯობონ ერთმანეთს და რას არ კადრულობენ?.. თქვენ გგონიათ, რომ ახლა მაგათ მართლა უხარიათ? არა, არ დეჯიროთ! მლიქვნელები არიან ეგენი უმეტესად!.. აქ კარგი ხალხიც ურევია, იმათ ახლა ვერ ხედავთ, იმიტომ რომ წუნარად არიან, დგანან თავისთვის... რავა ყველაფერი გიკვირთ, ჩემო ბატონო?!. ნუ გიკვირთ, ნუ!

არა, არ უკვირდა ილიკოს არაფერი, მლიქვნელები და მაბეზღარები გაკვირვებდა?! უბრალოდ, ჟორჟ ბიზეს მოეჩვენა ასე.

— თქვენ გავიწყდებათ, სად იმყოფებით!.. ეს ხომ, ადამიანის სულის ექსპერიმენტული ლაბორატორიაა!.. აქ, ადამიანის სულს...

ვერ დაამთავრა სათქმელი ბიზემ. — ციცო! — თითი დაუქნია ვიღაცამ. ბილიარდის ბურთულასავით პრიალა თავი შეამჩნია ილიკომ. — ციცო! — ისევ დაუქნია მელოტმა თითი და ბოროტად დაკვესა თვალები, ისე ძალიან ბოროტად, რომ ილიკოს შიშისაგან გააყრეოლა და ჟორჟ ბიზეს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდა?! მელოტი ხომ მას დაემუქრა. — დროა... დროაო... — და გაფითრებული, დამნაშავე ბავშვივით აიძურწა დანაშაულის ადგილიდან.

ადამიანის სულის ექსპერიმენტული ლაბორატორია! ეს კი, მართლა დაავიწყდა ილიკოს, ა. ს. ე. ლ., არა, ამის დავიწყება არ შეიძლებოდა, ისევე როგორც იმისა, რისთვისაც აქ მოვიდა, განა ჟორჟის, რა თქმა უნდა იმ ჟორჟის, სანახავად არ იყო მოსული? განა ამიტომ არ გაიღო სამი წვეთი სისხლი? ამიტომ არ დაბეჯებს მასხარას ჩაჩით? ამიტომაც არ ისმენს ამდენ სისულელეს? მაშ, გულიანად რატომ არ ეძებს მას? რატომ არავის არაფერს ეკითხება?.. ბუნაში იყო თითქოს, სიზმარში, რაღაც უხილავი ძალა წარმართავდა მის აზრებს, თავის ნებაზე დაატარებდა! ნუთუ მართალია, რომ ხშირად, ჩვენ ყოველ უღირს საქციელს ვამართლებთ, სულ სხვა, ვითომ კეთილშობილური მიზნებით, მე

თუ არა, სხვა იქნება ჩვენს მაგივრადო, ბევრად უარესი! ჩვენ კი, მაინც რაღაცას ვეცდებითო... ასე, ჯალათსაც შეუძლია გაიმართლოს თავი, ჯალათი ხომ მაინც საჭიროა და სხვის მაგივრად, ბოროტი ჯალათის ნაცვლად, ბარემ მე ვიყო, უფრო ნაზად, ფერებ-ფერებით მოვაკვდინებ ადამიანსო!.. ნუთუ მართალია? ნუთუ მართალიაო?!. რატომ მოტყუუდა, იქნებ კი არ მოტყუუდა, თავი მოიტყუა?.. ჰა?.. იქნებ მოსწონს მასხარას ჩაჩი, მოსწონს იმიტომ, რომ მსგავსი სხვას არ ახურავს, გამორჩეულია!.. ჰა!.. ჰა!.. ჰა!.. გამორჩეული მასხარა!.. მერე რა, ვისაც რა უნდა, ის იფიქროს! სამაგიეროდ, ვენეციაა!.. კანი!.. მიზანი არ ამართლებს საშუალებას თუ რა?! პრიზები!.. აღიარება!.. ინტერვიუები!.. ღმერთო, ის არ ახსოვდა!.. „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი...“ ის არ ახსოვდა, თავის ოცნება, მაშინდელი! ახლა, ალბათ, ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა, ოღონდ კი... ფუი! არა! არა!.. შეეზიზღა საკუთარი თავი ილიკოს, ძალიან, ძალიან შეეზიზღა, რა მემართება, როგორ მომდის თავში მსგავსი აზრებიო! და გადაწყვიტა, მოვისვრი ამ მასხარას ჩაჩს და წავალ აქედან, ყველაფერს მივაფურთხებო, მაგრამ ძნელი იყო უკვე თამაშიდან გასვლა, ისევე გაჩნდა მის გვერდით ჟორჟ დანტონი, ის მელოტიც იქვე ტრიალებდა და ძაან ბოროტად უელავდა ღორივით წვრილი თვალები! ჩალმიანიც არ იყო შორს! და ამიტომ ნიღაბიც კი ვერ მოიხსნა, თუმცა ძალიან აწუხებდა, თვალები სტკიოდა მხოლოდ პირდაპირ ყურებისაგან. თამაში კი, ახლა იწყებოდა...

„დარბაზში ისმოდა: დომინო! დომინო! გამოჩნდა დ ო მ ი ნ ო.“

და აჰა, გავიდა ის ათი წუთი...

და მოევლინათ ის! ბატონი გერმანე! გერმანოზიშვილი! ყველანაირი მაგიის დიდი მაგისტრი, დიდოსტატი ჰიპნოზისა და ადამიანის სულის დიდი მესაიდუმლე! უკან მოჰყვებოდა თავის ამალა, ორიოდ ნაბიჯით უკან, უკნიდან უღიმოდნენ, ძლიერ მოწადინებულნი ისე შესციცინებდნენ, თითქოს უკანაც ჰქონდა თვალები სულის მაესტროს და ხედავდა, რარიგ უყვარდათ, რა პატივს სცემდნენ, თუმცა იქნება ჰქონდა, ყველაფერი ხდებოდა და ეს რაა!

მოევლინათ და იგრიალა ტაშმა, აგუგუნდა მთელი დარბაზი — ვაშა! ვაშაო! — ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვიროდნენ. თავაწეული მობრძანდებოდა სულის მაესტრო, მხოლოდ ხანდახან, თითქოს იმორცხვებსო, ხელის ოდნავი მოძრაობით ანიშნებდა ხალხს, კარგით, გეყოფათო. ტაში კი, არ ცხრებოდა და არ ცხრებოდა. ტკიოდათ ხელისგულები, მაგრამ მაინც უტყაპუნებდნენ ერთმანეთს და, ალბათ, არასოდეს არ შეწყდებოდა ეს აღფრთოვანებული ღრიანცელი, რომ ამ დღისათვის საგანგებოდ მოყვანილ ცნობილ მომღერლებს, დიდი მაგისტრის სადიდებლად, „მრავალჟამიერი“ არ დაეგუგუნებინათ.

გულაჩუყებული იდგა სულთა მპყრობელი, სიხარულისაგან გულაჩუყებული. მისი დღეც დადგა, მისი დიდების, მისი აღიარების! რა ვუყოთ მერე, რომ ისინი, ვინც ვერ მალავდა აღფრთოვანებას, დავალებული იყვნენ მისგან, ის ხომ მათი მამაც იყო, მარჩენალიც, მასწავლებელიც და, რაც მთავარია, მათი სულების მბრძანებელი!.. დღეს მისი პაციენტები უკრავდნენ ტაშს, დღეს მათ სჭირდებოდათ დიდოსტატი ჰიპნოზისა, ხვალ კი სხვებს დასჭირდებოდათ მისი ძალა, ენერგია და უდრეკი ნებისყოფა, მერე კიდევ სხვებს და გაშალა ფრთები მისმა ოცნებამ — ჩქარა დადგება ის დღე, ის საათი, ის წუთი, როდესაც მარტო ესენი კი არა, ყველა, ყველა დამიკრავს ტაშს, ყველა იმღერებს მრავალჟამიერს ჩემს სადიდებლადო! მანამდე კი, ახლა, მთავარი ეს ექსპერიმენტი იყო, დღევანდელი ექსპერიმენტი... შესანიშნავი ობიექტი შეარჩიეს, ყოჩაღ ზარექაშვილი!.. ალღო

აქვს მაგ მამაძაღლს... ბევრ რამეს მიაღწევს, თუ ჭკუით იქნება, ბევრ რამეს!.. არა, ობიექტი მართლაც შესანიშნავია, ბოლომდე რომ ასე გაგრძელდეს, მაშინ... მერე, სხვებზეც ჩაატარებენ ასეთ ცდას, ჯერ ასე, თითოოროლაზე, ამ ობიექტისნაირებზე, მეოცნებეებზე... მეოცნებე ნიამორები... საიდან გაახსენდა? თუმცა, განა თვითონაც არ ოცნებობდა? ჯერ-ჯერობით ხომ ყველაფერი ოცნება იყო?.. მეოცნებე ნიამორები... ჯანდაბას მაგათი თავი!.. სად მათი ოცნება და სად ჩემიო!. მერე? მერე მეთოდი უფრო გამოიკვეთებოდა, დასრულებულ სახეს მიიღებდა და!.. თავისი ყველა საუკეთესო თანამშრომელი ჩაბა ამ ექსპერიმენტში, კარგად დაიწყეს, ნამდვილად კარგად! ისე, ინდიკომაც ათიანში მოარტყა — ბავშვობა, დაბადების დღე, განუხორციელებელი ოცნება... დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას, ძალიან დიდი! „მას გახელილი დარჩა თვალები...“ ჰი, ჰი, ჰი! სუსტია ადამიანი!.. ვენეცია! კანი! ის სამი წვეთი სისხლიც რა შესანიშნავად მოიგონა... ვერაფერს იტყვი, მუშაობს მისი ფანტაზია, ჟორჟებმა ხომ ყველა მოლოდინს გადააჭარბეს, თუმცა იმერელმა, კინაღამ გააფუჭა საქმე, კიდევ კარგი, ბიჭები ფხიზლად იყვნენ! ისე კი, ცოდნია სიმღერა მაგ მამაძაღლს,* ჩვენ კი არ ვუჯერებდითო, როგორა თქვა, ჩვენ დროში არ ვაბეზღებდით ერთმანეთს, არ ვიმცირებდით თავს მლიქვნელობითო. ჰა, ჰა, ჰა! მამა უცხონდათ, არა გვშურდაო!... ვირიშვილები!..** ზარექაშვილმაც დაუშვა ერთი შეცდომა... ლეიბის ქვეშ დამალული წიგნი... შობელძაღლებიო... რამ ათქმევინა?! მისი ბედი, რომ დაკვირვების ობიექტი მთვრალი იყო, ამან გადაარჩინა, თუმცა საყვედურს მაინც მიიღებს, თორემ ზომაზე მეტად გათამამდება!.. არავინ არ უნდა გათამამდეს, არავინ!

ტაშმა გამოარკვია ფიქრებიდან დიდი მაესტრო. უკვე დაემთავრებინათ „მრავალჟამიერი“ და ახლა, სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე, სახელგანთქმული მომღერალი იდგა. სიამაყის გრძნობით აღივსნენ მის დანახვაზე, რადგან იცოდნენ, რომ ამ მომღერალს, ძალიან აფასებდნენ უცხო ქვეყნების მრავალ თეატრში, თანაც არ იყვნენ განებივრებულები მისი ხილვით და ამ ორივე მიზეზის გამო, კუთვნილზე მეტი ტაში შეაგებეს, გულში კი, დიდი მადლობა გადაუხადეს ბატონ გერმანეს — ის რომ არაო, ვერასოდეს დავიტკბობდით სმენას ამ დიდებული ხმითო.

მეფისტოფელის არია დაიწყო დიდებული ბანის პატრონმა და გაისუსა ყველა მონაწილე კარნავალისა (არ უნდა დაგვავიწყდეს არც ერთი წამით, რომ კარნავალი მიმდინარეობს.). ოდნავ განაწყენდა შავი მაგიის რაინდი — ეს წოდებაც ჰქონდა ბატონ გერმანეს — მცირედ იეჭვიანა კიდეც, კი ეკუთვნის ტაში, როგორ არაო, მაგრამ... Глуп как баритон!.. თუმცა ეგ ბანია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მაინც სულელია, დიდხანს იკოკობზიკა, დიდხანს აკვრევინა ხალხს ტაში, არ იცის, რომ აქ, ჩემს ლაბორატორიაში ყველაზე დიდი ტაში მე უნდა მეკუთვნოდესო! და ისე გახედა, კინაღამ ტენორით აამღერა სახელგანთქმული ბანი, მაგრამ დროზე შეცვალა მომწუსხავი მზერა ღიმილით და გადარჩა ბანი გატენორებას, პირიქით, სულთამპყრობელის ღიმილმა ძალა შემატა და ისეთი დაბალი ნოტი აიღო, რაზეც, ალბათ, ვერც კი იოცნებებდა. — კარგად მღერის ეგ მამაძაღლი, მაგრამ ჭკუის სწავლება მაინც არ აწყენსო, — და სულის მაესტრომ ახლა მსმენელებს მოაფრქვია თავისი

---

* სიტყვა მამაძაღლს მოფერებით ხმარობდა გ. გერმანოზიშვილი, თავისი პაციენტები შვილებად მიაჩნდა და ჰქონდა ამის უფლება.

** ვირიშვილს, მამაშვილური ტონით არასოდეს ამბობდა, ვირიშვილოს თქმის შემდეგ, შვილად მიღებულს, ისე ექცეოდა, როგორც ავი დედინაცვალი გერს.

ღიმილი. აქ, ჯერჯერობით ყველაფერი რიგზე იყო, სრულ მზადყოფნაში იყვნენ მისი ბიჭები, ელოდებოდნენ დათქმულ ნიშანს.

დათქმულ ნიშანს ვარლამ ბურკაძეც ელოდებოდა. ხელჯოხზე დაყრდნობილი, წამდაუწუმ ისვამდა ცხვირსახოცს ოფლით დაცვარულ შუბლზე. ღელავდა ბურკაძე. მართალია სახელი არ აკლდა და არც არანაირი ჯილდო, მაგრამ კიდევ უნდოდა თავის გამოჩენა და გამოიჩენდა კიდეც! ისეთი რამე ჩაიფიქრა, ისეთი სიურპრიზი მოამზადა, რომ არ შეიძლებოდა არ მოხიბლულიყო ბატონი გერმანე! ყველაფერი ზუსტად უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს და, რაც მთავარია, ცხენის გამოყვანა არ უნდა დაეგვიანებინათ და როცა ცხენი დასჭექავდა — დიდება სულის დიდ მაესტროსო! — მაშინ, ჰოჰოჰოჰო, რა მოხდებოდა! გაუხარდებოდა ბატონ გერმანეს, აბა, სხვა რა მოხდებოდა! და მერე ვარლამ ბურკაძე... და რა მერე? — აღარ არსებობდა მეტი ჯილდო... მერე რა, სულ ერთია რამეს სთხოვდა.

დაჰპირა სულის მაესტრომ ვარლამ ბურკაძის ფიქრთა დინება. — მართლა ღორია, „მაშკა“ ღორი, მაგრამ საჭირო კაცია მაინც, გარკვეულ დრომდე საჭიროო, — გაეცინა ბატონ გერმანეს, ერთი ნათქვამი გაახსენდა — ეგ ბურკაძე კი არა, ბურვაკაძეა, ყველაფერს თქვლეფსო! — და ერთი ეშმაკური აზრი გაუჩნდა, „ცისფერ სახლში“ ფეხბურთელთა გუნდი უნდა შეექმნათ, პაციენტებისაგან, რაღა თქმა უნდა, ორი გუნდი, თეთრებისა და ლურჯების, ჰოდა, ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელობას შევთავაზებ, საინტერესოა, თუ დამთანხმდებაო? — დამთანხმდება, დამთანხმდებაო, — თვითონვე გასცა პასუხი თავის შეკითხვას. — თუ შემითავსებთ, ბატონოო, ასე იტყვის, აბა ასე თუ არ იტყვის მაშინ ბურვაკაძე აღარ იქნებაო! ჰოდა, მაგ ბურვაკაძეს ჰგონია რომ მე მომატყუებს?! სიურპრიზი აქვს მომზადებული!.. ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ვირიშვილამამაძაღლი! ვითომ ეგ ცხენი ჩვენმა ბიჭებმა არ მიუყვანეს... თუმცა... ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი, ეგონოს, რომ ვითომ არაფერი ვიცი, გავიკვირვებ, შეიძლება სიხარულის ცრემლიც კი მომადგეს თვალებზე... ასეა საჭირო! ასე! არა, ნუთუ მართლა ამეტყველდება ცხენი?! — მოაცილა თვალი ვარლამ ბურკაძეს და სულგანაბულ მსმენელებში, მასხარას ჩაჩს დაუწყო ძებნა, ახლა ილიკო უფრო აინტერესებდა ბატონ გერმანეს — აი, იმანაც რომ...

ვარლამ ბურკაძე კი, ისევ ფიქრობდა, მერე?.. მერეო?..

ეჰ, ყველა ფიქრობდა, მერე, მერე, რა იქნებაო?!. ოღონდ ყველას თავისი მერე აწუხებდა!.. ეჰ, მართლაც მერე?!.

მერე რა მოხდა?

მერე, დასცხეს დოლს, მაგრამ რა დასცხეს — ეეკვა „შეჯიბრიო“, — გამოაცხადეს და გაჩაღდა დიდი შეჯიბრი, თითის წვერები დაიმტვრიეს, მუხლისთავებიც დაიჩეჩვეს — ჰე! ჰა! ჰე! ჰა! ასააააა! — ველურებივით ღრიალებდნენ, ხტუნაობდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ — ჰე! ჰა! ჰე! ჰა! — მობეზრდა ბატონ გერმანეს დოლის ეს გაუთავებელი ბაგაბუგი, თანაც დრო იყო უკვე, საათს დახედა და თავისი მზერა დიდოსტატური, აუზისაკენ გასტყორცნა, გასტყორცნა და ჰაერში შემხტარი ცეროსანი ჰაერშივე გაშეშდა! — წყალი! წყალიო! — დაიღრიალა და მხოლოდ მერე დაასკდა მუხლებით იატაკს.

— ვაშაააა! ვაშა

ხუმრობდნენ, ხელიდან გლეჯდნენ ერთმანეთს ფოჩიან კანფეტს, მუშტსაც ხმარობდნენ, მუჯლუგუნებს და პანღურებს ხომ, თვლა არ ჰქონდა და ყვიროდნენ, ბღაოდნენ, ღმუოდნენ. აბა რა ექნათ? — მათ ხომ აუზში ჩაუსხეს წყალი!

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...

უყურებდა მათ დიდი მაგისტრი და იღიმებოდა. ახლა ილიკოც წავიდოდა აუზისაკენ, ტანსაცმელს, რა თქმა უნდა, წინასწარ არ გაიხდიდა, მაგრამ წავიდოდა აუცილებლად, წავიდოდა!.. წავიდოდა! და იგრძნო ილიკომ სულის მაესტროს თვალების ძალა, იგრძნო და გადადგა ნაბიჯი წინ. — ვენეცია!.. კანი!.. კარლოვი ვარი!.. შორიდან აწოდებდა აზრებს შავი მაგიის რაინდი, და ილიკოც იმეორებდა — ვენეცია! კანი! კარლოვი ვარი! — იმეორებდა და დგამდა ნაბიჯს, თუმცა, ჯერ ისევ რეცხვენოდა, რას სჩადიანო, რეცხვენოდა, მაგრამ ნაბიჯს ნაბიჯი მაინც მოსდევდა, მერე კი, უკვე მიმიხედა, კანფეტს ეძებდა, ფოჩიანს და ვერსად რომ ვერ აღმოაჩინა, ერთს, ღრიალ-ბღავილში გართულს, რომელსაც სხვაზე მეტი კანფეტი ჰქონდა მიტაცებული, ჯიბიდან ერთი კანფეტი, შეუმჩნევლად ამოუცოცა. — კარგია, კარგი! — შეუქო საქციელი დიდმა მაესტრომ და ილიკომაც, ის კანფეტი, თავის უნარით მოპოვებული, პირდაპირ პირში გააქანა და იგემა ფოჩიანი კანფეტის გემო! — ყველა ასე იქცევაო, — საწყალი, თავის გამართლებას ცდილობდა ისევ.

ასწია ხელი სულის მაესტრომ, უნდა შეეჩერებინა ისინი, ვინც ერთმანეთისთვის მუშტებსა და პანღურებს არ იშურებდნენ. ისინი, არ მიუშვებდნენ აუზთან ილიკოს, ინტელიგენტი იყო ჯერ კიდევ მაინც, არადა, ილიკო უნდა მისულიყო აუზთან ყველაზე ადრე, ის უნდა პირველი ჩამხტარიყო, თორემ იმათ ჩახტომას აზრი არ ჰქონდა, პირველად ხტებოდნენ თუ რა! ილიკოს ჩახტომას კი, სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და მერე, თუ თავის გატეხას გადაურჩებოდა, მერე იმღერებდა თავის „ჩვლესტე აიდას“, იმ ბანის ჯიბრზე.

ამ დროს, მცირე გაუგებრობა მოხდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მოვლენების შემდგომ მსვლელობაზე. როგორც აღვნიშნეთ, პატივცემული ვარლამ ბურკაძე, ზომაზე მეტად ღელავდა და ამის გამო, დიდი მაგისტრის ხელის აწევა, მას დათქმულ ნიშნად მოეჩვენა და, თავის მხრივ, თვითონაც, ცხვირსახოცის დაქნევით, სხვებს მისცა ნიშანი. სინამდვილეში კი, ეს ნიშანი აუზში ხალხის ჩახტომის შემდეგ უნდა მიეცა, და როცა მიხვდა ამას, უკვე გვიან იყო, სხვებიც ხომ მის ნიშანს ელოდებოდნენ.

ჰაი! მე-ფე-ო, შენ-სა გვირ-გვინ-სა!

ჰაი! მე-ფე-ო, შენ-სა გვირ-გვინ-სა-ო, — ჰა!

მოეფინა მთელ დარბაზს ეს ხმა, მოირბინა კიდით-კიდემდე, დაჰქროდა, დანავარდობდა და მიიწევდა ზევით, ჰერის ახდა უნდოდა თითქოს და ახდიდა კიდეც, აბა, ჩაკეტილში როგორ გაძლებდა, რა უნდოდა?! სივრცეში უნდა გაფრენილიყო, უნდა მოევლო მთელი მსოფლიო, ისე უნდა ენავარდა, როგორც ახლა აქ, ამ დარბაზში დანავარდობდა.

მე-ფე-ო, შენ-სა გვირ-გვინ-სა-ო

ოთხ-კუთ-ხივ ჯვა-რი სწე-რი-ა-ო!

გახევებული იდგა ილიკო, ნიღაბ-აფარებული ვერაფერს გრძნობდა. ის ხმა კი ისევ დანავარდობდა, ისევ უნდოდა ჰერის ახდა, მაგრამ არ უშვებდა ჰერი, მაღლა გაფრენილს, ისევ დაბლა აბრუნებდა და დაბლა დაბრუნებულმა, ილიკოს ნიღაბში შეაღწია და ილიკოც თან წაიყოლა; მასთან ერთად აფრინდა ისევ, და ისევ ვერ მიაღწია მიზანს, დროებით, რა თქმა უნდა, რადგან ადრე თუ გვიან, მაინც გააღწევდა, გაანგრევდა ჰერს, ადრე თუ გვიან, ყველა კედელი, შემზღუდველი, დაინგრეოდა! და ილიკოს, ის სიზმარი გაახსენდა, დაზვავებული ნანგრევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაახსენდა და ის ძახილი, ეორეის ძახილი — რატომ, რატომო!

მე-ფე-ო, შენ-სა გვირ-გვინ-სა!

ყველაფერს მიხვდა ილიკო, ამ დიდებულმა ჰანგმა მიახვედრა, სისხლში შეაღწია უკვე და როგორ არ მიახვედრებდა, მთელი სხეული მოირბინა სისხლთან ერთად, ერთი ძარღვიც კი არ დაუტოვებია და ილიკო მთელი არსებით მიეცა სიმღერას, აღარაფერი ახსოვდა, აღარაფერი უნდოდა, ფეხებზე ეკიდა კანიც და ვენეციაც, რა ჭირად უნდოდა! ის ხომ ქართველი იყო! — ღმერთო, რა დიდი ბედნიერებაა რომ ქართველი ვარ!.. ჰაი! — ვეღარ მოითმინა ილიკომ და გამოფრინდა მისი ხმა, გამოფრინდა და აიჭრა ზევით, ო, სად წავიდა, სად გაფრინდა, რა სიმაღლეზე!

მე-ფე-ო, შენ-სა გვირ-გვინ-სა-ო, — ჰა!

ყველა მღეროდა უკვე, ბროლის ჭაღებიც თავის წკრიალით შეეხმიანნენ, საიდანღაც ორკესტრიც ! გაჩნდა და წაჰყვა ცისკენ გაჭრილ ხმას, ოღონდ ბოლომდე ვერ მისწვდა, ვერ მისწვდა, ასე იყო საჭირო, აკავებდა დირიჟორის ძლიერი ხელი, აჩერებდა, არ უშვებდა, მეორე ხელით კი, სოლისტს ანიშნებდა, თითქმის ეხვეწებოდა, მაღლა, მაღლა, კიდევ მაღლაო!

— ჰაი!

ამდენ ხმაში ალბათ არავის ესმოდა ილიკოს ხმა, მაგრამ რა უშავს, თვითონ ხომ ესმოდა! თვითონ ხომ გრძნობდა! ღმერთო დიდებულო, რა იყო ეს!

დირიჟორი კი, ამ ჰანგებში მთლიანად გათქვეფილი, გრძნობის სიჭარბისაგან თვალებს კუსავდა და მაინც ახერხებდა, თქვენ წარმოიდგინეთ რომ ახერხებდა, თვალის გაპარებას გერმანესაკენ, ნეტა ის რას ფიქრობს, მოსწონს თუ არაო. ფუი! რარიგად იყო გაფუჭებული, ღვთაებრივ ჰანგებს დირიჟორობდა და რაზე ფიქრობდა!

გერმანეს ახლა მისთვის არა სცხელოდა, გრძნობდა, რომ მისი ჩანაფიქრი იფუშებოდა, გადმოკარკვლამდე ქაჩავდა თვალებს, მაგრამ ვეღარაფერი გამოსდიოდა. — ვირიშვილიო! — ბურკაძეზე გაიფიქრა — ეს რა მიქნაო! — და ერთი გახედა მხოლოდ, გახედა და საწყალი ბურკაძე ყველაფერს მიხვდა. აქამდე მუსიკის ტყვეობაში იმყოფებოდა, ცრემლებს იწმენდდა, შიშის არ იყო ეს ცრემლები, გრძნობების მოზღვავებისგან ტიროდა ხოლმე ,ხანდახან, მაგრამ ახლა, შავი მაგიის რაინდის გამოხედვამ ისე დაბნა და შეაშინა, რომ საცოდავს შიშისაგან ხის ფეხიც კი დაუბუჟდა და უკვე, შიშის ცრემლები წამოსცვივდა. მიხვდა თავის შეცდომას და როცა შიშმა და დაბნეულობამ ოდნავ გაუარა, იმ შეცდომის გამოსწორება გადაწყვიტა და კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, ახლა უკვე საბედისწერო. — მთელ სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ! ჩქარა ცხენიო! — და მოჰგვარეს სასწრაფოდ ცხენი, გაწვრთნილი ცხენი, ბატონ გერმანეს ქება-დიდებით ყურებგამოტეხილი, ერთ დროს, უპირველესი მთელ იპოდრომზე, ახლა კი, მორჩილი, მლიქვნელად გადაქცეული, (ნუ გაამტყუნებთ, განადგილია, მხოლოდ ფერებას მიჩვეულისთვის, ცემისა და უჭმელობის ატანა.) მისი იმედი ჰქონდა ვარლამ ბურკაძეს, ის თუ დასჭექავდა — დიდება სულის დიდ მაესტროსო! — როგორც ნასწავლი ჰქონდა, ისევ წაღმა შემობრუნდებოდა ვარლამ ბურკაძის ბედის ბორბალი, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ისევ მოტყუვდა ის საცოდავი, ვერ გაითვალისწინა, რომ ცხენსაც, თუ გინდაც მლიქვნელად გადაქცეულს, ჰქონდა სმენა, და როგორც ადრე ილიკო, ამ დიდებულმა ჰანგმა, ცხენიც ბევრ რამეს მიახვედრა, სისხლი აუჩქეფა, სისხლი კი წმინდა ჰქონდა ამ ცხენს, და როცა ნიშანი მისცეს, მიდი, მიდი, დასჭექე ბატონ გერმანეს სადიდებელიო და შაქარიც დაანახვეს შორიდან, ჰა, შეასრულე დავალება და მიიღებო, დაიჭიხვინა მხოლოდ,

ძველებურად დაიჭიხვინა, მერე კი, ისეთი რამე მოხდა, რომ სულის დიდ მაესტროსაც ძალიან გაუკვირდა — სიმღერას აჰყვა ცხენი, ოღონდ — „ხიდისთავს შევკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანაო! — ეს იმიტომ, რომ არ იყო ოპერაში ნამყოფი და რა ექნა. — „ჩავუხტეთ მუხრან-ბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანია....“ — და უეცრად, თავიდან ოთხივე ფეხამდე, ჭიანჭველებმა დაურბინეს, ილიკო იცნო მასხარას ჩაჩში, ნიღბიანი, არლეკინის მოსასხამით, მაინც იცნო, იგრძნო, იყნოსა და სიხარულისგან ყალყზე შედგა, წინა ფეხები აათამაშა და იმწამსვე, ილიკოსაც ზუსტად ისევ დაურბინეს ჭიანჭველებმა, „პეტროპოლისი!“ ღმერთო, „პეტროპოლისი“! და გაქანდა, კი არ გაქანდა, გაფრინდა მისკენ!

მორჩა, ყველაფერი იფუშებოდა, მთელი ექსპერიმენტი იღუპებოდა — ჩქარა, მოაცილეთ ეგ ცხენი აქედანო! — მაგრამ ვინ იყო მისი მომრეკი, ახლა, „პეტროპოლისს“ ვინ აჯობებდა და ძვრაც რომ ვერ უყვეს, მაშინ — მოკალითო! — გასცა ბრძანება დიდმა მაგისტრმა და თვითონ სხვა მხარეს შებრუნდა, თან გაიღიმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მუსიკას უსმენდა მხოლოდ და მხოლოდ და სხვა არაფერი ადარდებდა.

იგრიალა ისევ მარშმა, არ დაიბნა დირიჟორი, როგორც კი იგრძნო, ეს გრძნობა კი, სმენასავით ჰქონდა განვითარებული, აქ, რაღაც სხვა ამბავი ხდებაო, ორკესტრი მაშინვე მარშზე გადაიყვანა, თანაც ისე ოსტატურად, ყველა იფიქრებდა, ასეა საჭიროო.

და მიიწევდნენ ერთმანეთისკენ ილიკო და „პეტროპოლისი»...

ამ დროს ილიკოს საიდანღაც გამოჩენილი ჟორჟ დანტონი აეტმასნა, ის მელოტიც წინ გადაუდგა და სხვა ბიჭები, სულის მაესტროს ბიჭებიც წინ აეფარნენ, ისე რომ, ვეღარ დაენახა „პეტროპოლისი“, რადგან „პეტროპოლისს“ უკვე უახლოვდებოდა ტახივით კაცი, აი ის, თუ გახსოვთ, რესტორანში რომ შესთავაზა თავისი სამსახური ილიკოს და ილიკოს, და ტახივით კაცმა, გახარებულ, ილიკოს ნახვით გახარებულ „პეტროპოლისს“, და, რაც მთავარია, ისევ ადრინდელს, წმინდა სისხლისას, სამი ტყვია დაახალა უხმო რევოლვერიდან და სროლა თვითონ გაახმოვანა — ბახ! ბახ! ბახო! — სროლის ხმის გაგონება ძაან უყვარდა, რევოლვერი კი უხმო იყო და აბა, სხვა რა უნდა ექნა.

მართლაც უკეთილშობილესი არსებაა ცხენი! იმქვეყნად მიმავალიც კი, ილიკოზე ფიქრობდა, როგორმე უნდა გაეფრთხილებინა, უნდა ეთქვა მისთვის, რომ... მაგრამ საბრალო, ვერაფერს ახერხებდა, ძალა სულ აღარ ჰქონდა, შადრევანივით ასხამდა სისხლი ნატყვიარიდან, არადა, სულ ცოტა ხანს უნდა გაეძლო კიდევ, ერთი წუთი, მხოლოდ ერთი, ერთადერთი!.. და სთხოვა საკუთარ სისხლს — ოდნავ შეყოვნდი და კიდევ ერთ წუთს შენი სიობო არ მომაკლო, გეხვეწები, გემუდარები! რა გეჩქარება ჩემი სხეულის დატოვება, ნუთუ ასე ცუდი ვიყავი შენთვისო?! — და ყურად იღო სისხლმა მისი ხვეწნა-მუდარა, შადრევანივით მჩქეფარე, გვალვისაგან დამშრალ ნაკადულს დაემსგავსა, ჭრილობის თავთან პირი შეიკრა და აჩუქა ერთის მაგივრად ორი წუთი. დიდი მადლობა გადაუხადა საკუთარ სისხლს და წამოდგომა დაუპირა, მაგრამ ჩაეკეცა წინა ფეხები და მოეჩვენა, რომ მიჰქრის ფინიშისაკენ, ყველა მეტოქე ჩამოიტოვა, ფინიშამდე ათიოდე მეტრია მხოლოდ, მას კი ძალა ელევა, ძლივსღა სუნთქავს, ერთი ნაბიჯის გადადგმის თავიც არა აქვს, რა, ნუთუ უნდა გაჩერდეს?! არა, არა, ამის უფლება არ აქვს, ხალხი ყვირის, ხალხი მოითხოვს, — მიდი, მიდიო! — მათ ხომ სჯერათ მისი და ისიც მირბის, არ შეუძლია და მაინც მირბის! ეჰ, რამდენი ასეთი ფინიში ახსოვს, რამდენი გამარჯვება და ამ გამარჯვებებით გამო-

წვეული სიხარული, მაგრამ თურმე მთავარი, ამ დაუსრულებელ, დიდ შეჯიბრში. უკანასკნელი ფინიშის მოგებაა! ოჰ, რა ძნელია, იმ უკანასკნელ ფინიშთან მისვლა, როცა იცი, რომ ტაშის ნაცვლად გელის საშინელი მარტოობის უსასრულო გზა! და გავიდა იმ ნაჩუქარი ორი წუთიდან ერთი წუთი და დარჩა მხოლოდ ერთი წუთი, ის ნანატრი, ნათხოვარი ერთი წუთი! და ძლივძლივობით წამოიწია წინა ფეხებზე, სისხლში მოსვრილი ლამაზი თავი მაღლა შემართა და გადაკვეთა, უკანასკნელი ფინიშის ხაზი გადაკვეთა — ილიკო, ბიჭო... დაიღუპები!.. ვეღარავინ ვერ გიშველის... მოიხსენი ეგ ნიღაბი!.. მასხარას ჩაჩიც... — ძლივსღა სთქვა, ჩურჩულით, ხმა აღარ ემორჩილებოდა, დაბუჟებულ ენას ვეღარ ატრიალებდა და ბოლოს, რატომ, რატომო? ვერც კი წარმოთქვა, მხოლოდ — ررررتتتتششش? —ამოიხროტინა, მაგრამ ძლივს წარმოთქმული, ნაჩურჩულები, მაინც მისწვდა ილიკოს სმენას — ღმერთო ჩემო, ჟორჟი, ჟორჟიო! — ჟორჟის ხმით გაფრთხილა ილიკო „პეტროპოლისმა“ და მიილია ის ერთი წუთიც, ისევ იფეთქა სისხლმა და სადღაც გაქრა, გაიპარა, უკანასკნელი ნაპერწკალი სიცოცხლისა. ჩაქრა, აღარ ფეთქავდა კეთილი გული!

იდგა ილიკო სულის მაესტროს ბიჭებით გარშემორტყმული, ნაბიჯის გადადგმის საშუალებასაც არ აძლევდნენ, ის კი ცდილობდა, როგორმე ისევ უნდა დაენახა „პეტროპოლისი“, უნდა ენიშნებინა მისთვის, მივხვდი, მივხვდი, ყველაფერს მივხვდიო! ჟორჟსაც ეძებდა მისი მზერა, ის ხმა ხომ ნამდვილად ჟორჟისა იყო — ილიკო, ბიჭო!.. მოიხსენი ეგ ნიღაბი!.. რაღას უცდი მოიხსენიო! — ისევ ჩაესმა ყურში და ილიკომაც, იმწამსვე, დაუფიქრებლად, ჩამოიგლიჯა თვალებიდან შავი ნიღაბი, მასხარას ჩაჩიც შორს მოისროლა. დაბნია ილიკოს ამ საქციელმა ჟორჟ დანტონი და სულის მაესტროს სხვა ბიჭები — აუჰ, ეს რა ჩაიდინაო! — აზრზე არ იყვნენ, რა უნდა ექნათ, ამის შესახებ ინსტრუქცია არ ჰქონდათ მიღებული, როგორ წარმოიდგენდნენ, რომ ილიკო ასეთ რამეს გაბედავდა!

ისარგებლა ილიკომ მათი დაბნეულობით, დაიღწია თავი ალყას და ხალხში შერეულმა, არლეკინის მოსასხამიც რომ მოიშორა მის გაოცებას ზღვარი არ ჰქონდა — წვეთი წყალიც კი არ სჩანდა არსად! არც თვალს ახარებდა და არც გულს აამებდა უწყალო აუზი, რა მარმარილო, რის მარმარილო! ბეტონის ჭუჭყიანი ღრმულისაკენ მიიწევდა ხალხი, ზოგი უკვე გახდილი, აუზის მსგავს ორმოში ჩასახტომად გამზადებული, ზოგიც იხდიდა, ზოგიც ტანსაცმლიანად ახტომას და აღტაცებულები გაჰყვიროდნენ, მღეროდნენ — გიხაროდეთ! გიხაროდეთ! — დროულად გადაიყვანა დირიჟორმა ორკესტრი მარშის დაკვრაზე.

— ნუთუ ვერ ხედავენ აუზში წყალი რომ არ ასხიაო?! — და ილიკომ ზევით აიხედა, აიხედა და სულ ზევით, ფანჯრის რაფაზე მდგომი, ის დაინახა, წვერებიანი, დიდი ტანჯული.

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი“...

კარნავალი კი, გრძელდებოდა, ნიღბოსანთა დიდი ზეიმი... მასკარადი!

ისევ ასაჩუქრებდა ხალხს თავისი მზერით დიდი მაგისტრი, ისევ გრიალებდა ორკესტრი — გიხაროდეს, გიხაროდეს, ჩემო ტკბილო მეგობარო! — გაშალა ფრთები დირიჟორის აღმაფრენამ, საოცრად სწრაფად იქნევდა ხელებს, ტემპი! ტემპი! კიდევ ტემპი! მეტი აღარ შეეძლო ორკესტრს, ის კი ისევ ითხოვდა და მიჰყვებოდა მას ორკესტრი, აღარ შეეძლო, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა, ეგ კი არა, ხალხიც აჰყვა, ხალხიც აიყოლია ამ გიჟურმა ტემპმა, თუმცა ბევრმა მათგანმა საკუთარი თვალით იხილა ცხენის სიკვდილით დასჯა, ყველას ხომ არ აეფარებოდნენ

გერმანეს ბიჭები, რა დააშავეო, გაუკვირდათ, დროებით გაუკვირდათ, დროებით შეაძრწუნათ ამ—ამბავმა, შეეშინდათ კიდეც, მერე კი, როცა ირწმუნეს, ჩვენ არ გვერჩიან, გადავრჩითო, ვიღაცის ნათქვამი გაიმეორეს — ღირსი იყო და დაისჯაო! — სინდისი დაიწყნარეს და აპყვნენ გიეურ ტემპს — ვიხაროდეს! ვიხაროდეს!

იგრძნო დირიჟორმა ჰიპნოზის დიდოსტატის მადლიერი შემოხედვა და აღმაფრენა გაუორმაგდა. — ფორტე! ფორტე! ფორტისიმო! — გაჰყვიროდა მთელი ხმით და მერე, როცა ოდნავ დაუცხრა აღმაფრენა, ვარლამ ბურკაძეს დაასო გამარჯვებული კაცის ღიმილი.

— ხედავ! ხომ ხედავ!.. დღეის შემდეგ, ყველა ჯილდო ჩემი იქნება! გახსოვდეს ეს, კარგად გახსოვდეს! — ნიშნის მოგებით გასძახა, თუმცა იცოდა, რომ მისი ხმა ბურკაძემდე ვერ მიაღწევდა, არც იყო საჭირო, რომ მიეღწია, ბურკაძისთვის ისედაც ყველაფერი ნათელი იყო.

— ფორტე! ფორტე! ფორტისიმო!.. „როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი...“ — ის კი ჩურჩულებდა.

ისევ მიიწევდა ხალხი აუზისაკენ, წინ გადაუდგა მათ ილიკო — შეჩერდით, ხალხო! რას აკეთებთ! ნუთუ ვერაფერს ხედავთ?! — მაგრამ არავინ იყო მისი გამგები, ამ ღრიანცელში რას გაიგებდნენ: — აუზში წყალი არ ასხია! წყალი არ ასხია! გესმით?! წყალი არ ასხია! — განუწყვეტლივ იმეორებდა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქანცგაწყვეტილმა დირიჟორმა, სულ მცირე ხნით, ორკესტრი შეასვენა, გაიგონეს მისი ხმა. გაიგონეს და წამით შეჩერდნენ, მადლობის მაგივრად, ილიკოს შეუბღვირეს, რას მიჰქარავო, ვიღაცამ კი — გიჟია, ეგ ოხერიო! — და ისევ დაიძრნენ აღტყინებულები, ისევ მიაწვნენ ერთმანეთს, ისევ აიქნია ხელები სულმოთქმულმა დირიჟორმა. — არ ასხია! არ ასხია! არც აუზია მარმარილოსი! რამ დაგაბრმავათ, ნუთუ ვერაფერს ხედავთ?! — ისევ და ისევ გაჰყვიროდა ილიკო, მართლა გიჟს ჰგავდა, თუ ვინმე არ ირწმუნებდა ახლა მის სიტყვებს, ალბათ, ნამდვილად გაგიჟდებოდა, ეჭვიც კი შეეპარა საკუთარ თავში, ნუთუ გავგიჟდიო, აბა, სხვა რა ეფიქრა, როგორ შეიძლება, ამდენი ხალხი ვერაფერს ხედავდესო. — თქვით, ხალხო! გეკვერდრებით, გეხვეწებით, დამიმოწმეთ, რომ აუზი ცარიელია! — ვიღაცას მხრებში ჩაეფრინდა, შეანჯღრია — თქვი! მითხარიო! — ახლა მეორეს ეცა, ხელს არ უშვებდა, არც გაუშვებდა, სანამ პასუხს არ მიიღებდა, ის კი, დუმდა, დუმდა, ენაგადაყლაპული იდგა და ბოლოს თავის დაქნევით ანიშნა, თვალებით მიახვედრა, მჯერა, მჯერა შენი, მაგრამ რა ვქნაო! ხელი გაუშვა მას ილიკომ, შვებით ამოისუნთქა, არ ყოფილა თურმე გიჟი, ძალა აღარა ჰქონდა, მან თავისი თქვა, ახლა უკვე ყველაფერი, ჰიპნოზით დამორჩილებულებზე იყო დამოკიდებული და ღონემიხდილი, იქვე ჩაცუცქდა, იმ, ვითომ აუზის ახლოს. მისკენ კი, ის მელოტი გამორბოდა, ღორისთვალება, ტანივით კაციც მის გვერდით იყო, გაფაციცებით დაეძებდნენ ილიკოს, მაგრამ, ბედად ჩაცუცქული, ვერ დაინახეს — ოჰ, შენი დედა...! შენი დედაო!.. ცოფმორეული აგინებდა ღორისთვალება — სად წამიხვალ, ვერსად დამეშალებიო!

„ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს...“

მერე, ვიღაცამ იმ ბეტონის ღრმულში ხელი ჩაჰყო, ყოველ შემთხვევისათვის, მაინც, და როდესაც იქიდან ხელი შშრალი ამოიღო, ახლა უკვე მან დაიყვირა — ხალხო, არ არის წყალი, წყალი მართლა არ ასხიაო! — მერე სხვებიც მივარდნენ აუზს — წყალი არ ასხიაო! — და აირია, დაირია, ისედაც არეულ-დარეული, ზოგი აუზისაკენ გარბოდა, ზოგი აუზიდან გამორბოდა — მოგვატყუეს, გვატყუებენ! მოგვატყუეს! — მუსიკოსებმაც დაყარეს ინსტრუმენტები, ისინიც გაცვივდნენ აუზისაკენ, მათაც უნდოდათ საკუთარი თვალით ენახათ შშრალი აუზი. ამაოდ

იქნევდა ხელებს დირიჟორი — ფორტე! ფორტე! ფორტისიმო! — მექანიკურად გაჰყვიროდა და ამ ყვირილს, მხოლოდ ვარლამ ბურკაძე შეეხმიანა, სხვა თუ არაფერი, ანეკდოტების მოყოლის გარდა, სიმღერაც შეეძლო, მაგრამ ახლა ძლივს წაიენავლა — ჩემო ტკბილო მეგობარო... — შესანიშნავი სმენა ჰქონდა დირიჟორს, ამ ღრიანცელში მისმა ყურმა დაიჭირა ბურკაძის წამოკნავლება — ფორტე! ფორტეო! — დაუყვირა. ვარლამ ბურკაძეს კი ისევ უბრუნდებოდა, სულთამპყრობელის სუსხიანი მზერით გაძევებული გონება, მართალია, ფორტეს გაგონებაზე მოუმატა ხმას — შენი ნახვა მენატრება! — ოღონდ მერე, როცა საბოლოოდ მოვიდა გონს და ირწმუნა, აქ რაღაც სხვა ამბავიაო, იმანაც დაიყვირა — გვატყუებენ, ხალხო! გვატყუებენო! — და ჯოხზე დაყრდნობილი, კალიასავით, ხტუნვა-ხტუნვით გაქანდა ხალხის შუაგულისაკენ. გრძნობდა, ხვდებოდა, რომ მისი საქმე შეიძლება წაღმა შემობრუნებულიყო. მისი ჩანაფიქრი მარტივი იყო, სიმართლის მთქმელად უნდა გაეაზიარებინა თავი, თუ შავი მაგიის რაინდი ისევ დაუმორჩილებდა ცისფერი სახლის ბინადართ ჰიპნოზის ძალას, მაშინ სიმართლისათვის წამებულად გაასაღებდა თავს და თუ პირიქით მოხდებოდა და სულის მაესტროს ავტორიტეტი შეერყეოდა, მის წინააღმდეგ ბრძოლაში ვარლამ ბურკაძეს ლიდერობას ვერავინ წაართმევდა, აბა, მერე კიდევ ეთქვა იმ მატრაკვეცა დირიჟორს — ხედავ! ხედავო!

დირიჟორს კი, სწამდა, რომ კიდევ ბევრი რამ იყო გასარკვევი და მართლაც, ჯერ არავინ იცოდა, თუ რა მოხდებოდა. ერთი რამ იყო მხოლოდ ცხადი, იფუშებოდა შავი მაგიის რაინდის ექსპერიმენტი, ამდენი ხნის ნაწვალები, ნაოცნებარი, საპნის ბუშტივით უნდა გამქრალიყო, სულ ცოტაღა აკლდა იმ ჟამს, როცა უკვე ყველა მიხვდებოდა, ყველა ირწმუნებდა სიმართლეს და მაშინ... მაგრამ ამ დროს, გერმანეს ამალას ტარაკანივით შავი კაცი გამოეყო დიდი ხანია ოცნებობდა დაწინაუფლებაზე, ღირსად მიაჩნდა თავი და ახლა დაუდგა დრო, დაემტკიცებინა სულთამპყრობელისათვის თავისი ერთგულება და განსაკუთრებით კი, თავის უნარი. გაქანდა შავი კაცი აუზისაკენ, გზადაგზა გაიძრო შარვალ-კოსტიუმი, ერთი შეჰყვირა მხოლოდ — გაგიჟდით, ხალხო! წყალი არ ასხია?! აბა, ეს რა არის?! — და იმ ბეტონის ღრმულში ჩახტა. თავი დაარტყა აუზის ფსკერს, წამით გონებაც კი დაკარგა, მაგრამ მაინც მოეგო გონს, ძალიან ძლიერი იყო დაწინაურების სურვილი და თავ-პირდასისხლიანებული, ფოფხვით გავიდა აუზის ერთი ბოლოდან მეორემდე. მისმა თავდადებამ, სულის მაესტროს ბიჭებს მოქმედების უნარი დაუბრუნა და აუზიდან ძლივს ამობობღებული, სისხლში მოთხვრილი, სისხლი რომ ხალხს არ დაენახა, აბანოს დიდ პირსახოცში გაახვიეს — ყოჩაღ, ყოჩაღო! და უკვე გულწასული, ტარაკანასმსგავსი კაცი, ჰაერში ააგდეს, ვიღაცამ წამზომსაც დახედა — ხალხო, რეკორდი დაამყარა, აუზის რეკორდი! ახალ რეკორდსმენს ჩვენი ვაშაო! — და მფოფხავი რეკორდსმენი, სულ ვაშას ძახილით გაიყვანეს საექიმო პუნქტში. (აქ, ოდნავ გავუსწრებთ წინ თხრობას და მოგახსენებთ, რომ დაუფასდა თავდადება ტარაკანივით შავ კაცს, გამომჯობინებისთანავე დააწინაურა გ. გერმანზოშვილმა და უფრო მეტიც, სასიყვარულო სახელი შეარქვა, „მფოფხავი“ და ისიც, თავის დიდი ნათლიის საამებლად, ამართლებდა ამ სახელს, თვითონაც უყვარდა ფოფხვა და თავის ხელქვეითებსაც აიძულებდა ეფოფხათ).

მერე სულთამპყრობელის ამალის სხვა წევრებიც ჩახტნენ აუზში, ოღონდ ისინი უფრო ფრთხილად ჩახტნენ, თავის გატეხვას გადარჩნენ და ისეთი ჟივილ-ხივილი ატეხეს, ისე აღტაცებულები გაჰყვიროდნენ — იფ! იფ! ოჰ! ოჰ! რა კარგი წყალიაო! — რომ სხვა გზა არ იყო, უნდა გერწმუნა წყლიანი აუზის

არსებობა! და ისევ ირწმუნეს, ისევ შემობრუნდნენ აუზისაკენ, ისევ გაუბრწყინდათ თვალები, ისევ დაიყვირა ვიღაცამ — წყალიო! და საბოლოოდ რომ მოესპოთ გაჩენილი ეჭვი, შავი მაგიის რაინდის ასისტენტებმა, ტექნიკა დაიხმარეს, წყლის დგაფადგუფის ჩანაწერი გაუშვეს სტერეოდინამიკებში და წყლის მომლოდინეებს, მეტიც არ უნდოდათ, ადრინდელივით გაგიჟდნენ სიხარულისგან, მერე, ილიკო მოძებნეს, ჩაცუცქული, წამოაყენეს და ერთმა, სწორედ იმან, თავის დაქნევით რომ ანიშნა ილიკოს, მჯერა შენიო, მუშტი უთავაზა ცხვირ-პირში — ასეთი ხალხია ხელს რომ გვიშლიან, არაფრისა არ სჯერათ, არაფერი სწამთო! — ამ დროს მელოტმაც დაინახა ილიკო და დრო რომ არ დაეკარგა, შორიდანვე ესროლა თოკი ხალხს — გაკოჭეთ ეგ ვირიშვილიო! — თვითონ კი,, ტახივით კაცს გადაუდგა, ლოპრმორეული რომ მიიწევდა ილიკოსკენ — ჯერ არა, ჯერ არ შეიძლება, ჯერ უნდა ავალაპარაკოო! — და გაკოჭეს ილიკო, თანაც ურტყამდენ გამეტებით — აქეთ მოაბრძანეთო! — ბრძანა მელოტმა და ნაცემ-ნაბეგვი, გულწასული, ხელ-ფეხშეკრული, „პეტროპოლისის“ გვერდით მიაგდეს.

„ილაპარაკეთ, გეევდრებით... ოღონდ ქართულად... ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ...“

კარნავალი კი ისევ გრძელდებოდა, ნიღბოსანთა დიდი ზეიმი... მასკარადი!

და დადგა ჟამი, აუზში ჩახტომის ჟამი!

და ჩახტნენ აღფრთოვანებულ-აღტაცებულები! ჩახტნენ და თავები დაიხეთქეს, ცხვირ-პირიც ჩაილწეს, ნეკნებიც, რაღა თქმა უნდა, კბილების ცვენას ხომ თვლა არ ჰქონდა!

— თვალს ახარებს და გულს აამებსო! — და მელოტმა, ღორისთვალებამ, ლოპრმორეულ, ტახივით კაცს მხარზე შემოჰკრა ხელი — მოემზადე, მგონი ჩვენი დრო დგებაო!

ისინი კი ისევ ხტებოდნენ, აწყდებოდა ერთმანეთს ხალხი, ჩახტომილები უკან ვეღარ ამოდიოდნენ, მაგრამ ამას... აბა, ყურადღებას ვინ მიაქცევდა და დანარჩენები მაინც ხტებოდნენ, ხტებოდნენ და უხაროდათ, ხელსაც კი ჰკრავდნენ ერთმანეთს, ზოგი ხუმრობით, ზოგი ჯიბრით და ხდებოდა საოცარი რამ, მეორედ მოსვლა იყო ნამდვილი, აირია ერთმანეთში აღტაცებული შეძახილები, კივილი, კვნესა და დადგა სუნი, სისხლის სუნი, ის, ვითომ აუზიც ნელ-ნელა ივსებოდა, წყლით არა, სისხლით ივსებოდა!

„როგორმე...“

ხელი ასწია ჰიპნოზის დიდოსტატმა — კმარაო! — აღარ იყო აუზში უკვე ადგილი და უმალ ყველა გაირინდა, მადლიერებით სავსე მზერა მიაპყრეს სულის მაესტროს. სხვა დროს, მსგავს შემთხვევაში, ის ყოველთვის თავის მომხიბლავ ღიმილს აფრქვევდა მარჯვნივ და მარცხნივ, ახლა კი სახემოღრუბლული იდგა და ღიმილს ვინ ჩივის, სუსხიან მზერასაც არ იმეტებდა. უკმაყოფილო იყო სულთამპყრობელი, ისინი, ვინც ახლა თვალებში შესციცინებდნენ, ყოველთვის ასე იქცეოდნენ, პირველად არ ხდება ასეთი რამ და, ალბათ, არც უკანასკნელად, სხვები სჭირდებოდა შავი მაგიის რაინდს, სხვათა სულები! ისინი კი...

„როგორმე ზამთარს“...

„ზომების მიღებაა საჭირო, რომ მერე...“ — ფიქრიც ვერ მიიყვანა ბოლომდე დიდმა მაგისტრმა, რომ იმწამსვე, საიდანღაც მსტოვრებიც გაჩნდნენ. ხუთად ხუთი მსტოვარი ჰყავდათ, მაგრამ ახლა ამ ხუთს, ხუთჯერ ხუთი მოხალისე დაემატა და აღმოაჩინეს, საკმაოდ ბევრი ვინმე აღმოაჩინეს, ვინც თურმე..!

...და მოიტანა ჩიტმა ამბავი, ამბავი არც თუ ისე სასიხარულო — თურმე, თურმეო!.. — ელვის უსწრაფესად გავრცელდა ეს ხმა ნიღბოსნებში (ძალიან გთხოვთ, არ დაგავიწყდეთ, კარნავალი მიმდინარეობს, ისევ, აბა!).

— გაიგეთ, თურმე!..

— ჩიტმა მოიტანა ამბავი!..

— როგორ, არ გჯერა?!.

— არა, როგორ არ მჯერა, მაგრამ...

— რა მაგრამ?! ვერ გაიგე?! ჩიტმა თქვა, — თურმეო!

— რადგან ჩიტმა თქვა!..

და ხუთჯერ ხუთს, კიდევ, ათჯერ მეტი მოხალისე დაემატა.

აუჰ, თურმე!.. თურმე მართლა ბევრი რამ ხდება ამქვეყნად, ძმაო ჰორაციო!

— ხედავ, თურმე! — შავი მაგიის ყველა ორდენის კავალერმაც დაიჯერა ჩიტის მოტანილი ამბავი — არა, დანამდვილებითაა საჭირო ზომების მიღება! დრო მოვიდაო! — და სასწრაფოდ იხმო ბუხუტი, დიახ, დიახ, ის! სამთითა, ანდაზების დიდი მცოდნე და მოყვარული. — აბა, შენ იცი, ჩემო კარგო, ბიჭები დროულად შეაგროვეო!

თვალები გაუბრწყინდა ბუხუტის — ჩემო კარგოო! — ასე, ასე მიმართა დიდმა მაგისტრმა, ო, რა ბედნიერი იყო ამ წუთში! სრულ მზადყოფნაში მოვიდა მისი სხეული, მუშაობას მონატრებული ყველა კუნთი აუთამაშდა, ის სამი თითიც აექავა და დაუყოვნებლივ შეუდგა ამ მეტად საპატიო დავალების შესრულებას. ყველაზე ადრე ერვანდი გამოიძახა, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ნაწყენი იყო (ხომ გახსოვთ — ოჰ, მე შენიო!.. — ერვანდმა რომ გაუბედა, იპოდრომზე.), მაგრამ ასეთ დროს პირადი წყენა რა მოსატანია, მთავარი საქმეა და საქმეში კი, ერვანდი შეუდარებელი იყო. ასეთ საქმეებში, ასევე ნაცადი და გამობრძმედილი, ჩვენი ნაცნობი მელოტი იყო, ღორისთვალება და ერვანდზე ადრე, რომელიც დარბაზის შორეული კუთხიდან მოდიოდა, ბუხუტის გვერდით ის ამოუდგა.

— რობინზონ, ბიჭო, აღარ დაბერდი? — გაუღიმა, არ დაიშურა მისთვის ღიმილი სულთამპყრობელმა.

— არა, მაინ შეფ! — ლარივით გაიჭიმა მელოტი და სიხარულისგან თავი ისე აულაპლაპდა, რომ ბუხუტის მისი თავიდან ასხლეტილმა სხივებმა თვალები მოსჭრა.

— კარგი, დაწყნარდი, ჩემო გენერალო! მე მჯერა შენი! — ისევ გაუღიმა სულის მაესტრომ და რობინზონს. პრიალა, მონიკელებული, ლამაზტარიანი ჩაქუჩი სტყორცნა. — აბა, ვნახოთ, კიდევ თუ შეიძლება ერთი დარტყმით?!. გინდა სანაძლეო?

ჰაერში დაიჭირა რობინზონმა ჩაქუჩი, მერე ხელში შეათამაშა და მძლავრად დაიქნია, ოსტატურად ხმარობდა ჩაქუჩს, მხოლოდ მაჯას ატანდა ძალას.

— გამოცდილია ეგ მამაძაღლი, მომიგებს სანაძლეოს, — გაიფიქრა ჰიპნოზის დიდოსტატმა და მათკენ მომავალ ერვანდს ხელის აწევით მიესალმა. მალე მათ ტახვით კაციც შეუერთდათ.

— ალბერტო, ხომ გითხარი, ჩვენი დროც მოვაო, გული მიგრძნობდა! — გადახვია ხელი რობინზონმა კეფაში სროლის ოსტატს.

— ხუთს რომ ოთხი გამოვაკლოთ, ჩემო ალბერტიკ, რამდენი იქნება? — ხუმრობის ხასიათზე დადგა დიდი მაგისტრი.

— რამდენი და...

— გეხვეწებით, არ უკარნახოთ! — სთხოვა ბიჭებს სულთამპყრობელმა, თან იცინოდა.

— რამდენი და... — ფიქრობდა და ვერა ხვდებოდა ჩვენი ალბერტო.

კარნავალი კი, თურმე ისევ გრძელდებოდა!.. ჩიტის ნათქვამიც არ გაუგონიათ. — რაღაც მოხდებაო! — უბრძანებია ჩიტს გაფრენის წინ, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, რადგან სწორედ ამ დროს გაუღიმა მოტვლეპილთავიან გენერალს დიდმა მაესტრომ და ამ ღიმილის საკუთარი თვალით მხილველები, ჩიტის ნათქვამს, აბა, როგორ გაიგონებდნენ?! თანაც, ვალსს უკრავდა უკვე ორკესტრი, ვალსი კი, სულ სხვა რამ იყო, ვალსის ჰანგებზე კაბეები მოგოგმანობდნენ, წესი იყო ასეთი „ცისფერ სახლში“, ყოველ კარნავალს კაბეების სტუმრობა ამშვენებდა და ახლაც ყვილ-ხვილით შემოცვივდნენ, ზოგი სანახევროდ გახდილი იყო, ზოგიც სულ მთლად შიშვე-

ლი, გაპუნტულებული ძუძუებით უხმობდნენ წესიერებს, ეს ჯილდო იყო წესიერთათვის, ხოლო უწესოებს შორიდან აყურებინებდნენ იმას, რასაც წესიერები კახპებთან სჩადიოდნენ, რომ მერე, სხვა დროს, უმსგავსად აღარ მოქცეულიყვნენ. გაიხარეს წესიერებმა, თავგატეხილებს, უმალ თავები გაუმთელდათ, ჩალეწილი ნეკნებიც თავების მსგავსად და ყველა კბილმაც, აუზის ფსკერზე მიმოფანტულმა, სულ ფრენა-ფრენით მიაშურა თავის ადრინდელ ადგილსამყოფელს. და აცეკვდნენ წესიერები, ვალსის ჰანგზე, კახპებთან ერთად, მათ ხომ ჯერ კიდევ ჰქონდათ დრო! ვარლამ ბურკაძეც გაახარა კახპების მოსვლამ, თუმცა იცოდა, რომ ამჯერად, თავისი შეცდომის გამო, კახპის გარეშე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ის ახალი აზრის აღმოცენებამ გაახარა, სანამ სიმართლისათვის წამებულად გაასაღებდა თავს, კიდევ ერთხელ გადაწყვიტა ბედის გამოცდა — კახპებს ვამღერებ სულთამპყრობელის საამებლადო — და მისმა მოქნილმა ტვინმა ძალიან სწრაფად შეთხზა გერმანე დიდის სადიდებელი ორატორია: ყველა კაცი მართლა კაცი როდია, ძლივს, გაჭირვებით ახერხებენ იმის კეთებას, რამაც უნდა აგვაკვნესოს ქალები, მაგრამ სულ სხვაა ჩვენი სულების მბრძანებელი, ოჰ, რა კარგია, რომ იცოდეთ, ოჰ, რა კარგია! დიდი მადლობა, დიდო მაგისტრო, რომ გვაკვნესებ და გვაკვლებ კიდეც!!! — მოეწონება, ნამდვილად მოეწონება სულთამპყრობელსო — და ამ ახლად დაბადებულმა იმედმა, ვარლამ ბურკაძეს, თავის ხის ფეხის არსებობაც კი გადაავიწყა.

და ისევ სუფევდა მხიარულება, კახპებს ინაწილებდნენ წესიერები, მხოლოდ ილიკო ეგდო ხელ-ფეხშეკრული, უგონოდ, სისხლისაგან დაცლილი „პეტროპოლისის“ გვერდით.

ჯერ კიდევ იყო დრო!

— რამდენი და...! — ისევ წვალობდა ტახივით კაცი, ჩვენი ალბერტო.

— მაინ შეფ! — ხელი წინ გაიშვირა მელოტმა რობინზონმა, — შეიძლება, მე შევეკითხო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი დაუქნია უკვე საბოლოოდ კარგ ხასიათზე დამდგარმა ბატონმა გერმანემ.

— ალბერტიკ, ბიჭო! ხუთი ტყვია გიდევს შენს რევოლვერში, წინ კი ოთხი კაცი გყავს წაწვენილი, როცა იმათ გასაღებ, რამდენი ტყვია დაგრჩება?

— რამდენი? რამდენი და ერთი! რა კითხვა უნდა?

ტაში შემოჰკა რობინზონმა, დიდი მაგისტრი კი ლამის ჩაბჟირდა სიცილისაგან. — ასე, ხომ გაიგეთ, ჩემო კარგებო, ხუთს რომ ოთხი გამოვაკლოთ, იქნება ერთი! ჰოდა, ჩვენც ახლა ერთი კაცი გვაკლია და ის ერთი... — აქეთ-იქით მიმოიხედა — აი, ის ერთიც! — და ხელი, მათკენ სირბილით მომავალ ინდიკოსაკენ გაიშვირა.

დროზე მოასწრო მოსვლა ინდიკომ და დადგნენ მწკრივში, ბუხუტი, ერვანდი, რობინზონი, ინდიკო და ალბერტო დიდი მაგისტრის ნიშანს ელოდებოდნენ. და აჰა, დაიქნია ხელი სულთამპყრობელმა, დაიქნია და... ჯარასავით დატრიალდენ ბიჭები.

„როგორმე ზამთარს თუ გადავუჩრი...“

და საიდანღაც მოცუნცულდა თაგვი, პირში ბალახი ჰქონდა გაჩრილი ჩვეულებრივ, თაგვისფერ თაგუნიას. (გენიოსი გახლდათ მედიცინის დოქტორი ბატონი გერმანე, ნამდვილი გენიოსი, აბა, გენიოსი რომ არ ყოფილიყო, ისე თაგვი როგორ გაახსენდებოდა?) თაგვმა ბალახი მიუს-მოუსვა სახეზე ჩვენს ილიკოს და ისიც უმალ მოვიდა აზრზე, ამის შემდეგ კი თაგუნიამ, იმ თოკს დაუწყო ღრღნა, ილიკოს ხელებს მოქმედების უნარს რომ უსპობდა და სანამ ის თავის კეთილშობილურ საქმიანობას მოათავებდა, ვაი, რამდენი, რამდენი რამე მოხდა რომ იცოდეთ?! (ხმამაღლა კითხვის დროს ეს ფრაზა ისე უნდა გამოითქვას, როგორც ამას ჭორიკანა გოგონები ამბობენ).

მაინც რა მოხდა?

ისეთი არაფერი... ისევ გრძელდებოდა კარნავალი, ნიღბოსანთა ზეიმი აპოგეას უახლოვდებოდა! ყურისწამღები ხორხოცი იდგა, კახპებთან ნებივრობდნენ წესიერები და ამ ხორხოცში, ამ ვნებიან გმინვა-კვნესაში, აღარავის ესმოდა სხვა გმინვა-კვნესა, სულ სხვა!

— არსენ, მიშველე!

— ასოში ჩააბი თოკი, ასოში!

— ასოში? რაო?!. ჰა! ჰა! ჰა! ინტელიგენტი გახდი, ვირიშვილო?! ასოში კი არა, ... ჩაابი!

— მიდი, მოკაჩე! ასე! ასე!

— არსენ! სადა ხარ, ბიჭო?!. მოდი მიშველე, გეხვეწები, გემუდარები! ბიჭო, არსენ! სადა ხარ? სად?!

— მიდით, ბიჭებო! აბა, რა ეგონათ მაგ შობელძაღლებს!

— ტიტე, ძამიკო!

— ერთი! ორი! ერთი! ორი!..

— იმღერე შე ძაღლისშვილო!

—Люди гибнут за металл!

— შამფური ჩქარა!

„ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს“...

— არსენ, ბიჭო, ნუთუ არაფერი არ გესმის?! სადა ხარ? სად?! მიშ...

— ბახ! ბახ! ბახ!

— ყოჩაღ ბიჭებო!

— მე რაღას მერჩით, ბიჭებო? ვერ მიცანით?.. მე ხომ ჟორჟ დანტონი ვარ!

— გიცანით, გენაცვალე, როგორ ვერ გიცანით, მაგრამ ბევრი რამე იცი, ჯიგარო და, სჯობია რომ არ იცოდე! ბახ! ბახ!

— ბიზეც მოძებნეთ!

ყვირილი უნდოდა და ვერ ყვიროდა! ვერ ყვიროდა!

„ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი“!

— ბახ ! ბახ! ბახ!

— „საცაა გავა მატარებელი“...

„აი, მიიღე ჩემგან ეს მინდვრის ყვავილები...“

და გრიალებდა ორკესტრი ისევ!

და ჯარასავით ტრიალებდნენ ბიჭები ისევ!

„ქალაქში, მტვერში...“

და უყურებდა დამსხვრეულ ჭიქას!

„დღევანდელი დილა იყო ვარდისფერი, ვარდისფერი...“

და ისევ ვედრება, ისევ მუდარა...

„იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით“...

— ჩვენ ხომ ჩინოვნიკები არა ვართ!

„ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები“...

— ერთი! ორი! ერთი! ორი!

არა! არა! ათასჯერ არა!

მატლკამპი!.. ლოპი!.. ლოპრი!.. ლუსკუმა!..

მარადღამე!

„ეს სახლი მაგონებს დაწყევლილ სამარეს“...

ის ზღაპრული პოემაა...

კნიაზ-ლიბერალები...

და ისევ ბოთლი! ბოთლი! ბოთლი!

აბა, სხვა რა?!

ერთი! ორი! ერთი! ორი!

არა! არა! არა! მილიონჯერ არა!

— ბიჭო, არსენ, არა გრცხვენია! სადა ხარ? სად?!

— ნელა შე ვირიშვილო, არ მოაგლიჯო!

— შამფური!

— მაინც გიცანი!

— ჩახრუხაძე და შავთელი!

— ტიტე, ძამიკო!

და ტრიალებდნენ ჯარასავით: ბუხუტი, ერვანდი, რობინზონი, ინდიკო, ალბერტო და კიდევ, სხვა წვრილფეხობა.

თურმე!..

თურმე ყველაფერს აქვს დასასრული და ჩვენი მოთხრობაც მიუახლოვდა დასასრულს, თუმცა ადრეც შეგვეძლო მისი დასრულება, მაგრამ ილიკომ არ მოგვცა ამის საშუალება, თვითონაც არ მოისვენა და ჩვენც არ მოგვასვენა. რა უნდოდა, ყველაფერი თითქმის მოგვარებული ჰქონდა, ყოფილიყო თავისთვის, დაეჯერებინა მეგობრებისთვის, ნათესავებისთვის, პატივისცემა არ აკლდა და დაფასება, ალბათ, ოჯახსაც შექმნიდა მათი დახმარებით და იცხოვრებდა მშვიდად, აუღელვებლად, ისე, როგორც თითოეული ჩვენგანი ცხოვრობს, მაგრამ არა, ვერ შეიშნოვა, ბა-

ტონო, რაღაც-რაღაცები არ მოსწონდა, რაღაცას ეძებდა, წრიალებდა, სულელური სიზმრები ესიზმრებოდა და ხომ ხედავთ, სადამდე მივიდა, კინაღამ თავი წაიგო, კიდევ კარგი, რომ, თაგვი მოევლინა მხსნელად, თორემ...

თორემ!..

„დაჭრილ ირემს ცრემლები სდის...“

თურმე, ერთხელ, ბავშვობაში, ილიკოს ხაფანგში გამომწყვდეული, პატარა, თაგვისფერი თაგუნია გაუშვია.

და თურმე, სწორი ყოფილა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არასოდეს კარგავს.

თურმე მაშინ, გადარჩენილმა თაგვმა დაიფიცა, რომ, თუ ოდესმე ილიკოს რამე გაუჭირდებოდა აუცილებლად დაეხმარებოდა და მისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებდა, მაგრამ ვერ შეასრულა თავისი ფიცი, რადგან მაშინ, ილიკოს დახმარება არ სჭირდებოდა და იმ თაგვმა, სიკვდილის წინ, ფიცის შესრულება თავის უფროს შვილს თხოვა, იმან კიდევ თავის შვილს და გადადიოდა ეს ფიცი თაობიდან თაობაზე, სანამ... არ დადგა ჟამი.

თურმე თაგვებს ძალიან უნდოდათ რომ სანთელ-საკმეველს თავისი გზა არ დაეკარგა!

თურმე ილიკოს მხსნელი, პატარა თაგვისფერი თაგუნია, იმ თაგვის, შვილიშვილის შვილიშვილის შვილიშვილი ყოფილა.

აბა!

და გაღრღნა ხელ-ფეხის შემბორკავი თოკი თაგვმა, გააცავისუფლა ილიკო და ორი ღერი ბალახი მისცა, ეს ბალახი ცხენს მოუსვი ჭრილობაზეო, სავარცხელიც მიაწოდა, ალბათ იცი ამის ხმარებაო და ბოდიში მოუხადა, მაპატიე, სალესი ქვა და წყლით სავსე ბოთლი რომ ვერ მოგიტანე, მაინც თაგვი ვარ, სუსტი, უღონო და ვერ ვზიდეო, მადლობაც არ ათქმევინა, რა საჭიროა, მთავარი ხომ სანთელ-საკმეველიაო და ამის თქმაზე გაუჩინარდა.

ბიჭები კი, ჰოჰოჰოჰო, რას ტრიალებდნენ! ოსტატურად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს, არც აღმაფრენა აკლდათ და არც ფანტაზია, ისინი ხომ ქართველები იყვნენ!

უყურებდა მათ ილიკო და არ სჯეროდა, მათი ქართველობა არ სჯეროდა,

— როგორ? რანაირად? დავიჯერო რომ ისინი ქართველები არიან?! ნუთუ ეს ასეა?! და თუ მართლა ასეა, აღარ მინდა ქართველობა, მრცხვენია რომ ქართველი ვარო!

ღმერთო, ეს რამ აფიქრებინა!

ამის გაფიქრებაც კი მკრეხელობა იყო, დიდი მკრეხელობა და შერცხვა ილიკოს, უმალ უარყო, მოიცილა, ძალზე საშიში ფიქრი, თორემ ეს რომ დაეჯერებინა, მაშინ ხომ სიცოცხლე ჩალადაც არ ეღირებოდა და დაიჩოქა ილიკომ, მშობლიურ მიწას დაუჩოქა, წინაპართა აჩრდილებს სთხოვა პატიება — გთხოვთ მაპატიოთ და მომცეთ ძალა, რომ დავიყვირო, ყველას გასაგონად დავიყვირო, ყველას გავაგებინო, დიდს და პატარას, სულიერსა და უსულოს, მთებს, მდინარეებს, ხეებს, ბალახებს, ყველას — ისინი არ არიან ქართველელები! განა შეიძლება ისინი ქართველები იყვნენ!

„ილაპარაკეთ, გევედრებით... ოღონდ ქართულად... ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ... “

დრო იყო უკვე, ბალახს ეამბორა ილიკო და „პეტროპოლისს“ ჭრილობებზე მოუსვა, მოუსვა და მოხდა სასწაული, გაახილა ცხენმა თვალები, ნატყვიარმაც შეიკრა პირი და გააცოცხლა ცხენი, მძლავრად დაიფრუტუნა, წამოიწია და ამაყად, ისე, როგორც ადრე სჩვეოდა შემართა თავი.

თურმე შეიძლება მკვდრის გაცოცხლება!

ზურგი მიუშვირა ილიკოს „პეტროპოლისმა“ და როცა ილიკო შეიგრძნო ზურგზე, სიხარულისგან ამღერდა ცხენი — ხიდისთავს შევკრათ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანიაო! — აჰყვა ილიკოც სიმღერაში, მერე, საიდანღაც

ზურაბ კანდელაკი
ბევრი რამ ხდება, ჭორაციო...

სხვებიც შეეხმიანნენ და ისეთი სულიერი სიმტკიცით იყო დამუხტული ეს სიმღერა, ისეთი ძალა იყო ჩაქსოვილი, ისეთი დიდი გრძნობა, რომ კედლებმა ვეღარ გაუძღეს, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და სანამ ძალით დაანგრევდა მათ ეს სიმღერა, თვითონვე მიიწ-მოიწიეს, ბუზღუნით მოშორდნენ ერთმანეთს და გამოაჩინეს სივრცე უკიდეგანო. ილიკოსაც ხომ, სხვა არაფერი უნდოდა, ჰკრა დეზი ცხენს და გაფრინდა ცხენი!

— ადრე თუ გვიან! ადრე თუ გვიან! ხომ ვამბობდიო! — შეჰყვირა გახარებულმა ჟორჟმა, ილიკოს ჟორჟმა, კოლხიდელმა, კაცი ვერ იტყვის საიდან გაჩნდა, მაგრამ სიხარული ვინ დაიცადა — ბახ! ბახ! წამსვე გაჩნდა მის სიახლოვეს ტახივით კაცი და ჟორჟი, კეთილი ჟორჟი, ამდენი ხნით გაუჩინარებული, ძლივს რომ გამოჩნდა, უსულოდ ჩაიკეცა. ეჰ, ჩვენც გვწყდება გული მისი სიკვდილით, მაგრამ მას კი ნამდვილად ვერ გავაცოცხლებთ, რადგან თაგვი, ის თაგვისფერი თაგუნია, სადღაც გაუჩინარდა და დრო არ გვყოფნის მის მოსაძებნად, ოჰ, ეს წყეული დრო!

— მდევარი! მდევარი ჩქარა! — იღრიალა სულის მაესტრომ და მდევრებიც უმალ ამხედრდნენ, ცხენებზე არა, მოტოციკლეტებზე ამხედრდნენ, მათ ხომ, რეაქტიულძრავიანი მოტოციკლეტები ჰყავდათ, და აღრიალდა ერთდროულად ხუთი ძრავა რეაქტიული.

გამოედევნენ, რაღა თქმა უნდა, დიდი მაგისტრის ხუთი ერთგული ბიჭი გამოედევნა:

ბუხუტი, ერვანდი, რობინზონი, ინდიკო, ალბერტო!

თურმე ისევ ცოცხლობდნენ ვიღაცვიღაცების გულში!

და ისროლა სავარცხელი ილიკომ!

და გაჩნდა მის უკან გაუვალი ტყე!

და შეასკდნენ ხეებს, დამუხრუჭება ვეღარ მოასწრეს!

ნუთუ ისევ გაცოცხლდებიან?!

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...

ზღაპარს დაემსგავსა ჩვენი მოთხრობა და, ვინ იცის?!

იქნებ?

ო, არა! არა!!

ან მაინც, იქნებ?!

„ჩავუხტეთ მუხრან ბატონსა თავს დავანგრიოთ ბანია!..“

— „არა, მაინც დიდი ბედნიერებაა, რომ ქართველი ვარ!“ — გაიფიქრა ილიკომ.

ამ დროს კი, სადღაც, სცენაზე, რომელიმე ქვეყანაში, რომელიმე ქალაქში, რომელიმე თეატრის რომელიღაც მსახიობი, კარგი ან ცუდი, ალბათ, აუცილებლად გაჰყვიროდა სცენიდან — „დაჭრილ ირემს ცრემლები სდის, ნუკრი ცქრიალებს, რა ვუყოთ, რომ ეს ქვეყანა ასე ტრიალებს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან: „ჭრილობები“

●

მზის ნამტვრევია ეს კოცონი,
რომ ვეხვევით,
რომ ვამშვიდებთ ხელისგულებით,
ლოცვებს რომ ვამბობთ იმის თვალწინ,
რომ ვღიღინებთ ძველ საგალობლებს,
რომ შევტირით გრძელ ღამეებში...

სითბოს ერთი წვეთისათვის
ხელს რომ ვუშვერთ მთელი სიცოცხლე!

●

დრო ყველაფერს შლის: დავიწყების
ბურუსში ახვევს,
მაგრამ ვერაფრით ვერ წაშალა
და ვერაფრით ვერ ამოალო
კავკასიონის მყინვარებზე წარწერილი
მათი სახელი —
ვინც სიკვდილი ამჯობინა,
ვინც შავეთის ტყვია არჩია
ამ მონურ ლუღლუღს,
პირქვედამხობილს...

დრო ყველაფერს შლის:
გზაც წაშალა,
კვალიც წაშალა...
მაგრამ ვერაფრით ვერ წაშალა მათი
სახელი.

●

პოეტის ცხოვრება
კალაპოტის უარყოფაა:
იმ მდინარეს ჰგავს,
ყოველდღე თავისთავს ხელიდან რომ
უსხლტება,
ყოველდღე თავისთავს რომ გაურბის...
და
ყოველდღე თავისთავს რომ ეკარგება...
და
ყოველდღე რომ ბრუნდება
ისევ უკან,
როგორც პირმშო უპოვარი, სულმთლად
ლატაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც ბედნიერი იყო
ის ჩარგლელი გუთნისდედა,
ქუთუთოჩამოხეული,
რომ ამობდა: გულზე მჭირს სამი
იარაო...

ეხლა ჭრილობებს ვეღარ დაითვლი:
ყოველი ხმა ჭრილობაა.
ყოველი სიტყვა ჭრილობაა.
ყოველი დღე ჭრილობაა, განუკურნელი.

და უთვალავი ჭრილობები
დედამიწაზე.
და უთვალავი ჭრილობები
კაცის გულმკერდზე.
და უთვალავი ჭრილობები
ცის სივრცეებში...

დედამიწის ჭრილობებს ღამეები
ფარავენ.
წყალი ფარავს. ბალახი ფარავს...
ცის ჭრილობებს ღრუბლები ფარავენ.
ხოლო კაცის ჭრილობები ვერაფერმა
დაფარა.
ხოლო კაცის ჭრილობები თანდათან
ღრმავდება.

და ვერაფერმა ვერ დაფარა.
და ვერავინ ვერ განკურნა.
და ვერავინ ვერ მოარჩინა.
მიწამ არ აღმოაცენა ის ბალახი,
ჩვენს ჭრილობებს რომ უშველიდა.

ყოველი ხმა ჭრილობაა.
ყოველი სიტყვა ჭრილობაა.
ყოველი დღე ჭრილობაა...
და სუყველა
და სუყველა
და სუყველა განუკურნელი!

მტკაველ მიწასაც ვერ იპოვი,
შემოდგომით ყვითლად დაცრემლილს,
რომ თავი მისდო და ჭრილობები
თუნდაც წამით გადაივიწყო...

მიწასაც თავისი ჭრილობები აკვნესებს.
ხესაც თავისი ჭრილობები ამტვრევს.
ბალახსაც თავისი ჭრილობები ახმობს.

და ეხლა
ვინმე
გულზე ხელისდადებით რომ
მოგესალმება;
იმიტომ, რომ ყველაზე ღრმა ჭრილობას
იფარავს...

მხოლოდ საკუთარ კედლებში და
საკუთარ ფიქრში
რჩება კაცი
ველის მდინარესავით შიშველი.

და მაშინაც ათას რამეს იგონებს,
რომ თავისი ჭრილობები გადაივიწყოს...
რომ თავის ტკივილს
როგორმე კარი გამოუჯაროს:
გარეთ დატოვოს,
ხოლო თვითონ შიგნით დარჩეს
თავისუფალი.

მაგრამ ტკივილის მიტოვება ვერავინ
შესძლო:
ის უსხლტება ყველა ჭურჭელს,
ყველა სიმაგრეს —
მოჟონავს კედლების ძველისძველი
ჭრილობებიდან,
მოდის მიწის ნახეთქებიდან...

და ყოველი დღე ჭრილობაა,
პირგახსნილი, განუკურნელი...

ამდენ ჭრილობებს როგორ დაფარავს
ორი ხელით
ადამიანი!

და ზოგჯერ მთების ბალახს იფენს
ჭრილობებში,
რომ სულ წამით შეაჩეროს
სისხლის დენა განუწყვეტელი.

ზოგჯერ
კანცელარიის ქაღალდს იფარებს,
ქაღალდს, რომელსაც ზედ აცხია,
როგორც მალამო,
მელანში არეული სიტყვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელანში გახსნილი ხმა,
მელნით შეზავებული ქვითინი.

ზოგჯერ პოეტებიც ასე ფიქრობენ:
რომ ეს ძველისძველი მალამო
მოარჩენს თითქოს იმათ წყლულებს,
იმათ ჭრილობებს.

მაგრამ არავინ არ შემხვედრია
მე ამ გზაზე
განკურნული და
ჭრილობებგამოკერილი!

დრო ღრმავდება და ჭრილობებიც
ღრმავდება...
დროს მარტოდმარტო იგი ჰკარგავს,
საშველს ვინც ეძებს!

ყოველი ხმა ჭრილობაა,
პირგახსნილი,
განუკურნელი.

და როცა შენს სიყვარულს უკან
აბრუნებენ,
ისე ხელაღებით,
თითქოს სხვა გზით მიდიოდეს,
მხარაქცეული —
მხოლოდ იმიტომ,
რომ საკუთარ ჭრილობებში არ
ჩაგახედონ...

თვალი რომ არ მოჰკრან
შენს პირისახეს,
შემზარავი სახილველით
ორადგაპობილს.

მე ხომ მჯეროდა,
თითქოს სიტყვა, შენზე ნათქვამი,
სიმღერა იყო და სიზმრებში
მოჟონავდა,
დაუვსებელი...

მაგრამ დღეს ვხედავ:
რომ ჩემი ხმა ჭრილობებად აჩნია
სივრცეს...
და შენს სიზმარსაც ჭრილობებს
მატებს...

წყლის ამბავი ხომ მოგეხსენება:
უმიზნოდ რომ შეჰყეფს მთაგორებს
და კლდეებსაც უმიზნოდ რომ
ეტოტავება.

განა სიტყვაც ამ გზას არ ადგას?

წყალიც იყო და...
ყველაფერი წყალს მიემატა.

პოეტის სიტყვას
ოქროდ აქცევს მხოლოდ წერტილი,
რადგან წერტილია ყველაზე უფრო
მძიმე ამოკვნესა,
რადგან წერტილია ყველაზე უფრო
მძიმე ალაგი,
რადგან წერტილია ყველაზე უფრო
მძიმე ჭრილობა.

წერტილში არის შემკვრივებული
პოეზიის ადგილის დედის სიყვარული.
და ვინც ამ გრძნობას გაურბოდა მთელი
სიცოცხლე,
ის ვერ იშოვნის
ერთ წვეთ მელანს წერტილისათვის.

წერტილია ყველაზე უჩინარი
და ყველაზე ღრმა ჭრილობა,
ყველაზე ხანგრძლივი გაჩერების ალაგი,
სადაც უნდა იდგე
მომდევნო ქარის ამოვარდნამდე...

ასე იქცეოდნენ მამაცი პოეტები:
დუელში მონაწური სისხლით იბანდნენ
ყველაზე სამარცხვინო ჭრილობებს...
ბოლო წერტილსაც ტყვია სვამდა და
სისხლი იყო
რაც იმათ გზაზე კვალსა ტოვებდა.

რამდენი ყივჩაღია ამქვეყანაზე:
ზოგი შეიძლება მუხრანის ბოლოს
შემოგეყაროს,
ზოგიც — რომელიმე სხვა გზის
ნაპირას.

აქ ვერ გიშველის
მოლაპარაკების მაგიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო სიტყვა მაინც ხმალს ეკუთვნის!
ვაჰ, ცოლსა ცუდის ყმისასაო —
ეს სიტყვები ძველისძველი
ჭრილობებია.

და იმათ
მხოლოდ ხმალის ელვა თუ განკურნავს,
ჩაუქრობელი.

ჯილდოებს აღარ არიგებენ
ბოთმინებისთვის.
შენ კი ამდენი მოთმინება
ვინ გიანდერძა,
ვინ დაგიტოვა ამდენი შხამნარევი
ბალახი —
ამ ძველ გზაზე გავლილ ყივჩაღს
პურმარილით რომ ეგებები;
ხოლო იმას თვალი შენი ცოლისაკენ
უჭირავს...

როგორ დაკარგე შენ მგლის სუნი,
რომლის შიშით
შენს ბილიკზე
სხვა ნადირი ვერ გაივლიდა!

შენი სისხლია
ქვეყნად
ყველა ცოდვის გამწმენდი...
შენი სისხლია
ამ სამყაროს
ძვლებს რომ რეცხავს
და მწიკვლს აშორებს...

ხოლო დრომ სისხლიც გააჩერა
და უკვდავი მდინარის მოთქმაც...
და ორივე დაჭაობდა
და ორივე ტბას დაემსგავსა...

დაე, ადუღდეს შენი სისხლი,
შხამშერეული!
დაე, ადიდდეს ეს მდინარე
და წაბილწულ სანაპიროს გადაუაროს!

და უთვალავი ჭრილობები:
დავიწყების ლურჯი ხავსი რომ ვეღარ
ფარავს...
და უთვალავი ჭრილობები:
პირგახსნილი, განუკურნელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური მოტივებიდან

თოვლიანი მთა დავტოვე,
გზა დავტოვე ნაბუქალი.
ქსანზე კვალი ვეღარ ვპოვე
ერთი მონადირე ქალის.

ციხეს მაღლით ჯანღი აწევს,
შეულეწავს ურდოს კარი.
ნეტავ საით გაიტაცეს
ერთი მონადირე ქალი.

წუხელ ყვავთა გუნდი ნახე
და სიზმარი აგიხდება.
კოშკში მიხვედ ქარცემული,
დაქცეული დაგიხვდება.
შველი — ტყეში გაქცეული,
წელს კაპარჭი არ გიხდება.
ჩაგიშლია შავი თმები,
ღაწვისფერი გაგიხდება.
წუხელ ყვავთა გუნდი ნახე
და სიზმარიც აგიხდება.

მინდორთ ჩალმა ჩაგატარეს,
რაღას ვაქნევ ნაბად ქუდსა.
ტყეთა პირას მოგეწია,
ხმალი ჩემიც არა სწუხსა.
ქსანი წითლად შეღება
სისხლსა მკერდით დანაქუხსა.
ოჰ, როგორ მიგატოვე
ყაენსა და შაბარდუხსა.

თოვლიანი მთა გავწირე
და მურყვამი ნაფიფქარი
ვაი, ჯავრი თან მიმყვება
ერთი მონადირე ქალის.

ექსპრომტი

შენი სული მაღალია,
ვით გუმბათი ალავერდის.
გულზე მისთვის მახატია
სახე შენი.

გშვენის ნისლის დარაია
შენთვის ვმღერი, რა ხანია,
ეს ლექსიც ხომ ღაღადია,
სიშორეა შენი.

არჩილ ფირცხალავას გახსენება

დავდივარ, როგორც გრანელის ლანდი

ა. ფირცხალავა

მსუბუქია საღამო,
როგორც ლექსი გრანელის.
მშობლიური, საამო,
მწუხარებას ანელებს.

იყო ქართა ჭენება,
ქართა ბროლით — „მანავი“
ალბათ, ზეცას ენება,
ახლოს არ ჩანს არავინ.

ნაპირს როგორ მომდგარა
სხვა მთვარე და სხვა ნავი,
ყველა ხომ არ მომკვდარა,
ახლოს არ დგას არავინ.

უთავბოლო მორევში
მაღლით არ ჩანს მფარავი.
წავედი და მოვეშვი,
ახლოს არ დგას არავინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სადღაც წასულა,
ლოთია თუ მპარავი,
მაინც როგორ დასრულდა,
გულს არ დარჩა არავინ;

არც სიმღერა საამო, —
სიხარულიც არ ელის.
მწუხარეა საღამო,
როგორც ლტქსი გრანელის.

●

ამბობდა იგი: მშვიდობით, დრო, —
ქალი, რომელიც არ ჰგავდა ქალებს.
გზათა სიმრუდეს მისდევდა გლოვა
და შორი დარჩა მთაწმინდის მთვარე.

შორია, მოვა, შორია, მოვა,
იმედი მცირე... ჟამი დარბევის...

საქართველოში წუხილის დროა,
ნაღვინევის და ნადარბაზევის.

მზის ნამსხვრევები ბარათებს მოაქვთ,
ბინდი აწვებათ ტიტანის თვალებს.
საქართველოში დამძიმდა გლოვა —
ქალის, რომელიც არ ჰგავდა ქალებს.

●

ღირსსახსოვარი რამდენია ქართლში
საფლავი
ჩაუკრია მშობელ მიწას
ზოგი ქიტესა,
ზოგიც — მამფალი.

ცოდვით და მადლით დამძიმებული
მიეფინება ჟამი მსახვრალი, —
საწუხარია:
ერის ცრემლით დასატირები
ძვირ ემატება საფლავს საფლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამინ საჯაია

სიშორის თოვლი

სხივჩამქრალ ფოთლებს
ჰფანტავდა ქარი,
ისმოდა ქარში
თრთოლვა სიმების,
ფეთქავდა გული,
გული დამწყდარი,
მწუხარე ცრემლით
დანაწვიმები.

დღესაც ცას აკრავს
ფერი ნახშირის
და გასავლელ გზას
ბურუსით აკმევს.
ო, სანატრელო, ჯადოსნურ ბაღში,
სიშორის თოვლი
აჭკნობს მიხაკებს!..

რაა ის ძალა

ბედაურებმა გახრეს სადავე
და გამაქროლეს უმისამართოდ...
სად არის, ნეტავ, ცის სისადავე,
რომელიც მსუბუქ სიზმრებს დამათოვს...

მოჩვენებებში რხეული ტევრი,
ჰგავს თეთრად ფენილ ქალწულ
ალუჩებს.
შავი დემონი მუდამ თანმდევი
სივრცეს ბურუსით მოახალიჩებს.

ვგრძნობ უფსკრულების ყრუ გუგუნს
მტვერში,
ცრემლების მომგვრელ ჩონჩხების
წყებას...
მწუხრი კონკორდის კუნაპეტ ფრთებს
შლის
და სევდიანი სიმები წყდება...

თუმც, სალოცავო, შორსა ხარ ძლიერ,
შენზე ვიწვი და შენზე ვლოცულობ...
რაა ის ძალა, მხრებს რომ მიმძიმებს,
მრუმე ღრუბლების რისხვით მოცულო.

მამული

ქვის მზიდველი ვარ მე იმ კედლების,
რომელიც მამულს სიმაგრეს აძლევს.
მაქვს სიამაყე მაღალ ქედების,
ქედი მაქვს ერთგულ ხარივით გამძლე.
თუკი მაცალა მამაუფალმა,
შეუსვენებლივ ჩემს წილს მივიტან...
სამშობლო — ჩემი ლამაზი პალმა,

ამოქოჩრილი ღმერთის მიწიდან!
თუკი მომითმენს ბოლომდის დარი,
ძირს დავენარცხო მერე თუ გინდა,
ვით საფარაში ხარი მაშვრალი,
ბოლო ქვაზე რომ მოცელა ბინდმა!..
ქვის მზიდველი ვარ მე იმ კედლების,
რომელიც მამულს სიმაგრეს აძლევს!..

გიორგი კეჭაღმაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეს საბოლოო გადი

მოთხრობა

პირველად რომ დაქორწინდა ალე, ცხრამეტისა არც იყო. ცოლი მშობლებმა შერთეს, ძველებურად, გარიგებით. საქმე ის იყო, რომ საცოდავები ძალიან დააშინა უფროსმა ვაჟიშვილმა, რომელმაც, ჯარი რომ მოითავა, შინ დაბრუნებაზე უარი განაცხადა, სადაც მსახურობდა, იქვე დარჩა, იქაური ქალი შეირთო; ვაითუ, ალემ უფროს ძმას მიჰბაძოს და მოხუცები უპატრონოდ დაგვტოვოს, ნაკვდავი ოჯახი დაგვიქციოსო, იფიქრეს და, შეშინებულებმა, ალე ჯარში წასვლამდე დააქორწინეს. სასწრაფოდ, სახელდახელოდ გადაიხადეს ქორწილი. ალეს დიდად არ დაუჯდა ჭკუაში მშობლების არჩევანი, მაგრამ პატარაობიდანვე იყო შეჩვეული თვინიერებასა და მორჩილებას და წინააღმდეგობა ვერ გაბედა. მიუხედავად იმისა, რომ საქორწინო სუფრასთან ალეს საკმაოდ შემაღლებული სკამი დაუდგეს, პატარძალი მაინც ზევიდან დაჰყურებდა. კარგად იცოდა საწყალმა ნეფემ, რომ თვალტანადობით მაინცდამაინც თავს ვერ მოიწონებდა, ტანმორჩილი იყო, გამხდარი, დიდთავა, ერთადერთი მისი მშვენება, მისი განძი და საუნჯე იყო ყორნისფრთისფერი, ხუჭუჭი ქოჩორი. რამდენიმე თვეში ჯარში უნდა წასულიყო, იმ ქოჩორსაც გადახოტრავდნენ და რაღა დარჩებოდა ჩვენი კაფანდარა ალესაგან? ამიტომაც იყო, ბედს რომ ურიგდებოდა. იჯდა თავის სკამზე მობუზული, შემკრთალი, ერთხელაც ვერ გაესწორებინა თვალები თავისი ახოვანი, მხრებგანიერი, წარბებგადაბმული, ნორჩი მეუღლისთვის.

წავიდა ცოლიანი ალე ჯარში და, რამდენიმე თვე რომ უკლდა შინ დაბრუნებას, საშინელი, თავზარდამცემი წერილი მოიწერა, აღარ მოვდივარო. თუ მაინცადამაინც გინდათ ჩემი ჩამოსვლა, ლეილა შინ არ დამხვდესო. წერილი პირველად ლეილამ (ასე ერქვა პატარძალს) წაიკითხა, რამდენჯერმე წაიკითხა და ძლივს მოვიდა აზრზე, რომ მის ჯარისკაც ქმარს ცოლის გაგდება ჰქონდა განზრახული. დაჯდა და მორთო ტირილი. მეტისმეტად შეწუხდნენ დედამთილ-მამამთილიც. წაიშინეს თავში ხელი, ახლა რაღა გვეშველებაო. არ ემდუროდნენ რძალს. გამრჯე ქალი იყო, უწყინარი და უენო, ერთგულად, მოთმინებით ელოდა ქმარს. ტირილით გული რომ მოიჯერა, თავისი ხელით მისწერა ალეს, ჩემი გულისთვის მანდ ნუ დარჩები, რაკი არ გინდივარ, ავდგები და მე თვითონ წავალო. ეს კი მისწერა, მაგრამ არ წასულა, ელოდა, ბარემ ჩამოვიდეს, მოველაპარაკო უნდა, რა დავუშავე, რატომ მაგდებსო. არც დედამთილ-მამამთილი უშვებდნენ, ნუ გეშინია, ჩამოვა, გული მოუბრუნდება ოჯახზე, ყველაფერი თავისით მოგვარდებაო. შენ კი არა, ისაა სახლიდან გასაგდები და, თუ ამოდენა კაცი ავსა და კარგს ვერ არჩევს, სადაც უნდა, იქ წავიდესო. ჩვენი ნამდვილი გულშემატკივარი და ჭირისუფალი სწორედ შენა ხარო. ჩამოვიდა ჯარისკაცი, ჩაეხვია ჭიშკართან მიგებებულ დედასა და მამას, იჯერა გული მათთან ალერსით, მერე ეზო მოიარა, მიიხედ-მოიხედა, ოთახშიც შევიდა და რას ხე-

დავს — ლეილა ერთ კუთხეში მიყუჟულა, ზის, იცრემლება. შემოჰყვნენ ალეს შეშინებული მშობლებიც, აიტუზნენ კართან. ჯერ მამას შეხედა ჯარისკაცმა კითხვის თვალით, მერე დედას. „ასე ხომ? მაშინ მე წავალ!“ შებრუნდა კარისკენ, მშობლები უხეშად ჩამოიცილა გზიდან, გარეთ გავარდა. დედა გაედევნა. „რა დაგიშავა, შვილო? ნამდვილი ოჯახის ქალია, მუყაითი, ერთგული...“ „რად მინდოდა მე მაგსიმაღლე ქალი? სად ნახეთ, სად გამოჩხრიკეთ? მთელი სოფლის სასაცილოდ რატომ დამაგდეთ?“ გამოვიდა მამაც. „ა, სულელი... რატომ იწუნებს თურმე! იქით უნდა იყო მადლობელი, ამ ჩიკორას ამისთანა ალვასავით ქალი რომ გამოგყვა“. ალემ გაჯავრებით აიქნია ხელი, გვერდზე მიბრუნდა: „ნეტავი შენ, მამა, მუდამ რომ ხუმრობის გუნებაზე ბარ“. „ცოტა კია შენზე მაღალი, მარა...“ „ცოტა! — იყვირა ალემ, — ამას ეძახი შენ ცოტას? ორჯერ მაღალია ჩემზე!“ „სამაგიეროდ შვილები გეყოლებათ ზომიერები... დედაშენის მაგივრად მეც მაგისთანა ქალი უნდა მომეყვანა (ეხ, სად მყავდა პატრონი), ასე ჩია კი არ გამოხვიდოდი მაშინ“. „მთელი სოფელი რომ დამცინის, ის არაფერია?“ „იცინონ მერე, შენ მაგით რა დაგაკლდება? იცინებენ და მობეზრდებათ“. „ვერ უნდა გავიარო ცოლის გვერდით?“ „აქ სოფელია, შვილო, ვის სცალია ცოლის გვერდით სასეირნოდ... საქმეში მამალი მგელია პირდაპირ. საწოლში კი... — სცადა ხუმრობა მამამ. — ქალი ერთნაირია ყველა, მაღალიც და დაბალიც“.

— არ ვიცხოვრებ მე მაგ ქალთან.— მტკიცედ თქვა ალემ, — მორჩა და გათავდა!

დედამ და მამამ ერთმანეთს შეხედეს. ალე მშობლების მორჩილი, გამგონე ბიჭი იყო პატარაობიდანვე, მაგრამ ათასში ერთხელ მაინც გაჯიქდებოდა და მაშინ მტრისას. რომ მოგეკლა, ნელ ცეცხლზე რომ შეგეწვა, ძირს მაინც ვერ ჩამოსვამდი ჯორიდან. რა ვქნათ, რა ვიღონოთ, რა წყალში ჩავცვივდეთ, ეკითხებოდნენ ერთმანეთს მამა და დედა. მაგ მიზეზით მე რძალს სახლიდან ვერ გავაგდებო, უთხრა ბოლოს მამამ, შენ წადი, თუ გინდა, მაგრამ, სანამ წახვიდოდე, შედი, თვითონ უთხარი, რას უწუნებო. ძალიან უჭირდა ალეს ცოლთან ამ საქმეზე ლაპარაკი, მაგრამ მიხვდა, უამისობა არ იქნებოდა. თანაც, ვინ იცის, გაიკვლო გულში, იქნება სულაც არა მაქვს საქმე გასაქცევად. იქნება ამ ქალს კიდეც უხარია წასვლა, აბა რაში უნდა ეპატნავებოდეს ჩემისთანა ჩია ქმარი, მაგრამ დედაჩემი და მამაჩემი არ უშვებენო. შევიდა. ლეილა ახლა ბუხრის წინ იდგა პირგამეხებული. აღარ ტიროდა. ალემ წამით სახეში შეხედა და იმის წარმოდგენაც კი გაუჭირდა, რომ ამ ქალს, საერთოდ, შეეძლო ტირილი. მიუჯდა მაგიდას, იდაყვებით მძიმედ ჩამოეყრდნო. კარგა ხანს იჯდა ასე, თვალები კედლისთვის მიეშტერებინა. ცოლი თვალდაუხამხამებლად მოსჩერებოდა და ალე ვერსად გაქცეოდა მის მბურღავ თვალებს. ბოლოს პრიმა ამოიღო ჯიბიდან და ისეთი თავგამეტებით, ისეთი გააფთრებით გააბოლა, მალე ცოლის მრისხანე, ბასრი თვალები ბურუსში აღმოჩნდა. უნდა დავშორდეთ ერთმანეთსო, ძლივს ამოიკნავლა ალემ.

— ახლა? აქამდე სად იყავი?

— როდის აქამდე? სამი თვეც არ გვიცხოვრია ერთად.

— სამი წელი ვის ოჯახში ვეწეოდი ჭაპანს?

— შენს ნაშრომს არავინ წაგართმევს.

— მიზეზს რატომ არ ამბობ?

— არ შევეფერებით ერთმანეთს... გარეგნულად... ჯერ კიდევ ახალგაზრდები ვართ, შენ იპოვი შენს შესაფერს, მე — ჩემსას...

— გარეგნულად! — გამოაჯავრა ლეილამ. — არ შევეფერებით!.. რომ

მირთავდი, მაშინ სად გქონდა თვალები?

ალეს არაფერი უთქვამს, გვერდზე გაიხედა, ჩამქრალი სიგარეტი ბუხრისკენ ისროლა, ახალს მოუკიდა. რა ჰქონდა სათქმელი? მართლაც, სად ჰქონდა თვალები, რომ ირთავდა? რატომ მეტი სიმტკიცე არ გამოიჩინა მაშინ? რომელი სიმტკიცე, უარიც არ უთქვამს, უთხრეს, ეს გოგო შენი საცოლეაო და იყოსო, ჩაიქნია ხელი. ბუნებისაგან უსამართლოდ დაჩაგრულს იქნება მოეწონა კიდეც ქალის ტანადობა? ან იქნებ ცოტა უფრო ტანმორჩილი მოეჩვენა გოგო? ბოლოს და ბოლოს, მას შემდეგ ხომ არ გაიზრდებოდა?.. თუმცა, ვინ იცის, იქნება გაიზარდა კიდეც.

— გათავებულია ეს საქმე, — უჩვეულო სიმტკიცით დაასკვნა ალემ და წამოდგა. — შენ თუ არ წახვალ, მე მივდივარ.

ლეილა უხმოდ დაიძრა ადგილიდან, ახლოს მოვიდა, ალეს თავზე წამოადგა დოინჯშემოყრილი.

— აჰა, გათავებულია, ხომ?

ალემ თვალებში შეხედა ცოლს და უნებურად მუხლები მოეკეცა, სკამზე დაეშვა.

— ადექი, — უბრძანა ცოლმა.

ალე ვერ ადგა.

ლეილამ მაგრად ჩაავლო მარცხენა ხელი საყელოში, ბურთივით წამოახტუნა სკამიდან, მერე მარჯვენა ხელით ისეთი მძიმე, ისეთი ხმელი, მამაკაცური სილა ლეწა ყბაში, ალეს თვალთ დაუბნელდა, თავი ვეღარ შეიკავა, იატაკზე მოადინა ზღართანი.

— ესეც ასე, —მშვიდად თქვა ქალმა და კარისკენ გასწია.

ალეს პირველი ქორწინება ამით დასრულდა. ლეილამ იმ დღესვე დატოვა ქმრის სახლი. შემდეგ ქალის ორმა ძმამ, ლეილაზე თითო თავით მაღლებმა, თითოჯერ კვლავ მიბეგვეს საწყალი ალე, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. პირიქით, საბოლოოდ დარწმუნდა ალე, რომ ცხოვრების გზა იავარდით მოფენილი არ ყოფილა და მასზე მიმავალ კაცს მაგარი გული და მტკიცე ნერვები უნდა ჰქონოდა.

ალემ ცოტა დაისვენა, გაიარ-გამოიარა, დატკბა თავისუფლებით, გაზაფხულზე კი ჩაის მწონავად დაიწყო მუშაობა თავისი ბრიგადის პლანტაციაში. მეჩაიეს დღეში ორჯერ მოჰქონდა ნაკრეფი ასაწონად —შუადღისას და საღამოთი. ჩაის მაშინ ძალიან ნელა კრეფდნენ, თითო დუყობით. მეც ალესთან ვმუშაობდი, მზიდავად... ცხენი და ორთვალა მებარა. ის წონიდა, თავის რვეულში იწერდა, ხარისხს გაფაციცებული ამოწმებდა, თვითონვე ემპარებოდა მკრეფავს ნაკრეფიდან უხარისხო ფოთლების ამორჩევაში. მე მიღებულ ჩაის ფირფიცრის დიდ ყუთებში ვყრიდი, ისევ ალეს დახმარებით ორთვალაზე ვაწყობდი იმ ყუთებს და მთავარ პუნქტში მიმქონდა. იქ ჩაის ხელმეორედ წონიდნენ, ახარისხებდნენ და ავტომანქანის ძარაზე აწყობდნენ, რომ ფაბრიკაში მიეტანათ. ალეს კმაყოფილი ჰყავდა მკრეფავები, ბევრს არ „იპარავდა“, მხოლოდ იმდენს, რამდენსაც მთავარი პუნქტის მწონავი აკლებდა. ასე რომ ალეს ზედმეტი კილოგრამიც არ რჩებოდა ხოლმე. ბრიგადირი ალეს ბიძაშვილი იყო (მისი პროტექციით დანიშნეს მწონავად), ჩაის მიღების დროს იგი ზოგჯერ შემოივლიდა, სასწორს თვითონ მიუჯდებოდა, მიყურე და ისწავლე მუშაობა როგორ უნდაო, ეტყოდა ალეს. აყაყანდებოდნენ მეჩაიეები, ალე გვირჩევნიაო, ის ციფრს ისე არ დაწერს, გრამებიც რომ არ მიუწეროს, შენ სულ მრგვალ-მრგვალი რიცხვები გამოგდისო. მაგიტომაა, რაც ჯარიდან ჩამოვიდა, შარვალი რომ ვერ გამოუცვლიაო, ოხუნჯობდა ბრიგადირი, შარვლის გამოცვლაზე ალე დიდად არ წუხდა, იგი დღედაღამ მოტოციკლეტზე ოცნებობდა და, როგორც იქნა, შეისრულა სანუკვარი სურვილი. არ ვიცი, აჩუქა ვინმემ, თუ სადმე გზის პირას

მიტოვებული იპოვა ის დაჟულეტილი, ჟანგისგან შეჭმული ეტლიანი მოტოციკლეტი. თუ იყიდა, აშკარა იყო, ძვირი არ დაუჯდებოდა. ედგა თავისი ჯაბახანა ფარდულის წინ და უკირკიტებდა. დრო ხომ თავზე საყრელად ჰქონდა. მეც ვეხმარებოდი, რაც შემეძლო. აათუხთუხა, როგორც იქნა, ჩაუდგა სული. ბედნიერი დღეები დაგვიდგა მე და ალეს. როგორც კი ჩაის მივიღებდით და მთავარ პუნქტში გადავიტანდით, ცხენს გამოვხსნიდი, ბორკილდადებულს საძოვარზე მივუშვებდი, მოტოციკლეტის ეტლში ჩავხტებოდი, ალე საჯეს მიუჯდებოდა და მივქროდით ხან საბანაოდ, ხან სათევზაოდ, ხან მონატრებული ნაცნობ-მეგობრების მოსანახულებლად (თავმოწონების ჟინსაც ვიკლავდით), საღამოობით კი თავაწყვეტილი მივეშურებოდით ვაგონ-კლუბისაკენ, რომელიც მახლობელ რკინიგზის სადგურში იდგა. კინოსთვის ჭკუას ვკარგავდით მეცა და ალეც. კვირაში ერთხელ რომელიმე მოძველებულ ფილმს ჩვენს კლუბშიაც უჩვენებდნენ, მაგრამ კვირიდან კვირამდე გაძლება არ გინდოდა? ტელევიზორის ხსენებაც არ იყო მაშინ. ტელევიზორი რომ ჰქონოდა შინ, ალბათ, არც ის მეორე ცოლი გაექცეოდა საწყალ ალეს...

შემოდგომაზე, ჩაის კრეფის სეზონი რომ დამთავრდა, ალემ შარვალიც გამოიცვალა, მაღალქუსლებიანი მოკასინებიც ჩაიცვა, ქურქიც შეიძინა. თმა გადაივარცხნა, კოპწია, შავი ულვაშები დაიყენა და მთელი სოფელი აიკლო ორღობეებსა და აღმართ-დაღმართებში მოტოციკლეტის გრიალით. ალე სასიძოდაა გამოწკეპილიო, გავარდა ხმა, ეს განუწყვეტელი გრიალ-გრიალიც იმის ნიშანია, ბიჭი საცოლეს ეძებს და, ალბათ, მალე ქორწილსაც გვაჭმევსო. ჩვენ ხომ ძმაკაცები ვიყავით, ჩემგან იშვიათად თუ ეწყინებოდა რამე და ამიტომაც თამამად ვკითხე, ასე ამბობენ სოფელში და მართალი თუა-მეთქი. კი, მართალიაო, აღიარა. ალბათ, საცოლეც შეგულებული გეყოლება-მეთქი. სწორედ ეგ მიშლის ხელსო, საჩემო ჯერ ვერავინ ვნახეო, თორემ სხვა რა შემაფერხებდა, ან რას უნდა ველოდო, მართო ჩემი ბებრების შემხედვარე ოჯახი როგორ იქნებაო. შეურიგდი ლეილას, შეთავაზე, სულაც არაა ცუდი ქალიმეთქი. ეტლში ვეჯექი, სოფლის შარაზე ვსეირნობდით. მოტოციკლეტი გააჩერა მაშინვე, ძირს მაგდებდა, ეს როგორ გამიბედეო.

არ გასულა ერთი კვირა, ვხედავთ, სახეგაბადრული, ბედნიერი ალე სოფლის ორღობეში მოგუგუნებს, ეტლში თეთრკაბიანი, სიფრიფანა გოგო უზის. ქარივით შემოიჭრა ეზოში და განგებ ისეთი ბათქა-ბუთქი აატეხინა თავის მოტოციკლეტს, უკეთეს შედლუხს ვერც ინატრებდა კაცი. დამფრთხალი გამოცვივდნენ დედ-მამა, მეზობლები. ალემ სტაცა თავის საცოლეს ხელი, აიტატა და ციმციმ წაიყვანა აივნისკენ, ზედ შემოასკუპა. დგას დარცხვენილი, გამხდარი, ჭორფლიანი, თეთრი პატარძალი აივანზე, ცამეტი წლის ბავშვი გეგონება, არ იცის, სად წაიღოს ხელები და ფეხები, სად ჩაძვრეს, რას მოეფაროს, სად დაიმალოს, ბოლოს კარი დალანდა, მივარდა, გამოაღო, გაუჩინარდა. ვაი ჩემი ბრალიო, ჩაილაპარაკა ალეს მამამ, ამათი შვილები ხომ ნამდვილი წრუწუნები იქნებიანო. სწრაფად გაიშალა საქორწინო სუფრა. პატარძალს სარა ერქვა. ვერავინ გაარკვია მისი სადაურობა, ეროვნება, ჯიში და ჯილაგი. თვითონაც არ იცოდა და სხვას რას გააგებინებდა. ამაზე ჩემს დღეში არ მიფიქრიაო, ამბობდა. ცოტა-ცოტა ყველაფერი ესმოდა, ქართულიც, რუსულიც, სომხურიც, თათრულიც, ბერძნულიც... უფრო სწორად, ყველაფერი ესმოდა მაშინ, როცა უნდოდა გაეგონა და გაეგო, როცა არა, დაყრუვდებოდა, დამუნჯდებოდა, სიტყვასაც ვერ გააგებინებდი. ბავშვია ჯერ და ეპატიებაო, იცავდა ალე, დაჭკვიანდება, დაქალდებაო. გავიდა ცხრა თვე და სარამ ბიჭი აჩუქა ალეს, მეორე წლის ბოლოს კი ალე უკვე ორი ბიჭის მამა იყო (ტარიელისა და

ავთანდილის). მძიმე ტვირთად დააწვა მხრებზე ოჯახი ალეს, გასაქანი არ მისცა. ამას დედის ავადმყოფობაც დაერთო, რომელსაც კარგა ხანია რევმატიზმები აწუხებდა. სარა, ისევაც კაფანდარა, გამხდარი და გალეული, ლანდად იქცა, მოქანცული, უძინარი, გამოფიტული ძლივს დაღანღალებდა, არ ჭამდა, არ სვამდა. გოიცებული იყო ყველა, ნეტა სული რაში უდგასო. ებრალებოდა ალეს, ეხმარებოდა, რაც კი შეეძლო, გარეთ რომ მორჩებოდა მუშაობას, ოჯახში ტრიალებდა, არანაირ საქმეს არ თაკილობდა, არ გაურბოდა, ბავშვებს სახვევებსა და საგებებს უცვლიდა, ბანდა, აჭმევდა, ასმევდა, ურეცხავდა, აკვანს ურწევდა, ნანასაც კი უმღეროდა. სარა მაინც წუწუნებდა, მუდამ უკმაყოფილო, მუდამ გაღიზიანებული იყო, გაჩენის დღეს იწყევლიდა, რატომ ის დღე არ დაიქცა, შენ რომ შეგხვდიო, ეუბნებოდა ამდენი საქმისა და საზრუნავისაგან თავგზააბნეულ, დარეტიანებულ ალეს. თურმე ერთ-ერთი კინოთეატრის წინ შეხვედროდნენ ერთმანეთს მახლობელ ზღვისპირა ქალაქში. ალე ხომ კინოს გიჟი იყო. განსაკუთრებით ორსერიან ფილმებს ეტანებოდა, ამ დროს უფრო დიდხანს გრძელდებოდა მისი ტკბობა და ნეტარება. შეეძლო მთელი დღე მჯდარიყო კინოდარბაზში, მეორედ, მესამედ ენახა ერთხელ ნანახი, არ დაიღლებოდა, არ მოსწყინდებოდა. დამთავრდებოდა ერთი სეანსი, გამოვიდოდა გარეთ და პირდაპირ სალაროსკენ გასწევდა (თუ დრო ჰქონდა, რა თქმა უნდა) შემდეგ სეანსზე ბილეთის ასაღებად. იდგა თურმე იმ დღესაც კინოთეატრის წინ, ნაცნობს ელოდა, რომელმაც ბილეთის აღება სთხოვა. სეანსი იწყებოდა, ნაცნობი კი იგვიანებდა. ამ დროს ერთმა თეთრკაბიანმა, ჭორფლიანმა გოგომ მოირბინა, რატომღაც პირდაპირ ალესთან მიცუნცულდა და ჰკითხა, ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთო. მაქვსო, მიუგო ალემ და ბილეთი მიაჩეჩა. მერე უკანმოუხედავად ეცა კარს. მისი საყვარელი ფილმი გადიოდა, ინდური, ორსერიიანი, სეანსი ისე დამთავრდა, გოგო არც გახსენებია... ... გვერდით მოუხედავს, თორემ როგორ ვერ დაინახავდა, სკამის სახელურებს ჩაფრენილი გოგო გაშტერებული, სულგანაბული რომ მიშტერებოდა ეკრანს მთელი ორი საათის მანძილზე. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, გოგომ ბილეთის ფული მიაწოდა ალეს. ბიჭმა არ გამოართვა. „როგორ გეკადრება, — შეწუხდა გოგო, — აიღეთ, აიღეთ...“ „რატომ? ეგ ფული ხომ ჩემი არაა, სხვამ დამტოვა, აღარ მოვიდა. ეტყობა, რაღაც საქმე გაუჩნდა“. „რომ შეხვდებით, ხომ უნდა დაუბრუნოთ?“ „დავუბრუნო კი არა... რა დასაბრუნებელია!“ „გმადლობთ... რა კარგი ფილმია, არა?“ „კარგია, ჰო... ისევ ხომ არ შევსულიყავით?“ „ისევ? — გოგომ მხრები აიჩეჩა, — თუ ასეა, ახლა მე დაგპატიჟებთ“. ალეს გაეცინა: როგორც გინდა“. ბილეთები აიღეს და სეანსის დაწყებამდე ქუჩაში გაისეირნეს. საფუნთუშეში შევიდნენ, თითო ფუნთუშა იყიდეს, შეჭამეს, თითო ჭიქა წყალი დააყოლეს. მეორე სეანსი რომ დამთავრდა, მესამის დაწყებამდე მოტოციკლეტით ისეირნეს. მესამის შემდეგ ისევ იგრძნეს შიმშილი და წყურვილი, რამდენიმე ცალი ფუნთუშა და ორი ბოთლი ლიმონათი იყიდეს, ზღვის პირზე გავიდნენ და გაკრიალებულ, მზისგან გამთბარ კენჭებზე დასხდნენ. მერე ფოსტაში შეიარეს, გოგომ კონვერტი. და სურათიანი ბარათი იყიდა, ვთხოვდებიო, მისწერა მშობლებსა და უფროს დებს, ჯერ კიდევ გაუთხოვრებს, ჩემს მეუღლესთან ერთად მალე გინახულებთ, არ შეშინდეთო...

წყევლიდა იმ დღეს სარა, ნეტა რამ გამასულელა, რა თვალით შეგხვედეო. შენისთანა და შენზე ბევრად უკეთესი რამდენი მთხოულობდა. რამდენს ვუყვარდიო. სად გამოგყევი ამ ტყეში, აქ რა გამაძღებინებს, ქალაქში გადავიდეთ, აქ ცხოვრება როგორ შეიძლება, გამოვყრუვდი, ველურს დავემსგავსე, ორი წელია კინოში და თეატრში არ

ვყოფილვარ, ადამიანურად ქუჩაში არ გამივლია, წესიერად ტანიც ვერ დამიბანიაო. სული და გული უწუხდა ქალაქელ გოგოს, ვერაფრით ვერ შეეწყო, ვერ შეეგუა სოფელს. სხვა ქალები პატარებსაც ზრდიდნენ, პლანტაციაშიც გადიოდნენ სამუშაოდ, ეს ოჯახის საქმეებსაც ვერ აუდიოდა, უსუსური იყო, უმწეო. არადა, როგორ გადასულიყო ალე ქალაქში? როგორ დაეტოვებინა ავადმყოფი დედა, სახლი, კარი? ქალაქში სად უნდა ეცხოვრა? ბინას ვინ მიაშავებდა? ჩვილები რომ არ ჰყოლოდათ, კიდევ ჰო. პირველ ხანებში ჩემს დედ-მამასთან ვიცხოვრებთო, ამბობდა სარა, შეგვიკედლებენო, პატარების აღზრდაშიც მოგვეხმარებიანო. ამ სიტყვებზე მწარედ ეცინებოდა ალეს. იმ ოროთახიან ბინაში სარას დედ-მამის გარდა, ვეფხვებივით ბრჭყალებალესილი სამი გასათხოვი ცოლისდა ბდღვინავდა. რატომღაც სამივეს ისე გულწრფელად, ისე აშკარად და დაუფარავად სძულდათ საწყალი სიძე, რომ მის დანახვაზეც კი ცახცახებდნენ მძვინვარებისაგან. ოდნავადაც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ მათ საყვარელ, ნაბოლარა დას ამ ურჩხულის ხელში დიდი დღე არ ეწერა. ცოლისდები რამდენჯერმე სოფელშიაც ესტუმრნენ სიძეს და ისეთი მრისხანე ჭექა-ქუხილი დაატეხეს თავზე საკუთარ ოჯახში, რომ ალე მზად იყო, მათი გამოჩენისთანავე ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო.

მიგატოვებ, ემუქრებოდა ცოლი ალეს. „ბავშვები?“ ეკითხებოდა ალე. „თან წავიყვან“. ვერ მოგართვესო, ეუბნებოდა ალე, ბავშვებს არ გაგატანო. „გაზრდი უჩემოდ?“ „რატომაც არა?“ ძალიან კარგადაც გავზრდიო, პირდებოდა ალე, არაფერს დავაკლებო. თითქოს ამ დაპირების შემოწმება სურსო, ერთ დღეს სარამ ქმარს განუცხადა, მშობლები და დები მომენატრა, ქალაქში უნდა წავიდეო. აბა, შენ იცი, ბავშვებს როგორ მოუვლიო. საღამოს დავბრუნდებიო, დაიბარა და წავიდა. იმ საღამოს არ გამოჩენილა. მეორე დღეც მოლოდინში დაღამდა. ღამე, როგორც იყო, გაათენეს, ღილით კი გაცოფებული ალე მოტოციკლეტს მოახტა და ქალაქისკენ გააქროლა. სიმამრს ბინა ხუთსართულიან სახლში, მეხუთე სართულზე ჰქონდა. შინ უფროსი ცოლისდა დახვდა. „სარა სადაა?“ რაც კი შეეძლო, მშვიდად იკითხა სიძემ. არ ვიცით, გულგრილად მიუგო ცოლისდამ და თავისი საქმე განაგრძო. „როგორ... აქ არ მოსულა?“ „გასულია“. „საად?“ „ქალაქში“. „როდის მოვა?“ ცოლისდამ მხრები აიჩეჩა. აქეთობას ალემ კინოთეატრს ჩამოუარა და სალაროებთან კარგა გრძელ რიგს მოჰკრა თვალი. უნებურად აფიშებსაც მიაქცია ყურადღება — იტალიური თუ ფრანგული ფილმების კვირეული ტარდებოდა. დამდუღრულივით გამოქანდა ალე, რამდენიმე წუთში კინოთეატრთან გაჩნდა. სალაროსთან ერთი ჯგლეთა და წეწვა-გლეჯა იყო. რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა რიგს (თუ იმ სამინელ ორომტრიალს რიგს დაარქმევდა კაცი) და სარაც დაინახა, იმ ჭეკუვაში ისე მიესრისათ, ისე დაეჭმუჭნათ, უამისოდაც სისხლნაკლულსა და ფერმკრთალს სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. ვიღაც კასრივით მრგვალი დედაკაცის იღლიაში შეერგო თავი და სულს ძლივს ითქვამდა ოფლში გახვითქული, წამდაუწუმ აღებდა პირს შოშიასავით, აშკარა იყო, ჰაერის უკმარისობა რომ აწუხებდა. ალე მივარდა, ხელი სტაცა და დიდი ვაივაგლახით გამოაძრო იმ ზედახორადან. სარამ პირველად ვერც კი იცნო ქმარი, იფიქრა, რიგს მართმევენო და წვიელ-კვიელი და ტლინკაობა ატეხა. წადი, შენს გზას ეწიე, მე შინ საღამოს მოვალო, უთხრა და კვლავ სალაროსკენ გაიქაჩა, ქმარმა რამდენჯერმე ღონივრად შეანჯღრია, შემოჰკრა კიდეც ყბაში (მსუბუქად, სიმბოლურად), მერე ხელში აიყვანა და თავისი მოტოციკლეტის ეტლში ჩაჩურთა. არ გადმომიხტესო, ისეთი გიჟური სისწრაფით გაენთო გზატკეცილს, ვინც მას იმ დღეს თვალი მოჰკრა, მგონი ახლაც არ სჯერა, რომ ალე ცოცხა-

ლი და საოსლამათია. არ აპატიეს ალეს ეს ძალადობა. რამდენიმე დღის შემდეგ პლანტაციიდან რომ დაბრუნდა, არც სარა დახვდა შინ, არც ბავშვები. წაეყვანა და დაებარებინა, ტყუილად თავი არავინ შეიწუხოთო. მაინც ბევრი იხლაფორთა ალემ, ბევრი ირბინა, ბევრ ვინმეს მიმართა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ბავშვებს ახლოსაც არ გააკარეს. მძვინვარე ცოლისდები ამჯერად შეუვალ, ყრუ ციხესიმაგრედ აღიმართნენ მის წინაშე. ამასობაში ბავშვებიც წამოიზარდნენ, ისე, რომ მამას ხეირიანად არც კი იცნობდნენ.

დედამ მოუხშირა ავადმყოფობას. ცოტა ხნით მომჯობინდებოდა, გაიცლგამოივლიდა ეზოში, ქმარ-შვილს ქალის მადლიან ხელს დაატყობდა, მერე ჩაწვებოდა და იქით გახდებოდა მოსავლელი. შეუჩნდნენ ალეს, უქალოდ ოჯახი არ იქნება, უნდა მოიყვანო ვინმეო. ორი ცოლი გამოიცვალე, ახლა ვინღა გამომყვებაო, ისაწყლებდა თავს ალე. კარგად იცოდა, რომ ალხანას ჩალხანა არ დაელევა, რომ მისი შესაფერიც გამოჩნდებოდა ვინმე, მაგრამ დროს იგებდა, არ ეთმობოდა სარასთან შერიგების იმედი. ბოლოს, სარა დედ-მამასთან და გაუთხოვრად ჩაბერებულ უფროს დებთან ერთად სადღაც შორეულ ქალაქში რომ გადასახლდა, ალემ ხელი ჩაიქნია, ყველაფერზე თანახმა ვარ, ვინც გინდათ, შემრთეთო.

იმ დროს მე კარგა ხნის წასული ვიყავი სოფლიდან და იქაური ამბებს ხანგამოშვებით, კანტიკუნტად თუ გავიგებდი დედაქალაქში რამე საქმეზე დროებით ჩამოსული თანასოფლელებისაგან. ერთმა მათგანმა მიამბო, ალემ შენი თანაკლასელი მარიკა შეირთოო. სკოლის დამთავრების შემდეგ მარიკა ფერმაში მუშაობდა და რამდენჯერმე გაზეთშიც კი გაწერეს, მოწინავე მწველავიაო. ის გოგო ციდან ვარსკვლავებს არ კრეფდა, მაგრამ მაინც ძალიან გამიკვირდა, ალეს რომ გაჰყვა ცოლად, ორნაცოლებსა და ორშვილიანს. მით უმეტეს, სახელოვანი გოგო გამხდარიყო, გაზეთში გაწერეს, სოფლის კომკავშირის ორმიტეტის მდივნად აირჩიეს, კრუზეტზე სიტყვებს წარმოთქვამდა. სკოლაში დიდად არ ბრწყინავდა, თავს არ იჩენდა, წყნარი იყო, მორიდებული, ჩია, გამხდარი, სუსტი. სამიანებით დაამთავრა სკოლა, ზოგი მასწავლებელი იმ სამიანსაც ამადლიდა. თავი სკოლის შემდეგ გამოიჩინა, გარეგნულადაც შეიცვალა, ცოტა არ იყოს, გალამაზდა კიდეც, გასუქდა, მოფერიანდა. ძალიან ყოჩაღი გოგო დადგაო, აქებდნენ, ნეტა იმ ოჯახს, სადაც ეგ შევაო. გახარებულმა სასწრაფოდ მივწერე ალეს, ეტყობა, ღმერთს მთლად არ გაუწერიხარ-მეთქი, აქამდე ძმაკაცი იყავი, ახლა სიძედ მერგები, იმედი მაქვს, მარიკასთან მაინც ააწყობ ცხოვრებას, ბოლოს და ბოლოს ბედნიერებას ეწევი-მეთქი. ორიოდე წლის შემდეგ მარიკას შევხვდი დედაქალაქში. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაუსწრებლად ვსწავლობო, მითხრა. ძალიან გამოადგა დაუზარელი და დაუღალავი რომ იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში, ფერმაში მუყაითობაც დაუფასეს, ღიმტი მისცეს. აბა, ისე რას მოვეწყობოდი უმაღლესშიო, მითხრა, ხომ იცი, სკოლიდან რა თავიც წამოვიღე, ან მერე სად მეცალა სამეცადინოდო. არა, მართლა ძალიან გაყოჩაღებულიყო ჩვენი ქვეშქვეშა მარიკა, აშკარა იყო, თავს ისაწყლებდა, თორემ მარტო ლიმიტით რას გახდებოდა, ეტყობა, საფუძვლიანადაც მოემზადა. ქმარს არ ვემდურიო, რა ვუყოთ, რომ ჩემამდე არეულ-დარეული ცხოვრება ჰქონდა, არ გაუმართლა და, რას იზამ. ნამდვილი ოჯახის კაცია, ა, ხომ ხედავ, წამოვედი ამდენი ხნით, დავტოვე ოჯახი, პატარა ბავშვი და დამშიდებული ვარ, ვიცი, ალე ჩვენს პატარა იამზეს ჩემზე უკეთესად მოუვლისო. ვერ წარმოიდგენ, ისე გაგიჟებით უყვარს ბავშვი. არ მეგონა, თუ მამაკაცებს ამის უნარი გააჩნდათ. ვინ იცის, როგორ იტანჯებოდა საცოდავი, თავისი ტარიელი და ავთანდილი რომ წაართვესო...

გავიდა წლები. სულ უფრო იშვია-

თად ჩავდიოდი სოფელში. ალესა და მისი ოჯახის ბედი უკვე იმდენად აღარ მაწუხებდა. ვიცოდი, რომ საქმე კარგად ჰქონდათ აწყობილი, რომ ახალი სახლი აიშენეს, მარიკამ სწავლა დაამთავრა თუ არა, ფერმის გამგედ დანიშნეს, მერე უფრო დააწინაურეს, ჩაის ფაბრიკის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს. უკვე აღარ გამიკვირდებოდა, თუ ერთ დღეს ფაბრიკის დირექტორად ან კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ვიხილავდი.

ამასობაში სკოლის დამთავრების ოცდამეხუთე წლისთავიც მოგვადგა კარს. გაჩაღდა მიწერ-მოწერა, შეხვედრისთვის მზადება. მეც მიმიწვიეს, რა თქმა უნდა. მოსაწვევ ბარათზე მარიკა აწერდა ხელს, შენი დაპატიჟება მე დამავალეს და სირცხვილი არ მაჭამოო, მწერდა, ამა და ამ დღეს, ამა და ამ მატარებელზე სადგურში დაგხვდებიო, ტყუილად არ მალოდინოო. დილის მატარებელს ჩავყევი. ვხედავ, ბაქანზე შავგვრემანი, სანდომიანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ტანსრული ქალი დგას, მიმზერს, იღიმება. „ძარიკა!“ შევძახე გაბარებულმა. კარგი ბიჭი ხარ, რომ არ მიღალატე და ჩამოხვედიო, მეუბნება, მკოცნის. რაა, რომ აღარ გვეკარები, ყველას თავი მოგვანატრეო. „საოცარია, ვეუბნები გულწრფელად გაკვირვებული, ასეთი ლამაზი და ეშხიანი მაშინაც არ ყოფილხარ, ამ ოცდახუთი წლის წინათ, სკოლას რომ ვამთავრებდით... ვინ იცის, როგორ შემოგციცინებს საწყალი ჩემი ძმაკაცი, ალბათ, შენზე ამოსდის მზე და მთვარე... რომ მცოდნოდა, ასეთი კარგი დადგებოდი, შენს თავს ალეს როგორ დავანებებდი“. მარიკამ ამხედ-დამხედა, სახეზე ღიმილი გაუქრა, მოიწყინა. ვიფიქრე, არ მოეწონა ჩემი თამამი ხუმრობა-მეთქი. სხვათა შორის, სკოლაშიც მეტისმეტად სერიოზული, ბუტია გოგო იყო, ვერ გაიგებდი, როდის რა სწყინდა, რა უხაროდა. „გეწყინა რაღაც“, ვუთხარი შეწუხებულმა. „რა უნდა მწყენოდა, — ხელი გამომდო, — წამო, წამო...“ უსიტყვოდ გავყევი. გასასვლელთან დაყენებულ ცინცხალ, კრიალა მანქანასთან მიმიყვანა, კარი გამიღო, დაჯექიო, მითხრა. მანქანას შემოუარა, საჭეს მიუჯდა. „ეს შენი მანქანაა?“ შემომხედა, რატომ გაგიკვირდაო, მკითხა. „კინაღამ დამავიწყდა, — ვუთხარი სიცილით. — შენ ხომ დიდი ქალი ხარ“. „დიახაც... აბა, რა გეგონა? ვითომ რა, ქალები რომ ვართ, თქვენზე ნაკლები ვართ?“ „ახლა შენ ფაბრიკის დირექტორი მაინც იქნები, თუ მეტი არა“.

შემომხედა.

— არც ეგაა ძალიან შორს...

— ჩემი ძმაკაცი როგორაა? ხომ არ დამიბერდა?

— რომელი ძმაკაცი?

— ალე.

კარგა ხანს არაფერი უთქვამს. ჩვენი სოფლისკენ რომ გადავუხვიეთ, მკითხა:

— შენ მართლა არაფერი იცი?

— არა... მაინც რა უნდა ვიცოდე?

— მოგჭამა ჭირი შენმა ალემ... კი არ მომკვდაო, რამ შეგაშინა. ცოცხალი კია, მაგრამ ვაი მაგისთანა სიცოცხლეს... საქვეყნოდ გათახსირდა ამ ხნის კაცი. ყველა სახეში აფურთხებს.

ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ამბავი, გავშრი, ხმა ვერ ამოვიღე. ერთბაშად წამიხდა გუნება. გულდამძიმებული გავყურებდი ნაცნობ მიდამოებს, ჩემი სოფლის ხუჭუჭა გორაკებს, ფერდობებს, აღმართ-დაღმართებს. ბევრი რამ შეცვლილიყო, გაზრდილიყო, დამშვენებულიყო სოფელი. მაინც ძალიან მაკლდა თვალში ის დაბალი, მოკრძალებული, მყუდრო ხის ძველებური სახლები. ყოველ ეზოში მედიდურად, თავმომწონედ იდგა ორსართულიანი ქვის შენობა გიგანტური კიბით, ბრჭყვიალა ფასადებით. ადამიანებიც ხომ არ შეიცვალნენ? იქნება ისინიც ამ სახლებივით გაპრანჭული და მედიდურნი გახდნენ?

ისევ არევია საცოდავ ალეს ცხოვრება. სოფელს თავიდანვე შერეკილ კაცად მიაჩნდა, მაგრამ ცუდი და ბოროტი ნამდვილად არ იყო. ვერაფრით ვერ წარმომედგინა ალეს ცუდკაცობა. ახლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღა ვიგრძენი, თუ რა ძლიერ მიყვარდა ეს უთავბოლო კაცი.

მარიკამ განაგრძო:

— ვის რა უნდა შევჩივლო, თვითონ ვარ დამნაშავე, რას მივყვებოდი? ხომ ვიცოდი, რა სულიერიც იყო. უნდა მცოდნოდა, ყოველ შემთხვევაში, ხომ გახსოვს, ლეილას რა უქნა? ჯერ შეირთო, ქორწილი გადაიხადა და მერე დაიწუნა ბიჭმა, ჩემზე მაღალიაო. თანაც ჯარიდან მოიწერა, შინ არ დამხვდესო. სამ წელიწადს ალოდინა, ვირივით ამუშავა ოჯახში. ამაზე მეტი ბოროტება შეიძლება? ადრე მოეწერა, თუ მაინც-დამაინც... კაცმა რომ თქვას, ლეილასთვის ასე ბევრად უმჯობესი დარჩა, ახლა ისეთი ვაჟკაცი ქმარი ჰყავს, ალესთანა კრუხის პალო ექვსი რომ გამოიჭრება... დიდებული ოჯახი აქვს, შვილები — ორ-ორმეტრიანი ბიჭები, ნამდვილი კალათბურთელები. ეს ლეილას ამბავი. ახლა სარა? კინოში გაცნობილი გოგო პირდაპირ შინ წამოიყვანა. მეც ავდექი და ამისთანა კაცს მესამე ცოლად გავყევი, ხმა ამომეღება? ღმერთო! რამ გამაბრიყვა, რამ გამასულელა! ვარ ახლა გაჩუმებული...

მანქანა ორსართულიან, ლამაზ ქვის სახლს მიადგა, გაჩერდა. მარიკა მანქანიდან გადავიდა, მობრძანდიო, მიმიპატიჟა, ჯერ სკოლაში მისვლა ადრეა, იქ შუადღეზე ვიკრიბებითო. იქამდე ჩემი სტუმარი ხარო. ეზოში ჩავედით. ძღივს ვიცანი იქაურობა. ამ მაღალი, ამაყად წამომართული შენობის უკან ალეს ძველი სახლი დავლანდე. მოხუცებს ძალიან უყვარდათ, თავის დროზე არ დამაშლევინეს და ასე შემომრჩაო, მოიბოდიშა მარიკამ, დროა, დავიბრუნო, აქაურობას მოვაცილო, ეზოს აუშნოებსო.

— შვილები სად გყავს? — ვკითხე.

— თბილისში... უმაღლესში სწავლობენ. ბიჭი იურისტი მეყოლება, გოგო — ეკონომისტი. კარგი ახალგაზრდები დადგნენ, ჭკვიანები, არ ვემდური. კიდევ კარგი, მამას რომ არ დაემსგავსნენ. თბილისში დაამთავრეს საშუალო სკოლა, ასე რომ თითქმის თბილისელები არიან, — დაუმატა დაუფარავი სიამაყით.

მარიკამ ეზო შემომატარა, მერე სახლში შემიყვანა.

დიდებულად მოგიწყვია კარ-მიდამო-მეთქი, მოვუწონე.

— ყველაფერი მე, მარტომ გავაკეთე... ალე რის შემომტანი იყო ოჯახში, შენაც კარგად გეცოდინება. სხვა მწონავები ნულის გარეშე ციფრებს ალარ წერენ, ამ შტერმა კი გრამების წერა ვერ მოიშალა. წარმოგიდგენია? ას ერთი კილო და სამასი გრამი... სასაცილოა პირდაპირ. ჩამბარებლებიც ბრაზობდნენ, რას მასხარაობსო. ბრიგადირი მერე მაინც „გვილამაზებს“ იმ ციფრებს და ნეტა ალე ტყუილად თავს რად იწუხებსო. ჩავუწყვე საქმე, რადაც კურსებზე აგზავნიდა თავმჯდომარე, ჩამოვა და ბრიგადირად დავაყენებო. უარი თქვა, რა დროს ჩემი სწავლააო, ვითომ სხვები იკლავდნენ სწავლით თავს... ბოლოს დიპლომს მაინც გამოიტანდა და მეტი რა სჭირდებოდა? ასეა, ჭკუის ნამცეცი რომ არ ექნება კაცს თავში. ახლა იმ პუნქტიდანაც გამოაპანღურეს... ეს უკვე ჩემი წყალობით... ჩვენს სისტემაში ამის მეტად ცხვირს ვეღარ შეყოფს და სხვაგან რა ვიცი... სადმე იმუშავებს, აბა მშიერი ხომ არ მოკვდება.

მაინც რა ჩაიდინა ასეთი, თავი რომ მოეჭრა მთელ სოფელში-მეთქი, ვფიქრობდი, რით გადაიმტერა ასე ცოლი? შეკითხვისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებდი, ველოდი, თვითონ იტყვის-მეთქი.

მარიკამ საუზმე შემოიტანა, სუფრა გააწყო.

— ახლა სადაა... ალე? — ვკითხე გაუბედავად.

მარიკას გაეცინა.

— არ დაიჯერებ.

ცოტა ხანს დუმდა, მიმზერდა და იღიმებოდა, მერე განაგრძო:

— ჩვენი სოფლის ბოლოში, ხიდს გაღმა, ეს ათი წელია, ახალი უბანი გაჩნდა. იქ უმეტესად მოხეტიალე ხალხი სახლდება. მოვლენ, ცოტა ხანს იც-

ხოვრებენ, თუ მოეწონათ აქაურობა, უკეთეს სამოსახლოს მოძებნიან, თუ არა და, მიდიან... ამ ჩვენს შეხვედრას რომ მოვრჩებით, თუ დრო დაგირჩეს, ჩაიარე, იკითხე შენი ძმაკაცი, ყველა მიგასწავლის. ნახე სად ცხოვრობს, ვის შეეხიზნა. საიდან გაიქცა და სად მივიდა... ნახა ვიღაც დედაკაცი, წვრილშვილიანი, ქმრისგან მიტოვებული, ნათრევი... მეხუთე წელია, იქ ცხოვრობს. მე აქ სასახლე ავუშენე, ვერ შეიღირსა. გამოძვრა გომურიდან და ისევ გომურში შეძვრა. არა შეჯდა მწყერი ხესაო. ნახა იქ წუმპე და ჩაწვა...

— ასე... უმიზეზოდ?

— გამოძებნა მიზეზი, როგორ არა, მაგაში ყოჩაღია... შვილი მოუნდა ყმაწვილს.

— რაა? — ვკითხე გაკვირვებულმა. — რა მოუნდა?

— შვილი?

— მერე? ხომ გყავთ შვილები?

— რომ გვყავს, ის სად წერია. ის რა შვილებია... ჩვილი მინდა, გინდა, არ გინდა, უნდა გააჩინო, შემომიჩნდა. ოთხი ხომ ჰყავს და უცებ მეხუთე მოისურვა. აბა როგორ, ასეთი კეთილშობილური გვარისა და ჯიშის დაკარგვა შეიძლება? მთელი ქვეყანა თავისი მოდგმით უნდა დაასახლოს.

პატარა ბავშვები თავიდან უყვარდა-მეთქი, წამომცდა უნებურად.

— არ დაიჯერო! — შესძახა მარიკამ, — ტყუილია! ადრე მეც ასე მეგონა! ბავშვები კი არა, საკუთარი თავი უყვარს, მეტი არავინ დედამიწის ზურგზე. მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ბრიყვი თავი... რატომ გააგდო ლეილა? იმიტომ, რომ თავს დაჩაგრულად გრძნობდა მის გვერდით, ქალი ზეგიდან რომ დაჰყურებდა, ამას ვერ უძლებდა. თავმოყვარეობა აქვს ბიჭს... ამოუჭამა სული და გული ამ ავადმყოფურმა თავმოყვარეობამ. ჩემთანაც იგივე მოუვიდა, ზუსტად იგივე. ვერ გაუძლო, ვერ აიტანა, რომ მე, ქალმა ვაჯობე, გავუსწარი, ხალხში გამოვედი, ფხა გამოვიჩინე, ვისწავლე, რაც ხანია, დირექტორი გავხდები, ის კი ისევ ის დარჩა, რაც იყო

— ხელმოცარული, უუნარო, უსწავლელი, უნიჭო... ჰია... ჰოდა, გამწარდა! შვილი მოუნდა, ბაია! ხელი უნდოდა ჩემთვის შეეშალა, კერიაზე მიბმა, სახლში გამომწყვდევა მომინდომა. მე კერიასთან ვიჯდე, აკვანი ვარწიო, მან გარეთ ირბინოს, როგორც მამაკაცს შეეფერება. აბა როგორ, ოჯახის უფროსი იყო კაცი, ხომ უნდა დაენახა სოფელს, რომ ოჯახის უფროსი იყო, მამაკაცი!

— იმ ქალთან როგორღა აქვს საქმე?

— ვკითხე.

— დიდებულად! ის დედაკაცი ხომ ნამდვილი ინკუბატორია, წელი არ გავა, შვილებს დანატრებულ ალეს თითო ბაია რომ არ ჩაუგოროს კალთაში. რა ქნას, ექიმის ფულიც არა აქვს, რომ წავიდეს, მოიცილოს... მოგადგება მერე ასეთი მრავალშვილიანი დედიკო და შეღავათსა და პრივილეგიებს მოგთხოვს... შენც უნდა მისცე, რა გზა გაქვს, კანონი მის მხარეზეა, გაათამამეს და გაათავხედეს ასეთი ხალხი...

მეორე დღეს, საღამო ხანს თანაკლასელებს გავეპარე და ალეს სანახავად გავწიე. ფეხით ჩავიარე სოფელი, ხიდგალმა გავედი და მდინარის მაღალ ნაპირზე ჩამწკრივებულ ერთსართულიან სახლებს თვალი მოვავლე. ქვემოდან მდინარის ჩხრიალი ისმოდა. გალმა-გამოღმა ნაპირებზე, ჭალებში უკვე ტანაყრილი სამინდიის ყანები მოჩანდა. გრილი, ცელქი ნიავი ქროდა, ყანებს აშრიალებდა. ხიდქვეშ მოანკესე ბიჭები შევნიშნე და ის იყო, მათთან ჩასვლას ვაპირებდი ალეს მისამართის დასაზუსტებლად, რომ ერთ-ერთ ეზოში ეტლიანი მოტოციკლეტი დავინახე. იქვე ტანმორჩილი კაცი ჩაცუცქულიყო, რაღაცას უკირკიტებდა. თავზე სქელი, ხუჭუჭი თმა ედო. ეს ხომ ალე იყო, ჩემი ძმაკაცი! ჭიშკარზე მივადექი და დავუძახე, ხომ არ იცით, ბატონი ალე სად ცხოვრობს-მეთქი. თავი ასწია, შემომხედა, ვერ მიცნო. „რომელი?“ მეკითხება. რომელი და ბრიყვი, ჩერჩეტი, უხეირო, მუსუსი ალე-მეთქი. წამოხტა, გამოქა-

ნდა. აბა, ერთი მანდ დამიხვდი, გასწავლი მე შენ. ბრიყვი და ჩერჩეტი ვინაო. „რაა, ბიჭო, ვუთხარი ცოტა ხნის შემდეგ, ერთმანეთის ნჯღრევასა და ზურგზე მუშტების ბრაგუნს რომ მოვრჩით, რაა ბოლოს და ბოლოს, მთელი შენი სიცოცხლე ამ ჯაბახანას როგორ უნდა უჩხიკინო?“ ეს მეოთხეაო, მითხრა. ახ, მეოთხე? რავა, ცოლებს და მოტოციკლეტებს ერთად იცვლი?“ „ბიჭოს!“ — ჩაფიქრდა, გაუკვირდა, — მართლა მაცა არ გამოდის? უყურე შენ? არ წამოგცდეს ეგ ჩემს დედაკაცთან, თვარა მოიკლავს თავს და მეხუთესკენ აღარ გამახედებს“. დაიხარა, ძირს მიმოფანტული მაზუთიანი ხელსაწყოები და ნაწილები აკრიფა, ყუთში ჩაყარა. „გულო! — იყვირა, — გულნარა!“ მთელი ამ ხნის მანძილზე სახლის ღია ფანჯრიდან ტელევიზორის ისეთი გრიალი ისმოდა, ხე და მიწა მიჰქონდა. ალეს ყვირილზე ფანჯრის ჩარჩოში სამი აბუბრძგნილი თავი და მოდღურული სახე გამოჩნდა. ხოლო დაბალი კიბის ბაქანზე ჩამრგვალებული, ლოყებდაფლაჟა ქალი გამოვიდა, ხელში წლინახევრის ბავშვი ეჭირა. „გულო! — დასვი მაგ ბავშვი და ახლავე დაკალი ყველაფერი...“ ქალს გულიანად გაეცინა. „რა ყველაფერი? ორი წიწილა გყავს ძარაში“. „დავკლათ ორივე? — მომიბრუნდა ალე, — თუ ერთი გვეყოფა?“ მე პირადად არაფერი მინდა-მეთქი, ვუთხარი, ეს-ესაა სუფრიდან ავდექი, მაგრამ ერთი წიწილა გინდა აკმარო ამ ხროვას?“ ხელი ბავშვებისკენ გავიშვირე. მეც ხომ ვიყავი ბავშვი და მშვენივრად მახსოვს, სტუმრის მოსვლა პირველ რიგში იმიტომ მიხაროდა, რომ მის გასამასპინძლებლად გაკეთებული ნუგბარი საჭმელებიდან ცოტა რამ მეც მერგებოდა.

— მართლაც, — თქვა ალემ და დანა მოიმარჯვა, — ორივე უნდა დავკლა.

მე, რა თქმა უნდა, არც მშიოდა და არც მწყურდა, მაგრამ დიასახლისმა ისეთი გემრიელი ვახშამი მოგვიმზადა იმ ორი წიწილათი, რომ თავი ვეღარ შეიკავე, სხვებთან ერთად მეც მადიანად შევექეცი. ისე გახარებული და [illegible] ცებული, ისე ბედნიერი იყო ალე ჩემი სტუმრობით, რომ მისი სიხარული და ბედნიერება მალე მთელ ოჯახს გადაედო. ოთხივე ბავშვი იმ ოთახში ტრიალებდა, სადაც ჩვენ — დიდები ვისხედით. იყო ერთი ბრაგაბრუგი, წივილ-კივილი და სიცილ-კისკისი, დროდადრო გაცეცხლებული დედა წამოვარდებოდა, დაერეოდა ბავშვებს, მიტყეპავდა, თქვე უსინდისოებო, სტუმარს მაინც როგორ ვერ არჩევთ, პატივს რატომ არა სცემთო. ალე ეხვეწებოდა, გაუშვი, იხმაურონ, იცელქონ, ხელი არაფერში გვეშლებაო. გამიფუჭა ბავშვებიო, ამბობდა ალეზე ქალი, გაათამამა, გაანებივრაო.

გუშინ, მატარებლიდან რომ ჩამოხვედი, დაგინახეო, მითხრა ალემ, სადგურში ვიყავი მეც. მოსვლა დავაპირე, მაგრამ მარიკას მანქანაში რომ ჩაჯექი, როგორღა მოვბედავდიო, დაუმატა ღიმილით.

— ისე კი, მართალი გითხრა, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მესტუმრებოდი... რაო, რა გითხრა ჩემზე, გამასწორა მიწასთან?

— გიკვირს?

— არა.

— არც მე დამაკლებდა ხელს, — თქვა გულნარამ. — არადა, რას მერჩის, რა ჩემი ბრალია?

— შენი ბრალიცაა, ჩემიც, — უთხრა ალემ. — რას იზამ, უარესიც ხდება.

— ხომ არ გაკავებ? — უთხრა გულნარამ, — წადი. ერთ ოთახში ვიხუთებით ამდენი სული. შინ კი სასახლე გიდგას. ეზო-მიდამო — ნამდვილი ბაღნარი. რას უჩხიკინებ ყოველდღე მაგ ჯაბახანას, სახლში გაწკრიალებული ჟიგული გელოდება.

— ელოდება? — ვუთხარი მე, — გგონია, მიბრუნდება თუ არა, იმ წუთში გულში ჩაიკრავს მარიკა?

— მოსინჯოს, მე არ ვუშლი.

— ამ ყაჩაღებს რას უშვრები, გამოზრდი მარტო? — ჰკითხა ალემ.

— ის ორი ხომ გამოვზარდე, ამათაც მოვუხერხებ რამეს.

— ის ორნი დამხვდნენო, მითხრა ალემ და დაბალ ხმაზე ჩართულ ტელევიზორთან გაყუჩებულ გოგოებზე მანიშნა. კარგი ბავშვებია, წყნარი, ჭკვიანი, დამჯერე. მამა ოხერი ჰყავდათ, ორჯერ ციხეში იჯდა, ლოთი, ქურდი და რეციდივისტი. სცემდა ბავშვებს, ცოლს. მერე წავიდა, სადღაც გადაიკარგა, არც კი ვიცით, მკვდარია თუ ცოცხალი. ეს პატარა ბიჭი და გოგო კი ჩემია. თმაზე არ ეტყობათ? თუმცა მარიკა კი გაიძახის თურმე, სხვისიაო, მაგ ბავშვების მამობას ალე სულ ტყუილად იბრალებსო.

— თმამ მიშველა, — გაიცინა ალემ, — თორემ მართლა იფიქრებდა კაცი რაღაცას. მე ხომ ეშმაკს ვგავარ, ესენი კი, შეხედე ერთი, რა ლამაზები არიან. თმა რომ ნამდვილად ჩემი აქვთ, არა მგონია, ამას ბევრი მტკიცება სჭირდებოდეს.

მართლაც საოცრად მშვენიერი ბავშვები იყვნენ. განსაკუთრებით უმცროსი — გოგო, გაღიმებული, თვალებაციმციმებული სუფრას გარს უვლიდა, ხან სკამს მოეფარებოდა, ხან საწოლქვეშ შეძვრებოდა, ხან ალეს უბეში თავშერგული გამოაელვებდა თავის დიდრონ, ხავერდოვან თვალებს, რატომღაც მზერას არ მაცილებდა, მიმზერდა, მითვალთვალებდა, თითქოს რაღაცის თქმა, რაღაცის გაგებინება უნდოდა და ვერ მოეხერხებინა, ვერ გაებედა, თითქოს კარგა ხანს მელოდა, მელოდა და აჰა, როგორც იქნა, მოუვიდა სანატრელი სტუმარი.

— არ ვიცი, რა მემართება, — ვუთხარი ალეს, — ეს ბავშვი ისე მომეწონა, უნდა მოგპარო.

— ბავშვი კი არ უნდა მოიპარო, ძამ, — მასწავლა ჭკუა ალემ, — უნდა გააჩინო... ძალიან ადვილი საქმეა, სხვათა შორის. ჩემი აზრით, ესაა უდიდესი სიკეთე, რის ჩადენაც ადამიანს შეუძლია. აბა, კარგად დაფიქრდი და მიპასუხე, ვის რა უნდა აჩუქო ამ ქვეყანაზე სიცოცხლეზე ძვირფასი? — გოგონამ ხელი დასტაცა, ჰაერში აისროლა და გულში ჩაიკრა, — ვინ გაბედავს და იტყვის, რომ ამ ქვეყანაზე ზედმეტი ვარ, უმაქნისი? მე რომ არ ვყოფილიყავი, რა გგონია, ეს ანგელოზი ციდან ჩამოფრინდებოდა?

ალე ასე გაცხარებული რომ მომიწოდებდა „უდიდესი“ ადამიანური სიკეთისაკენ და, მის მოწოდებას მეტი ძალა რომ ჰქონდა, თავის მშვენიერ გოგონას ჰაერში რომ აბურთავებდა და გულში იკრავდა, ბიჭმა, განაწყენებულმა იმით, რომ რამდენიმე წუთით ყურადღება მოაკლდა, სუფრის გადაყირავება მოინდომა. ჯერ ერთი კუთხიდან დაეჯაჯგურა, მერე მეორიდან. ძვრა რომ ვერ უყო, მაგიდის საფარს ჩაებღაუჭა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაქაჩა. რამდენიმე თეფში და ჭიქა იატაკზე გადაცვივდა და დაიმსხვრა. მოთმინებიდან გამოსულმა გულნარამ ბიჭს ქეჩოში ჩაავლო ხელი, მერე გოგო გამოსტაცა ალეს და ორივე მეორე ოთახისაკენ გაადფრიალა. დავაძინებ ამ ებრაგებს და ახლავე გამოვალო, დაუბარა ქმარს. უფროსი გოგონები კვლავ ტელევიზორს მისჩერებოდნენ და მათთვის სხვა აღარაფერი არსებობდა დედამიწის ზურგზე. მე ჭიქა ავწიე და ალეს მივმართე, ჩემო ძვირფასო ალე, ისეთი უდავო საბუთები მაჩვენე შენი არსებობის გამამართლებელი და დიდ სიქველეთა დამადასტურებელი, რომ უყოყმანოდ უნდა შევსვა შენი ახალი ცოლ-შვილის სადღეგრძელო, ბარემ ახლა შენი მძიმე ცოდვებით მოინანიე და სამოთხე განაღდებული გექნება-მეთქი.

— ხომ არ გგონია, — დავუმატე, — ეს ერთი წყვილი ქალ-ვაჟი გადაწონის შენს გაუგონარ მუხანათობას?

— ერთ-ერთიც კი საკმარისზე მეტია, — მიპასუხა ალემ, — რომ ნებისმიერი შეცოდება მეპატიოს... მაგრამ შენ მაინც რა მუხანათობაზე მელაპარაკები, არაფერი მესმის.

— არ ესმის! ცამდე მართალია ბიჭი!... ასეთი რა დაგიშავა იმ ქალმა, რომ ადექი და ასე უბოდიშოდ მიატოვე?

— რომელმა ქალმა?

— ახ, ვეღარ არკვევს! აერია ერთმანეთში! რომელმა და მარიკამ!

— მარიკა შენ ქალი გგონია?

— რაო? ქალიც აღარაა? აბა ვინაა?

— ვინაა და სატანა! ნამდვილი სატანა!

ავდექი, მუხლები გავმართე, ოთახში გავიარ-გამოვიარე, ალემ თავისი „პრიმა“ აახრჩოლა.

— ეს უკვე მეტისმეტი მოგვივიდა, ჩემო ალე, — ვუთხარი მე, — ცუდი ქალიაო, მარიკაზე ჯერ ჩემთვის არავის უთქვამს.

— შეგაბრალა თავი? ვიცი, ვიცი, რასაც გეტყოდა.

— შენ თავი იმართლე, თუ შეგიძლია.

— მაგისთვის მოხვედი? გასამართლებას მიპირებ?

— რატომაც არა? მარიკა ჩემი თანაკლასელია, ხომ არ დაგავიწყდა?

— ჩემი ძმაკაცი რომ ხარ, ის არაფერია?

— შენც ჩემი ხარ და ისიც, სიმართლე მინდა გავიგო.

— რა ცუდია, რომ არ იცნობ. თანაკლასელი კია, მაგრამ ოდნავადაც არ გცნობია, დამიჯერე... უჰ, მტრისას, მაგისთანა ქალი.

ალე გაჩუმდა, სახე დაეღმიჭა, თითქოს მივიწყებულმა ტკივილებმა თავი შეახსენესო. ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა, ხარბად მოქაჩა. ბოლოს ხელი გაუქნია.

— გასწი, კაცო, ნუ დამახრჩვე... ეს ბავშვები მაინც არ გებრალება?

— მაცალე ერთი. ღია ფანჯარასთან არ ვზივარ?

ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

— მომკლა კაცი, სისხლი გამიშრო... ხო-ხო, რა ჩალიჩის თავი აქვს? კაცი ვერ ამიტანია მაგისთანა და ქალი? სახლი ნასე? ეზო? ყველაფერი თვითონ გააკეთა. გეტყოდა, ალბათ. ახლა შვილები იკითხე, სად მოაწყო, სად სწავლობენ! უეჭველად გეტყოდა მაგასაც... არადა, სამიანებზე ძლივს მოახერხებენ შუალო სკოლა. მანქანებს ხომ ხელთათმანებივით იცვლის. ეს მესამეა თუ მეოთხე... მალე დირექტორი გახდება და აი, მაშინ ნახე, რა საქმეებს დაატრიალებს.

— ქალი შენ გყოლია, ძმაო, — ვუთხარი ალეს, — აბა, ჩემი ცოლი ბაზარში ვერ წასულა მარტო.

— ჰა, რა თქვი? — შემაწყვეტინა, — არ ხუმრობ?

შემომხედა, პასუხს არ დაუცადა, ცხარედ განაგრძო:

— ხარბი, საშინელი ხარბი... სულ მუდამ გაფაციცებული, დადარაჯებული, სად რა იშოვოს, სად რა სარგებელი ნახოს, ვის რა გამორჩეს. არაფერზე უკან არ დაიხევს. მარტო ერთ რამეს ვერ დავწამებ, ცოდვას ვერ ვიზამ... ორივე შვილი ფაქტიურად გაშვილებული ჰყავს. ამას ვერ გეტყოდა სირცხვილით. იცი, რისთვის? სხვისი ბინები რომ ჩაიგდოს ხელში. გოგო თავის გაუთხოვარ დასთან ჰყავს, ბიჭი კიდევ ვიღაცასთან, ვის არ გამოჩხრეკს და არ იპოვის. ჰოდა, ამ ჩვენს შვილებს დარჩებათ ეს ბინები მემკვიდრეობით, თუ რაღაც კანონით... რა ვიცი, მე მაგეებში ვერ ვერკვევი, ან ვინ რას მკითხავს... ეს ამოდენა სასახლე სოფელში ვიღასთვის წამოჭიმა? ორივე შვილმა თბილისში დაამთავრა სკოლა. მომაცილა. ალბათ, ეშინოდა, მე არ დამმსგავსებოდნენ, ჩემისთანა ბედოვლათები არ გამოსულიყვნენ. ბიჭი მაინც დაეტოვებინა. ერთი შვილი მაინც არ მინდოდა სახლში? გამოვყრუვდი მარტო. მოდი-მეთქი, მივუმატოთ ერთი, მესამე. ასე მარტო სანამ უნდა ვიყოთ-მეთქი. ჯერ ერთი, მართლა გამიჭირდა მარტობა და მეორეც, ვიფიქრე, პატარა ბავშვი რომ ეყოლება, იქნება გაახსენდეს ქალი რომაა, მოეშვას ამ ჩალიჩს, იქნება ქალს დაემსგავსოს-მეთქი. ხომ არ გაგიკვირდი. რა დროს ეგ არიო, დავბერდითო. მაშინ, ვუთხარი, გაზრდილს მოვიყვან-მეთქი... ჩემი ავთო მაშინ უცოლო იყო. ხომ გა-

ხსოვს ჩემი ბიჭები — ტარიელი და ავთანდილი? მწერდა წერილებს ბიჭი, თუკი მივიღებდი, ჩამოვიდოდა, საბოლოოდ ჩვენთან დასახლდებოდა. (სხვათა შორის, ბაბუა ვარ უკვე, ოთხი შვილიშვილი მყავს, ბიჭები ორივე ცოლშვილიანია, მაგრამ რად მინდა, ჩემთვის დაკარგულია უკვე ყველა). ამაზე, ცხადია, მარიკა ვერ დავითანხმე, მაგრამ ავთოს მაინც მივწერე წერილი, ჩამოდიმეთქი. კარგი სამუშაო მოვუძებნე. ელექტრიკოსი იყო ისეთი, ისეთი... სანთლით საძებარი. ისე იყო ბიჭი შეყვარებული აქაურობაზე, ისე მოსწონდა ჩვენი ხალხი, რამდენიმე თვეში ქართულად ალაპარაკდა. გაიგდო მარიკამ, არაფრით არ გაიჩერა, მე იმისთვის არ ამიშენებია ამოდენა სახლი, შიგ ვიღაც გადამთიელმა იბუნდრუკოსო. სადაური გადამთიელი იყო... არც ჩვენს სახლში აპირებდა დარჩენას, დაპირდნენ ბინას და მიიღებდა კიდეც... სადაც მუშაობდა, იქაც შეუჩნდა, იქიდანაც გააგდებინა. არ ელოდა ბიჭი ასეთ მტრულ დახვედრას, აუცრუვდა გული, წავიდა... დაბრუნდა თავის უფროს ძმასთან და დედასთან.

ალემ ჭიქები შეავსო და ეკრანთან მიმჯდარ გოგოებს შეახსენა, გეყოფათ, თქვენი დაძინების დროც მოვიდაო. ბავშვებმა ტელევიზორი გამორთეს და უსიტყვოდ გავიდნენ გვერდით ოთახში. ალემ ჭიქა ასწია, ბარემ ჩვენი შვილები დავლოცოთო, დიდებიც და პატარებიც, მსხვილებიცა და წვრილებიც. იცოცხლონ, გაიხარონ. მე ჩემს შვილებს ჯერჯერობით დიდად ვერაფერში გამოვადექი, და ვატყობ, თავს ვერც მომავალში ვისახელებ, ჩემგან რა მემკვიდრეობა უნდა მიიღონ, როცა თვითონ არაფერი გამაჩნია, მაგრამ იმედი მაქვს, ცუდად მაინც არ მომიგონებენო, არ დამწყევლიან და არ დამძრახავენო. ამ დიდებულ ქვეყანაზე რომ მოვიდნენ და ამაში რომ წილი მიდევს, განა ცოტაა? დადიხარ კაცი მიწაზე, გრძნობ, ხედავ; შრომისა და სიხარულის ნიჭი დაგყოლია — ეს უკვე უდიდესი ბედნიერებაა თავისთავად. ამას დაფასება უნდა, ჩემო ძმაო... თუ არ დააფასებენ და, რა ვქნა, მე ჩემს სინდისთან მართალი ვარ.

— არ მოგბეზრდა აქ ჯდომა? — მკითხა უცებ, — მოდი გავისეირნოთ, მდინარის პირას გავიაროთ...

ზაფხულის თბილი, უმთვარო ღამე იყო. საოცრად ამაღლებული და გაგანიერებული ცა ვარსკვლავებს გადაეჭედა. ხიდის თავში მაღალ ბოძზე მიმაგრებული ნეონის ნათურა იქაურობას დღესავით აკაშკაშებდა. შუქი მდინარის ზედაპირსაც ეფინებოდა. წყლის ტალღები მრავალფერად ციმციმებდნენ და ლაპლაპებდნენ. მდინარის ჩხრიალსა და დუღღუნს ყველა სხვა ბგერა თუ ხმაური დაეხშო, დაეფარა. ფერდობზე დავეშვით და მდინარის ნაპირას აბიბინებულ მდელოზე გავედით. ალე ბალახში გაიშოტა, ცას მიაშტერდა, ხელები გულზე დაიკრიფა. ნეონის ნათურის მიმცხრალი შუქი აქამდეც აღწევდა. აქ ჩვენ საანკესოდ დავდიოდითო, მითხრა ალემ: „გახსოვს?“ მახსოვს-მეთქი, მივუგე. ახლომახლო მაშინ ერთი სახლიც არ იდგა“. ღამითაც ხშირად გვიანკესია აქ მე და ალეს. კაცმა რომ თქვას, ღამით ვიჭერდით, რასაც ვიჭერდით. დღისით აქაურობა მუდამ ბავშვებით იყო სავსე. ბანაობდნენ, თევზაობდნენ, ნაპირზე ბურთს თამაშობდნენ, ჭიდაობდნენ, ჩხუბობდნენ. იყო გამუდმებული გნიასი, ჟიყინა, ორომტრიალი. დღისით რა თევზი გაეკარებოდა ანკესს, ღამით კი, იცოცხლე! რამდენჯერ მკლავისტოლა ქაშაყი და წვერა ამოგვითრევია წყლიდან, გულის გაფფრებული ბაგუნითა და ცახცახით, ვაითუ, საამაყო და სატრაბახო ნადავლი ხელიდან გაგვისხლტესო. რამდენჯერ შეგვრჩენია ხელში ანკესის წვერწატეხილი ჯოხი, ან გაწყვეტილი მკედი.

უკანმობრუნებულები ეზოში რომ შემოვედით, ალე თავის მოტოციკლეტთან შეჩერდა, დოინჯი შემოიყარა. ესეც გვარიანად დამიძველდაო, თქვა დანანებით, გამაწვალა ამ ბოლო დროს. ეს წელი იქნება გამატანინოს როგორმე, გა-

ისად კი, ღმერთმა ნუ ქნას, ახალი რომ ვერ ვიყიდოო.

— არა, ალე, — ვუთხარი სერიოზულად, — არ ქნა ეგ, ძალიან გთხოვ... ნუ იყიდი ახალს.

ალე გაკვირვებული მომიბრუნდა.

— რატომ, კაცო?

— კმარა... საზღვარი აქვს ყველაფერს.

მიმიხვდა, რასაც ვგულისხმობდი. თავი ჩაკიდა, „პრიმა“ მოძებნა ჯიბეში, გააბოლა.

— ვიცი, იხუმრე, მაგრამ მეწყინა მაინც. როგორ მოგვიდა აზრად, რომ მე გულნარას მიტოვება შემიძლია?

— ეგ როდის ვთქვი, — ვიმართლე თავი, — შარზე ხარ?

— გული მატკინე, იცოდე... გულნარა ქალია, ბიჭო, შენ ეგ ის შენი მარიკა ხომ არ გგონია? ახლა ერთ რამეს გიამბობ... ბიჭზე არ დაორსულდა? შეუჩნდნენ აქ მეზობლები თუ დაქალები, მოიცილეო, ალეს ათასი პარასკევი აქვს თავში, ვინ იცის, როდის რა მოეპრიანებაო, მარტოხელამ როგორ უნდა გაზარდოო. მიიყვანეს ექიმთან. გვყავს აქ რაიონის ცენტრში ერთი ყასაბი დედაკაცი, ყოველ საღამოს რიგი უდგას კართან. დაინახა თურმე გულნარამ რამდენჯერმე სისხლისა და ახლადჩასახული ბავშვების ნაკუწებით სავსე ვედროები რომ გამოიტანეს ექიმის ოთახიდან და წაქცეულა, ჩამოვარდნილა სკამიდან. გონს რომ მოიყვანეს, წივილ-კივილით აიღო თურმე იქაურობა... ასე გადამირჩა ბიჭუკელა... ხომ ნახე, რა ბიჭიცაა? მერე დიდხანს არ ელაპარაკებოდა „დაქალებს“. ახლა გოგო?.. იმ დროს გული აწუხებდა ძალიან და, რა მექნა, შემეშინდა, არ მოკვდეს-მეთქი, საცოდავი, თვითონ შევთავაზე, ფულიც ვაძლიე, წადი-მეთქი, წაიყვანე ვინმე... იცი, რა დღე დამაწია: როგორ წამოგცდაო. ერთი თვისაც არ იყო და უკვე უყვარდა, ისევ ისე, როგორც ისინი — გაჩენილები... კინაღამ გამაგდო. რაფერ ბავშვს ვწირავდი! რომ გამახსენდება, ტანში კანკალი დამივლის, ცივი ოფლი დამასხამს. რა თვალები აქვს, არა? გინახავს შენ სადმე, ბავშვს ასეთი თვალები ჰქონდეს? გიმზერს და რაღაცნაირად რბილდები კაცი, თბები, თბები და შიგნით რაღაც ლღვება... ხომ ასეა? არა და, შეიძლება არც გაჩენილიყო, წარმოგიდგენია? წეღან რომ მითხარი, უნდა მოგპაროო... ხუმრობა იქით იყოს და ზოგჯერ მეშინია, ვინმემ მართლა არ სტაცოს ხელი...

— გაჩუმდი, ალე, — ვუთხარი სიცილით, — შენ ჭკუაზე ხარ? რა დროს ბავშვის მოპარვაა!

— ეგ ხომ ისეთი არაა, ყველას რომ ჰყავს... ეს რაღაც სასწაულია!

— ერთი სიტყვით, — ვუთხარი ალეს, — გულნარა შენი საბოლოო ბედია.

— საბოლოო კი არა, ერთადერთი, — მითხრა ალემ, — ძილის დროც მოსულა, — დაუმატა მერე და კიბისკენ გამიძღვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე მინდა ვიყო შენი ხელით დარგული ცაცხვი,
ან შენი ხელით დანთებული ბრიალა ცეცხლი,
ან შენი ხელით გაგზავნილი ბარათი ტრფობის,
ან შენი კალმით დაწერილი სალექსო სტროფი.

მე მინდა ვიყო შენს „ახლაში“ და შენს „მერეში“,
შენს სარკეებში, შენს სიზმრებში და შენს წიგნებში...
მე მინდა ვიყო მამაკაცი — ღრმა სიბერეშიც —
ვის თვალშიც ისევ მომხიბვლელი ბავშვი იქნები.

●

თოვს. ირგვლივ მხოლოდ თეთრი
თოვლია!
ჩამოჰყოლია შრიალით ზეცას,
უხილავ კიბეს ჩამოჰყოლია
და გაფენილა მიწაზე ზეწრად.
დავდივართ თოვლში, ვეფრქვევა
თოვლი,
თოვლით სავსეა ცა გასაფრენი.
თოვლს დაუფარავს კორდი და მოლი,
თოვლი გვახსოვს და სხვა არაფერი.
არ გვახსოვს — თოვლქვეშ წყება იების
და ენძელები ჩათვლემილები,
ზამთრის სიზმრებში მოციმციმენი,
მიწას ფესვებით ჩაფრენილები.
დაგვიწყებია უკვე სრულებით, —
ვაი, რა უცებ დაგვიწყებია, —
თოვლქვეშ მფეთქავი ნაკადულები,
გაზაფხულობით რომ გვიწყრებიან,
რა კარგად გვახსოვს, რაც არის
თვალწინ,
რაც არის ახლა, რაც არის ამწამს —
თოვლი — თუ გვათოვს, წვიმა — თუ
გვაწვიმს,
ყინვა — თუ დაგვზრა, ცეცხლი — თუ
დაგვწვა!
გვესმოდეს ფრთოსანთ ყივილ-ხივილიც,
როცა არსად ჩანს გუნდი ჩიტების,
გვტკიოდეს ზოგჯერ ძველი ტკივილიც,
შარშანდელი თუ შარშანწინდელი.
გულო, იფიქრე ზოგჯერ მშიერზეც
და შორი გზებით დაქანცულებზე,
იფიქრე თოვლქვეშ მთვლემარ იებზე
და თოვლქვეშ მფეთქავ ნაკადულებზეც!

●

როცა სახლიდან გამოვდივარ,
თვალწინ ყოველთვის
კავკასიონის დათოვლილი
ქედი იშლება.
. . . . . .
დღეს ერთ შორეულ,
უცხო ქალაქში
(ალარ მახსოვდა სად ვიყავი)
გარეთ გამოველ
და ჩრდილოეთით გავიხედე
ჩვეულებრივად
და კავკასიონს
როცა თვალი ვეღარ შევავლე,
შევკრთი, შევცბუნდი,
როგორც ბავშვი,
რომელიც დედას ასცდა ქუჩაში
და დაიკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორი ამინდია გორში?

თბილისში ბევრი პოეტი ცხოვრობს.
ზოგს ვიცნობ სალმით,
ზოგს — ხმით და კალმით,
ზოგს — რუსთაველზე თამამი გავლით,
ზოგია ჩემი ძმა და მოყვარე,
ზოგი — უბრალოდ, თანამოკალმე...

შევხვდებით წუთით (ახლანდელ
დროში!):
— როგორი ამინდია გორში?
— ახალი რა არის გორში?
— გორშიც თუ მოთოვა გუშინ? —
ათასში ერთი თუ კითხულობს:
— როგორი ამინდია გულში?

გწამდეს!

უგულო კაცო, ვინ მოგცა
ასე ლამაზი ცოლი,
უჭკუო კაცო, ვინ მოგცა
ჭკვიანი კაცის როლი.
უფულო კაცო, ვინ მოგცა
მდიდარი კაცის ვალი,
ლამაზო გოგო, მდიდარ კაცს
ვინ მიგათხოვა ძალით,
მწუხარე კაცო, ტირილი
ვინ დაგიშალა, ვინა,

მართალო კაცო, ბეზღობით
რომელ საფლავში გძინავს,
ოცნებავ თავისუფალო
ვინ, ვინ შეგაჭრა ფრთები,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ,
ვინ გაგიხარა მტრები,
ვინ შეგირცხვინა სახელი,
ვინ აგამაღლა ცამდე?!
„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები“, გწამდეს!

ის ატმის ყვავილია

ატმის ნაზ ყვავილს ჰგავს სისათუთით
ხალხების ეროვნული სიამაყე,
ის სუფველასია უსათუოდ
და კაცობრიობას ზეამაღლებს.

მას სულის შებერვა ეკადრება,
სჭირდება სითბო და შებრალება...

ვამაყობ, რომ გავჩნდი მე ქართველად,
როგორც თქვენ—რუსად თუ ებრაელად.

არა დაცინვით და ქვემეხებით
(ხომ ვიცით, მომხდარა უარესიც!)
ფრთხილად! მას ხელით ნუ შეეხებით,
ის ატმის ყვავილია უნაზესი!

ელისო გოლეძვაძეს

ეს ლექსი შენია — თაფლად და შაქრად!
ხარ სიამაყე და იმედი ერისო!
შენს თითებს ვენაცვალე, ელისო,
და შენს რომანტიკულ დაკვრას!

ქალო, პატარქალო, ქვეყნის თვალო,
უკრავ, თუ მირონი გვესხურება?
შენს გზებს ვენაცვალე სამომავლოს
და ბახის შენეულ შესრულებას!

გზები გატარებენ, გატარებენ,
ბოლოს სუფველა გზა აქ მოგიყვანს...

იმ დარბაზს ვენაცვალე, ნეტარებით
ფეხზე წამომდგარი ტაშს რომ გიკრავს!

მამულზე ფიქრებში დაგათენოს,
მის სახელს ეცეცხლე და ენაცარე,
შენს დიდ მასწავლებელს —
საქართველოს,
ჩვენს დიდ საქართველოს ვენაცვალეთ!

შენია ეს ლექსი — თაფლად და შაქრად!
ხარ სიამაყე და იმედი ერისო!
შენს თითებს ვენაცვალე, ელისო,
და შენს რომანტიკულ დაკვრას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

უცებ დამთავრდა...
უცებ წავიდა...
ღიმილი სევდის ნიღბად ვიფარე
და გამოვედი ისე ღამიდან,
თითქოს სიზმრიდან გამოვიპარე...
ვნება, ჩამდგარი სხეულში ერჩოლად
გადავაბრალე ქარს და სიცივეს

— მელოდე კარგო, მე ისევ მოვალ! —
დაგაიმედე და გაგიცინე.
შენ დიდხანს, ჩუმად, იჭვით მიყურე
მომეალერსე, მითხარ — მშვიდობით!—
და როცა კარი გამოვიხურე
მიხვდი, არასდროს არ მოვიდოდი.

●

მზე იღლება,
მე კი ლექსით არ ვიღლები,
სულის ფერზე ჩითილებად ვხატავ
სურათს,

ამდგარან და მინდვრის ჭრელი
ყვავილები
ჩემს კალთაზე ბალღებივით
გადმოსულან!

დედა

დედა, შენს სახელს ვახსენებ ახლა,
როცა გულს შენი სითბო სჭირდება,
როცა ცხოვრების მარადი ძალა
განებივრებულ სულს ეჭიდება.
მასწავლე შენი მადლი დედური
და საოცარი ფხის გამოჩენა
(მე ჯერჯერობით ბედს არ ვემდური),
და დამილოცე, დედი, მარჯვენა.

მასწავლე რკინის პერანგის ჩაცმა
დედა-სამშობლოს თუ დასჭირდება,
რომ ვიწილადო, როგორც ვაჟკაცმა,
მისი დარდი და მისი დიდება...
ვიყო ისეთი, როგორც შენა ხარ
ამაყო, ნამუსმანდილიანო...
შენ ჩემი მიწის „ოქროს ვენახო“,
ქართლის დედაო — სახემზიანო.

ჩემი ეზო

ატმის ყვავილებს ვეალერსები
და ფეხშიშველა ჩავირბენ ბაღში,
ახლა მოვედი ახალ ლექსებით
კარებთან დარჩა ცისფერი ბავშვი.
ბევრს ახსოვს ალბათ ცისფერი ვიყავ
და მიხდებოდა ცისფერი კაბაც...
სადღაც სარდაფში მხატავდა ვიღაც
ჩემთვის მართავდნენ თარჩიას, ყაბახს.

ჩემსკენ ისროდნენ ცოცხალ ყვავილებს
და ზოგჯერ ეკლის გვირგვინიც მედგა,
ასი ხანჯალი გულში გავივლე —
სამშობლოსათვის სიმღერა მეთქვა.
შემოგევლები — ეზოვ, ძვირფასო,
შენს ატმის ხეებს ვეალერსები,
რომ შენი შუქის ეშხით შევავსო
დღემდე ცისფერი ჩემი ლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე ძლიერ
საკუთარი სინდისის შემდეგ
შენი შიში და
შენი რიდი გამომყვა დღემდე
შენთან ვარ მარად,
შენს ფიქრში ვარ,
შენს გულთან ახლოს
იქ შენთან ერთად
ჩემი ტკბილი ბავშვობა სახლობს...

ჩემო პირველო სიყვარულო
ჩემო მსაჯულო,
ათას დარდში და საწუხარში
გამოტანჯულო,
ეს შენ მავალებ,
შორით მუდამ ჩემკენ მზირველი
— ისე მიყვარდეს ბოლოც
თითქოს იყოს პირველი! —

შინმოუსვლელ მზეჭაბუკებს

ჩვენ გავიმარჯვებთ ბრძოლების შემდეგ
და გამარჯვების დიადი დღიდან,
შინმოუსვლელთა დარდიან დედებს
ზამთარ-ზაფხული რომ გაუფრინდათ.
ვარდების მზეა... ვარდებით სავსე
ლურჯი იებიც მზეზე თბებიან,
შინმოუსვლელთა დარდიან გზაზე
დედები შვილებს ელოდებიან.

ელოდებიან... ჭაღარა დედებს
მძიმე ლოდინი არ მოსწყინდებათ,
მზე დაადგება თოვლიან ქედებს
და ცხრა მაისი ამობრწყინდება.
ამობრწყინდება, როგორც დიდება,
ღიმილის შუქით, ცრემლთა ჩრდილებით,
როგორც მარადი არდავიწყება
მზეჭაბუკებად დარჩენილების.

ვერვინ გამიგო, ვისაც გავენდე.
ზამთრისპირია. წვიმს ალმაცერად.
ბედნიერების აღთქმულ მხარემდე
კვლავ მრჩება ხელის ერთი გაწვდენა.

მე ამ ნაპირთან ბევრი გიცადე,
ვერცხლისფრად ბზინავს ტანი ტეხურის.
ბედნიერების დღესთან მისვლამდე
ერთიღა მრჩება კვლავ საფეხური...

ჩემი სიცოცხლე იშლება გზებად,
მე მიფარავენ გზათა ღმერთები.
თუთარჩელაა და სუფევს შვება,
მაგრამ მე მხოლოდ დარდს ვუერთდები.

სიყრმის წლებიდან მოსულა ბავშვის
უმანკო ლანდი, მარად რომ დამდევს: —
რა ახლოს იყო მთვარემდე მაშინ,
ახლა კი როგორ შორია ცამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობები

ქორისაანთ ელენე

გარემოს დაცვის საკავშირო კონფერენციაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, ბევრ დელეგატს დავუახლოვდი. განსაკუთრებით სამნი შევეთვისენით ერთმანეთს: ყაზახი ორაზ ბულატბეკოვი, ესტონელი რუდოლფ ისტე და მე. ერთხელ, სხდომების შემდეგ, სამივენი მთაწმინდაზე ავედით სავახშმოდ. რესტორანი ხალხით იყო სავსე, მაგრამ თავისუფალი ადგილები მაინც მოიძებნებოდა. დავსხედით ერთგან, ორტოტა ფიკუსთან. რუდოლფმა მაშინვე მენიუ გადაშალა. ორაზმა ახლად ნაყიდი ფერადი ღია ბარათები ამოიღო.

უცებ დარბაზში სამი, ერთმანეთზე ლამაზი ქართველი ქალი შემოვიდა. განუყრელი დაქალები და რესტორნის მოტრფიალენი ჩანდნენ. ბაკუნით წამოვიდნენ და ჩვენს გვერდით, ახლად გათავისუფლებული მაგიდა დაიკავეს. ერთმა მათგანმა სიგარეტის კოლოფი და ასანთი დადო ბროლის საფერფლესთან. მეორემ ტარიანი სარკე მოიმარჯვა და პომადის წასმას შეუდგა. მესამემ, ნეფერტიტის პროფილიანმა, მწველი მზერა ისარივით გასტყორცნა დარბაზში, უშიშრად გადაატარა მოქეიფეთა ნაირგვარ თავებს, იმ კუთხეს მიასო, სადაც ოფიციანტები ტრიალებენ ხოლმე და ვიღაცა თითით იხმო. ორმეტრიანი ოფიციანტი, სქელი ულვაშები მოკლე ბადრიჯანს რომ მიუგავდა, უმალ მათ მაგიდასთან გაჩნდა. ქალები მოურიდებლად შეაცქერდნენ თვალებში დევივით ვაჟკაცს და რაღაცა შეუკვეთეს. მერე სამთავემ სიგარეტი გაირჯო პირში.

და უცებ მთელმა ამ სცენამ — დაწყებული ქალების გამოჩენით და დამთავრებული სიგარეტის გაბოლებით— ერთი ძველი ამბავი გამახსენა და უნებლიეთ მწარედ გამაცინა.

— რა გაცინებს? — მკითხა რუდოლფმა და მენიუ მომაწოდა.

— არაფერი!.. დღევანდელი პლენარული სხდომა წამომაგონდა, — ვიცრუე, — აკადემიკოსმა შკინინმა რომ გასძახა ორატორს: მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი მოხსენებიდან ისე გამოდის, თითქოს მდინარეს ქიმკომბინატი კი არა, თევზები აბინძურებენო!

— აჰ, კი, კი! — სიცილი აუტყდა რუდოლფს, მას ორაზმაც მიჰბაძა, — მოსწრებულად მოუჭრა! მადლიანი პაპაშაა — ნამდვილი მოსკოველი!.

სინამდვილეში კი აი, რა გამახსენდა.

ეს გადამხდა დიდი ხნის წინათ, როცა ათი-თერთმეტი წლისა თუ ვიქნებოდი. როგორც ყველა პატარა ბიჭს, მეც სულ მოგზაურობაზე მეოცნებებოდა. საათობით ვიჯექი ხოლმე ვენახის თავში და შტერივით გავყურებდი ბურუსიან ცივ-გომბორს, ჩამოთოვლილ კავკასიონს. თან გუნებაში ვმკითხაობდი: ნეტა, იმ მთებს გადაღმა როგორი ქვეყანაა, იმას იქით რაღა იქნებამეთქი!.. როგორც სწორების უმრავლესობა, მეც არ გავცილებოდი სოფელს. ის კი არა, წითელწყაროშიც ერთხელ ვიყავი ნამყოფი: კოლმეურნეობის ჯაბახანა „ზისით“ წაგვიყვანეს მთელი კლასი რენტგენზე გასაშუქებლად. ჩვიდმეტ მოსწავლეს სამი მასწავლებელი გვახლდა. ასფალტიან მოედანზე ცხვრის

ფარასავით გადაგვრეკეს და თავისუფლად გახედვ-გამოხედვის საშუალებაც არ მოგვცეს. ო, როგორ მომეწონა წითელწყაროო! რაღაც ზღაპრული სამყაროს სტუმრად ვიგრძენი თავი!!! უკან რომ გადმოგვატარეს ალყაშემორტყმულები, მანქანაზე დაგვსხეს და წამოვედით, გუნებაში პირობა დავდე — როგორმე მარტოკას მენახა ეს დიდებული ქალაქი! მაგრამ ამ ოცნების შესრულება არც ისეთი ადვილი იყო. 1954 წელს ჩვენში ჯერ ვის გაეგონა ავტობუსი და ტაქსი —არადა, სოფლიდან წითელწყაროამდე ოცი კილომეტრი მაინც იქნებოდა. მართალია, შირაქში მიმავალ კოლმეურნეობის მანქანებს ზედ წითელწყაროზე უნდა გაევლოთ, მაგრამ რა გამაბედვინებდა ასეთი თავხედური სურვილის გამყღავნებას. ან თუნდაც გამებედა, ვინ შემისრულებდა: ერთს ისეთს წამითაქებდნენ, მეორე აღარ დამჭირდებოდა!

რაკი სხვა გზა არ ჩანდა, მეც ავდექი და დიდ ბიჭებს წავბაძე. გავიპარებოდი გედიქის ხევზე და ანწლიანში სწორედ იქ ჩავიმალებოდი, სადაც ღვარცოფს გზა ერთიანად მიეხრამ-მოეხრამა, იმ ადგილას შოფერი მანქანას ურმის სისწრაფით გადაატარებდა ხოლმე. მეც სწორედ ეს მინდოდა! თუ ძარაზე არავინ ჩანდა, დავაგდებდი სამალავს და ჭინკასავით თვალის დახამხამებაში ავძვრებოდი ზედ. მერე მივიყუჟებოდი ერთ-ერთ წინა კუთხეში და წითელწყაროამდე სულ ასე განაბული ვეყუნტე, რათა კაბინის უკანა სარკმლიდან შემთხვევით შოფერს არ დავენახე, თორემ ვაი ჩემი ბრალი!..

წითელწყაროში ყოველ ასეთ გაპარვას მეშვიდე ცაზე ავყავდი. რას არ ნახავდა კაცი: სამსართულიანი შენობები, ჭრელი ხალხი, მატარებელი, ელევატორი, ავტომატიანი ჯარისკაცები, სურათებით გაჭედილი ფოტოვიტრინა, ველოსიპედით მოსეირნე თანატოლი გოგონები, ტრიუმფალური თაღი, უზარმაზარი კინოთეატრი, სადაც თურმე დღისითაც უჩვენებდნენ სეანსებს, ხახერხი... განსაკუთრებით პატარა (მაშინ დიდი რომ მომეჩვენა) პარკმა ამითრთოლა გული. თუკი სამართალია, პარკს მაინცდამაინც არ უნდა განვეცვიფრებინე, რადგან ჩვენი სოფელი შიგ ტყეშია ჩაკარგული და თითო იმხელა მუხა დგას, პარკის ხუთ-ექვს ხეს ერთად გადაიწონის. მაგრამ ლაზათიანად ჩამწკრივებულმა ჰადრებმა, მოხრეშილმა ბილიკებმა, თანაბრად შეკრეჭილმა გაზონებმა და დაბურულ ბუჩქებში საგანგებოდ შეთრეულ მერხზე გასუსულმა წყვილებმა სისხლი ამიჩქროლეს. „უეჭველად წითელწყაროელ გოგოს შევიყვარებ, საღამოთი პარკში გამოვასეირნებ და მეც სწორედ ამ სკამზე აეუხსნი-მეთქი სიყვარულს“. — ვფიქრობდი აღელვებული.

მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად წითელწყაროში განცდილი თავისუფლება მათრობდა! რამდენ ხანსაც გინდა ვმდგარიყავ მაღაზიაში და მეცქირა ათასნაირი წვრილმანით სავსე თაროებისთვის, ნოქარი არ წამობასილდება ქეჩოში,— დაიკარგე აქედანაო, როგორც ეს სოფლად იცოდნენ. მთელი დღე რომ მეყიალა ქუჩა-ქუჩა, კაცი-შვილი არ ჩამაცივდებოდა — ვინა ვარ? ვისი ვარ? რა დავკარგე? რას ვეძებ? მუქარით გულს არავინ გადამიტრიალებდა: დაიცა, შე საწყალო, დედაშენს ამბავი თუ არ მივუტანო!

ერთი სიტყვით, იმ დღით ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე თვითონ ვიყავი და მჯეროდა — უკვე დიდი ვარ და დამოუკიდებელ ცხოვრებასაც შევიძლებმეთქი. ეეეჰ, რა შეედრება მაშინდელ განცდას!!! მას აქეთ ბევრმა კოკა წყალმა ჩაიარა. ჩემი პროფესია და იღბალი მაგრად გადაეკვანძა ერთმანეთს და მსოფლიოს ბევრ ქალაქში მისეირნია, მაგრამ ის ტკბილი ზმანება აღარსად მიგემია, როგორც ოდესღაც წითელწყაროში გაპარვა მომანიჭებდა ხოლმე. მორჩა, გათავდა, აღარ განმეორდება, დაიმარხა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა ბევრი გავაგრძელო, ერთხელაც არის და კიდევ გავიპარე წითელწყაროში. იმდენი ხურდა მქონდა, თავისუფლად მომდიოდა ერთი ცალი ცარიელი ვაზნა, ჯიბის ფარნის ნათურა და ორი კრემიანი ღვეზელი. ამჯერადაც რჯულზე ვიხეტიალე. მზე რომ გადაიხარა, რკინიგზისკენ დავეშვი, რათა წნორისკენ მიმავალ მანქანებს ჩავსაფრებოდი.

აფთიაქს რომ ჩავუარე, ქალის ნაცნობმა ხმამ უცებ ჩემი სახელი დაიძახა. შიშისაგან სული კოჭებში წამივიდა. ჩვენი მეზობელი იყო, ლელია, მეცხვარის ცოლი. შიშს ახლა სირცხვილიც დაემატა და ჭარხალივით გავწითლდი, რადგან ლელიაზე ხმა დადიოდა: შოფრებს მარტოკა ჩაუჯდება ხოლმე და რაიონში სამამაძაღლოდ დადისო. ჰოდა, ბუნდოვნად უკვე ვგუმანობდი, რაც იგულისხმებოდა ამ „მამაძაღლობაში“.

— აქ რას აკეთებ?.. დედაშენი სადღაა? — მომიახლოვდა და პირდაპირ ჩამხედა თვალებში, — ერიჰა�ა, გამოპარული ყოფილხარ და ეგ არის!.. ერთი უყურე!

წამში ამომშხამდა მთელი დღის სიამოვნება. თან გუნებაში მიკვირდა: როგორ შემატყო, რომ გამოპარული ვარ-მეთქი.

ლელია საქმიანად მოიღრუბლა და გოჯის სიგრძე მუყაოს კოლოფი მაჩვენა.

— ქორისაანთ ელენეს გული გახდომოდა ცუდად და პირდაპირ გზაზე დაცემულიყო. აბების მეტი არაფერი ჰქონდათ მზად... დედაკაცი უპატრონოდ დავამყოფე, ვინაცობაა — მე მარტო რას გავხდები, ბარემ შენც... შინ არ მოდიხარ?

— ჰო.

— ჰოდა, მერე იქიდან სამივენი ერთად გავყვეთ რამეს.

უხმოდ დავეშვით ქვევით. ლელია ლაპარაკობდა.

— ეგ ჩემი ცოდვით სავსე, რატომ ვერ დამდგარა, გუშინდელი გოგო ხომ აღარა მყავს — ოთხმოცს მიუკაკუნა?.. ფოტოგრაფს სურათები უნდა დავადგადებინოო. მაგ საწყალს სურათები რაღას უშველის, როცა... ჰიტლერიც აძაღლდეს, რომ ამოტელა ჯვილობა დაჭამა! დღეს...

შემხვედრმა სატვირთო მანქანამ სვლას უკლო და კაბინიდან თავგამოყოფილმა სქელულვაშა შოფერმა ორაზროვნად მისცა სიგნალი.

— სატკივარი! — მიაწყევლა ლელიამ და განაგრძო: — მე კიდევ ერთი ოთხი ვედრო ჭერამი მქონდა გასაყიდად. — გაჩერებისკენ რომ მოვდიოდი, მაშინ შევასწარი თვალი. ქა, ვიძახი გუნებაში, ი ღობეძირას ქორისაანთ ელო ზის?! მაგრამ ელოს აქ რა უნდა! მიველ, მიველ და რასა ვხედავ — გულშეღონებული ელოა! ხელად შევუჯექი იღლიაში, გზის იქით, გრილოში გადავიყვანე და მაშინვე აფთიაქში გავიქეცი...

— რატო საავადმყოფოში არ... — ძლივს გავბედე ხმის ამოღება.

— ეჰ, არაო, იქ უარესად გავხდებიო. არ იცი, ჩვენი ხალხი — სანამ სული არ ამოგვძვრება...

ჩავუარეთ რუსულ სკოლას, უსარკმლო საწყობებს, გავცდით სამრეცხაოს და მთავარი გზიდან ნახნავებისკენ მიმავალ საურმეზე რომ გადავუხვიეთ, ბევრი აღარ გვივლია. განაპირა უბნის ბოლოს, მიტოვებულ ალიზის ქოხს მივადექით. ნაეზოვარში გოქშო და ჭინჭარი აყვირებულიყო. ჩამონგრეულ კედელთან გაშლილ შალზე მისვენებული ელენე ბებია სულს ძლივს იბრუნებდა. გვერდით ლელიას ბარგი ეწყო.

— მოხვედი? — ამოიხეხინა და წამოჯდომას შეეცადა.

— ჰო, — მიეხმარა ლელია და ჩემკენ თავი გამოიქნია, — აიმათი ბიჭია, იცნობ? ესეც წამოვიყვანე.

— მაგას რაღაზე აწვალებდი, ჯერ...

— ვაწვალებდი, რა — ეს კიდე გამოპარული ყოფილა და ბარემ ყველანი ერთად წავიდეთ.

— ეგ რა მითხარი! გამოპარვა როგორ იქნება, შვილო, ღმერთმა გაშოროს, ათასი ხიფათი და ფათერაკია! გონი, დედაშენი კიდე როგორ გეძებს... იშოვე, გოგო, რამე?

— დასალევი მზად არაფერი ჰქონდათ, ელო ძალო, — ლელია ერთმანეთში ჩადგმულ ვედროებზე ჩამოჯდა და კოლოფი გახსნა, — და აბები გამომატანეს. კარგიაო — მიქეს.

ლელიამ ქათქათა აბი გაზეთის ნაგლეჯში შეახვია, ქვით ვედროზე დანაყა, მისრის-მოსრისა, გაშალა და დედაბერს პირთან მიუტანა.

— გახსენი პირი!

— არა, არა, შენ ვერ იცი... მომეცი აქა.

ლელიამ ფრთხილად ჩაუდო ხელში გაზეთის ნაკუწი და ღარი პირთან მიატანინა. ელენე ბებია მიტრიალდა, სახე დაგვიმალა და პირი ისე გააღო. ფხვნილი სულ რომ დაიყარა ენაზე (ცოტა ნიკაპზეც ჩამოეფანტა), მერე ბოთლიდან წყალი მიაყოლა.

— ელო ძალო, წეღან ამასაც ვეუბნებოდი, — დაიწყო ლელიამ და ძონძდაცობილი წყლის ბოთლი ისევ ჩანთაში ჩადო, — როცა მგზავრობის ატანა აღარ შეგიძლია...

— მართალი ხარ, შვილო, მეც ვატყობ, მაგრამა... — რიდით შენიშნა ელო ძალომ და კაბიდან ბირკა მოიცილა, — მე ვიფიქრე, გავუტან სურათებსა და სიგრილითვე დავბრუნდები-მეთქი. მაგრამ ფოტოგრაფი შინ არ დამხვდა. ცოლმა მითხრა: ემანდ გავიდა, დაუცადე, მალე მოვაო. მეც დაველოდე. მზე გადაიხარა, მაგრამ სად არი! თურმე საქეიფოდ გაპარულიყო. ამხანაგებმა ფურგონით მოიტანეს — პირში ენა აღარ ედო.

— გატიალდეს!

— მერე ცოლმა მომიბოდიშა: აბა, რა გიყო, ძალო, ერთხელ სხვა დროს გამოდი, ან კიდევ დამიტოვე და მე გადავცემო. მე ვიუარე — დაგიტოვო, რასა ჰქვია, რო დაიკარგოს. თავში რაღა ქვა ვიხალო, მაგის მეტი არა მაქვს-მეთქი. ვაი, დედა მოგიკვდეთ, ლებო!.. ხელოსანს ხელზე უნდა ჩავაბარო და პირისპირ მოვურიგდე: რას გამომართმევს, როდისთვის იქნება, ან გადიდდება თუ არა —არჩილას სურათი ზედ ნიკაპთან ცოტა აწიწკნილია. ჰოდა, ავდექი და...

— ჰოდა, შენ მთელი დღე ლოდინის ილაჯი გქონდა, ადამიანო!

— ლოდინი... ლოდინიც ჰო, მაგრამ შიმშილმა უარესად შემაღონა... შვილო, ერთი ნატეხი პური ხომ არ გექნება?

— მომიკვდეს თავი! წეღანვე ვერ მითხარი, ელო ძალო, — როგორ არა მაქვს!

ლელია ჩანთას ეცა, მაგრამ ანაზდეულად გაქვავდა და მუხლზე მუშტი შემოიკრა.

— ვაი, გამომეცალოს გონი! მქონდა, როგორ არა მქონდა, მაგრამ წეღან სალდათები ცარიელ კუჭზე არაყსა სვამდნენ და ერთი ჯამი ჭერამი და ნახევარი პური იმათ მივაწოდე. ნეტა, არ მიმეცა!

— რას ამბობ ქალო, „არ მიმეცა“ რა ქართულია?!. მადლი გიქნია, ღმერთმა შეარგოთ... ეგ არაფერი...

— როგორ თუ — „ეგ არაფერი?!“ დამაცა, დამაცა! — ჩაფიქრებით შესძახა ლელიამ და სახეზე ისეთი გამომეტყველება აესახა, როგორიც მხოლოდ სოფლის ქალებს უჩნდებათ ხოლმე, როცა უწვრთნელ გონებას ძალას ატანენ, რათა გასაჭირიდან გამოსავალი იპოვონ.

— დღეს ას სამოცი მანეთის ჭერამი რისთვის გავყიდე — წავიდეთ სუყველა რკინიგზის სახინკლეში!

— ვიშ, ქა, რაღა ვქნა!!!

— ნუ გეშინია, ელო ძალო, ემანდ-ვეა. აქეთ-იქიდან შეგისხდებით და... თორემ ერთი ნატეხი პური თუნდაც მქონოდა, ის რას გიზამდა?! ცხელ-ცხელი ხინკალი კი გულ-მუცელს გაგითბობს და ხელად მოგასულიერებს!

— სასადილოში დედაკაცის შესვლა როგორ იქნება!!!

— ეეიმე, რატო, ქა?

— მაგაზე მეტი თავის მოჭრა და გამოჭენებაღა გვინდა, სოფელში ხმა გავარდეს: ლაზარეს დედაკაცი და ქორისაანთ ელენე სასადილოში ისხდნენ და ხინკალს აჭლაპუნებდნენო. ვიშ, ვიშ, ვიშ!

— მა, სასადილო რიღასთვისაა მოგონილი, ძალო?

— კაცებისთვის!

— ქალებს ჯამა აღარ გვინდა, დედაკაცო?! აბა, რას ამბობ, ადექი, სანამ...

— არა, შვილო, არა! ღვინონასვამი კაცებით სავსე სასადილოში თავი როგორ უნდა შევყოთ? არ იფიქრებენ — ესენი კაი ზნისანი არ იქნებიან და არც პატრონი ეკარგებათ, თორემ შინ ერთი ლუკმა პური როგორ არ ედოთ, რომ სასადილოში დატუნტულებენო. მე ცალი ფეხი სამარეში მიდგას — ჯანდაბას ჩემი თავი. შენ? მთვარესავით ქალი ხარ, ფერხორციანი, ქმარ-შვილის პატრონი. მთვრალი კაცის გუნებისა რა გესწავლება: ან მრუდედ გადმოგხედონ, ან უხეირო სიტყვა გესროლონ...

— თავქვას დაახლიან! ერთი არ გაბედავენ: იგეთი ვთხლიშო გოგოსა, მეორე აღარ მოუნდეთ!

— ეეე!

— ადექი, ადამიანო, რო გელაპარაკები, დაიცა, წამოგაყენო!

— ტყუილად ნუ მეხვეწები — არ წამოვალ, ჩემი დაკარგული შვილების მზემ! ოთხმოცისა ისე მოვიყარე, ჯერ სასადილოში ფეხი არ შემიდგამს და ახლა როგორ უნდა გავტუტუცდე, რომ...

რაკი მიხვდა, ამასთან ვერაფერს გავხდებიო, ლელია გაჩუმდა. თანაც, ეტყობა, რაღაც სხვა აზრი უტრიალებდა თავში.

— კარგი! — შესძახა ჯიუტად და ჩანთიდან ხატაური გოზაური ამოიღო,— მაშინ წავალ და აქ მოვიტან!

— არ მინდა... აღარ მშია... დაიცა, რას იფიქრებენ...

— მეხი იმათაც დაეცეთ — რაც უნდათ, ის იფიქრონ! მა, მშიერს მოგკლავ, რა!

— გამიგონე, შვილო... მე პირშავი, რა ჭირად გაგიხდი — ნეტა, დილას ფეხი მომტეხოდა და არ წამოვსულიყავი... აღ გინდა, ყური დამიგდე...

— შენ ჭკვიანად იყავი — მე ვიცი!

— რაკი არ იშლი, ესეც გაიყოლე.

— ეს იქ რათ მინდა, აქ იყოს!

— გამიქრა თავი!.. ბოდიში მოიითხოვე: ერთი ფლასიანი დედაკაცი დამივარდათქო. ან ვინმე შეაგზავნე, თუ მზად არა აქვთ რა, ნუ დაელოდები...

ლელიამ ჯამი იღლიაში ამოიჩარა და გზას გაუდგა.

— სასადილოში წავიდეთო! — უნიათოდ გაიღიმა დედაბერმა და მიმჭკნარ ტუჩებზე ორი თითი გაკვირვებით მიიდო, — ეგ რამ მოაფიქრებინა! ეეე, შვილო, შენ ჯერ პატარა ხარ და არ იცი: დედაკაცის სახელი და ღირსება სულ მუდამ ბეწვზე ჰკიდია. ერთი უთავგზური ნაბიჯი და მორჩა — ქვეყნის ყბაში ჩავარდება! შენხელა რო ვიყავი, ერთი არბოშიკული დეიდა მყავდა. ლამაზი, ლამაზი, როგორც თამარ დედოფალი. ერთხელ...

მოხუცს უეცრად ხმა ჩაუწყდა, წამოასლოკინა და ფერი უარესად დაეკარგა.

— ძალიან ცუდად გამიხდა ეს სასიკვდილე გული... ბოდიში შენთან, შვილო, მივწვები...

უნიათოდ მიესვენა გაქუცულ შალზე. ვედროს კიდეს ხელს არ უშვებდა. გაწყალებული თვალებით უაზროდ შესცქეროდა ჩამავალი მზის სხივებით განათებულ აგვისტოს ცას. ირგვლივ ჩვენს მეტი არავინ ჩანდა. შორს, მინდვრის ბოლოს, ქარსაფარ ზოლში შეხიზნული რუსის გოგოები წკრიალა ხმით მღეროდნენ.

ჯემალ მეხრიშვილი
მოთხრობები

ლელიაც გამოჩნდა. ცალ ხელში აოხშივრებული ჯამი ეჭირა, მეორეში — ლუდით სავსე კათხა. შორიდან ისე ჩანდა, თითქო სასაფლაოზე მიდისო.

— ეგ რაღაა? — ამოიხეხინა მოხუცმა და წარბით კათხაზე ანიშნა.

— პივაა, ელო ძალო, ყუათს მოგცემს. აბა, ერთი...

— რათ გინდოდა, მე მაგის დამლევი...

ლელიამ ავადმყოფთან ჩაიმუხლისთავა და წელზე შემოხვია ხელი, რომ წამოესვა. მაგრამ დედაბერს ხინკლის ხმევა აღარ ეწერა: ერთი უცნაურად შექანდა, უკანვე გადაიჭიმა, დაიხვნეშა და ლელიას მკლავებზე დალია სული.

— ელო ძალო, ელო ძალო! — დაიბღავლა' შეძრწუნებულმა ლელიამ და მე მომიბრუნდა, — გაიქე, დაუძახე ვინმეს... გვიშველეეეთ!..

●

ამ ამბის შემდეგ ჩემი ბავშვური ჭკუით მჯეროდა, რომ კაცებით სავსე სადილო-რესტორანში ქალთა მოდგმას არამც და არამც ფეხი არ უნდა შეედგა. გავიდა ხანი. დავამთავრე ათი კლასი, მერე არმია, მწყემსობა, ქარხანა, უნივერსიტეტი, სამსახური. ცხოვრებამ ბევრგან მათრია და ქორისაანთ ელენეს შეხედულებას, რა თქმა უნდა, აღარ ვიზიარებდი, მაგრამ მეხსიერებაში მაინც სათუთად ვინახავდი, როგორც ლამაზ ლეგენდას და ყოველთვის ვიხსენებდი ხოლმე გასამხნევებლად, როცა მთვრალი ქალებით სავსე ბარ-რესტორნებში ყოფნის მერე სულიერი სიცარიელე მეუფლებოდა.

და აი, ახლაც, მთაწმინდის რესტორანში სამი ქართველი მანდილოსნის გამოჩენამ უნებლიედ ქორისაანთ ელენე გამახსენა. და მეც წარმოვიდგინე, ჩვენთან ერთად რომ მჯდარიყო, მათ დანახვაზე როგორი გაუხდებოდა სახე: ორ თითს გაოცებით მიიდებდა დამჭკნარ, გაცბუნებულ ტუჩებზე და გახეტებული მიაჩერდებოდა ფეხი ფეხზე გადადებულ, პირში სიგარეტგარჭობილ ქალებს.

პრემია-წანამატები

ივლისის შუადღეა. ხეზე ფოთოლიც არ იძვრის. ხალხი მოსავლის აღებაზეა გაკრეფილი — სოფელი ერთიანად ჩამკვდარა. მუშტარგამოლეული დალაქი კაკუნა შიაშმელაშვილი სადალაქოს ჩრდილში, დომინოს ტყაპუნისაგან დაკეკნილ გრძელ სკამზე ჩამომჯდარა და ალმურმოდებულ შარაგზას ჩასაფრებული გასცქერის — ეგებ დამლაპარაკებელი მაინც ჩაიგდოს ხელში. ქუმბათში ვენახი აქვს შესაწამლი, მაგრამ კრიჭაში ჩამდგარი უფროსის შიშით ვერ გამოუკეტია სადალაქო. არადა, გუშინწინსაქეთ წამლადაც არ გამოსჩენია კლიენტი. ჯავრისა და მოწყენილობისგან აღარ იცის, რა ქნას. ისე ეფხანება ენა და გული, უცბად გაცოცხლებულმა მამამაც რომ ამოუაროს, იმასაც კი ლაზღანდარობას გაუბამს.

იღლად, მაღაზიიდან მომავალი ულაყაანთ გადაყრუებული ციხელო გამოჩნდა. მოკაკულ ბერიკაცს ზურგზე ყავარჯენგაყრილი, პურებით სავსე ბადურა წამოუკიდია. ცალ ფეხზე ხარაზული ჩუსტი აცვია, მეორეზე — ცხვირამოწიწკნილი კალოში, თავზე ყურებგაფშეკილი, გაქუცული ქუდი ადევს. მიხუსხუსებს დატვირთული და თავისთვის მილაპარაკობს.

— დეპეშებს ხომ არ არიგებ, რა მიგარბენინებს, ციხელო ძიაკ! — გაეძრახა გახარებული დალაქი.

— ჰა?

— დარდუბალა, — ჩაიცინა დალაქმა და ხმას აუწია, — აბა, ერთი მოდი აქა, დაგინახო!

ბერიკაცმა გზა დააგდო, ოოლოიანი გზისპირი ბებრული სიფრთხილით გადაიარა და დალაქთან მიცუნცულდა. დალაქმა ყასიდად გაწია, სკამზე დაუტყაპუნა და პირფერულად მიეხმატკბილა.

— დაჯე, ცოტა დაისვენე!

ხელებაცახცახებულმა ციხელომ ტვირთი ფეხებთან დაიდგა, პრიალა ყავარჯენი გამოაძრო და ხვნეშით ჩამოჯდა.

— ტყაპუჭში არა გცხელა, ადამიანო!

— დაუყვირა დალაქმა.

— სიცხე სად არი, ბიჭო, — უპასუხა ციხელომ და სნეული თვალები მოჭუტა, — შენ რომელი ხარ?

— „რომელი, რომელი!“ რომელი და ნიშა! თეთრი ხალათით მაინც ვეღარა მცნობ?

— ჰოოოო, მა, ქესარაანთ საბასი იქნები, კაკო-დალაქი.

— გახლავარ!

— მამაშენი როგოა, ბიჭო?

— ოჰ, დიდი ხანია, არ გიკითხია!

— ჰა?

— რამდენჯერ უნდა მკითხო, კაცო, — გაბალნულ ყურში ჩასძახის დალაქი, —სადაც შემეყრები და — მამაშენი როგოა, მამაშენი როგოაო. რით ვერ გაიგე ერთხელ: აღარ არი, მოკვდა, ფაფფუუუ!

— რას ამბობ, როდის, ბიჭო? — ხელს იჩრდილავს განცვიფრებული საპყარი.

— როდის და ოთხი წლის წინ, ზუსტად სამოცდაორის ცხრა თებერვალს. შენც იქ არ იყავი — დაგავიწყდა? — პასუხობს დალაქი და ნაპერწკლებისაგან დაფაცხატებულ ტყაპუჭზე დასცქერის, — ე ტყავი რამ დაგიწვა?

— დენმა.

— დენმა? რანაირად?

— ერთი დაიძახა — ბათქვაო და სუ ბურჯღალ-ბურჯღალი ნაპერწკალი დამაყარა!

— ემანდ არ მოგკლას!!!

— ეხლა ფეხებსაც ვეღარ მამჭამს: როგორც გაფუჭდა, გაფუჭდა — მაისს აქეთ სუ ჭრაქი გვინთია მტრის გასახაროდ.

— რატო დახლამანას არ მიიყვან?

— დაიკარგოს! მაგისმა დაპირებებმა უარესად დამაბერა!..

დალაქი ჩაფიქრებით ისრესს კისერს და ვეღარ მოუგონია, რით შეიყოლიოს ბერიკაცი.

— რად გინდა მაგდენი ფურნის პური — ღორს ასუქებ?

— რას ამბობს ეს კაცი! — შეფოცდა ციხელო და ბადურაში ჩაწყობილ პურების სვეტს მეჭურჭლესავით ფრთხილად შემოჰკრა ჯოხი, — მესამე წელიწადია, ამასა ვჭამთ... დავკარგეთ თონეში გამამცხვარი პურის გემო!

— რაღამ დაგაკარგვინათ?

— რაო?

— რატო აღარ გიცხობს მაშო ნათლია? რა — აღარ უნდიხარ?

— ეეე, დედაკაცი გამოუბრუნებლად ჩამილოგინდა, ბიჭო!

— რას იტკიებს?

— ვერა შეუტყვიათ რა!.. ვერცა ჯდება, ვერცა ბრუნდება. მე ვაჭმევ, მე ვასმევ, მე ვასუფთავებ... ტილ-მატლი გვჭამს... ჰოდა, შე კაი კაცო, შოთი კი არა, დაუმდუღრავი მახუხი გვენატრება.

— რატო თქვენებიანთ ქრისტინეს არ გამოაცხობინებთ?

— ქრისტო ცომში ხელს ჩაჰყოფს— ქალი ჩააბრაშუმებული დაიპრანჭება... ჰეე, მეც რო გონი წამივიდა: ღორი სადღა მყავს, კაკო!

დალაქმა მუხლებზე წაიშინა.

— რას მელაპარაკები! მა, რა უყავი ჯაგარა საკერატე — დაგიკლეს?

— არ კი დამიკლეს, გამიგარეულდა და მუხათხევში გადაიხაფრა.

— შენი ბრალია —უნდა დაგეკოდინებინა!

— ეჰ, უნდურის სიძეს კარი ავუტალახე —ეს საღოკე, ძალიან იწევს ნეზვებზე, მაიტა და გამამიყვერე, უნდა

დავაქოსმენო-მეთქი, არა მცალიანო — ათასნაირი ცალები შაიბა: მერე, მერეო და ეგე!

—ე მაგათი ლესტამბერი მთელი დღე ნაქოხრებზე დაკურდღლაობს, რატო არ...

— ვუთხარი, განა არ ვუთხარი, რა: ჯეილი ბიჭი არა ხარ, მა, ერთი ტყვია ვერ უნდა დააზილო იმ მგლის არჩივსა-მეთქი. მაგას სადა ვდიოო! რა დევნა უნდა: ფანცქალამ მითხრა, ორჯერ წამომიფრთხა ორსაყდრის გუბეზეო.

— ჰოდა, რაღას ეხვეწები — ადექი და შენ ჩაუსაფრდი!

ბერიკაცი უცნაურად გატოკდა და კბილებდაკრეჭილ დალაქს სევდიანად დაემზირა.

— ჰო, აი, დილაზე გავბაადურდები და!

— არ გაბაადურდები და რას დაათრევ ამ კომერციულ ჰურს, — ისე მიამიტად იტუქსება დალაქი, თითქო სულ წვრილად არ იცოდეს ულაყიაანთ ავანჩავანი, — მოიყვათ რძალი და კიდეც გამოგიცხობთ, კიდეც დაგიკერებთ!!!

ციხელო წკეპლაგადაკრულივით შეხტა და ბისტიანი თვალები საცოდავად აუპარპალდა.

— რძალი ვის მოვგვაროთ, კაკო?

— ვისა და, უშანგის! — დალაქმა სულ გაიბავშვა თავი.

ბერიკაცი ყავარჯენს მკერდით ჩამოეყრდნო და კაკუნას მათხოვარივით შეაცქერდა.

— დაღესტნიდან გადმოვარდნილივით რატო მეკითხები — უშანგი აქ სადღაა?

— რა ვიცი, ციხელო ძიავ, მე ხომ ეს ხუთი წელიწადი რუსთავში ვმუშაობდი, — ცრუობს დალაქი, — ერთი კვირაა, რაც ჩამოვედი!

ბერიკაცი მშვიდდება.

— მართალია, შენ ხო რუსთავში იყავი წასული და რა გეცოდინება,— ჩაფიქრებით უდასტურებს და ყავარჯნით მიწას უაზროდ ქექავს, — უშანგი აქ აღარა მყავს, კაკო, დალიასტოკაში გადამიქაჯეს!

— დალნი ვასტოკი საითღაა, კაცო?

— არც მე ვიცი, შვილო!.. ციმბირს გადაღმა ყოფილა. კალამაანთ ალექსის ერთი წიგნი ჰქონია და იმაში წერებულა: დედამიწა იქა სრულდება და იმას იქით აღარა არი რაო.

— აბაბაბაბა — ე-ეეეჰ!

მოხუცს თვალები ცრემლით აევსო.

— ემაგრე გადამიღუპეს... პა... პატიოსანი ბიჭი.

— ვინა, კაცო, ვინა?

— ვინა და, ბუქიაანთ არჩილა რო ამოწყდეს თავისი ცოლ-შვილით, იმან!

— ეგ ხო კაცი არ არი!

— ხუთიოდე ჯეილი გაიმეგობრა და დაუჩემათ: დალიასტოკში ხე-ტყის ჭრაზე წავიდეთო. ეგ ხო იქ უჯდათ ციხეში — რათ გამოუშვეს!

— არ იყო გამოსაშვები, არა!

— მაშა!.. იმდენი ქნა, შეაგულიანა ბიჭები: ჯამაგირები ხო თავისთავად დიდია და დიდი, პრემია-წანამატები კიდევ უფრო მეტიო! წავიმუშაოთ ერთი-ორი წელი და იქიდან საკუთარი ავტოებით წამოვიდეთო!

— ჰმმმ!

— გახარებული უშანგი ერთი ყოფით მამვარდა: მამავ, ძალზე დიდი პრემია-წანამატები ყოფილა, დალიასტოკში უნდა წავიდეო! მე უთხარი: შვილო, ვიქტორა და სტეფანე ფრონტზე დავკარგეთ, გენო სახადმა მოინელა და, ხო ხედავ, შენღა გვყევხარ იმედად — დალიასტოკი და პრემია-წანამატები რასა ჰქვია-მეთქი! ოცდაათი წლის კაცი ხარ, დაცოლშვილიანდი, დაიბუნაგე, სახლებს ზევიდან დავადგათ-მეთქი. ჩემი თათბირი არ ინდომა — ჯერ მანქანას შავიზენო. როგორცა ჰყავდა გაქეზებული ი ამოსაგდებს!

— მაინც არ უნდა გაგეშვათ, არა!

— რა მექნა, კაკო — ხარი ხო არ იყო, საბლით დამება?! დედაკაცმაც შაუტირა: ე ბებრები ერთ დღეს რო დავიხოცნეთ, ჩვენი დამმარხავი ვინ იქნე-

ბაო. არა ქნა, არ გაიგონა!.. ესეწი კი იგრეკ დაუბრუნდნენ თავთავიანთ ოჯახსა და იმოდენა ჩამოსატანი ჩამაიტანეს, ის კიდე დარჩა იქა და ჩაგვყარა დარდსა და ნაღველში.

— იქ რაღა უნდოდა?

ციხელომ ცრემლიანი თვალებით მიიხედ-მოიხედა და დალაქისაკენ ნდობით გაჩოჩდა.

— აბა, ეს შენი პირიდან კი სად წავა და — იქაური ქალი შაურთავს.

— აუჰ! — ისე შეიცხადა დალაქმა, თითქო ეს ამბავი პირველად მესმისო და თვითონაც ჩურჩულზე გადავიდა, — იქნება ჭორია?

ბერიკაცი ტუჩების ცმაცუნზე მიუხვდა ნათქვამს.

— არა, მნახველები არიან.

— აბა, ვინა?

— თითონ ეგ ძაღლი, შაურა, კაპაიანთ რამანა, ხოშა, ბესარიონი... მაგათ ჩამიკაკლეს ყველაფერი — ეგენი ხო მეორედაც იყვნენ იქ. ჯერ ნურსად კი ნუ იტყვი და — წლისა და სამი თვის გოგოცა ჰყოლიათ. სურათი ჩამომიტანეს — გამოცხადებული უშანგაა!.. ფული ჩამადნით უდგათ, მაგრამ მადლი არაფერს ადევსო.

— რატოო?

— ბიჭო, წელიწადი — თორმეტი თვე სუ ზამთარი ყოფილა. ტყის გარდა თურმე სხვა არა გვარობს რა. აქედან ჩატანილი კილო პამიდორი ოცი მანათი ღირებულა!.. აქ კი ზედ გვილპება და მამწყვეტი არავინა გვყავს... პაპა ენაცვალოს, აქ მაინც გვყავდეს!.. ოი, ტა-ტა-ტა... ამ ბიჭებს...

— შევარცხვინე მაგათი ბიჭობაც! — პირში ეცა დალაქი, — ვერ უთხრეს: წამო, მიჰხედე ი საცოდავ მშობლებსაო!

— დაიცა, გითხრა, კაკო-დალაქო! ესენი თურმე ერთი დღე-ღამე ეხვეწნენ და არიგეს ჭკუაზე, მაგრამ უშანგი ვირზე შამჯდარიყო: მე აღარც მამა მინდა, აღარც დედა, აღარც სოფელი, აღარც შამშობლო — დამანებეთ თავი!!!

— ქალს მოწამლული ჰყოლია! — დაბეჭდა დალაქმა.

— ჩვენც მაგასა ვშიშობთ, — თავით ფეხამდე კანკალმა აიტანა ბერიკაცი, — ეტყობა, მართლა რაღაცა აჭამა, თორემ უშანგის აქამდე იქ რა დააყენებდა! გამოჰყვებოდა — კარგი, არადა, დაჰკრამდა ფეხსა და გამოიქცეოდა!.. ადრე იგრე ვუყვარდით, იმისაგან ერთი უშმი ქართული არ გვახსოვს, მაგრამ ეხლა სუ გადასხვავებულა და ჯიგარი გასციებია ჩვენზე.

— ვერ არი კაი ამბავი!

— ვერა, ვერა! ეს წელიწადიც თუ იქ დაუზამთრდა, მერე მორჩა — ის აქეთ წამამსვლელი აღარ არი!

— შენ რა იცი, ძიავ?

— ვატყობ.

— რას ამბობს მაშო ნათლია?

— რაღას იტყვის?! იცინგლება და გაუწყდა თვალძაფი გზაზე ყურებისაგან. როგორც გამოვსაღდები, ერთი ლაპიაურთან უნდა ჩავიდე და ვაკითხინოო. გაგონილა ეგეთი ბალა, კაცო, ვინ დაგვწყევლა იმ ჩემი ცოდვით სავსემ!

დალაქი აღარ უსმენს და ჭროღა თვალები ეშმაკურად უციმციმებს: ეტყობა, გუნებაში რამე საოინბაზოს იგონებს.

— მომისმინე! მკითხავი კი არა, ერთხელ, როცა გეცლება, საბჭოს თავმჯდომარესთან მიდი და...

— ვინ არი ახლა?

— ოჰ! სტეპკოს სქელი მედიკო არ გვიზის, კაცო, დაგავიწყდა?!

— ჰო, ჰო, მომაგონდა!

— ჰოდა, ერთხელ... დაიცა, ვაშლებს გისხია?

— ხე და ხე.

— ერთი ვედრო სინაფი მოარჩიე, როცა მარტოკა იქნება, შეუტა და... ოღონდ არ წამოგცდეს, რო მე დაგარიგე!

— არა, არა, რას ამბობ!

— მიართვი ვაშლი და უთხარი: მე ვარ — დედაკაცი ჩამიწვა და აღარაფერში მარგია, შენა ხარ და — გასათხოვარი უზიხარ. რაკი ასეა, მოიტა და ამდამ...

— ხალხო, ციხელოს დამნახავი არავინა ხართ! — მოისმა ორღობედან ქალის განარებული ხმა, — ვაი, მამაჩემთან წავიდეს ეგა!

გზაზე კაპას-სირანა გამოჩნდა. ხელში წვერმოტეხილი ნამგალი ეჭირა. უკან კუდდაგრეხილი ნაგზი მოსდევდა. მომუსაიფეებს რომ შეასწრო ქოროული თვალი, უფრო უმატა ნაბიჯსა და კვესა-კვესა ლაპარაკს. დალაქს ფერი ეცვალა.

— ციხელო ძიავ, რას დაფისულხარ მანდ, კაცო! — აპილპილდა სირანა და ნამგალი თავზევით ხმალივით მოიქნია, — მაგასთან ტიტინის წუთისოფელი გაქვს, შე კომლობადავსილო?! — ახლა დალაქს ეცა, — შენ კიდე ან ღმერთისა რატო არ გეშინიან, ან ხალხისა არა გრცხვენიან... გაჩუმდი!.. მთელი დღე ნეხვივით იმიტომ უდევხარ გრილოში, შენი შიშით გზაზე ვერავინ უნდა გაიაროს?! რას მოგისვია გვერდზე და ალაპარაკებ — მაგას თავისი გაჭირვება არ ეყოფა!

— სირან, ჩემმა მზემ, თითონ მოვიდა და...

— დაიკარგე მაინდან — ვითომ ვერ გიცნობ! — ქოქოლა მიაყარა სირანამ და ისევ ბერიკაცს მიუბრუნდა, — შენ არ გელაპარაკები, ადამიანო, რას უსკუპიხარ?

— ჰა?.. რაო?

— „ჰა, ჰა!“ — გამოაჯავრა სირანამ და ხელების ქნევას უმატა, — არ იცი, შინ რომ მდებიარე საპყარი გიწევს და უშენოდ ერთ წუთსაც ვერ გაუძლია?! ლოგინიდან გადმოვარდნილიყო და იმისი წივილი ბოსტანში ჩამომესმა!..

— ვაიმე, ვაიმე! — წამოხტა ციხელო.

— მშველელიც არავინა მყავდა — ლოგინში ძლივს ჩავაწვინე. შენ კი აქ... გასწი, მიჰხედე!

— მივდივარ, შვილო, მივდივარ, გაიხარე... კაკუნამ ბიჭის ამბავი მკითხა და...

— ოჰ, კიდევ კარგია, გითქვამს — არ იცოდა და! თუ არადა, ბიჭი სადღა გყავთ? ის ბიჭია, ვიღაც გათახსირებულს ზედ გადაეგო, თქვენ კიდე ემაგრე საძაღლურად დაგყარათ?! მეხი კი დავათხლიშე!

— ნუ მიწყევლი, გოგო!

— მე ბუგანზე მივდივარ, ცხვრებს უნდა დავხედო. წადი, ჩაეშველე, კიდე არ გადმოვარდეს. ქრისტინამ ერთი ჯამი ხირხიტონი გამოგიზავნა, თახჩაშია. გადმოიღე, შეათბე და ჭამე. ნუღა იყურები!

— მივდივარ, შვილო, მივდივარ! — ბერიკაცმა დალაქის დახმარებით წამოიკიდა ჯოხგაყრილი ბადური და ხუსხუსით დაეშვა თავქვე, თან ისევ თავისებური ბუტბუტი წამოიწყო.

კაპას-სირანა ვენახებისაკენ მიმავალ ღორღიან საურმეს შეუდგა. დალაქმა უყურა, უყურა და როცა თვალს მიეფარა, ალაპარაკდა.

— ნეხვიცა ხარ და ცოტა კიდე მეტიც! მაგრამ განა ეს შენი ბრალია რა— გაუთხოვარი რო დამჟავდი და ამ ქვეყნიდან კარგუნახავი მიდიხარ, იმიტომა ხარ ე მაგეთი გაალმასებული. ცხვრებიო! ჰმმმ! შენ ჩემს მედიატორად ვინ დაგაყენა — აღარავისთან დამალაპარაკებ?!.. ნეხვები შინ გიწყვიან...

მზე აჭერს. სიწყნარეა. ალმური დაუღლავად ცეკვავს შარაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუწყდა ილაჯი კულანა სეფაშვილს— როდემდე და სადამდე?! ისიც ადამიანია, კაცო, ქვა ხომ არ არის! შაბათი არაა მისთვის და კვირა, დღე და ღამე, გართობა და უქმე — ბაიაუშმა უფროსმა ყოველი წუთი სადაგად უქცია! კულანას სწორ-მეგობრებიც შოფრად მუშაობენ, მაგრამ რა შედარებაა: უფროსებთან საერთო ენა გამონახული აქვთ, მანქანას თავის ნებაზე დააქროლებენ და ცხოვრებას რაღაცას რჩებიან. კულანას კი!.. ბედმაც რაღა ამნაირ კეშუტ კაცთან მიიყვანა! კეთილისმსურველებს მაინც რატომ არ დაუჯერა. ხომ აფრთხილებდნენ — მაგის გამძლე ქვაც არ მოიძებნება, შოფრები თვეზე და თვეზე გაურბიანო. თუმცა სხვათა ჩიჩინი რაღად უნდოდა, თვითონაც ხომ გაგონილი ჰქონდა — ჯიშსაშენის დირექტორს მარლენ ლეკაშვილს მთელი რაიონი მეტსახელად „შხამიას“ რომ ეძახდა!

შავი, აყლაყუდა, ჩამომხმარი და თხელტუჩება ლეკაშვილი მართლა შხამში გამოხარშული გეგონებათ: ყველასა და ყველაფრისადმი სულ ჯიბრითა და სიძულვილითაა დატენილი. თავის ერთ მუჭა თანამშრომლებს ხომ პირდაპირ კაკალს ამტვრევს თავზე! მოკლედ, საკუთარი ოჯახისა და ცოლ-შვილის გარდა, არაფერი ანაღვლებს ამ ქვეყანაზე!

ეჰ, კულანაც ატყობდა იმ ყარაჩ სახეზე, რა შვილიც იქნებოდა, მაგრამ მაინც მოტყუვდა: თავს არ დავზოგავ, ნამუსიანად ვემსახურები და მაშ, მართლა ისეთი რა შხამი და გაუგებარი იქნება, კარგი და ავი ვერ გაარჩიოსო. ეგეც არ იყოს, კულანა ჯარიდან ახლად ჩამოსული იყო, მანქანა არსად აუჩნდა და ნაშოფრალ ჭაბუკს პირდაპირ წყალივით სწყუროდა საჭე. ზედდატანებით დაქორწინდა კიდეც, მერციკოს მალე მუცელიც დაეტყო და მომავალი მამა შინ გულხელდაკრეფილი ხომ არ ჩამოჯდებოდა?! მერე კი, როცა კარგად გაიგო მარლენის გემო, ბევრჯერ დაიპირა გაქცევა, მაგრამ თავისივე ჯაფა და ხარჯი ენანებოდა და ესღა უკრავდა ფეხებს. ორასი მანეთი ჯერ მარტო ქრთამად წაართვა ლეკაშვილმა, მანქანაზე რომ დაესვა. მანქანა, თორემ აღარა აკლდა რა! დაჩუტულ საბურავებზე ჩამოძინებული ერთი ჯაბანანა „ზილი“ ეყუნტა საბუღის გვერდით. კაბინის, ჩარჩოსა და ძარას გარდა, სხვა აღარაფერი შერჩენოდა მთელი და ხეირიანი. სეფაშვილის წინამორბედს თავისი ფულით ნაყიდი ნაწილები პირწმინდად დაეხსნა.

კულანა ბეჯითად შეუდგა საქმეს. გადაიცვა ჯარიდან ჩამოტანილი კომბინეზონი და ორი თვე სულ მანქანის ქვეშ ეგდო. ერთი სამასიოდე მანეთიც დეფიციტურ ნაწილებზე წაუვიდა. დედისგან ნასესხებ ფულს იმედიანად ხარჯავდა — მერე ავინაზღაურებო, ფიქრობდა. მანქანა რომ გამართა და კაბინაც მორთო თავის გემოზე, ეგონა, ახლა კი ამოვისუნთქებო, მაგრამ სწორედ მაშინ დაიწყო კულანას წამება. სამსახურის საქმე იმდენი არა იყო რა. ჯიშსაშენში ერთი თორმეტი სული ბუღა ებათ და იმათ მომარაგებას რა ჭრელი კოვზები უნდოდა: კვირაში ერთხელ ელევატორიდან კომბინირებული საკვები იყო გადასატანი, ზაფხულობით კი, დღეჩაგდებით თითო რეისი ბალახი ან სილოსი. ათასში ერთხელ ნაკელი უნდა გაეტანათ მინდორში და შეიძლება ვეტაფთიაქში წასულიყვნენ წამლების ყუთებისთვის. ეგ იყო და ეგ! მაგრამ ლეკაშვილის ბრძანება-დავალებებსა და პირად საქმეებს ბოლო არ უჩანდა.

— მამაჩემს კოპტონს ჩაუტან, იქიდან კი გაზის ცარიელ ბალონებს გამოაყოლებ!.. გათენებისას ჩემს სიძესთან აირბენ — ალაზანზე სკვებია ჩასაზიდი!.. ელიკოს ვარდისუბანში სათბუ-

რისთვის ნაკელს წაუღებ!.. სადგურიდან ცემენტს ამომიტან!.. მოლაშვილი შემეხვეწა — კომბინატიდან კუბოს წაიღებ ცეტკინის ოც ნომერში... კვირას ტაპჭიას ქვევრს წამოუღებ ბაზრიდან!.. არტემიჩმა დამირეკა — ჩემ რძალს სადგურიდან პიანინო აუტანოსო!..

ბენზინი? ბენზინს კი ისე ზუზიკ იძლევა ლეკაშვილი, თითქო მთელი მხარე პირველი კლასის ავტოსტრადებით იყოს დასერილი. არა და არ სურს შეიგნოს, რომ ბენზინის ის ულუფა, რაც, მისი აზრით, კულანას მთელი დღის დავალებებზე. უნდა ეყოს, შეიძლება ერთი ლაფიანი ნარვალიდან ამოსვლაში დაეწვას.

— მერე ბენზინი?!

— ბენზინიო?! შე მამაძაღლო...

— მკვდარ მამას ნუ მილანძღავ, თორემ!..

— ბიჭო, სვამ თუ რა ჭირს უშვრები — გუშინ არ ჩაასხი ორმოცი ლიტრი!

— მერე?! მამარდაშვილს ივრიდან ჭედილა მოვუყვანე, ელიკოს ზეთი წავუღე, იქიდან კომბოსტო გამატანა მულთან, მერე...

— არ ვიცი, არა!

— არადა, რომელ ერთხელ ჩავასხა ჩემი ფულით? მე ეგრე ვერ ვიმუშავებ!

— აი, დარდი! ვერა და ვინ გეხვეწება! ჩამოკიდე გასაღები და წადი!

ჯიგარდათუთქული კულანა უსიტყვოდ გამოტრიალდება ხოლმე. შხამიას ჯავრს სულ მოტორზე იყრის და ღმუილ-ღრიალით მიარახრახებს მანქანას ახალი დავალების შესასრულებლად. ჩამოდნა და გაყვითლდა კაჟივით ბიჭი. გულქვა უფროსი მოტორს არ აციებინებს, მაგრამ თუ ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა და ერთი საათით თავის საქმეზეც გავარდა, მაშინ ვაი ქვასა და წყალს!

— სად ეგდე წუხელ ცხრა საათზე, შე მამაძაღლო!

— შენს სიმამრთან ვიდექი.

— ჩემს სიმამრთან როგორ იდგებოდი, როცა ელიის გზაზე ისე მიჰქროდი, „ტუ-სტოჩიტირი“ ვერ დაგეწეოდა! სად ეგდე-მეთქი, სად?

— აჰ, ჰოოო.. შინ ორი ტომარა ქერი გადავიტანე.

— მე ქერზე გაგაგზავნე?! მე ქერზე გაგაგზავნე?! მე ქერზე...

— ხელი, ხელი!.. ნუ იცემები, თორემ... უპატრონო ხო არა გგონიავარ!..

— მე ქერზე გაგაგზავნე?! ქერსა და კახპას ვერ ვარჩევ?! ვინ გეგდო კაბინაში, რა ჭირი გინდოდა თავისუფლების ქუჩაზე?!

— ვაი, ვაი!.. არავინ!.. არაფერი!.. ატეკაში ხელსანთან ვიყავი — მოტორი სტუკს მაძლევს!

— მე გაგასტუკებ და გამოგასტუკებ შენა, დამაცადე!.

ჯაჯგურ-ბღლაძუნს რომ მორჩებიან, მარლენი სეიფიდან ბენზინის ტალონებს გამოიღებს და მაგიდაზე დაუყრის.

— ჩაასხი და სასწრაფოდ ხორცკომბინატში ბაბულასთან ჩაირბინე!

— იქ რა მინდა?

— არ ვიცი, თვითონ გეტყვის!.. ხუთამდე თუ გამოგიშვეს, აქ ვიქნები, თუ არადა, შინ ამოდი — მამაჩემთან ფქვილი უნდა გაგატანო!..

კულანა როგორმე კიდევ გაუძლებდა ამდენ დავალებასა და რაიონის შიგნით ჯაყჯაყს, სხვა მოურჩენელი ჭირი რომ არ ჰირდეს. მარლენს ორი გასათხოვარი გოგო ჰყავს — ლალი და ნელი. ორივენი თბილისში ცხოვრობენ — ოროთახნახევრიან საკუთარ ბინაში, საბურთალოზე. ჰოდა, მათი წყალობით კულანა სულ თბილისის გზასაა გაკრული, კვირაში ერთხელ — ეს როგორც დაკანონებული, ხოლო თუ საჭირო შეიქნა, მაშინ შეიძლება დღეში ორჯერაც აფრინონ!

მარლენის ჩაკურატებულ მეუღლეს, გენოს, ხან ისეთი აზრები მოსდის, კაცი შეიშლება. აი, ცოლ-ქმარი თუთის ძირას ზის და თუთას შეექცევა. უცებ გენოს სახე ჩამოეხეჩება.

— არ კი მეყლაპება და! გონი, რო-

გო ენატრებათ, აგრემც დედა მოუკვდებათ!

— ენატრებათ და იყიდიან!

— იჰ, ისინი რისი მყიდველები არიან, კაცო?! ანდა, სხვისი ნათითხნი რაში სჭირდებათ — მოდი, გავატანოთ კულას!

— გავატანოთ, რა!

სამლიტრიან მინანქრის მოლურჯო ბალონს გაავსებენ ცერის სისხო თუთით და აბა, კულან, ქალაქისკენ!

გოგოების გათხოვების მეტი სხვა არა ადარდებს რა გენოს. მისი აზრით, ქალიშვილს რაც უფრო მდიდრულად და მოდურად აცვია, მით უფრო მალე გათხოვდება. ამატომ სპეკულანტებისაგან პირობით აიღებს ხოლმე რამე ძვირფას საქონელს და აბა, კულან, შეავსე სათბილისე საგზური! კულანა ჩანთებს ჩაიბარებს, გაუდგება ქალაქის გზას და ამაზეღა უღონდება გული — დებს სახლში ან სამსახურში მოიხელთებს, თუ მთელი დღე ლოდინით სული ამოხდება.

დები ძვირფას საცმელს დიდის ამბით გაისინჯავენ. თუ მოერგო და მოეწონა რომელიმეს, დაიტოვებენ, თუ არადა, უკანვე გაატანენ. თან ჭუჭყიანი თეთრეულით, საცვლებითა და ტანსაცმლით გატენილ ორ უშველებელ ჩანთასაც მიაყოლებენ ხოლმე.

— მეხი კი დავაყარე მაგათ! — აკვესებს შვილის საცოდაობით გულადუღებული ახრასია, — მაგ უნამუსოებს თავიანთი ძონძები თითონ ვერ დაურეცხიათ, რომ ემაგრე წარამარა შენ გაწვალებენ?! გამიგონია და მინახამ?!

— ბრალი იმ ოჯახს, სადაც ეგენი შევლენ! — ჩაერევა ხოლმე ამრეზილი მერციც.

— ოჯახში არა, იმაში შევლენ! — დაიღრიჯება კულანა, — შევლენ და მაგათთანა ზარმაცებსა და ფეთხუმებს ვინ შეეპმევინება — მეორე დღესვე წიხლისკვრით გამოყრიან! წინეებზე დღეობა ჰქონოდათ და დაგანგლული ტაფები გენოსთან გამომატანეს დასახეხად!

— ვიშ, ვიშ, ვიშ! თავი დაანებე, დედა გენაცვალოს, თორემ ეგენი კიბოს გაგიჩენენ!

— გამიჩინეს და ეგ არი!..

საქალაქო სარეცხს გენო გულდაგულ დააქთქათებს, დააუთოებს, მერე დაალარისხებს, ჩააწყობს იმავე ჩანთებში, სხვა ჩანთებს ხორაგით გაავსებენ და აბა, კულან, გაეშზადე!

ქალაქში მოძრაობამ ხომ უარესად შეუჭამა შხამიასაგან ისედაც შეშმული გული. მინდვრის ცარიელ გზებზე ლაღ დრიგინს მიჩვეული, ვეღარ მოზომავს ხოლმე გზაჯვარედინზე და ზოგჯერ ისე შესტოპავს, მძღოლები გაკვირვებით უცქერიან, ხოლო მოლიციელი სტვენასტვენით გამორბის და ჭრელ კვერთხს ხმალივით იქნევს. ხუთჯერ გაფრთხილება მისცეს, ერთხელ მართვის უფლება ჩამოართვეს, სამჯერ ხუთ-ხუთი მანეთით დააჯარიმეს, არაფერი თქვას — ასე როდემდე იყოს გაჩუმებული, მოიჩივლებ და, რა იყო, შხამია. გულთან მიიტანს, რა — თქვი, არა თქვი!

— რა ჩემი საქმეა?! შენც ხეირიანად იარე და თითსაც ვერავინ დაგაწებს!

●

ნოემბრის ერთ დილას კულანა აღელვებული მივარდა სამსახურში. დალაპარაკებითაც არავის დალაპარაკებია — პირდაპირ უფროსის კაბინეტის კარს მიაშურა. კაბინეტში ორნი — თვითონ ლეკაშვილი და ზოოტექნიკოსი — ისხდნენ და რაღაცაზე იცინოდნენ.

— სადა ხარ, ბიჭო, აქამდე, — სიტყვის თქმა არ აცალა ლეკაშვილმა, — შენ უნდა მელოდო ხოლმე თუ მე?

— მარლენ ძია!. დღეს უნდა.. როგორმე... ლამის...

— ჰო, თქვი, რა იყო, რა მოგვიდა?

— ცოლ-შვილი სიდედრთან წავიყვანე... მყავს.. არიან...

— ჰო, მერე?

— ბავშვი ცუდათ გამხდარა... მეუღლეს დაუბარებია, მომეშველეო!..

— მერე?

— ჰოდა, ერთი სამი საათით გამიშვი და...

— რას ამბობ, ბიჭო, სადა?

— აკურაში.

— აბა, თბილისში რომ ვართ წასასვლელები?! ახლა ამასაც იმაზე ველაპარკებოდი. ბავშვებმა დამირეკეს წუხელ: დღეს ხელოსანი მოგვდის და ჩამოდიო.

— ვიცი... ის შუა კარი, არა?! ჰო, მეც ხომ დამაბარეს, ვიცი! ხელოსანი რა — მივა და იმუშავებს თავისთვის... სამი საათი, მეტი არა! მერე კიდევ თბილისში წავიდეთ!

— ერიჰააა! ყოჩაღ, ბიჭო! რა კარგად მარიგებ ჭკუაზე: შენი გა... აი, ნადია აქ რო არ იჯდეს, გეტყოდი, მაგრამ!.. შენს ქეიფზე ვირბინო, რა! მაგრე იცი როდის იქნება, ჩემო კარგო: როცა ჩემს ადგილზე შენ დაჯდები, მე კიდევ — შენს ადგილზე! აი, მაშინ როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცევი! მაგრამ ამჟამად აქ მე ვზივარ, მე და..

— შენი ჭირიმე, ბავშვი იქნება ძალიან ავად...

— მართლა ავადაც რომ იყოს, შენ რას უშველი — რომელი პედიატრი შენა მყავხარ?!

— ვინ იცის.. ვაითუ...

— ნუ გეშინიან! ღმერთმა დაიფაროს, თორემ უშენოდაც კარგად მიხედავენ!

— იქ ვინ მიხედავს!

— აბა, ბიჭო, აკურაში ხალხი ამოწყვეტილა და!..

— ჩიტივით ვიფრენ, ორ საათში მოვალ!

— შენ ემანდ მანქანა არსად მიმიმტვრიო! მიდი...

— ოღონდ ახლა...

— ტყუილად მეხვეწები — დღეს არაფერი გამოვა და, პაჟალუსტა, ხვალე წადი! მიდი ახლა, ჩაასხი ბენზინი და შეავსე საგზური!

— მარლენ ძია...

— რას მაყბედებ ამდენს, შე... მიდი, შეავსე საგზური! უკვე ათი საათი გახდა — აქამდე ნაბამბრებს გავცდებოდით, დროზე რომ მოსულიყავი! ბიჭო, რაღას უდგეხარ და შემომყურებ — გავარდი!

კულანა ცრემლების ყლაპვით გამოვიდა კაბინეტიდან. გაგიჟებას ბევრი აღარ უკლდა. უცებ ვერაგულმა აზრმაც კი გაჭკრა ფრთა: გავაქანებ მანქანას და აგურის ცალპირ კედელს სწორედ იქ შევანგრევ, სადაც შხამია უზის მაგიდასო. ეს ისეთი გულწრფელი გულუბრყვილობით გაიფიქრა, რომ ცხადად წარმოიდგინა — პაწია მაგდას სანახავად როგორ მიუყვანდნენ ციხეში. მაცდური ფიქრით გული ორიოდე წუთში მოიოხა და საქმეს შეუდგა.

მალე ლეკაშვილმაც გამოიხედა.

— ჩაასხი ბენზინი?

კულანამ მთელი ძალით ააღრიალა მოტორი და მანქანა სულ გლიჯინ-გლიჯინით მიაგდო ჭიშკართან.

— ნელა, ნელა — ნუ დაანგრიე!!!

მარლენი დიდხანს, ძვირფასი პალტოს კალთების სწორებით კალათდებოდა კაბინაში. შეთოშილი მინები კულანამ გარედან გადაწმინდა და გზას გაუდგნენ. უკანა საბურავებზე დახვეული ჯაჭვები გულის გამაწვრილებლად ყღარუნობდა. ყიამეთ დილას მაგრად შეებოჭა არემარე. ხმას არც ერთი არ იღებდა — ორივე თავ-თავის საფიქრალს მისცემოდა.

სართიჭალაში რომ შევიდნენ, გზაჯვარედინზე მილიციელი გამოჩნდა.

კულანამ განზრახ დაარღვია მოძრაობის წესი. მილიციელმა იმწამსვე დაუსტვინა და კვერთხით გაჩერება ანიშნა. კულანამ მანქანა გააჩერა. მარლენი მოიღუშა.

— რა ჭირი უნდა?.. დაარღვიე რამე?

ახალგაზრდა მილიციელმა მოხდენილად მიიტანა ხელი ჭაღარაშეპარულ საფეთქელთან.

— საგზაო ინსპექციის ლეიტენანტი

ფიზიკლაშვილი. რატომ გადაკვეთეთ უწ-ყვეტი ღერძულა ხაზი?.. საგზური!

კულანამ უხმოდ გადააწოდა კაბინი-დან. ლეიტენანტმა გულდასმით ჩაიხედა ფურცელში და შემკრთალმა თოფის ლულასავით დაამრგვალა ტუჩები.

— ოოო!

მან საგზურის ფრიალით მანქანას უკანიდან მოუარა და ძარაში ფრთხი-ლად ჩაიკუფტა.

— ესღა გვინდოდა! — ჩაიბუზღუნა მარლენმა, რომელიც კაბინის უკანა სარკმლიდან თვალს არ აშორებდა მი-ლიციელს, —მანდ რა ჭირს ეძებს?

კულანა დუმდა.

მილიციელმა ისევ თავს დაუარა მან-ქანას. მარლენის მხრიდან კარი გამოაღო და კაბინას თვალიერება დაუწყო.

— დაკარგეთ?! ჩამოგვივარდათ?!.. ივაჟკაცეთ?! ყოჩაღ! რატომ კარგად არ დაამაგრეთ?.. სად ჩამოგვივარდებოდათ?

— რა ჩამოგვივარდებოდა? — არა-ფერი ესმოდა მარლენს.

— რა და, ტვირთი!.. აბა ორივენი ჩამოდით ძირს, ჩამოდით!.. საბუთები!

ორივენი უსიტყვოდ გადმოვიდნენ კა-ბინიდან. მარლენი მილიციელს მიე-ახლა.

— ტვირთიო?! ჩვენ არაფერი არ...

— ჰმ! ვერ გამაცურებთ!.. პასუხს აგებთ — ასეთ ტვირთს არ ეხუმრე-ბიან!

— თქვენ მაინც თქვენსას გაიძახით!— გაუცინა მარლენმა, — ჩვენ არავითა-რი ტვირთი არ წამოგვიღია, ბატონო!

— „არა“, არა?! აი, საგზური! შიგ გარკვევით წერია: „ოთხმოცი კილოგ-რამი საშიში ზხამი“. ახლა?

ლეკაშვილს სხვანაირმა ფერმა გა-დაჭკრა და ენა ჩაუვარდა.

— ახლა? — მილიციელს გული მოე-ცა, — ვინ შეავსო საგზური?

— მე — უპასუხა კულანამ.

— თქვენ და, აბა, სად არის საგზურ-ში ნაჩვენები ოთხმოცი კილო ზხამი?

— აი! — კულანამ თითით უტიფრად აჩვენა ლეკაშვილზე.

— რას მემახსრებით?! აქ რა ხდება— მთვრალები ხართ, კაცო?

მარლენმა დენთივით იფეთქა და კუ-ლანას ეცა.

— ოხ შე, მამაძაღლო!..

— მამაძაღლო და მკვდარცოცხალ-ძაღლო! — ისტერიული ქვითინი აუ-ვარდა კულანას და ლეკაშვილს ქორი-ვით ეკვეთა, — შენ კაცი ხარ?!. არ გა-დამაყოლე იმ შენ დამპალ გოგოებს!. ხხვა დროს ხმა ამომიღია? ამომიღია-მეთქი, გეკითხები! ცხოვრებაში ერთ-ხელ გთხოვე, ისიც ბავშვის გულისთვის, შენ კი... შენ კი... ფუჰ, შენ ნამუსსა და კაცობას!.. ზხამი ხარ, ნამდვილი ზხამი!..

— ამხანაგო! — ყვიროდა მილიცი-ელი.

— თავი დამანებე, გამიშვი ხელი! — უძალიანდებოდა კულანა, — შენ ამას ვერ იცნობ — სწორედ ეს არის ის ოთხმოცი კილო საშიში ზხამი! თავით ფეხამდე სუ ზხამია!.. მა, რა ჩამეწერა?! რაც მომქონდა, ის ჩავწერე!!! არ შეიძ-ლება ამის თბილისში შეშვება — მთელ ქალაქს დაზხამავს!.. მოვკლავ!. უუუ!...

— ჩაგიყვანო შინ! — ხაოდა მარ-ლენი და ცდილობდა მუშტები სახეში არ მოხვედროდა.

— გამარკვიეთ, რა ხდება! — ამასღა იძახდა აქოშინებული მილიციელი და ძლივს აშველებდა მოჩხუბრებს, — იცოდეთ, ოქმს შევადგენ!..

— შენი მანქანაც, შენთან გამჩერე-ბელიც!— კულანამ გასაღებების ჩხნდო თავში ახალა მარლენს. მერე ერთი ცქაფური გაკვრით ხელიდან გაუსხლტა მილიციელს, გადაჭრა ასფალტი, ქარ-საფარი ზოლი და თოვლიან ნახნავში დაჭრილი ნადირივით გავარდა.

მერაბ მეტრეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ვისთვის რა მზე აენთო,
ვისთვის რაა წყვდიადი,
ვინ ოქროთი გაერთო,
ვინ კი ია-იათი.

ვინ თვლის ბედის წყალობად
სვეძლიერთა მანტიას,
ვისთვის ჩიტის გალობაც
გაფანტული დარდია.

ჩემს გოლგოთას ბილიკზე
მზის სხივს ვკენკავ ჩიტივით,
საწუთროს გზას მივიკვლევ
სიმღერით და ქვითინით.

ქვას და ბალახს ვიხუტებ
ათრთოლებულ თითებით,
ღრუბლის ფრთაზე ვიბუდებ,
იქ ერთ სანთლად ვინთები.

ვტყორცნი თვალთა ნაღვერდლებს
წარმავალი მარადისს
და სიყვარულს ვაღვენთებ
მიწას მიწის კარამდის.

სულში ლექსად წკრიალებს
სევდა გადანადნობი
და სიცოცხლის ფიალას
ვცლი ცრემლამდე მადლობით.

●

რა დავარქვა მზის ამ ღიმილს,
ამ სიხარულს, არ ვიცი,
ნუთუ, ისევ ყოველიკეს
ძველებურად განვიცდი.

შენ ჩემს სულში ისე ცისფერ
შუქად შემოანათე,
ველარ ვმალავ, რასაც მხოლოდ,
გულში უნდა ვმალავდე.

ჩავლილია სიყმაწვილის
ის დღეები მზიანი,
მაგრამ თურმე ყველაფერი
ჯერ არ არის გვიანი.

თურმე ჩუმად ისევ ვიწვი
ტრფობის ნაკვერცხალითა,
რომ მეგონა სიყვარული
სამუდამოდ წავიდა.

●

ალბათ ბუნება ზამთრებით გვაჩვევს
სიცოცხლის ზამთარს უგაზაფხულოს
და მწარე ტკივილს ველარც კი ვამჩნევთ,
როცა იმ ბოლო ზამთარს ვნახულობთ.

და თუ ასეა, სხვებისთვის ვმადლობ,
თორემ ჯვარცმული დღეების რიგით —
გულს გაზაფხულზეც იმგვარად ათოვს
ზამთრამდე ველარ მიატანს იგი.

როგერტინო ლორეტის ფირფიტა

მზის უეცარ სხივს გავდა წვიმაში
შენი ღიმილი, მაღალ თაროდან,
ვით ჩაფერფლილი ყრმობის მირაჟი
შემოგყურებდი და მიხაროდა.

შემოგყურებდი და სულში მედგა
მე ხმა წკრიალა და მოსალბუნე,
ის სიხარული, ის გულის ფეთქვა,
ის აღტაცება შენ რომ გვარგუნე.

წყდება და წყდება წლები კალენდარს
ლამის ყველაფრის დამამხობელი
და მაინც. მინდა რომ არ განელდა
ის შორეული და მახლობელი.

მზის აცისკრებას გავდა წვიმაში
დედამიწაზე შენი გაჩენაც,
ჩვენი თაობის სევდის სინაზის
და სიყვარულის გადასარჩენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნეუკეთურთა
სული ჩემი ვერ შეეთვისა.
მინდა, მთესვარი ვიყო მარად
თესლთა კეთილთა.
მომმადლე ძალი
რუდუნების და მოთმენისა,
დამხარჯე ღმერთო,
მამულის და ხალხის ნებისად.
რომ სიყვარულით, საწყაული,
სული ამივსო
და სამარეში, უდრტვინველი,
ძილი მაღირსო.

ბერდედას

შინ გიდგას გლოვის კარავი,
არვინ მოგიდის კარზედა.
ზიხარ გულგამოკეტილი,
დარდით შეჭმული ბანზედა.
სადა გყავს დედის იმედი —
ცრემლი მოგწმინდოს თვალზედა.

სიყვარულის ალმაფრენა

სული ილხენს,
სული ხარობს,
სული ვეღარ ამჩნევს ბოროტს...
სტვენს ბულბული,
შაშვი გალობს,
მღერის ყვავილების ქორო...
მზად ვარ მუხლზე დავიჩოქო —
შენს ნაკვალევს ვეამბორო.

დიდ ალმართის თავს წყაროა,
გზის პირს ამოსჩქეფს ბინული —
ცივი, ვითარცა ყინული...
ანკარა უფლის ცრემლივით,
აქ გროვდებიან ყოველთვის
მყვირალობის ჟამს ირმები.
...ცისარტყელების ფერებით
აქ ცა რომ გადისირმება,
მეც მომწყურდება ყვირილი.

საით მიფრინავ, ტყემლის ყვავილო,
წყალს ვის იმედის წისქვილზე ასხამ...
ეგ ფრენა ვისთვის წვა და ცრემლია,
ვისთვის სამოთხის კარიბჭის გახსნა.
ვის მყვირალობას შვების ფრთებს აჭრი,
ვისას ფრთებს ასხამ.

ანანურიდან

ამ მთების მიღმა ისევ მთებია —
ღრმა ხეობებით ჩამოღარული.
აქ ორი სიტყვა განუყრელია —
სიტყვა არაგვი და ანანური...
ანანურიდან,
ანანურიდან
მაინც სულ სხვაა ჩემი მამული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ კობერიძე

●

შემოგწირე და
შენც მიიღე შესაწირველი,
შენ იქენ ჩვენი
საიდუმლო სულის მხილველი!

ო, ეს შენ მხოლოდ,
(ამ მღელვარე საუკუნეში)
დაგვიფარე და მოგვანიჭე
ცოდვილთ ნუგეში!

ვილაცა აქვე ჩემს გულს დაეძებს

ვით ვათქმევინო
მიჯრილ ტაეპებს
რომ საიდუმლო
მამცნოს ფარული?!
ვილაცა აქვე
ჩემს გულს დაეძებს

მაღმერთებელი და
მოყვარული...
მე უმადური,
სულ სხვას დავეძებ,
სხვა ბედისწერას,
და სხვა ღვთაებებს!..

მე შენი სული დავხატე

მე ჩემი გულის დარდი ვარ
შენ შენი გულის სახატე...
და მე თუ აბრეშუმი ვარ
— შენ გულისპირის აქატი.
მე შენი სული დავხატე,

შენი ვეება სული...
შენგნით,
ზეცით და
ხმელეთით
ყელთამდე ამოსული!

მარტოხელა ქალის ალბომში ჩასაწერი ლექსი

შეუპყრიხარ მარტოობას,
„ცრემლით მარტოობას ალბობ“..
გაზაფხულის მოლოდინში
რჩები ასე მარტოდმარტო...
მარტოობის არ ხარ ღირსი,

ეს იცი და.... მაინც მარტო?!
წადი ჩემგან თებერვალო!..
მოდი ჩემთან ანცო მარტო,
მარტოობის საიდუმლო
იქნებ გვითხრა, გაგვიმარტო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო

დრო
ყინულია,
ხელისგულზე
გასალღობად
დაცურებული...
და ჩუმად ვსხედვართ
ქვაფენილზე
წამით და წლობით...
დაგვიჯერებენ,
დიდ შეცდომასაც
უსათუოდ გვაპატიებენ,
რადგან
დრო,
ყინულია
ხელისგულზე
გასალღობად
დაცურებული.

უთარიღო ლექსი

ვერა,
ვერ დაგყოფთ
ლექსებო წლებად.
ვერ გამოგარჩევთ
ძველს და ახლანდელს.
ერთი ტკივილით
მიყვარხართ ყველა
და ერთნაირად
ვითხოვ განაჩენს.
ხართ შარშანდელნი,
თუ უფრო ძველნი,
ხვალის იქნებით,
იქნებით ზეგის,
რა ბედენაა,
რა ბედენაა,
ზესკნელს იყვირებ
თუ ზესკნელს ზევით.
მე ერთდაწილად
მიყვარს და მეწვის
ჩემი და ჩემი
ლექსის ვენები,
გავიყოფთ ერთად
წყალსა და მარილს
თუ შიმშილობას
გადაურჩებით.
ვერ დაგიყენებთ
წლებს მსაჯულებად
ვეღარც ძველსა და
ვეღარც ახლანდელს...
მოგვიზღონ ერთად,
და ერთნაირად
ერთ სამსხვერპლოზე
დავხვდეთ განაჩენს.

ზუხრა

ახლა
უმიზეზოდ დგება ფოთოლცვენა
მიკვირს, —
როგორ უსხლტებიან ხელიდან ფოთლებს ხეები და
როგორ გარბიან შიშველი მკერდით ზამთრისაკენ.

ახლა
უბილეთო მგზავრს ჰგავს ქარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკვირს, —
როგორ უდგას ქოხს იღლიაში ბუხარი და
როგორ მპირდება გაჭვარტლული თვალებით სითბოს.

ახლა
უმიზეზოდ ხდება განშორება
მიკვირს, —
როგორ ვემსგავსებით ადამიანები თანდათან ხეებს.

რაჭა

ჩამოირბენენ
ჯოხცხენებით
შარას ბავშვები
ოოლნაშოსა და
შინდის წკნელებს
დაჰკრავენ ცხენებს.
და ხიმეებთან
დარჩენილ სიცილს
სოფლის ბოლომდე
მისდევს მურია.

მარტოობისგან
მოწყენილ
სახლ-კარს
მოინახულებს
დრო და დრო ქარი.
სოფლის ბოლოში
მურია უყეფს
ქალაქისაკენ
გაქცეულ ბავშვებს.

ლოდინი

შენ ჩემთან მოხვალ,
შენ ჩემთან მოხვალ,
ეს კი არ ვიცი როდის...

რამდენი სიხარული სცოდნია
მოსვლას და
რამდენი ტკივილი ლოდინს.

მელოდე

მელოდე
მოვალ განთიადისას,
მოვალ შუაღამეს
ცხადშიც
და ძილშიც...

მოვალ,
აკვნიდან ლორთქო ღიმილს —
აპრილს აგიფრენ
მოგიტან წყაროს,
აი იმ წყაროს
ჩუმად რომ გითხრა
„დარჩიო ჩვენთან“.
ცარიელ ვაზნებს —
დღეებს

ფანტავს დრო გარდიგარდმო,
გვისაფრდებიან ყველგან და ყველა
(იცანი ახლა მოკეთე, მტერი)
და მოგვაყრიან
სიფათში ერთხმად
ზიზღსა და
ეჭვებს,
ტკივილს და
სიცილს...
დღეს რამდენს უნდა დააჯერო
(გჭირდება კია?)
რომ ეს საწუთრო საგზურია
იმა სოფლისა...

ინგლისური ხალხური პოეზიიდან

ფერმერის კაპასი ცოლი

ერთი მოხუცი ფერმერი ცხოვრობდა ძველად სასექსში,
ერთი მოხუცი ფერმერი ცხოვრობდა ძველად სასექსში
და ცოლად ჰყავდა, ამბობენ, ალქაჯი უკაპასესი,
ალქაჯი უკაპასესი.

მაშინ მიადგა ავსული, ოფლს როცა მიწას აღვრიდა,
მაშინ მიადგა ავსული, ოფლს როცა მიწას აღვრიდა
და უთხრა: უნდა წამომყვეთ ერთერთი თქვენს ოჯახიდან,
ერთერთი თქვენს ოჯახიდან!

ეჰ, წავიყვანდი უფროს შვილს, მაგრამ გაწყრება გამჩენი,
ეჰ, წავიყვანდი უფროს შვილს, მაგრამ გაწყრება გამჩენი,
მოდი ამჯერად, მოხუცო, ისევ მეუღლეს დაჯერდი,
ისევ მეუღლეს დაჯერდი.

კარგიო, კაცს გაუნათდა სახე ვაშლივით წითელი,
კარგიო, კაცს გაუნათდა სახე ვაშლივით წითელი,
ფერი ფერსაო — ერთმანეთს თქვენ უკვე ვერც დაცილდებით,
თქვენ უკვე ვერც დაცილდებით!

ზურგზე მოიგდო ავსულმა მეუღლე როგორც ტომარა,
ზურგზე მოიგდო ავსულმა მეუღლე როგორც ტომარა,
კლდეზედაც მიასრისავდა, ღვთის ჰშინებოდა რომ არა,
ღვთის ჰშინებოდა რომ არა!

მივიდნენ, კარიც გაიღო, კლიტეს რომ ეშვი მიასო,
მივიდნენ, კარიც გაიღო, კლიტეს რომ ეშვი მიასო,
ქალს უთხრა: შედი, სასექსელ ფერმერის მყრალო დიაცო,
ფერმერის მყრალო დიაცო!

შევიდა, გადააქოთა იქაურობა მაშინვე,
შევიდა, დააწიოკა შინაურები მაშინვე,
ცოცხით გაენთო ავსულის შვილებს და დეიდაშვილებს,
შვილებს და დეიდაშვილებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ დაუწითლა სხეული ჭინკებს ფეხიდან თავამდე,
სულ დაულურჯა სხეული ჭინკებს ფეხიდან თავამდე,
ჰყვიროდნენ — ყველას დაგვხოცავს, ეხლავე თუ არ გავაგდეთ,
ეხლავე თუ არ გავაგდეთ!

ჰოდა, ატირდა ოჯახში — ჭინკა, ალი და ქაჯი და,
ჰოდა, ატირდა ოჯახში — ჭინკა, ალი და ქაჯი და
თვითონ ბებერი ავსულიც კინაღამ ძელს მიაჭყლიტა,
კინაღამ ძელს მიაჭყლიტა.

ძლივსღა წამოდგა ნაცემი ავსული დილაადრიან,
ძლივსღა წამოდგა ნაცემი ავსული დილაადრიან,
ზურგზე მოიგდო ქალი და სოფლამდე ძლივს მიათრია,
სოფლამდე ძლივს მიათრია,

წაიყვა შენი ალქაჯი, — მიუგდო ფერმერს სასექსში,
წაიყვა შენი ალქაჯი, — მიუგდო ფერმერს სასექსში, —
მე სულელს ჯერ არ მენახა სხვა, ჩემზე უკაპასესი,
სხვა, ჩემზე უკაპასესი!

...

ფაიფელი ხურო

ფაიფში ხურო ცხოვრობდა, ერთი კაცური კაცი,
ცოლი ლამაზი ითხოვა, ქალი ნაზი და პაწკვი.

— აბა, ჰო, ჩემს სილამაზეს საქმეს შევწირავ ზუსტად! —
თქვა და ლუდს არ ადუღებდა, აღარ აცხობდა პურსაც.

ძაფის დაძახვა კი არა, აღარ ჩეჩავდა მატყლსაც —
ჩეჩვამ ხო თითი მატკინა, ძახვამ ხო ჯვარზე მაცვა!

უფრთხილდებოდა ბეჭედს და თითს არ ადებდა სარეცხს —
მოდი და წყალში ეს ოქრო თვითონ ვისროლო ბარემ!

ჩვენი ხურო კი ბრაზდება, ასეთ რამეს რომ უმზერს,
ჰოდა, ადგა და ცხვრის ტყავი ცოლს მოახურა ზურგზე.

მოახურა და შემოსცხო, მერე რამდენი ურტყა!
— შენ კი არა და ცხვარს ვცემო, — თურმე გულდინჯად
უთქვამს.

— გეყოფა! — ცოლმა იყვირა. — საქმისთვის გავჩნდი
ზუსტად,
ლუდს მოვადუღებ კასრებით, დღესვე დავაცხობ პურსაც.

ჯვარზე, სიმართლე თუ გინდა, მე სიზარმაცემ მაცვა,
არათუ წინდებს მოგიქსოვ, სულ გადავჩეჩავ მატყლსაც.

რა ჭირად მინდა ბეჭედი, ეხლავე ვიწყებ სარეცხს,
ეგ წვირიანი პერანგი გაიძრე-მეთქი ბარემ!

ის დღე და ეს დღე — მორჯულდა მეუღლე, ჰოდა, თუ რომ
თქვენც ნაზი შეგხვდეთ მეუღლე, გამოუგზავნეთ ხუროს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი რამ მართავს სოფელს —
ქარი, ტკივილი, შიში —
და უსასრულო ცრემლი, —
ტირილის მწუთხე ჯიში.
ქარი გონებას გვირევს,
უთვისტომო და გიჟი;
ტანჯვაა ჩვენი ყოფა,
გინდ ცხადში, გინდა ძილში;
შიშით გველევა გული,
ენა გვიშრება პირში;
ტირილით გვაცილებენ,
ქვეყნად ტირილით ვიშვით.

●

უფალო, შენ დამიძახე,
მე გითხარ: ცოტაც მაცალე,
სულ ცოტაც — ოჯახი•მანც
მოვაწყო, შენ გენაცვალე,
„ცოტ-ცოტაობით“ დავბერდი,
ვერ მივაღწიე საწადელს,
და ასე „ცოტ-ცოტაობით“
გავთხარე ჩემი საძვალეც.

კარგი ის არის...

კარგი ის არის, შუა ზაფხულის
დღე რომ ცხელია და ღამე თბილი;
დღეს ცა ქუშია და დაზაფრული
და მსუსხავ ქარებს თან მოსდევს
თრთვილი.
ყველა სულიერს ერევა ძილი,
გვერდს არ იცვლიან ძილში გამრჯენი,
მე კი — უღირსი და ცოდვის შვილი —
ვმარხულობ, ვტირი და ვიტანჯები.

ჯორჯ კემპბელი

მაღლა მთებში, ტეის ახლოს, ძალით ბედისწერის,
დღესა ერთსა ამოვიდა ჯორჯ კემპბელი ცხენით,
იგოგმანა, იჯირითა — მწუხრზე მთათა კალთას
შინ დაუყვა მხოლოდ ცხენი, ჯორჯი აღარ ჩანდა.

აჩიფჩიფდა დედამისი, ქალი ერთი მუჭა,
თმას იგლეჯდა ახალგაზრდა ცოლი ბღუჯა-ბღუჯა —
მოსამკელი რჩება ყანა, შეუსმევი — ღვინო,
მოუწნავი — ბოსლის ჩელტი, მე კი — უშვილძირო.

ეჰ, რა კარგი უნაგირი ედგა იმ დღეს თეთრონს,
ანდა ვერცხლის სამკერდულზე სხივი როგორ ენთო,
ხმალიც რარიგ უხდებოდა ლამაზ ჭაბუკს, მაგრამ
შინ დაბრუნდა გასისხლული ცხენი... ჯორჯი გაჭრა...

დარბი-ტაუნის ყოჩი

ერთხელაც დარბი-ტაუნში, სერ,
მე ბაზრობაზე ჩავედი კვირას,
იმხელა ყოჩი მიჩვენეს, სერ,
სიზმრად თუ ვინმეს უნახავს ძვირად,
სიზმრად თუ ვინმეს უნახავს ძვირად.
უკან მთისხელა დუმები, სერ!
არც წინ არ ედო ქონი ნაკლები,
ათი იარდის სიგანე, სერ!
ბაზარს ავსებდა მარტო ნაკელით,
ბაზარს ავსებდა მარტო ნაკელით.

ზურგს მატყლი ედო ტყესავით, სერ,
ხეებს წვერები სწვდებოდა ცამდე,
დარბი-ტაუნის ჩიტები, სერ,
ბუდეებს მხოლოდ იმ ტყეში დგამდნენ,
ბუდეებს მხოლოდ იმ ტყეში დგამდნენ.

სხვა ადგილებზე ვერც ვიტყვი, სერ,
სიტყვა, საერთოდ, მე არ მივარგა —
ჯერ მარტო ყურის ბალანი, სერ,
იყიდებოდა ათას გირვანქად,
ფრენით მიჰქონდათ ათას გირვანქად.

კუდზე რომ მატყლი ეკიდა, სერ,
ჩემს მტერს და თქვენს მტერს! — ისე,
ზოგადად,
წარმოდგენა რომ შეგექმნეთ, სერ,
ერთი მოქნევით ოც კაცს მოჰკლავდა,
ოცი რა არის, ას კაცს მოჰკლავდა!

რქებზე ნურაფერს ნუ მკითხავ, სერ,
ვერ შესწვდებოდა კაციც ათამდე —

საქადაგებელ კათედრებს, სერ,
კვაკერი მღვდლები წვერზე ადგამდნენ,
დიახ, ზედ რქების წვერზე ადგამდნენ!

თურმე ის ყოჩი ვინც დაჰკლა, სერ,
მყისვე დაახრჩო ნაჩქეფმა სისხლმა,
იქ მდგომნიც სისხლმა წაიღო, სერ,
და მხოლოდ დილით იპოვნეს სისხამ
და მხოლოდ დილით იპოვნეს სისხამ.

დარბი — ტაუნის ჭაბუკებს, სერ,
სახლში ბურთებად მიჰქონდათ კურკლი,
მიტომ გამოსდით თამაში, სერ,
მიტომ დარბიან ცეკვით და ბუქნით,
მიტომ დარბიან ცეკვით და ბუქნით.

ხორცი დაყარა — საძღომად, სერ,
მთელი ინგლისის ჯარები მოდგა
და რაც იმ ჯარებს გადურჩათ, სერ,
ერთი წლის სარჩოდ წაიღო ფლოტმა,
მთელი წლის სარჩოდ წაიღო ფლოტმა.

სახრჩობელიდან ჩამოხსნილი ქალიშვილი

„ცოტაც მაცალე, ო, მსაჯულო, ცოტაც მაცალე,
ღმერთმა დღეგრძელჰყოს სიცოცხლე შენი!
მამაჩემს ვხედავ, ეს თვალები თუ არ მატყუებს,
აჰა, შარაზე მოაგდო ცხენი.

მიშველე, მამა საყვარელო, მიშველე მამა,
გაყიდე მიწა და დამიხსენი —
უკვე გათხარეს, მამაჩემო, ჩემი საფლავი,
უკვე გავყავი ყულფში კისერი“.

„შენი გულისთვის ყურგახვრეტილად გროშს არ გავიღებ,
ჩემგან სიბრალულს ვერ ეღირსები,
მოველ, რომ ჩემი თვალით ვნახო, როგორ მოკვდები —
შენ ცოდვა-ბრალი გადევს ისეთი!“

„კიდევ მაცალე, ო, მსაჯულო, კიდევ მაცალე,
ღმერთმა დალოცოს ოჯახი შენი!
დედაჩემს ვხედავ, ეს თვალები თუ არ მატყუებს,
წაბლისფერია იმისი ცხენი.

მიშველე დედა, დამეხმარე, მიშველე დედა,
გაყიდე ზვრები და დამიხსენი —
უკვე გათხარეს, დედაჩემო, ჩემი საფლავი,
უკვე გავყავი ყულფში კისერი“.

„რა პირით ითხოვ მოწყალებას, რა პირით ითხოვ,
ჩემგან ერთ გროშსაც ვერ ეღირსები,
მოველ, რომ გნახო, ხეზე როგორ ჩამოგკიდებენ —
შენ ცოდვა-ბრალი გადევს ისეთი!“

„კიდევ მაცალე, ო, მსაჯულო, კიდევ მაცალე,
ღმერთმა შვილები დალოცოს შენი,
მე ჩემს ძმას ვხედავ, ეს თვალები თუ არ მატყუებს,
თეთრონი გახლავთ იმისი ცხენი.

მიშველე, ძმაო, თვალის ჩინო, მიშველე, ძმაო,
გაყიდე ცოხე და დამიხსენი —
უკვე გათხარეს, ძმაო ჩემო, ჩემი საფლავი,
უკვე გავყავი ყულფში კისერი“.

„როგორ მიბედავ, უსირცხვილოვ, როგორ მიბედავ,
ხომ იცი, გროშსაც ვერ ეღირსები,
მოველ, რომ გნახო, მაგ საფლავში როგორ ჩაგდებენ —
შენ ცოდვა-ბრალი გადევს ისეთი!“

„კიდევ მაცალე, ო, მსაჯულო, კიდევ მაცალე,
ღმერთმა სიკეთე დალოცოს შენი,
მე ჩემს დას ვხედავ, ეს თვალები თუ არ მატყუებს,
ბინდისფერია იმისი ცხენი.

მიშველე, დაო საყვარელო, მიშველე, დაო,
გაყიდე მზითვი და დამიხსენი —
უკვე გათხარეს, დაო ჩემო, ჩემი საფლავი
უკვე გავყავი ყულფში კისერი“.

„მე შენთვის გროშსაც არ გავიღებ, უბრალო გროშსაც,
წყალობას ჩემსას ვერ ეღირსები,
მოველ, რომ ჩემი ხელით ჩაგდო მაგ სამარეში —
შენ ცოდვა-ბრალი გადევს ისეთი!“

„კიდევ მაცალე, ო, მსაჯულო, კიდევ მაცალე,
აგრემც დაგაცლის გამჩენი შენი!
ჩემს სატრფოს ვხედავ, ჩემს გულისსწორს, ჩემს
გადამრჩენელს,
თითქმის მოფრინავს იმისი ცხენი.

მიშველე, ჩემო ერთადერთო, იმედო ჩემო,
იღონე რაღაც და დამიხსენი —
უკვე გათხარეს, საყვარელო, ჩემი საფლავი,
უკვე გავყავი ყულფში კისერი“.

„შემომიწირავს შენთვის მთელი ავლა-დიდება,
შენით ვიცხოვრებ, თუ დავივსები,
მოველ, რომ გიხსნა და დაგიხსნი, ჩემო სიცოცხლევ,
ქვეყნად შენ ერთი რომ ხარ ისეთი!..“

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ნიშნიანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე ვდგავარ, თითქოს წამსვლელი არ ვარ...“

ეს პატარა წერილი ტკივილმა დამაწერინა, ამ ქვეყნიდან უმცროსი მეგობრის, ახალგაზრდა შემოქმედის უაზროდ წასვლამ.

მას მერე ერთი წელი გავიდა. ტკივილი კი არადა არ ყუჩდება...

„ავდომის სურნელმა ისე მომიცვა, თვალის დახუჭვაც ვერ მოვასწარი, გაბრწყინდა ზეცა, ვით აღდგომისას, და წამიჭირეს ყელზე ბაწარი...“ ამ სტრიქონებში თამაზ ბაძაღუას ნათელმჭილველივით თავისი სიკვდილის სურათი აქვს დანახული.

ჩვენს ტექნიკურ საუკუნეში სიკვდილის შანსი ერთიორად არის გაზრდილი. ჩვენ ვერ ვაღებთ ქუჩის პირზე გამომავალ ფანჯრებს, რადგან მანქანების გამონაბოლქვი ოთახებში იჭრება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება უმანქანოდ შეუძლებელია, ჩვენს სულში თანდათან იბუდებს სიძულვილი მანქანისა, რომელსაც ყოველდღე მრავალი ადამიანის სიცოცხლე მიაქვს.

„მე ვდგავარ, თითქოს წამსვლელი არ ვარ...“ ამბობს ერთ ლექსში თამაზ ბაძაღუა. ძნელია შეეგუო ახალგაზრდა კაცის სიკვდილს, მითუმეტეს, უაზრო სიკვდილს და მითუმეტეს, ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის უაზრო სიკვდილს, შემცველელს, იმედის სიკვდილს, რადგან თამაზ ბაძაღუა ჩვენი მწერლობის იმედი და მომავალი იყო.

მწერლობაში ბევრი მოდის, მაგრამ ღირსეული ცოტაა, თითო-ოროლა კაცია. ასეც უნდა იყოს, ეს ბუნების კანონია. თითო-ოროლა კაცია, ვინც ნამდვილად თავიდანვე იცის სიტყვის ფასი, ვისაც გუმანი აქვს სიტყვისა, კაცის სულის გამოცნობისა, ვისაც დიდი თვალები აქვს და შეუძლია ის დაინახოს, რასაც სხვა ვერ დანახავს. ვისი სულიც აღზრდილია ცხოვრებითა და წიგნით, ვისაც სულში ის კოდი უდევს, რომელიც მწერლობას სჭირდება. ვინც ზერელე და ზედაპირული არ არის, არ მოდის ლიტერატურულ საქმოსნად, ძმაბიჭობით, კარიერისტული მიზნებით, ძალადობით, გზას არ იკაფავს თავზედობით, არა სხვა გზებით, არამედ მხოლოდ მწერლობით. ასეთი ცოტაა.

„ბედნიერება ცოტაა ჩვენთვის, რომ ბედნიერი ვიყოთ ბოლომდის...“ ამას მხოლოდ ის კაცი იტყვის, რომელმაც იცის შემოქმედების უძნელესი ცხოვრების, მოუსვენარი ცხოვრების ავ-კარგი.

წავიდა ჩვენგან ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჩრდილში დგომას ამჯობინებდა, რომელსაც ჭქონდა წმინდა ლიტერატურული ინტერესები, რომელიც პოეზიით სუნთქავდა, რომელიც ჩვენი მწერლობის მომავალი იყო, ვინც თავს დასდებდა და ჩვენს მწერლობას შეეწირებოდა.

მას ჭქონდა ნიჭიერი კაცის ყველა თვისება.

იყო თავმდაბალი, მორიდებული, როცა კაცს ელაპარაკებოდა, ცისფერ თვალებს დაბლა ხრიდა და წითლდებოდა, რაც მისი შინაგანი სიფაქიზისა და სიმორცხვის, მისი პატიოსნების ნიშანი იყო.

იყო შრომისმოყვარე. სწავლობდა იტალიურს, ენის სწავლას კი შრომისმოყვარეობა უნდა. სიზარმაცე დამღუპველია შემოქმედისათვის. იგი თავდაუზოგავად მუშაობდა თავისი ლექსების მეორე წიგნზე და ცდილობდა ,შეექმნა თავისი პოეტური სამყარო. ამ ლექსებში, რომელიც მისი სიკვდილის დღეებში დაიბეჭდა, კარგად ჩანს თუ როგორ თანდათან იზრდებოდა, კარგად ჩანს ფორმისა და შინაარსის ჰარმონია, რაც დღეანდელი პოეზიისათვის მეტისმეტად იშვიათი გახდა.

ჩვენ ხელში შეგვრჩა ახალგაზრდა კაცის ლექსების მხოლოდ ორი წიგნი, რამდენიმე პიესა და რამდენიმე იტალიელი პოეტის ლექსების თარგმანები — მხოლოდ კონტურები საინტერესო შემოქმედებისა და ამიტომ უფრო დასანანია, გულსატკენია და სამწუხაროა ჩვენგან მისი უდროო წასვლა.

„შენ იმ ვარდივით ხარ უბედური, რომელიც ჭანება გამლისთანავე“, ამბობს იგი ერთ ლექსში და ეს სტრიქონებიც თითქოს ნათელმხილველის დაწერილია...

ბიბი ბეგეფკორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რას დაიტოვებ ჩემგან, ბალახო,
წვიმავ, რა მიგაქვს ჩემი ცრემლიდან,
მე კიდევ ერთი დიდი დღე მინდა,
შუაღამისას მოსულ თემიდას
ჩემი სიმშვიდე რომ დავანახო.

რა უსიზმრებო სიზმრებში ვხრჩოლავ,
ჩემივე კვამლი ნესტოებს მიწვავს,
რა მინერალებს აღაგზნებ, მიწავ,
ჩემგან, სხეულის ჟანგო და ძრწოლავ,
თქვი, რას გპირდება წყვდიადში წოლა.

რადგან სიკვდილი დამთავრდა... იმის
ბოლოდან უკვე იწყება ღმერთი,
შენ დაიტოვებ ჩემს ბოლო ღიმილს,
რომელიც მალე გახდება შენთვის —
შუქი ან სისხლი, ჯვარი ან ქიმი.

თქვი, სანამ ერთი დიდი დღე დარჩა,
სანამ შენს თვალში სამყარო ტირის,
სანამ ჩაჰყურებ წმინდა ქარაფებს,
შენი ფხვიერი და ცივი პირით
სანამ ბალახი ილაპარაკებს.

●

ფანჯარამ ღამეს გადასძახა, ღამემ — ვარსკვლავებს
და შენს თვალებში არ დასტოვა არცერთი ლოცვა,
მე იმ თვალების სიღრმეებში ყაყაჩოების სისხლს ვუმატებდი
რომ ცრემლს სიმძიმე დაეკარგა... მე იმ თვალების
ცარიელ ღამეს მარტო შევრჩი და ვარსკვლავმაც მაშინ მიბიძგა
ლოცვასა და არაფერს შორის დარჩენილი ვიწრო ფანჯრისკენ,
რომელსაც ჰქვია სიყვარული, ბრმა ფრინველივით
რომ ეხეთქება საკუთარ ფრთებს სინათლის ცაში.

●

ბალახს ცეცხლივით ეღვრება წვიმა. აქ იწყება შენი საღამო.
აქ იღვიძებენ ანგელოზები ილუზიურ ფრთათა შხუილით.
შენი სნეული ანგელოზები. ბალახს ცეცხლივით ეღვრება
წვიმა.
ლითონივით წკარუნებენ მათი სხივები ილუზიურ ფრთათა
შხუილში.
შენი მშვიდი და ნამდვილი ცოდვა იფარება ბალახის
ცეცხლით.
მე შეიძლება მარიამი გიწოდო ახლა —
დედა კი არა, ის მეორე, მაგდალინელი,
ხვა სახელი შენ არ შეგფერის. შენი მშვიდი და ნამდვილი
ცოდვა
ცეცხლის ალივით დასრიალებს ნათელ წვიმაში.
შენ უკვდავი ხარ შენი ცოდვით. აქ იწყება შენი საღამო.
და როგორც წვიმა კარგავს ღრუბელს, როგორც ბალახი
კარგავს მინდორს — შენ გეკარგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სნეული ანგელოზების ილუზიურ ფრთათა სიგრილე.
მე შეიძლება მარიამი გიწოდო ახლა...
რა ჩაიფიქრა შემოდგომამ შენს ღრმა თვალებში:
ლოცვის ნეტარი სიმხურვალე, ნიჰილიზმი, მონანიება
თუ გაძარცვული ბაღის სიჩუმე...

●

ჩემო ხელებო, ჩემო თვალებო, ჩემო სიტყვებო —
მე თქვენ მჭირდებით უკანასკნელ ნაბიჯებისთვის,
რომელიც ალბათ არის პირველი და ერთადერთი ღამე
მკვდარი თავისუფლების,
იმ ღამეს ღამე უნდა ვუთიოთ — ჩემო ხელებო, ჩემო
თვალებო, ჩემო სიტყვებო,
ნაჯახების ცეცხლოვან შუქზე, დამაბრმავებელ გაზების სუნში,
როცა ხავსივით რბილი საკანი თქვენს ამოძახილს ჩაიხშობს
შიგნით
და დამთავრდება ნაბიჯები და იმ ბოლო ნაბიჯებისთვის
გზა არ ექნება დედამიწას და იმ ბოლო ცრემლებისათვის
გზა არ ექნება გულს, რომელმაც დასტოვა ყველა
და იმ მკვდარ გულსაც სუფთა სინდისით გაანათებს როდესაც
მთვარე —
ჩემო სიტყვებო — თქვენ უნდა იქცეთ ჩემს ხელებად და ჩემს
თვალებად,
ჩემო თვალებო — თქვენ უნდა იქცეთ ჩემს სიტყვებად და
ჩემს ხელებად,
ჩემო ხელებო — თქვენ უნდა იქცეთ ჩემს სიტყვებად და ჩემს
თვალებად.

●

ვით აბრაამის ანგელოზი, ჩამძახის მჭახედ
შიში, რომელმაც მიმაბრუნა შენს ნათელ გულში,
ძველი სიზმარიც იძენს მყარ და გარკვეულ სახეს,
მე გამოვდივარ იმ სიზმრიდან ტანჯვით და შმუშვნით
და თვალებს უცებ შენს უმშვიდეს წიაღში ვახელ,
არა, მე მზად ვარ... მწუხარების და ძრწოლვის ბიძგით
მოვედი შენთან — შენი ხატი და შენი მსგავსი,
შენ მაიძულებ მორჩილებას... და ისიც ვიცი:
სასოწარკვეთის მოწამლული ეკლებით აღვსილს
რომ ჩამიფარავ შენი მყუდრო და თბილი გარსით.
მაგრამ მე აქ ვარ... და დროდადრო თვალებში სიმწრის
ცრემლი იფეთქებს და ის ცრემლი ბოროტად მიღრენს,
და ჩემს ლოცვასაც ეპარება დროდადრო ხრინწი
რადგან შენ კვდომით დაბადებას უახლოვდები
მე დაბადება მაახლოვებს სიკვდილის სიღრმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორ ხიდზე ვდგავარ. ქვევით ორი მდინარის ბრუნვას
ჩავყურებ, სანამ ამქვეყნიურ ტალახით დასვრილს,
ის წმინდა წამი — დანასავით მოკლე და ბასრი,
დაუნანებლად განმაშორებს ეჭვებს და საშიშ
ყოყმანს, რომელმაც ჩემს მოქანცულ და უნდო ხმაში
ქვა გაურია. როცა ვდუმვარ, მე ვხედავ მაშინ,
მე — სიმშვიდის და მძვინვარების ორი ნაფლეთი,
ორ ხიდზე მდგარმა ბინდბუნდამდე ვერ მოგისწარი
და ცრემლი სადღაც შიგნით ცვივა, როგორც კრისტალი,
რათა გაალღოს ჩაკუმშული სულში ლოდები,
გროვდება ცრემლი — იმედის და სასოწარკვეთის,
ასე, წვეთ-წვეთად, შენც ცრემლივით ჩემში გროვდები.

●

სიბნელეში კი დარჩა სიტყვა, როგორც შავი კვარცის ნატეხი,
რომელმაც ნელა ჩაუარა მაგიდის კიდეს,
ამოცოცდა ღია საწოლზე, გაეხახუნა დაჭმუჭვნილ ბალიშს
და ბოლოს შენი ქუთუთოების ცივ ალზე გადნა.
... იმ ერთ წვეთ ცრემლში შეგიძლია დაიხრჩო თავი.

●

თენგიზს

მდინარესავით მარტო მიდიხარ და მიდუდუნებ
და გეჩქარება, არ იცი საით,
არ იცი რომელ აღლუმებზე გაგვიანდება,
არ იცი — როგორ — გაემწყვდევი მაგარ ლოდებში
და საკუთარ თავს ეხეთქები, საკუთარი თავი გამძიმებს
ცოტაც, ცოტაც რომ აიწიო და ნისლების რბილი დოლბანდით
შემობურულ ჭალას გახედო.
რადგან ამქვეყნად ყველა მდინარე მარტო მიდის და
მიდუდუნებს
და ღრმა სიბნელეს კბილებით ფხოჭნის,
მეც ასე მჯერა, როცა ღამე გროვდება გულთან:
წმინდაა შენი მდინარის წყალი,
წმინდაა შენი მდინარის წყალი,
წმინდაა შენი მდინარის წყალი
რადგან ტანჯულიც და მტანჯველიც თავად შენა ხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

პერიფერიების ლიტერატურულ ცხოვრებას თანდათან მეტი ყურადღება ექცევა. გონიერ მკითხველს არ ჭირდება ახსნა იმისა, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებსა და რაიონებში.

გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ქალაქ სოხუმის ლიტერატურულ მაჯისცემას განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებოდეთ. ამ შესანიშნავ ქალაქს აქვს მდიდარი ლიტერატურული ტრადიციები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტრადიციების შესაფერი სადღეისო ასპარეზი აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ მწერლებს ამ თხუთმეტი წლის წინათ არ ჰქონდათ. ამ მდგომარეობის სერიოზული გააზრების შედეგად დაარსდა „რიწა“ თავის დროზე. იგი გახლდათ ერთდროული კრებული, გამოდიოდა წელიწადში ერთხელ, იყო შეზღუდული მოცულობისა; მაგრამ იყო ამავე დროს აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯი. გავიდა დრო და დავრწმუნდით, რომ ადრინდელი მოცულობის „რიწა“ უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა დღევანდელობის მოთხოვნებს, გაიზარდა აფხაზეთში მოღვაწე ქართველ მწერალთა რიცხვი, გაფართოვდა „რიწის“ ლიტერატურული ინტერესები. „რიწა“ იმთავითვე არ იფარგლებოდა ადგილობრივი მწერლური ძალებით, ჰქონდა მჭიდრო კონტაქტი მთელს ქართულ მწერლობასთან. ეს გახლდათ სწორი კურსი და მან თავისი ბუნებრივი გაგრძელება ჰპოვა. აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთობლივი მოწადინებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის აქტიური მხარდაჭერით გადაწყდა, რომ გაზრდილიყო „რიწის“ პერიოდულობაც და მოცულობაც. ამიერიდან „რიწა“ გამოვა ოცი საავტორო თაბახის მოცულობით და წელიწადში ორჯერ. უკვე გამოვიდა სტრუქტურითა და შინაარსით გამდიდრებული ალმანახ „რიწის“ პირველი ნომერი. დიახ, ამიერიდან მას ალმანახი ჰქვია (მთავარი რედაქტორი გურამ ოდიშარია, პასუხისმგებელი მდივანი გელა მამფორია).

პირველსავე ნომერში შეინიშნება რედაქციის გადაწყვეტილება — არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლოს ადგილობრივი ძალებით, არ იხარშებოდეს ალმანახი საკუთარ წვენში, „რიწა“ და ქართული მწერლობის დიდი ინტერესები განუყოფელი იყოს! ეს ტენდენცია უკვე იძლევა წარმატების გარანტიას. თუნდაც გრიგოლ რობაქიძის რომანის დასტამბვა რადა ღირს.

„რიწის“ წინაშე დიდი პერსპექტივა იშლება. აფხაზეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა შორის კარგა ხანია სერიოზული ძალები გამოიკვეთა. „რიწის“ ალმანახად ქცევა და პერიოდულობის გაზრდა ჰაერივით საჭირო იყო, რათა ეს ძალები მთელი თავიანთი შესაძლებლობებით წარმომდგარიყვნენ მკითხველის წინაშე, ამავ დროს „რიწა“ აღრმავებს „ალაშარასთან“ ერთად აფხაზური და ქართული ლიტერატურის ურთიერთობას; მის ფურცლებზე, ალბათ, კვლავაც ვიხილავთ აფხაზური მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელთა ნაწარმოებებს.

ინტერესს აღძრავს კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებისა. გამომცემლობა „მერანმა“ დასტამბა ერთდროული კრებული „ეგრისის“ სახელწოდებით. რამდენადმე მოულოდნელი იყო, ალბათ, მკითხველისათვის „ეგრისის“ დაბადება. ზუგდიდი, — ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ჩვენი ქვეყნისა, — დიდხანს იყო უყურადღებოდ მიტოვებული, არადა, მის წიაღში იშვნენ და აღიზარდნენ ჩვენი ეროვნული მწერლობის კორიფეები, ქალაქს ჰქონდა საინტერესო კულტურული წარსული. იზრდება ზუგდიდის მოსახლეობა, იზრდება ქალაქის მრეწველობის სიმძლავრე, გროვდება სერიოზული ლიტერატურული ძალები და ბუნებრივად დაიბადა მოთხოვნილება ჰქონოდა ამ ძალებს თავიანთი კრებული. ვფიქრობთ, მისასალმებელი მოვლენაა.

კრებულში დასტამბულია ავტორები, რომელთა ნაწილს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, ისინი სისტემატურად იბეჭდებიან ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ მათ გვერდით წარმოდგენილნი არიან ჯერ კიდევ ნაკლებ ცნობილნი, ან სულაც უცნობი ავტორები. მთავარი აქ სხვა რამ არის: ყველანი ერთად ისინი უკვე გვიქმნიან ნათელ წარმოდგენას ქალაქში გაღვივებულ ლიტერატურულ ცხოვრებაზე, კრებულის გამოსვლა აღრმავებს ზუგდიდის კულტურული ცხოვრების შინაარსს, რადგან იგი გვერდით დაუდგება სწორედ შემოქმედებით კერებს.

„ეგრისის“ შემდგენელ-რედაქტორს ცნობილ მწერალს გენო კალანდიას ცდა არ დაუკლია, რომ კრებული შინაარსობრივად მრავალფეროვანი და მხატვრულად ღირებული ყოფილიყო. და კრებული მართლაც საინტერესო შთაბეჭდილებას სტოვებს.

კრებულში გაშუქებულია ზუგდიდის, როგორც ისტორიული წარსული, ასევე დღევანდელობაც, ყურადღებას იქცევს წერილების ავტორთა ფართო წრე, მათი პროფესიონალური დონე.

კრებული ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია ქალაქის შემოქმედებით ძალებს საქართველოს კულტურული ცხოვრების განვითარებაში, გვიმეღავნებს აგრეთვე დღეს მოღვაწე შემოქმედთა ანგარიშგასაწევ პოტენციას.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია მიესალმება როგორც „რიწის“ ასევე „ეგრისის“ გამოსვლას და უსურვებს მათ რედაქციებს დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ

(ᲜᲘᲙᲝ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ)

ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნულ ხასიათს განაპირობებდა მისი საოცარი შინაგანი უშუალობა და სიდარბაისლე.

საქართველოს ისტორიაში ლორთქიფანიძეთა გვარის ბევრმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა დაიმკვიდრა სახელი. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში სამეფოსა საქართველოსა“ ლორთქფანიძენი მოხსენიებულნი არიან, როგორც „მთავართა შორის უწარჩინებულესნი და შემძლებელნი“, ხოლო ნიკოს შორეული წინაპარი ბეჟან ლორთქიფანიძე წარმოდგენილია, როგორც იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი გონიერი მოღვაწე და სარდალი, ძე მისი — გრიგოლი კი, ვით XVIII საუკუნის პირველი ნახევრის სახელმოხვეჭილი სახელიერო მოღვაწე, იმერეთის კათალიკოსი. ნიკოს ბაბუა ბერი ლორთქიფანიძე, როგორც ცნობილია, სოლომონ მეფის დაახლოებული პირი გახდათ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავისი დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ლორთქიფანიძეები „ფიცის კაცებად“ იყვნენ ცნობილნი, რომელთაც, ამ ინსტიტუტის სხვა განთქმულ გვარებთან ერთად, იმერეთის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების დაცვა ჰქონდათ მინდობილი და გაეპირვების დროს ქუდზე კაცი გამოჰყავდათ. მათ სამფლობელოს სასტიკ ბატონთაგან ლტოლვილი ბევრი ადამიანი აფარებდა თავს; თუ ასეთი პირნი სამშობლოს წინაშე გულმართალნი იყვნენ, ერთგულების ფიცს აძლევდნენ ლორთქიფანიძეებს და მათს მიწებს ემკვიდრებოდნენ.

ასეთი იყო ნიკოს მამის — მერაბ ლორთქიფანიძის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ტრადიციები, რომელთაც მისმა თაობამავლობამ ევროპული არისტოკრატიზმი შეუთანწყო.

როგორც ვნახეთ, არისტოკრატობა საერთოდ მოსდგამდა ლორთქიფანიძეთა გვარს, მაგრამ იგი, XX საუკუნის ინტელექტუალიზმთან და საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე პრინციპებთან ზიარებით, ლორთქიფანიძეთა პრაქტიკაში უკვე ახალი სახით უნდა გამოვლენილიყო. და ნიკოც, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა თავის გვარში: მის მოქალაქეობას, მოღვაწეობას, მწერლურ პრაქტიკას, სხვა სიკეთესთან ერთად, არისტოკრატიზმის მკვეთრი ნიშანიც ანზის. ნიკოსადმი მიძღვნილ ლექსში პაოლო იაშვილმა მისი არისტოკრატობა გახაზა, როგორც, ამავე დროს, ეროვნულად ნიუანსირებული თვისება მრავალწახნაგოვანი ხასიათისა, რომელსაც უნდა შეეწოვა დროის უპირველესი მოთხოვნილებანიც, აღექვა მისი რთული არსიც, განეცადა მარტოსულობის მტანჯველი ხვედრიც და შთაგონებაც წვეოდა იმედიან წუთებში.

ამიტომ წარმოსახავს პოეტი ამ „კეთილშობილ“ რაინდსა და „ბუნებით ბატონ“ პიროვნებას ხან „მოელვარე სატევრად“ და ხან საკრთველოს ბედით „დანაღვლიანებულ“ „განდეგილ“ სულად; ხან „დარდიმანდულად“ მოთმართულ არისტოკრატად და ხანაც — „ცოდვილთა სულებზე“ მზრუნველ ჰუმანისტად.

ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნული თვისებანი პირად მოგონებებშიც ხშირად ყოფილა აქცენტირებული სწორედ როგორც ეროვნულ ხასიათს დამორჩილებულ მოვლენად. მას, ალბათ, ყველაზე მეტად მიესადაგებოდა კონსტანტინე გამსახურდიას ოციანი წლების შეგონება: „საქმე ის კი არაა, პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე; საქმე ის არის, დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს“.

გარეგნულად მშვიდი, გონივრულად განმსჯელი, კეთილად განწყობილი და ობიექტურად შემფასებელი ნიკო არასოდეს გახვეულა წვრილმან თუ მსხვილმან ინტრიგაში და მოუთოკავ ვნებათა ღელვაში. თვით მისი სიმპათიები ან კრიტიკული დამოკიდებულება ამა თუ იმ ლიტერატურული დაჯგუფებისადმი არასოდეს ქცეულა სუბიექტურ მიკერძოებად. სწორედ არისტოკრატიული სიდარბაისლე ანიშებდა მას მომთმენლობის უნარს, ხშირად — მიუდგომე-

ლი არბიტრის როლს. იუმორნარევი მისი საუბარი თუ ზოგიერთი „მწვავე“ შენიშვნა, როგორც წესი მოსაყირჭებელ შტამპს, ცალკეულ ზღვარდაუდებ ჩვეულებს დაპირისპირებულ ჭეშმარიტებად აღიქმებოდა.

თუ გავითვალისწინებთ 20-30-იანი წლების რთულ ვითარებას, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ისეთივე „თვითგახსნას“ არ შეეძლო ყოველთვის მშვიდობიანად ჩაევლო. მაგრამ სწორედ ნიკოს სიდარბაისლე და გულის სიღრმიდან დაძრული უშუალობა განაპირობებდა მის მიმართ გამოჩენილ „მომთმენლობას“.

ამგვარი უშუალო სიმართლის ნიშანს ატარებს, მაგალითად, 30-იანი წლების ერთი შემთხვევა მწერალთა კავშირში, რომელმაც შედარებით „მშვიდად“ ჩაიარა:

როგორც გადმოგვცემენ, მოწვეული იყო მწერალთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა საკითხი სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შესახებ. ამ საგაზეთ მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ. მას მოსკოვში სპეციალური ფორუმიც კი მიეძღვნა. იმ შეკრებაზე ქართველი მწერლებიც (მათ შორის ნიკო) იყვნენ მიწვეულნი.

და აი, როცა ქართველ მწერალთა კრება გაიხსნა და დღის წესრიგი გამოაცხადეს, ნიკომ, ყველასათვის მოულოდნელად, სიტყვა მოითხოვა.

— მინდა წინადადება შემოვიტანო, — თქვა მან. — მოახსენება სოციალისტურ რეალიზმზე ბევრმა ქართველმა მწერალმა, მათ შორის მეც, მოსკოვში მოვისმინეთ. შედეგი გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა, „კოზუნისტმაც“ გადმობეჭდა და მას კვლავ დაწერილები გავეცანით. ახლა, ბატონო, მოგვიწყეთ „ეკზამენი“ და, ვინც ვიცით, დროს ფუჭად ნუღა დაგვაკარგვინებთ — გაგვათავისუფლეთ, ვინც არ იცის — დარჩეს და მოისმინოს!

ამ იუმორნარევ შენიშვნაში გამომჟღავნდა მისი ფხიზელი, კრიტიკული დამოკიდებულება იმ ხანებში გავრცელებული სენის — გაუთავებელი „კრებობანასადმი“, ცალკეულ დებულებათა სკოლარული ზუთხვისადმი.

რა ვითარებასა და გარემოცვაში ყალიბდებოდა ნიკოს ხასიათი?

ოჯახი: ჩუნეში იმერეთის ჩვეულებრივი სოფელია, წყალტუბოს მახლობლად მდებარე, ბუნებითა და ადამიანებით მდიდარი. აქ, იმერელი თავადის მერაბ ლორთქიფანიძის არც თუ რაიმე მდიდრულად გამორჩეულ ოდასახლში, 1880 წლის 17(29) სექტემბერს დაიბადა მეთერთმეტე შვილი, რომელიც ნიკოლოზის სახელით მონათლეს. მერაბ ლორთქიფანიძის ოჯახი განთქმული იყო თავის კულტურული მისიით, ფართო კონტაქტებითა და კეთილი ნებით, რაც უკვე ლორთქიფანიძეთა ოჯახის გარკვეულ ახალ ტრადიციად ჩამოყალიბდა. მამა სახელმოხვეჭილი კაცი იყო. ჩინებულად ფლობდა რუსულსაც და კუთაისის გუბერნიის სასამართლო სტუმრებს ხვდებოდა. მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, სადაც თითქმის ყოველგვარი სახის ლიტერატურა მოიპოვებოდა. დედა ელიპატემ (წუწუკიძის ასული) ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და ლექსებსაც წერდა ცხადია, ყოველივე ამას თავისი კვალი უნდა დაემჩნია შთამომავლობისათვის. მერაბ და ელიპატ ლორთქიფანიძეებმა თავიანთ შვილებს — სამ ვაჟსა და ხუთ ქალს — ჭეშმარიტად რომ დიდი სიკეთე დაანახლეს და ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის განამზადეს: უფროსმა ძმამ ალექსანდრემ პეტერბურგში უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო. იასონი ცნობილი მოღვაწე გახდა (ობილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთერთი მოთავე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უკანასკნელი თავმჯდომარე, ქართული ბანკის პირველი მმართველი, მკვლევარი-ეთნოგრაფი — ფუნდამენტური შრომის „ქვემო ქართლის“ ავტორი); დებმაც ასევე არ დაიშურეს ნიჭი და უნარი ეროვნული კულტურის საკეთილდღეოდ (ნ. თავდგირიძის მეუღლე ნინო ქალთა გიმნაზიის უფროსი იყო, ილია ჭეჭინიას თანამეცხედრე ანეტა აქტიურად მონაწილეობდა ქმრის საქმიანობაში, საშა წულუკიძის მეუღლე ელენე ჩვენს დროს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის უპატრონო ბავშვთა განყოფილების განაგებდა, ხოლო ადრე — გასული საუკუნის 90-იან წლებში, — როგორც ამას გაზ. „ცვალი“ 1893 წელს თავის მკითხველებს აუწყებდა, კუთაისში მან სპეციალური „საქალაქო სკოლაც“ გახსნა, სადაც სხვადასხვა სასწავლებლებში შესასვლელად ქართველ გოგონებს ამზადებდა; დებმა ქართულად თარგმნეს ჰ. სენკევიჩის „ბარტეკ უძლეველი“); ნიკოს წვლილი ქართული ლიტერატურის განვითარებაში ხომ ფასს არ იდებს!

ახლო გარემო: მრავალმხრივ მდიდარი იყო გარემო, რომელშიც ყალიბდებოდა ჭაბუკის სული. ჯერ ერთი, ეს იყო სოფლის ალალმართალი ყოფა — სიბარულითაც და მწუხარებითაც გაჯერებული; ირგვლივ დასახლებული იმერელი გლეხობის ძნელი ცხოვრება, ქართული პატიოსნება, გაუთავებელი ოფლისღვრა და ალალი სტუმართმოყვარეობა; მეორეც — ყოველთვის ღია კარი ოჯახისა, რომელსაც გამოოელეული სტუმარი ეტანებოდა, რომ თავისი მოღვაწეობისათვის ახალი იმპულსიც მიეღო ამ კერთხეულ ჭერქვეშ და სულიერი სიმშვიდეც განეცადა. მერაბს მეგობრობდნენ ილია და აკაკი, ყაზბეგი და საშა წულუკიძე, გრიგოლ ვოლსკი და ვალერიან გუნია... ბევრი ასეთი სტუმრის მხილველი ემაწვილის გონებაში ნათელ სურათებად ფიქსირდებოდა გამოჩენილ ადამიანთა ჩვევა, ინტერესი და მათი ხატი მუდამ თან ახლდა მას მთელი სიცოცხლის

მანძილზე (როგორი შთაგონებით დახატა მოგვიანებით ალექსანდრე ყაზბეგის თუნდაც ერთ-ერთი სტუმრობის პასაჟი, ასე მკვეთრად რომ ჩაეკვედა ყმაწვილის მეხსიერებას!);

ბარამეო ზოიაული: ბედმა ახალგაზრდა ნიკოს შორიდანაც დაანახვა თავისი სამშობლო. სწორედ ამ დისტანციიდან ახალი რაკურსით უნდა აღექვა მშობელი ხალხის სატკივარი და საზრუნავი, ახე მკაფიოდ რომ მოსჩანდა სხვათა ბედის თუ იდეალის ფონზე, ახალი საუკუნის დადგეს იგი თანდათან შორდებოდა მშობელ მიწას — სასწავლებლად ჯერ ჩრდილოკავკასიაში გავიდა, შემდეგ — უკრაინაში; ავსტრიაშიც იყო, გერმანიაშიც. მაგრამ ამ დაშორებას მისი პატრიოტული სულისკვეთებისათვის არასდეს გაუკრავს ბზარი. პირიქით, ეს სიშორე უფრო აახლოებდა თავის ქვეყანასთან, რომელსაც სასტიკი განსაცდელის ჟამს — რეაქციის წლებში — დაუბრუნდა. სწორედ ევროპაში ეზიარა მოდურ მოდერნიზმს, რომლის გავლენაც მის მხატვრულ პრაქტიკაში მეტნაკლებად თითქმის მთელი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე ეონავდა;

დრო: ცხოვრებაში მისი შესვლა დაემთხვა ისტორიული განვითარების ახალ საფეხურს. ეპოქის მოთხოვნებს, მშფოთვარე ჟამს, ახალ იდეებს, ძირეულ ცვლილებებს ეროვნულ ფსიქიკურ წყობაში, პიროვნების თვითჩამოყალიბების თუ თვითგახსნის გარდუვალ პროცესს, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამძაფრებას მის თვითშეგნებაში ღრმა კვალი უნდა გაევლო და გარკვეულ მრწამსად უნდა გაფორმებულიყო.

ამგვარად, ძირითადად, ამ ოთხი ფაქტორის წყალობით ჩამოყალიბდა იგი პატრიოტად და მოქალაქედ, მხატვრად და პიროვნებად — თავისი დროის ღვიძლ შვილად.

შვილების მოგონებაში ნიკო დიდბუნებოვან, ხათნო, მოსიყვარულე მამად დარჩა.

იგი ქალბატონ თამარს 1914 წელს შეეუღლა. 910-იან წლებში ისინი ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში მუშაობდნენ; აქ გაეცვნენ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს. თამარიც იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი ოჯახიდან იყო: ბაბუამისს — ალექსანდრე ჩხეიძეს განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 910-იან წლებში ჯიხაიშში ორწლიანი სასწავლებელი დააარსა, ხოლო თვითონ თამარს ქუთაისის ქალთა გიმნაზია ჰქონად დამთავრებული.

ნიკოს სურვილისამებრ, მეტად ორიგინალურად (იმ დროისათვის) უკორწინიათ: მეჯვარეების — კოლაუ ნადირაძისა და პიპინოა მიქელაძის, აგრეთვე ორიოდე ძალზე დაახლოებული მეგობრის თანხლებით, ეტლებით, ქუთაისის მახლობელ პატარა ეკლესიას წვევიან და ჯვარი დაუწერიათ. შემდეგ — უბრალო ხალხი და გამგზავრება ბათუმში. მათს ოჯახებს ეს ამბავი ცოტა მოგვიანებით შეუტყვიათ — ფარულად. რასაკვირველია, განაწყენებულან კიდეც.

ასე უბრალოდ დაიწყო მათი ოჯახური ცხოვრება.

მთელი სიცოცხლის მანძილზე მეუღლენი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს; ძალიან ტკბილი, მეგობრული, გულთბილი ურთიერთობა ჰქონდათ. ისე გავიზარდენითო, — იგიზეს ნიკოს და თამარის ვაჟი მერაბი, — რომ მათ მიერ ერთმანეთის მისამართით თქმული რაიმე უმეეხი სიტყვაც კი არ გვსმენია. საერთოდ, უბრალო ხმის აწევაც კი არ გვახსოვს, არა თუ ერთმანეთის. არამედ ჩვენს მიმართაც. ცოლქმრულ ურთიერთობას, ერთმანეთს ძალიან უფრთხილდებოდნენ; რაიმე საყვედური ერთმანეთის მიმართ არასოდეს დასცდენიათ.

ოთხი შვილი შეეძინათ. ქალიშვილი ადრევე გარდაეცვალათ. სამი ვაჟი გაზარდეს — ნოდარი (ინჟინერ-კონსტრუქტორი), მერაბი (ლიტერატორი-ჟურნალისტი) და გიორგი (ექიმი). ზრდიდნენ ფრიად ორიგინალური პრინციპით — სათნოების, ზნეობის, კაცთმოყვარეობის საკუთარი მაგალითით; მოსაბეზრებელი დიდაქტიკური შეგონებების, მკაცრი დატუქსვის, რაიმე იძულების გარეშე, თანაბარ მდგომარეობაში.

ეს მაგალითი კი დიდი გაკვეთილი იყო და თავისთავად ზემოქმედებდა შვილებზე. მათ არასოდეს სმენიათ უხეში, უხერხული სიტყვაც კი. ოჯახში ზრდილობის კულტი ბატონობდა; მამასაც და დედასაც აღზრდით მოსდგამდათ იგი.

თამარი ლიტერატურის მოყვარული იყო. განსაკუთრებით ეთაყვანებოდა ქართულ და რუსულ კლასიკას; ზედმიწევნით იცნობდა მას და თავის მოსაზრებებს შვილებსაც უზიარებდა. და, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო მხატვრული ალღო ჰქონდა, ნიკოს ზემოქმედებითს საკმიანობაში არასოდეს ერეოდა; მიაჩნდა, რომ ყოველი ზემოქმედი თავის ძიებებში აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს. მისი ხასიათის კიდევ ერთი თვისებაა ხაზგასასმელი: თვით გულით მართალი, სხვებისათვისაც სამართლიანობის მაძიებელი იყო. გადმოგვცემენ: ოცდაათიანი წლების დასაწყისში რადაც გაზეიადებული პოლიტიკური ბრალდებით დაპატიმრეს მისთვის მახლობელი ადამიანი, საშა წულუკიძის შვილი ირაკლი. ქალბატონი თამარი, დარწმუნებული მის უდანაშაულობაში, არაფერს შეუშინდა, მაშინდელ ხელმძღვანელებს უშუალოდ მიმართა და ირაკლი წულუკიძის განთავისუფლება ითხოვა. ეს მოთხოვნა იმდენად პრინციპული იყო, რომ თამარმა, ლამის, საწადელს მიაღწია კიდეც!

ნიკო ყოველთვის ესწრაფოდა ახალგაზრდებთან შეხვედრას, მათთან გულღია საუბარს. ნურავინ იფიქრებს, თითქოს მათში ეძებდა თაყვანისმცემლებს. არა. ასეთი შეხვედრები მისთვის თავისებური პაუზები თუ გადართვაც იყო და, ერთგვარად, ბოჰემურ სტიქიასთან მიახლოებაც. შეხვედრათა ინიციატორი, როგორც წესი, ყოველთვის თვითონ იყო. ბუნო ულენტი ხშირად იგონებდა, თუ როგორ მოულოდნელად შექმნიდა იგი ახალგაზრდა მწერლებთან შეხვედრის სიტუაციას:

აი, მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა სასახლის წინ ან მის მომცრო ეზოში ახალგაზრდა, დამწყები მწერლები შეგრავლან, მსჯელობენ. ნიკოც მათთანაა, მაგრამ, მისი რწმენით, გულღია საუბარს მეტი ინტიმური გარემო ჭირდება.

— ყმაწვილებო, გავიკრათ ხელი ჯიბეს; ვნახოთ, ვინ რა „ჯაპატალს" ფლობს.

პირველი „ჯაპიტალისტი" თვითონაა — თავის წილს დებს. შემდეგ, ახალგაზრდებით გარშემორტყმული, მიეშურება საყვარელი „ორიანტისაკენ", სადაც გულღია ეტიზის მისთვის მუდამ გაშლილი აქვს სუფრა.

მსგავსი შეხვედრები კიდევ უფრო მატებდა ნიკოს დიდ ავტორიტეტს, დარბაისელი კაცის სახელს. აქ იგი განსაკუთრებით აკლენდა თავის კეთილგანწყობას, სხვებზე ზრუნვას, სულიერ სიმშვიდეს; ამ წუთებში ისე სათნო და მოსიყვარული ხდებოდა, საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება არც დაეჯერებინა, რომ იგი „მრისხანე ბატონის" ავტორი გახლდათ.

სუფრასთან შეხვედრებს ღრმა კვალი გაუვლია ნიკოს ბევრი თანამედროვის სულში, სამუდამოდ აღბეჭდილა ოქ, როგორც არა მხოლოდ კეთილად მოსაგონარი შეხვედრა, არამედ ახალი შემოქმედებითი ცხოვრების იმპულსიც.

სიმონ ჩიქოვანი იგონებდა მოგვიანებით: „სუფრასთან გამართული კამათი და სადღეგრძელოები დიდხანს გრძელდებოდა. გვიან ღამით ავიშლებოდით სუფრიდან და გამოვეფინებოდით დაცარიელებულ რუსთაველის პროსპექტზე. ოპერის თეატრამდე ერთად მივდიოდით. მოსახვევთან ნიკო დაგვტოვებდა. გადავიდოდა ქუჩის მეორე მხარეზე და დაგვიანებული მთასვლელივით ჭავჭავაძის ქუჩის აღმართს ნელი ნაბიჯით შეუყვებოდა. იგი თითქო მაღლა მიეშურებოდა, რათა მთაწმინდაზე ამომავალი განთიადისათვის მიესწრო... მწერლობაზე გადამეტებული საუბარი ნიკოს არ უყვარდა. თუ სუფრის გარშემო რომელიმე ახალ ნაწარმოებზე კამათი გაჭიანურდებოდა, „ეს ჭემარიტი ვახშამი შემარაგეთო", — გვეტყოდა. მაინც, რიცა მწერლობაზე თავად მსჯელობდა, ძალიან საყურადღებო აზრებს გამოთქვამდა, ნიკოს მიერ გამოთქმული შეხედულებები მწერლობის თუ ხელოვნების ნიმუშებზე მუდამ მკაფიო და ზუსტად ჩამოყალიბებული ჩანდა".

უთუოდ, ასეთ შეხვედრებში ნიკო მისთვის საჭირო სულიერ სიმშვიდეს პოულობდა, რაც ესაჭიროებოდა ეროვნული ... დენ აუცილებელი იყო მისი რთული მხატვრული სახეებისა თუ მძაფრი სიტუაციების მთელი სამყაროსაგან დროდადრო გამოთიშვისათვის, როგორც მათგან გარკვეულ დისტანციაზე გასვლა და თავისუფლად ამოსუნთქვა.

ალბათ, ბუნებრივად იქნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყოფაში, პირად ცხოვრებაში, ჩვეულებრივს ურთიერთობებში იგი მშვიდი კაცია, ოდნავ დარდიმანდულად მომართული და მისი პიროვნული ფენომენი, ფსიქიკა, სულიერი მდგომარეობა მხოლოდ შემოქმედებითი წვის მომენტებშია გართულებული. აფორიაქებული, მოუსვენარი. და, ძირითადად, ეს ასეც იყო. მაგრამ მას სხვა ფაქტორებთან განპირობებული მშფოთვარე დღეებიც, სულის ფორიაქიც და წამებრივი წუთების სიმძიმეც ბევრ ცდია. 1937 წელს ისიც კინაღამ იმსხვერპლა ერთმა შემთხვევამ.

აი, რა მოხდა: აქარაში გამართულ პროცესზე ერთ-ერთმა ბრალდებულმა მისი სახელი და გვარიც მოიხსენია — ნიკო ლორთქიფანიძეც ჩვენი თანამონაწილეაო. ატყდა მითქმა-მოთქმა. იმ დღეებში მწერალთა კავშირში გამართულ ერთ-ერთ კრებაზე აქამდე „შენდაბეული" ნიკოს გამოაშკარავება გადაწყვიტეს. ერთმა მწერალმა პირდაპირ მოიწოდა, „ოლიმპიური სიმშვიდე" დაერღვია და „ხალხის მტრებთან" თავისი კავშირი საჯაროდ ეღიარებინა. ნიკო პირდაპირ იტანჯებოდა, „საჯაროდ" არაფერი მაქვსო, ამბობდა. მაგრამ ვინ უნდა დაერწმუნებინა მაშინ თავის სისპეტაკე-სიწმინდეში?! რამდენი პირადი წერილი თუ სხვა უნიკალური დოკუმენტი გაქრა მაშინ ნიკოს მდიდარი არქივიდან: საქმეს ისიც ართულებდა, რომ ნიკო (როგორც იასონიც!) თავის დროზე ე. წ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მართალია, თავის ადრინდელ პოლიტიკურ შეხედულებებთან მას ახლა უკვე აღარფერი აკავშირებდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ეს ფაქტი მისთვის არასასურველად „გათამაშებულიყო".

ნიკოს მეუღლეს, ქალბატონ თამარს ჩემთვის უამბნია: მთელი ათი დღე რაღაც საშინელის მოლოდინში ვიყავით. ძილი და მოსვენება დაიკარგა. ყოველ წუთს ველოდით ძნელად გასაცნობიერებელ კატასტროფას. ნიკოს მოთმინების ფიალა ივსება და ზემდგომ ინსტანციაში დეპეშა გაგზავნა, მიღებას ითხოვდა. იგი მართლაც გამოიძახეს და გადაგზავნეს კიდეც, რომ მას უკვე ველარ ვიხილავდით. მაგრამ მოხდა სასწაული — იგი უვნებელი დაგვიბრუნდა. უსაზღვრო გახარებულს ჭავჭავაძის აღმართი საოცარი სიმსუბუქით ამოეკვლო და კარი სახეგაბადრულმა შემოაღო. ეთქვათ — დამშვიდდით, წაბრძანდით შინ, ჩვენ ვიცით, რომ ის ნიკო ლორთქიფანიძე სხვა პიროვნებაა. ხომ წარმოგიდგენია, რა ხასიათზე დაუყენებდა

მთელ ოჯახს ეს ცნობა! მაგრამ მანამდე ჩვენ ხომ ჩვენი დაგვემართა; სტრესი ასე ადვილად როდი იკურნება და ნიკოს ნერვებსაც მან უთუოდ თავისი დაღი დასვა!

ვინ იცის, შესაძლოა, ეს სწორედ ის წვეთი იყო, რომელსაც პირთამდე უნდა აევსო სან ოცეულს მიღწეული კაცის ძნელად შესაძლებელ განცდათა და იდუმალ თმენათა ფიალა!

საერთოდ, 1937 წელი ნიკომ მძიმედ განიცადა და გადაიტანა. აი, როგორ ხატავს ამ მძიმე განცდებს მერან ლორთქიფანიძე: („თითქმის, არსად დადიოდა. უბრალო ჭვრიალმანი რაიმეც კი აღაზიანებდა. ხშირად იყო შუბლშეკმუხვნილი.. მისი ნერვიული, აღგზნებული მდგომარეობა მის იმდროინდელ ჩანაწერებსაც ეტყობა.... მის ბლოკნოტებში ხშირად გვხვდება არაფრისმაქმელი, ცალკეული სიტყვები... ნათლად ჩანს, რომ მათი დამწერი იმ წუთებში რაღაც ისეთზე ფიქრობდა. რაღაც ისეთი აწუხებდა. მეტისმეტად რომ ანერვიულებდა.. როცა მამა სანლილიან გადიოდა. ცოტაოდენი ფული (50 მანეთი) და ერთი ხელი საცვალიც თან მიმქონდა „ყოველი შემთხვევისათვის". უახლოეს ამბანაგებთან შეხვედრებს ერიდებოდა. რაიმე უბედურებაში არ გავხვეო ისინო". ამ პერიოდს განეკუთვნება მისი პირადი ჩანაწერები ვალებისა, რომელთაც მატერიალური გაჭირვების გამო (სამსახურს თავი მიანება!) ილებდა. უსესხნია ლეო ქიაჩელისაგან — 100 მანეთი, გერონტი ქოქოძისაგან — 20 მან., სეით იაშვილისაგან — 21 მან., და ა. შ. და კიდევ ერთი ფაქტი მერან ლორთქიფანიძისეგე მოგონებიდან: („...მამამ 1937 წელს ნოდარს აუკრძალა (წინათ მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა!) დღიურების წერა. მე მკითხა: „შენ დღიურებს წერ?" დღიურებს არა, მაგრამ ზოგ რამეს ვიწერ ჩემთვის, რომ არ დამავიწყდეს" — ვუპასუხე. „დახე და თავი დაანებე ყოველგვარ ჩანაწერებს!" (შვილებს უფროსთხლდებოდა!).

ნიკო ლორთქიფანიძის პიროვნება ფრიად საინტერესოდ ისახება მის თანამოკალმეთა, მეგობართა შეფასება-მოგონებებში. ამ მოგონებათა ერთი ნაწილი, რომელიც ლიტერატურულ მუზეუმს გადასცეს, სამწუხაროდ, დაიკარგა და მათი აღდგენა, ალბათ, ვეღარ მოხერხდება. მაგრამ რაც ჩვენს ლიტერატურას შემორჩა, ისიც საკმაო წარმოდგენას გვიქმნის ნიკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, მის ადგილზე XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. დავიმოწმოთ ზოგიერთი მათგანი:

ლეო ქიაჩელი: („ნიკო ლორთქიფანიძე ჩვენ გვხიბლავდა თავისი მაღალი ეთიკულობიერებით, თავისი ხასიათის ფაქიზითა რაინდული თვისებებით, ნათელი გონებით და ღრმა, ფართო გულით, რაც თანაბრად მყღვანდებოდა როგორც მის კერძო ცხოვრებასა და ურთიერთობაში, ისე შემოქმედებაშიც... მას ყოველთვის მაღლა ეჭირა მწერლის საზოგადოებრივ-მორალური დრამა, და მისი მოდგაწეობის ათეული წლების მანძილზე, ერთხელაც არ მომხდარა, რომ მისი შემოქმედებითი ინტერესი დასცილებოდეს ნამდვილ მხატვრულ მიზნებს, ხოლო მის ნიჭს ეღალატოს თავისი ბუნებისა და მოწოდებისათვის".

(მწერლისა და პიროვნების პროფილი ამ შეფასებაში მისი ადამიანური, მოქალაქეობრივი თვისებების წარმოჩენითა და ესთეტიკური პრინციპებისადმი ზედმიწევნითი ერთგულებით არის გახსნილი);

დემნა შენგელაია: „სასიკვდილო სარეცელზე ის ისევე სიტყვამჭარი იყო და უდრტვინველი, როგორც ცხოვრებაში, და კვდებოდა ისე, თითქოს ახალ სიცოცხლეს იწყებდა. მან ისევე მოულოდნელად შეწყვიტა სიცოცხლე, როგორც ფრაზას ან მოთხრობას წყვეტდა ხოლმე.

მისი ცხედარი პროფესორს არ გაუკვეთია. რომ გიკვეთეო, უსათუოდ ამოხდებოდა:

— ბატონებო, გული? გული სადღაა?

და კიდლიდან პატარა რუკა გაგვცემდა პასუხს:

— მე დავაკვეთ!

ეს პატარა რუკა რუკაა მისი საყვარელი საქართველოსი, სუფათია იმ მშვენიერი ქვეყნისა, ვისთვისაც ის ასე თავდაუზოგავად დაიწვა".

(უსაზღვრო პატრიოტის, თავშეწირული ადამიანის სულია გაჟაკრავებული ამ პასაჟში, ხოლო თავის დროზე მხატვრის მიერ შექმნილი საოცარი ძალის ემოციურ-ფსიქოლოგიური ესკიზი — „გული" ავტოეპიტაფიის შემქმედის ძალას იძენს, გმირისა და შემოქმედის ერთობლივ ბედად და მისიად აღიქმება!);

იოსები გრიშაშვილი: („მე მას ახალგაზრდობიდან ვიცნობდი, ძალიან დიდ პატივსა ვცემდი და ძალიან მიყვარდა, „ქართული პროზის ბატონიშვილს" ვეძახდი. შემდგომში ასეთი წარწერით ჩემი რამდენიმე წიგნიც ვაჩუქე. ახლოდან განწყობილება ჰქონდა მას ჩემს მიმართაც. არასოდეს დამავიწყდება, მე. ახალგაზრდა პოეტი, უკვე სახელმოხვეჭილმა მწერალმა თავის ყურნალ „ცხოვრება და ხელოვნებაში" რომ მიმიწვია თანამშრომლობისათვის და ლექსებსაც მიბეჭდავდა. საერთოდ, ის არაჩვეულებრივად გულისხმიერი და ყურადღებიანი იყო ახალგაზრდების მიმართ და ყოველმხრივ გვეხმარებოდა. მის ყურნალში არავრთმა, შემდგომში ცნობილმა მწერალმა დაბეჭდა თავისი პირველი ნაწარმოები".

(რაოდენ სათნო, ყურადღებიანი, გულისხმიერი, ახალგაზრდა შემოქმედის ბედით დაინტერესებული და მშობლიური კულტურის, ლიტერატურის ახალი ძალებით შევსებისათვის მოწდომებით მზრუნველი ჩანს ნიკო ლორთქიფანიძე ამ მოგონების მიხედვით! ამით ერთბელ კიდევ წარმოჩნდება მისი პატრიოტიზმი, ჭარ-თველობა, რადგან ამ ფაქტში, როგორც საერ-

თოდ მთელ მის ქმედებაში, აშკარად ილანდება მოუხვენარი წუხილიც შრობდეორანსათვის და აუნაზღაურებელი სიკეთით მისთვისვე მინაბეჭ-ბული ქმაყოფილებაც და სინანულიც!);

სიმონ ჩიქოვანი: „...ნიკო ლორთქიფანიძე ადრე ჩემი მასწავლებელი იყო... ყველას ძლიერ უყვარდა და ყველი უჩვეულო მოკრძალებით ეპყრობოდა. თავადაც მოწყალეებს თავაზიანი სალამით ხვდებოდა და „თქვენობით" ეხაუბრებოდა. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იტყოდა: „უყმწვილებო, ცოტა ვისწავლოთ, მაგრამ ის ცოტა კარგად, ბეჯითად ვისწავლოთ"... ზომიერად მაღალი და თითქმის კაფანდარა კაცი იყო. მუდამ ფაქიზად გამოწყობილი და თითქო უნებლიეთ დაღონებული ცხადდებოდა გაკვეთილზე. სქელი ტუჩები, მეჩხერი ულვაში და კოტაგან შეკრეჭილი მოკლე წვერი აშვენებდა. სათვალიდან დაღლილი იცქირებოდა და, კეთედრასთან ოდნავ წინ დახრილი, მშვიდი ნაბიჯით დადიოდა. სახეზე მუდამ ნაღვლანი შთაგრჩება ეფინა და ჩუმი ირონიით შეფერილი „მწარე" ღიმილი იცოდა. ძალზე შეუცნობელი და თავისებური გარეგნობა ჰქონდა... უჩვეულო პიროვნება იყო. მას კეთილშობილი სიამაყე და პირდაპირობა ახასიათებდა. ახალგაზრდობაში თურმე მეაბმოხე ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ხანდაზმულობაში ადრინდელი ენერგიობა არ ეტყობოდა, ადრინდელი თავგადასავლის მოყოლაც არ უყვარდა. იგი წარსულში გადაურჩა მრავალ ჭარიშხალს, მაგრამ შავთა დროთა ვერ გასტეხეს მისი მტკიცე და კაცთმოყვარე ბუნება. ჩვენი შეხვედრების უამს იგი არ იყო ისე ხნიერი, მაგრამ ცხოვრებაში ადრე მრავალი საწყენი და სამწუხარო შეხვედა, დაუძლურდა და ორმოციანი წლების დასაწყისში მოტყდა. ამ წლებშიც იშვიათად, მაგრამ მაინც ვრძელდებოდა ჩვენი შეხვედრები და ღამის თევა. იგი გაიხსენებდა ალექსანდრე პუშკინის ლექსის „19 ოქტომბრის" ერთი ნაწყვეტის პირველ სტრიქონს... იგონებდა უდროოდ დაღუპულ მეგობრებს და თბილისში ადრე გატარებულ საამო საღამოებს".

(როგორ შთამბეჭდავად იხატება ამ მოგონებაში ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი; მისი უშუალობაც, უბრალოებაც, რაინდული სულიც, კეთილშობილებაც! როგორი უშუალობით იხსნება მისი, როგორც პიროვნების, ხასიათი და როგორი თანმიმდევრობით ისახება მისი ცხოვრების გზის ნათელი ეპიზოდები თუ სევდიანი პერიპეტიები!);

კონსტანტინე გამსახურდია: „ილიას სიკვდილის შემდეგ ჩამომდგარ ლიტერატურულ კრიზისს, რომელსაც მოაყვა ქართულ პროზაში მოშვებული ჯდახნის სამწუხარო პრაქტიკა, ზღვარი დაუდო რამდენიმე მაღალინჟინერმა ოსტატმა ქართული სიტყვისამ. ამ ოსტატთა პირველ რიგებში უთუოდ იგულისხმება ნიკო ლორთქიფანიძე... ნიკო ლორთქიფანიძეს, გარდა ოსტატობისა, მუდამ ამშვენებდა თავისი კაიკაცობა და მამულიშვილობა".

(ასეა აქ აქცენტირებული ნ. ლორთქიფანიძის ძის როლი უახლესი ქართული პროზის მოდერნიზების, მისი ისტორიული განაპლების საქმეში!);

სანდრო ცირეკიძე: „ჩვენს მინიატიურისტებში ყველაზე უფრო პოპულარულია ჯჯუ ჯორჯიკია და ნიკო ლორთქიფანიძე. ჯორჯიკია დამთავრებულ სიუჟეტს გადმოგვცემს უბრალოდ, მოკლედ. სულ სხვაა ნიკო ლორთქიფანიძე. მას ერთი გარკვეული წერის მანერა აქვს რომანში და მინიატურაში. ლორთქიფანიძე იმპრესიონისტია და, როგორც ასეთი, ნამდვილი შვილია ელექტრონის და სიჩქარის. ლორთქიფანიძის მანერა ფრანგ მხატვარ ლოტრეკის მანერასა გავს. ის აიღებს რომელიმე ნაპერს მთელისას და ამოხატავს. მის მინიატიურებში ყოველთვის გრძნობთ, რომ ეს ეპიზოდია მთელის".

(ამგვარად არის აქ აღქმული შემოქმედის სწრაფვა მთლიანობისაკენ. ცხადია, ეს მთლიანობა თუმცა ეპიზოდებად დაყოფილი, დეტალებად განფენილი ხატია, მაგრამ მათი ხაზგასმული გამოყოფის ტენდენცია ობიექტურად ითვსებს გარკვეულ მთლიანობად მათს შემეცნებას. ეს არის ნიკო ლორთქიფანიძის სტილისა და მანერის დიალექტიკური მუხტი და იგი, უპირველესად, სწორედ ს. ცირეკიძეს უნდა დაენახა, ვინც თავისი აზროვნების სისტემით ახე ახლო იყო ნ. ლორთქიფანიძის ხილვითს მანერასთან!);

ბესო ღლინტი: „უყვევი სულიერი რაინდობით, უკომპრომისოდ და თავგამოდებით ემსახურებოდა ნიკო ლორთქიფანიძე თავის ნათელ მოკალაკეობრივ იდეალებსა და ესთეტიკურ მრწამსს. მისი შემოქმედებითი ცხოვრება და ადამიანური ბიოგრაფია იშვიათი მაგალითია მწერლის პასუხისმგებლობისა ხალხის წინაშე, მაღალი პროფესიული კულტურისა, შეუვალი მორალური ავტორიტეტისა, განუხრელად ერთგული საკუთარი მწერლური თვალსაზრისისა და პოზიციისა. იგი არასოდეს არ ირჩენდა მოუთმენლობას და შეურიგებლობას სხვაგვარად მოაზროვნეებისადმი, ყოველთვის შორს იდგა ყველაფერი პირადულისა, წვრილმანისა და ანგარებისმიერისაგან. პატივმოყვარეობისა და განდიდების იმ სენისაგან, რაც, სამწუხაროდ, იშვიათი მოვლენა როდია შემოქმედებითი ინტელიგენციის რიგებში. თავისი მაღალი სულიერი ღირსებებით იგი გამაკეთილშობილებელ გავლენას ახდენდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე..."

(ნიკო აქ წარმოდგენილია, როგორც: თავისი მოკალაკეობრივი იდეალებისა და ესთეტი-

---

ბიორგი მერკვილაძე
ადამიანი და პიროვნება

კური მრწამსის რაინდული მსაბური; გარკვეული პოზიციის მხატვარი; თავისი დროის მორალური ხატი; მომთმენი და დამთმობი ჰუმანისტი; განდიდებისა და პატივმოყვარეობის ანტიპოდი; საკუთარი მაღალი სულიერი ღირსებებით საზოგადოების გამაკეთილშობილებელი კაცი... აი მდიდარი სულიერი მომპრფოულების დიდ პრაქტიკად ქცეული მაღალი იდეალების, კაცობმოყვარეობის პრინციპთა ხორცშესხმის და მართალი ცხოვრების მთელი გამა, რომელიც აყალიბებს ნიკო ლორთიფანიძის პიროვნებას. მართალია, მისი პიროვნული ფენომენი არ ყოფილა (არც შეიძლებოდა ყოფილიყო) სწორხაზოვანი. მას, ბუნებრივად, ზოგიერთი ადამიანური სისუსტეც თან ახლდა, მაგრამ ისინი ყოველთვის იძლეოდა სულის სიკეთისა და მთლიანობის ძალით. ეს მთავარია! დ ეს მთლიანობა ემკვიდრებოდა ნიკოს პიროვნულ პრინციპს: სხვადასხვაგვარად აღექვა საზოგადოებრივი და პირადი. უპირველესი და მთავარი საზრუნავი მისთვის საზოგადოებრივი, ეროვნული საქმე იყო. აქ იგი საოცარ ენერგიას, მონდომებას ავლენდა, მოსცენება ეკარგებოდა, მთელ თავის სულიერ ძალისხმევას მოსაგვარებელ საქმეს ანმარდა — ამის უპირველესი დასტურია მისი სტატიების, ესეების, მინიატურების მძაფრი პოლემისტური ტონი. — პირადისათვის კი ეს „ეკეთილშობილი სიამაყის“ „დარდიმანდულად“ მომპრთული კაცი არც თუ ძალიან იწუხებდა თავს. შვილებს ახლაც კარგად ახსოვთ ერთი ამბავი. რევოლუციამდე ნიკოს სოხუმში ჩინებული აგარაკი ჰქონია. რევოლუციის შემდეგ კი აგარაკისადმი ინტერესი სრულებით განელებია; დიდხანს აღარც კი მიუკითხავს ხოლმე. ადგილობრივ ხელისუფალთან უფიქრიათ — აგარაკის პატრონი, ალბათ, ვინმე საზღვარგარეთ გადასვეწილი თავადი იქნებაო და მისთვის ნაციონალიზაცია უყვიათ. ნიკოს აღარც შემდეგ შეუწუხებია თავი აგარაკის ბედით და იგი დაეკარგა კიდეც. ასე დარდიმანდულად პირადისადმი იყო განწყობილი, თორემ როცა საქმე პირადულს, მის პირადულ ღირსებას შეხებია, სახიკვდილოდაც გაუწირავს ხოლმე თავი, დუელშიც გასულა!);

ბრიგოლ ფულუკიძე: „სიდარბაისლით, უაღრესი თავდაჭერილობით, რომელშიაც სიამაყე იგრძნობოდა, ფართო იდეურ-კულტურული მისწრაფებებით ადამიანური კეთილშობილებითა და ღრმა პრინციპულობით ნიკო გამოირჩეოდა ლეონებში მყოფ უველა სტუდენტთაგან ამით ჩვენს, უცხოეთში პირველად მყოფ ახალგაზრდათა თავმოყვარეობას ამაყად იცავდა... უცხოელებთან ნიკო იყო ჩვეულებრივ თავაზიანი, მაგრამ ამასთანავე იჩენდა თავდაჭერილობას და ოფიციალობას. არავის რაიმე უწესოებას არ შეარჩენდა“. (ამას მო, სდევს ნიკოს დუელის ამბავი: ერთ გერმანელ სტუდენტ-კორპორანტს კაფეში ნიკოსათვის სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია. ნიკო ველარ მოუთმენია და სილა გაუწნავს. ამას მოჰყოლია დუელში გაწვევა. ფარიკაობაშიც ნიკო ველარ გაუწევრთნელი ნიკო დუელში გასულა). „ჩვენთვის, — განაგრძობს გ. ფულუკიძე, — სრულიად ცხადი იყო, რომ ნიკო დუელში სატანად დამარცხდებოდა და ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ის დიდი მღელვარება, რომელიც უველა ჩვენგანმა იმ დღეებში გამოსცადა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ფთინ ნიკო, რომელსაც არავითარი მღელვარება არ ემჩნეოდა. მისი ასეთი სიმშვიდე ჩვენ პირდაპირ გვაოცებდა... ყოველივე ეს ამტკიცებდა მის დიდ სულიერ ვაჟკაცობას... დუელი არაჩვეულებრივად ხანგრძლივი იყო და გაგრძელდა ორნახევარ საათს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნიკო ისე მშვიდად იქნევდა ხმალს, თითქოს მის მოწინააღმდეგეს ხელში ხმლის ნაცვლად ჯოხი სჭეროდეს. ორივე მებრძოლმა საკმაოდ ბევრი ჭრილობა მიიღო, მაგრამ ნიკოს მოწინააღმდეგემ მეტი ვეღარ გასძლო, დუელის გაგრძელებაზე უარი თქვა და და თავი დამარცხებულად ცნო“.

სულიერად როგორ ძლიერი უნდა იყო კაცი, რომ გამოოცददელი, სახელდახელოდ მოგზადებული, ასე სიბედისწეროდ ხმლის წინ დადგე და თანაც გაიმარჯვო! ეს ხომ განსაკუთრებულ ნებისყოფაზე ლაპარაკობს, რომელიც ფანატიზმს უტოლდება! რა აძლევდა მას ამ ფანატიკურ რწმენასა და ძალას? პირადული ღირსების შეგნება, ამ ღირსებით გამოწვეული სულიერი სიამაყე, გულმართლობა და ტრადიციით მიღებული რაინდული შემართება. ჩვენ ხომ ვიცით ნიკოს მეორე დუელის ამბავიც, ოლია ზურაბიშვილმა რომ აღწერა თავის ჩინებულ მოგონებაში. ეს დუელი უკვე თბილისში შესდგა და ისიც — ნიკოს ახალგაზრდობის წლებში. ნიკომ აქაც ღირსეულად დაიცვა თავისი რაინდული ღირსება და ერთ რუს ოფიცერს, რომელსაც იგი მივარდნილ კოლონიაში წარმოედგინა და, ამით გათამამებულმა, საზოგადოებაში მისი დაცირება სცადა, ნიკომ ალიაყური აჯამა. დუელი გარდუვალი გამოდგა და ნიკოც ბარიერთან აღმოჩნდა ახლა უკვე დამბაჩის ლულის წინ. ი. ზურაბიშვილი მისი სეკუნდანტი იყო და დაწვრილებით გადმოგვცემს, როგორ მშვიდად მიუშვირა ნიკომ მკერდი ოფიცრის დამბაჩას. ამგვარი რაინდული შემართებით ნირწამხდარმა ოფიცერმა ნიკოს ორჯერ ააცდინა ტყვია, ხოლო თვითონ ნიკო, რაინდულ-ჯენტლმენური ეთიკის მიხედვით, ხომ ალარ გიმეტებდა ხელმოცარულ და ისედაც სულიერად განადგურებულ მოწინააღმდეგეს! ნიკო ლორთიფანიძის ეს ხასიათი ხაზგასმულია ბესარიონ ჯაიანის მოგონებაშიც: „იყო ფრიად ზრდილობიანი, თავაზიანი ადამიანი და, მასთან, თავმოყვარე. მისი მოქცევა მუდამ უმალლესი ზრდილობისა და თავაზიანობის გამომხატველი იყო,

ხოლო თუ ვინმე ზრდილობისა და ეთიკიდან მცირედ რამ გადახვევას ჩაიდენდა, მას არ აპატიებდა. ეს თვისება მას მუდამ ემჩნეოდა და მასთან სულ მორიდებით იყენენ". სწორედ ასეთ ადამიანს უნდა დაეწერა „რაინდები" და „ქედუბრელნი", სწორედ მას უნდა ეთქვა ქართული რაინდული სულის გალობას!;

ბეიმრგი ჯიბლაძე: „სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, პოეტ სიმონ ჩიქოვანთან ერთად, მე ის ვნახე სამკურნალო კომბინატში. ძმიმე ავადმყოფი იყო. თეთრ ზეწარში გახვეული, საწოლზე წამომჯდარი, გვიღიმოდა! ის ჩემს ხსოვნაში დარჩა, როგორც ლადო გუდიაშვილის განუმეორებელი ფრესკის ღიმილი".

(აქ ჩვენს წინაშეა ხატი წმინდანისა, ვინც ცმაუოფილი ღიმილით ეთხოვება სიცოცხლეს, რადგან თავის ერისა და ქვეყნისათვის განცდილი წამება მის მიერ გაცნობიერებულია, როგორც სულის უმაღლესი ზეიმი. ღიმილიც და თეთრი ზეწარი-სუდარაც უფრო რელიეფურს ხდის ჯვარცმულის ფრესკას!);

დიმიტრი ბენაშვილი: „ნიკო ლორთქიფანიძე... ხან ისტორიის ფოლიანტებში ეძებდა თავისი სულის საზრდოს, ხან მუნჯ ქრონიკებში ცდილობდა სახეთა თავისთავადობის ამოკითხვას, ხან მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში იმერეთის აზნაურთა დაქცეულ ცხოვრებას აკვირდებოდა, ხან კი, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე — მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში ნახულობდა თავისი მწერლური მიზნის პრაქტიკულ განხორციელებას. იგი მრავალმხრივი ადამიანი იყო და მოვლენათა გაგების დროს არასოდეს არ შეუზღუდავს თავი ვიწრო პარტიულარული თვალსაზრისით. ამ მხრივ ნიკო ლორთქიფანიძე ნამდვილი ნაციონალური მწერალია, რომელიც ღრმა განზოგადებას აღწევს სახეთა განსხვავებასა და მათი მხატვრული დასრულების დროს. ნიკო ლორთქიფანიძეს ესთეტიკური მსოფლმხედველობას განსაზღვრავდა დრო, რომელშიც ის ცხოვრობდა. ორი ეპოქის მიჯნაზე ყალიბდებოდა იგი, როგორც პიროვნება და შემოქმედი..."

(აქ ხაზი ესმის პიროვნების ეროვნულ მთლიანობას, ურომლისოდაც ვერ მოხერხდება ისეთი მრავალმხრივი, ყოვლად რთული ფსიქიკის ამოხსნა, ქართველთა ტომები რომ შეუმოშავდათ მრავალი საუკუნის მანძილზე; ვერ მოხერხდება შორეული წარსულის, გუშინდელი სინამდვილის თუ დღევანდელი ჭეშმარიტების ობიექტური ათვისება და დიდ ხატოვან სიმართლედ განზოგადება. ეს მით უფრო საძნელია, როცა შემოქმედი ხალხის მთელ ცხოვრებას ისტორიის ხასნერზე დებს და მიუკერძოებელი მემატიანისა თუ მსაჯულის ძმიმე ამოცანას თვითონვე კისრულობს. ან შემთხვევაში მას ერთი დროის, ერთი ეპოქის სინთეზილე კარ ეუოფა მიუდგომელ, ობიექტურ დასკვნათა გამოსატანად. ამიტომ წვდება ნიკო ლორთქიფანიძის გონი დავითის ეპოქის შუასაუუუნოებრივი ეროვნული აღორძინების პროცესს თუ გვიანფეოდალური საქართველოს მკაცრ ისტორიულ სინამდვილეს; გასული საუკუნის მიწურულის უღმობელ წოდებრივ კრახს თუ უმწიფწყლო გლეხიკაცის ტრაგედიას; ეროვნული რაინდული სულის თავისებურებას თუ აქტიურ სოციალურ ძალად ხალხის ტრანსფორმირების პათოსს!);

სერგი ჟილაია: „ნიკო ქარიშხლიანი საქართველოს ღვიძლი შვილია. მას აწუხებს და ავიჟრებს მამოული ბედი, ერის ისტორიული, სოციალური და ეროვნული ხვედრი".

(რა გამოძახილს იღებს ეპოქის ხასიათი და რა კონკრეტული სახით გადატყდება ხოლმე იგი მწერლურ მსოფლშეგრძნებასა და პრაქტიკაში, ამაზეა აქ ყურადღება გამახვილებული. ნიკო ლორთქიფანიძე ის მხატვარია, რომლის შემოქმედებითი პრაქტიკაც ალბათ, თავისი ორიგინალურობით ფრიად ნიშნეულია ამ თვალსაზრისით!)

ბევრი მოგონებითა თუ მწერლის არქივში დაცული საინტერესო დოკუმენტებით იხატება ნიკო-შემოქმედი, ნიკო-ადამიანი, ნიკო-მოქალაქე, ნიკო-მოღვაწე მისი უშუალო შინაგანი ბუნებით, პატრიოტულ-რაინდული შემართებით თუ იუმორარაკეი განწყობილებებით. აქ სხვადასხვა ხასიათის ოთხიოდე დამახასიათებელ ფაქტზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

პირველი. საკუთარ ბიოგრაფიაში ნიკო წერს მის შემოქმედებითს წვაზე, მოუსვენრობაზე, იმაზე თუ როგორ აფორიაქებენ მის სულს სახეები, იდეები, სურათები, რომელთაც რეალისტმა კუთვნილი ადგილი უნდა მისცეს, კონკრეტულ საშუალოში დაასახლოს, გარკვეულ ხატად წარმოქმნას: „...ხუთმეტი წლიდან თავში ჩაისახა ათასი სურათი, სიტყვა, და ისინი ტტუნავენ, დარბიან, სრიალებენ, როგორც გრიგა გველებისა, რომელნიც ხვეოოს ათამაშებენ... ებრძვიან ერთმანეთს ძუ ლომებივით... ერთმანეთს დასჯამეს კუდები... ისინი საშინელ ტკივილს მაგრძნობინებენ მარტო თავში კი არა, მთელ სხეულში... დამასუსტეს და მინდა მათგან განთავისუფლება. რამდენი მათგანი ფერმკრთალ აჩრდილსდა წარმოადგენს ყოფილი სიცოცხლით სავსე არსებისა. და თითქოს ეჩქარებათ, დაუბადებლად არ მოკვდნენ საშვილოში — თავში... მეც ვუჩქარი სადმე დავასახლო, ოღონდ დავასახლო, თუნდაც ხროკ უნაყოფო მიწაზე ეზო მოვუნახო... მერე თვითონ იშრომონ და ეზი ბაიკაფონ".

მეორე: ბესო ულენტისათვის უთქვამს: „არ შეიძლება მწერალმა იცრუოს, როცა რამეს წერს... რაცა მწერალი ცრუობს, ყველაფერი ყალბი გამოუდის. ამიტომაა ახლანდელი პროზა ასე უბადრუკი... არიან ისეთი მწერლები, ბევრს რომ ლაპარაკობენ პატრიოტიზმზე, ქვეყნისა

და ერის სიყვარულზე. სიცოცხლე! ასეთი ადამიანები პირადი კეთილდღეობისათვის ყველაფერს გაჰყიდიან, ყველაფერს იკადრებენ და „ეი კადრულობენ კიდეც". და ასეთ მწერლებს ნიკო ლორთქიფანიძე უპირისპირებს ბორის პასტერნაკს, როგორც მაგალითს!

მესამე: როგორც 1980-იანი წლების დასაწყისში, ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების ასი წლისთავის საიუბილეო დღეებში, გაჰდა ცნობილი, მწერლის არქივში დაცულია საქართველოს უახლესი ისტორიის ფრიად საინტერესო, უნიკალური დოკუმენტი. ეს არის, როგორც გაზ. „კომუნისტი" იუწყებოდა, „1921 წლის თებერვლის ნაზნინდან მეწმენეკური მთავრობის მიერ უცხოეთში წაღებული ოქროსა და ვერცხლის ზოდების, ვალუტისა და განძეულობის მიღება-ჩაბარების აქტის ორიგინალი, რომელსაც, სხვებთან ერთად, ხელს აწერს თვითონ ექვთიმე თაყაიშვილი". გაზეთში დაბეჭდილ მერაბ ლორთქიფანიძის ამ ცნობას შემდგომ ფართო კომენტარი გაუკეთა ისტორიკოსმა გ. ყორდანიამ, რომლის დასკვნითაც, უცხოეთში გატანილი საგალუტო ქონების სია აქამდე, საერთოდ, უცნობი იყო.

რას გვეუბნება ეს სია?

გატანილ იქნა თბილისის მუზეუმებისა და ეროვნული გალერეის ქონებით სავსე 13 დიდი ყუთი და კალათი; 37 ყუთში ჩალაგებული თბილისისა და ზუგდიდის სასახლეების თუ ყოფილი პოლკების ქონება; თბილისის ეკლესიების, გელათის, მარტვილისა და ხობის მონასტრების სიმდიდრე — 26 ყუთი; ბორჯომისა და ლიკანის სასახლეთა ძვირფასეულობა — 61 ყუთი; რამდენიმე ათეულ დიდ ყუთში ჩალაგებული მთავრობის ე. წ. საგალუტო ქონება...

ყოველივე ეს იმდენად დიდ სიმდიდრეს შეადგენდა, რომ, გ. ყორდანიას ცნობით, მალე მარსელში მეწმენეკელის მიერ გაყიდულმა 128 ყუთში მოთავსებულმა ქონებამ (აქ არ შედიოდა ე. თაყაიშვილის მიერ დაცული განძი) მათ ვალუტით ერი ი მილიონ ორასი ათასი მანეთი მისცა.

ვარაუდობენ, რომ აღნიშნული დოკუმენტი ნიკოს გადასცა მისმა ძმამ, ცნობილმა ფინანსისტმა და ქართველმა მოღვაწემ იასონმა. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია. მაგრამ მთავარი მაინც ამ უნიკალური დოკუმენტის დაცვა და შენახვაა, რომელსაც ჩვენს დღეებში ნათელი უნდა მოეფინა საქართველოს ბედუკუღმართი ისტორიის აქამდე საიდუმლოებით მოცული კიდევ ერთი მომენტისათვის.

საერთოდ, ნ. ლორთქიფანიძის არქივი იმდენ საინტერესო მასალას შეიცავს, რომ მისი მეშვეობით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ საქართველოს ისტორიის, ქართული მწერლობის, კულტურის, თეატრის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის, ეროვნული ცხოვრების მთელ რიგ საკვანძო მომენტებსა და პრობლემებზე. მარტო რაღაც მიზნით რუსულად დაწერილი „ერეკლე მეფის ისტორია", კავკასიის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის მთელი სახამართლო პროცესის დოკუმენტები, ქართული გვარების გენიალოგიის მასალები, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა პირადი წერილები თუ ნიკოს მიერ ჩაწერილი ფოლკლორული მასალები რად ღირს! ისინი ხომ კვლავ ერთხელ გვიდასტურებენ თუ რა ფართო იყო ნიკო ლორთქიფანიძის ოჯახის საზოგადოებრივი ინტერესები!

და მეოთხეც: მერაბ ლორთქიფანიძის მოგონებით, ზამთრის ერთ სუსხიან საღამოს, მეგობარ ქართველ მწერლებს — ალექსანდრე ჭუთათელსა და მიქელ პატარიძეს — ნიკო სახლამდე მიუცილებიათ. ნიკოს ისინი შინ შეუპატიჟუნია და გამასპინძლებია. საკმაოდ შეზარხოშებულთ ნიკო თავისი წიგნებითაც „გამასპინძლებია", მაგრამ ისინი ძალიან მოკლე სამახსოვრო წარწერებით მიურთმევია. მიქელი გაბრაზებულებულა, ორსიტყვიანი წარწერა თქვენისთანა მწერალს არ შეეფერება, უფრო გრძელი წარწერები გაგვიკეთეთო. ნიკოს უხუმრია, ჩემისთანა მწერალს სწორედ რომ ასეთი მოკლე წარწერების გაკეთება შეეფერება, გრძელი წარწერები სხვას მოსთხოვეთო. მიქელი მაინც არ მოეშვა თურმე. ნიკოს წიგნი გამოუტრიმეკია და მასზე წაუწერია: „ადამიანს, რომელმაც დღეს დაგვიმტკიცა შესანიშნავი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე (ნიკო ამ ქუჩაზე ცხოვრობდა!), რომ ის უბრწყინვალესი, უდიდესი, უშესანიშნავესი და შეუდარებელი მთასვლელია საქართველოში (როცა ნიკოს შინ მიაცილებდნენ, მიქელი, როგორც ალპინისტი, სხვებს ასწავლიდა, როგორ ევლოთ, რომ მოლიბულ ქვაფენილზე არ დაცემულიყვნენ; ალმართი სხვებმა მშვიდობით აიარეს, ხოლო თვითონ მიქელი ნიფოთს ვერ გადაურჩა და დაეცა!). იმისთვის, რომ ის ჭავჭავაძის ქუჩაზე ჩასვლისას კიდევ ერთხელ არ დაეცეს მოყვნილულ ქვაფენილზე და ეს გრძელწარწერიანი წიგნიც არ დაჰკარგოს (დაცემისას მიქელს რომელიღაც წიგნი დაჰკარგვოდა!), მას მეგზურად ვატან ჩემს უფროს ვაჟს ნოდარს, რომელიც ალბათ მომავალში მასავით სახელმოხვეჭილი მთასვლელი გახდება. მაგრამ იმედი მაქვს გრძელწარწერებიან წიგნებს არ სთხოვს თავის მეგობარ მწერლებს".

რა მეგობრული სიმბოთი და უშუალობით არის გაჯერებული ეს სტრიქონები და როგორი შეფარული იუმორით არის გამეღლვნებული მწერლის უარყოფითი დამოკიდებულება ყოველგვარი „გრძლად წერისადმი", მისი ის პრინციპი, რომ ლაკონიზმი მოკლედ თქმაა და ყოველგვარი სურვილი თუ პატივისცემის დასტური მით უფრო ფასეულია, რაც მოკლედაა გამოთქმული!

ზემოთ დამოწმებული შეფასებები თუ მოგონებანი ნათლად გვიჩვენებენ თუ რამდენად მრავლისმომცველია ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული დრო და მხატვრული სივრცე. ეს უმთავრი ხასიათითა და სულით დახასიათებული მთელი სამყაროა, რომლისათვისაც უცნო არ ყოფილია მსოფლიოს ხალხთა ისტორიისათვის საერთოდ ცნობილი თითქმის არცერთი ადზევება თუ კატაკლიზმი, ზღვარგადმოსული ალმაფრენა თუ უსასტიკესი გამოცდა. ძირითადად, ამ ძნელბედობაში გამოტარებული ხალხის სული ეხახებოდა ნიკო ლორქიფანიძეს დიდ მომავალს დამიზნებულ ჭეშმარიტ ეროვნულ ძალად. და თუ ბევრჯერ მწარე სიტყვაც დასცდენია, ისიც ამ სულის საბოლოო ზეიმის რწმენით იყო გამსჭვალული.

ნიკო ლორთქიფანიძის ოჯახშივე დაცულია მისი ვაჟის მერაბის მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებული ჩანაწერები, რომლებიც კიდევ უფრო საინტერესოდ წარმოგვიდგენენ მამის პიროვნულ ხასიათს, ჩვევებს, ინტერესებს; მის შეხედულებებს შემოქმედებთის პროცესზე, ლიტერატურაზე, ცალკეულ მწერლებზე. ამ ჩანაწერებს მერაბ ლორთქიფანიძე სიყმაწვილის წლებიდან აკეთებდა და ბევრი ფრიად საინტერესო ფაქტი შემოუნახავს ისტორიას. აი, ზოგიერთი მათგანიც:

როგორც მამას გვიან სმენია, დაბადებისას ჩვილი ნიკოსათვის ძიძას ხელში თუმნიანი ჩაუდვეს. ჩვილს თითები გაუშლია და თუმნიანი ხელიდან გავარდნია. შემდეგ იმავე მუჭში სპილენძის შაურიანი მიუჭერებიათ, რომელიც მაგრად დაუჭერია. უფრანსწარმეტყველნიათ — ხელგაშლილი იქნებაო. აგიხდათ ყოველივე კარგი, ნიკო მართლაც საოცრად ხელგაშლილი კაცი გამოდგა!

ჩემი გმირები მიყვარსო, — განუცხადებია ერთხელ. — მე მათ ვიცნობდი, მათი ცხოვრებით ვცხოვრობდი. რა მწერალია ის მწერალი, ვისაც თავისი გმირები არ უყვარს. როცა რაიმეს ვკითხულობ, ვატკივ, უყვარს თუ არა მწერალს თავისი გმირები. საქართველოში (საუკუნეების მიჯნა ჰქონდა მხედველობაში!), ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ალექსანდრე ყაზბეგს უყვარდაო თავისი გმირები.

მთარგმნელ ელენე ღოღობერიძისათვის განუმარტავს: ჩემს იუმორში, ასე ვფიქრობ, სევდა მეტია, ვიდრე მხიარულება. ამას შეგნებულად ვეუწრაფვოდიო.

ერთხელ, ჩაფიქრებულს წარმოუთქვამს: ადამიანი მაშინ კვდება, როცა ოცნებას ანებებს თავს. გოეთე სიცოცხლის უკანასკელ დღეებამდე ოცნებობდაო.

თავისი სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს, საავადმყოფოში მწოლარეს, ბეხო ეღენტი წვევია. ახლა თუ კითხულობთ რამესო, უკითხავს ბეხოს. უპასუხნია: სერიოზულის წაკითხვა მიჭირს, სხვა რამეს კი, რაც ახლა იბეჭდება, ვკითხულობ, მაგრამ რად გინდა... მე მგონია, ქართულ პროზაში გრაფომანები და ჯაკუის დამრიგებელი მწერლები მომრავლდნენ. ეს ხაშიშია, სიკვდილს უკვდის ლიტერატურას, რომელსაც სიტყვაკაზმული მწერლობა ეწოდებოდა ერთ დროს... გრაფომანები წინათაც იყვნენ, მაგრამ ისინი შეუშჩეკვად ჭრებოდნენ. ახლა კი ისინი, ერთმანეთის დახმარებით და უგემოვნო თანამდებობის პირთა ხელშეწყობით, თვალსაჩინო ფიგურები ხდებიანო...

ბუმდა ძალიან ცოტას, მაგრამ, რასაც მიირთმევდა, გემრიელი უნდა ყოფილიყო. საუზმე შედარებით მსუბუქი — ორიოდე კვერცხი და ჭიქა ჩაი; სადილი (6 საათზე) და ვახშამი (10_11 საათზე) — უფრო ყუათიანი, მაგრამ ზომიერი: სამი თავი კერძი და ხილი აუცილებლად უნდა მოეტანათ სუფრაზე. უფრო ხშირად — ხორცეული. ზეთიულს თითქმის არ ხმარობდნენ. მთელი ოჯახი ერთად სადილობდა.

გამომცემლობებთან, რედაქციებთან ურთიერთობისას ღირსეულად ეპირა თავი. არასოდეს მოუთხოვია რაიმე გამოსაკლისი ან შეღავათი. საკუთარი ნაწარმოებების გამოცემაზე განცხადებაც კი არასოდეს დაუწერია; ეს თავის დამცირებად მიაჩნდა, მაგრამ საავტორო უფლებების შელახვასაც ავრე ადვილად ვერ შეურიგდებოდა, თუმცა ამის გამო უკმაყოფილება საჯაროდ არასოდეს გამოუთქვამს.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე რაიმე პირადი ხათხოვარით არავინ შეუწუხებია. ესეც საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნდა. „ესა და ეს საქმე მე გავაკეთეო", — არასოდეს წამოხცდენია; მით უფრო ეზიზღებოდა მოტრაბახენი.

მეტად ფაქიზი კაცი იყოო, ამბობენ და ერთი ასეთი, ანეგდოტის მსგავს, შემოხვევას იგონებენ: ოცდაათიან წლებში ქართველ მწერალთა ჯგუფი აჭარის მეხაზღვრეებს სწვევია. იქვე მთის მდინარე მოედინებოდა და თუმრე კალმახით იყო სავსე. თევზის დაჭერა გადაწყვიტეს, მაგრამ ბადეს ასე სახელდახელოდ სად იშოვიდენ. ერთმა მწერალმა რაღაც იაზრა, ბუჩქნარს მიაშურა და სულ მალე იქიდან გახდილი ქვედა საცვალი გამოიტანა, ორივე ტოტი გადაუნასკვა და ჩქერალს ფაცერივით მიუშვირა. ამ „წესით" საკმაო რაოდენობის თევზი დაუჭერიათ, იქვე მოუხარშავთ და მადიანად შექცევიან კიდეც. მხოლოდ ნიკო არ გაჰკარებია თევზს. როცა მეგობრებს მერაბდენედ უკითხავთ, რატომ თევზს არ მიირთმევთო, ნიკოს ღიმილით უპასუხნია: „...—იმ ნიფხვით დაჭერილ თევზს პირს სწორედ რომ ვერ დავაკარებო!"

თურმე სიყმაწვილიდანვე ავლენდა რაღაც განსაკუთრებულ ინტერესს ქართული ზღაპრების, ლეგენდების, იგავ-არაკების მიმართ; ბევრი ასეთი ჩანაწერი ახლაც ინახება მის არქივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში (შემდგომ ზოგიერთ ნაწარმოებში გამოიყენა კიდეც ისინი!). 1888 წლის იანვარში, რვა წლის ნიკო წერს პეტერბურგში მყოფ უფროს ძმას იასონს: „რუსულის სწავლა დავიწყე... იასონ, შენ რომ ზღაპარი გინდოდა, რამდენიმე შევკრიბე...“ თავის მხრივ, იასონი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა უმცროს ძმას; უსწორებს რუსულად დაწერილ წერილში დაშვებულ შეცდომებს, უგზავნის საინტერესო წიგნებს, აძლევს რჩევა-დარიგებას...

როგორც ჩანაწერიდან ჩანს, ილია ჭყონიას ძალზე შეჰყვარებია მისი და ანეტა. მაგრამ ქალის მშობლები, რაღაც მიზეზის გამო, მათი შეუღლების წინააღმდეგნი ყოფილან. მერაბს მკაცრი ზომებისათვისაც კი მიუმართავს, მაგრამ ილიას მაინც „მოუტაცნია“ ანეტა. ცნობილია, რომ ანეტა თავის დროზე ძალზე მოსწონდა და უყვარდა ნიკო მარს, მაგრამ მისი მაჯნურობა მარცხით დამთავრდა და ამან ღრმა კვალი დასტოვა შემდგომში გამოჩენილი მეცნიერის გულში. ცნობილია ისიც, რომ ანეტა მარჯორი უორდროპის ერთერთი უახლოესი მეგობარი იყო. ამ მეგობრობის ნიშნად, მარჯორის ანეტასა და ილია ჭყონიასათვის მის მიერ ინგლისურად თარგმნილი და ლონდონში 1895 წელს გამოცემული ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ უწერია გულითადი წარწერით.

1920 წლით არის დათარიღებული ნიკოს ერთი მინიატურა-ჩანაწერი. არ ვიცი, რამდენად ბოგოროფიულია იგი (არის ახალი მოსაზრებაც!), მაგრამ ეს კი ცხადია: იგი ალიქმება ნათელი მხატვრული ხელვის აპოლოგიად და გულში ორი მოკიშპე გრძნობის, თუ სიკეთისა და სიბოროტის თავისებურ გაცხადებად, აი ისიც:

„ერთმა უბრალო შემთხვევამ სრულიად დამცა სულიერად.

დიდი ხანია მტკიოდა თვალები. უკანასკნელად ექიმმა ლურჯი სათვალეები გამომიწერა.

იქნებ არავინ დამიჯეროს, იქნება სამკურნალო მეცნიერების წინააღმდეგ იყოს ჩემი დაკვირვება. მაგრამ, ჭეშმარიტად, რა წამსაც თვალები დაჰფარა ლურჯმა შუშამ, დადუნდა მთელი ჩემი არსება, დაიკარგა ფერადობა არა თუ ხილული ქვეყნისა, არამედ სულიერი და ზნეობრივი სხვადასხვაობაც დამეკარგა...

ბოროტსა და კეთილს, მაღალსა და მდაბალს ერთგვარი ინდიფერენტიზმით ხვდებოდა ჩემი ბუნება. და დავდინჯდი მიხრა-მოხრით, დავზანტდი აზროვნებით, დავდუმდი ენით, გაწყდა კარგ შთაბეჭდილებათა სიმღერა...

გავტლანჭდი. გავუხეშდი... ცოდნა უგრძნობლად და გრძნობა უცოდნოდ არ თავსდება ჩემს სხეულში. მე მგონია, ყოველი ხელოვნის ხვედრია ეს: ალგებრულ ფორმულას — რომელსაც ჩვენ ყოველთვის გარს ვაბვევთ სისხლსა და ძარღვებს....

დადუმდა ბაგე.
ამოშრენ თვალნი.
დაიხშნა სმენა.
და ტვინს პურუსად დაედო ტყვია...

მაგრამ გველები გამოძვრებიან, ბედის დარაჯად რომ ვინაბავდით. ააშზამებენ ბროწეულს, ადამს...

ერიდეთ იმათ!

არის თქმულება, ქართული, ძველი. შემოდგომაზე (ნამრიალობევს) მიძვრება გველი მიწაში. მთელი ზამთარი იქ განისვენებს. თავს უზის მწყერი.

გაზაფხულზე თუ გველმა მოასწრო გამოფიზლება, თავს წასჭამს მწყერს; და გაივსება შხამით ქვეყანა.

თუ მწყერმა ადრე გამოიღვიძა — ღუღუნს მოაფენს სამყაროს. გველი უჩინარი ხდება.

ჩემს გულში ორივე არის; მწყერს არც კი სძინავს. მაგრამ მეშინია გველი დამიბრიჩობს“.

ნიკოსადმი პატივისცემა და სიყვარული რომ საყოველთაო იყო, ამას კიდევ ერთი ფაქტიც ადასტურებს: მისმა დიდი ხნის მეგობარმა, კათალიკოსმა კალისტრატემ, ნიკოს გარდაცვალებისთანავე საპატრიარქო ტაძარში — სიოწში დიდი პარაკლისი გადაუხადა და მისი ფასდაუდები დამსახურება საეკლესიური ქადაგებით გააცხადა: მთელი ერის ღირსული შვილი და მისი საარსებო ინტერესების რაინდული ქომაგი იყოო; ქართულ ეკლესიას დიდად პატივს სცემდაო; ქრისტიანობის მისიას ბევრ თავის თხზულებაში (გაიხსენეს — „...და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში“, „ლოცვა“, „რეკა“, „ქრისტე“, „კელაპტარი“...) საპატიო ადგილი მისცეო; დიდ „ბიბლიას“, საღვთო წიგნებს ზედმიწევნით იცნობდაო (მართლაც, ოჯახში აქამდე შენახულია ნიკოს მიერ ზედმიწევნით „შტუდირებული“ ბიბლიის ეგზემპლარი!); ისიც მოიგონა, გაბრიელ ეპისკოპოსი მერაბ ლორთქიფანიძის ოჯახის განსაკუთრებით პატივისმცემელი და ხშირი სტუმარი იყოო. (სხვათა შორის, ნიკოს თავისი „ეპისკოპოზი ნადირობაზე“ გამოქვეყნებამდე კალისტრატესათვის უჩვენებია, და ისიც უთქვამს, ნოველაში „გეთამაშებული“ ამბავი გაბრიელს შეემთხვა, როცა მამასთან სტუმრად იყოო. კალისტრატეს ნოველა მოსწონებია და მისი დაბეჭდვის დასტურიც სიამოვნებით მიუცია!).

შეიძლება ითქვას, ნიკო ლორთქიფანიძე საკუთარი სისხლით წერდა სამშობლოს ძველსა თუ ახალ მხატვრულ ისტორიას — ქართული სულის ამბავს. ამ შემოქმედებითს წვაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეგნულად დარდიმანდი კაცის შთაბეჭდილება, რასაც მისი ჰუმანურ-რაინდული მომართულობა ახდენდა, რასაკვირველია, უფრო მოჩვენებითი იყო.

ოღონდაც! არ შეიძლება „თავსაფრიანი დედაკაცისა“ და „უგმირო ტრაგედიის“, „ჟამთა სიავისა“ და „იუდგება საქართველოს“ ან კიდევ — „კერიასათვის“ და „დანგრეული ბუდეების“ „ცივი გონებით“ წერა; მათს ტრაგიზმს სულით ხორცამდე უნდა შეეძლო, უპირველესად, მათი შემოქმედი. სხვაგვარად იგი ვერ იქნებოდა ეროვნული პიროვნება, საერთოდ — ადამიანი!

ასე თანდათან ხარჯავდა იგი ჯანსა და სულს, სანამ დიდი ტკივილების უშუალო განცდა უკურნებელ ხორვებად არ შემოენთო და ნახევარი საუკუნის მანძილზე ნატარები ტვირთის სიმძიმემ ერთბაშად არ წააკვლა. ეს ჩვენი საუკუნის უდიდესი სისხლისღვრის კვირაძალში მოხდა, 1944 წელს.

გავა ცოტა დროც და პოეტი იტყვის:

ჭავჭავაძის ალმართს როცა ავყვები,
ეროვანტელს კვლავ იგრძნობს მკერდი.
აქ ახლაც გეხვდებიან გვიანი მგზავრები,
მათ შორის არა ჩანს ერთი.

ის ღამით მხვდებოდა და ძალზე ვწუხვარ,
ვერ ვხედავ ფიქრიან სახეს,
მე მახსოვს პირველად მაღალი მუხა,
სწორედ ამ ალმართზე ვნახე!
მეოცნების იერი ჰქონდა
და ოდნავ მოხრილი მხრები.
„დიდ ნიკოს“ ვეძახდით მელექსე ყრმები
შემოქმედს გარდასულ დროთა.

ნიკოსშემდგომი თაობის წარმომადგენელმა, თაობისა, ვისაც სწორედ რომ უდიდესი მადლობის სიტყვა უნდა ეთქვა თავისი წინაპრისათვის — პოეტმა რევაზ მარგიანმა — ვფიქრობ, უშუალოდ და შთამბეჭდავად გამოხატა ნიკოლოზოფანიძის წასვლით გამოწვეული, საკუთარ მძაფრ განცდებზე ამოზრდილი ეროვნული სულის სევდა, როცა მისი ეს თავისებური ეპიტაფია შექმნა.

რევაზ სირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვიცი რაჯსათვის ვარ“

(„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ კულტურულ-ისტორიული შინაარსი)

„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ზოგადი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ასეა განსაზღვრული: იოანე ზედაზნელი ე. წ. „ასურელ მამათა“ ხელმძღვანელი იყო. ამ მოღვაწეთა ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოში (ქართლსა და კახეთში) სამონასტრო სისტემათა დამკვიდრება. „და ჯერ-ჯერობით კვლევა-ძიებაც ტექსტოლოგიურ საკითხებთან ერთად სწორედ ამ გზითაა წარმართული (კ. კეკელიძე, ი. ჯავახიშვილი, გ. ფერაძე, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე, ლ. მენაბდე, მ. ქავთარია).

ადრიდანვე „ასურელ მამათა“ ღვაწლი მოციქულებრივ მისიას გაუთანაბრეს. „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ერთ-ერთ გვიანდელ რედაქციაში იოანე მოძღვრავს მოწაფეებს, რათა განამტკიცონ ქრისტიანობა „მსგავსად წმიდათა მოციქულთა“ (ილ. აბულაძის გამოც. გვ. 29,გ.). „შოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ ნათქვამია: „მოიწია იოანესსა ბრძანებაჲ ზეგარდამო, რათა გამოირჩინეს ათორმეტნი მოწაფეთაგან თვისთა ძლიერნი სიტყვითა და საქმითა და წარვიდეს ქუეყანად ქართველთა და განამტკიცნეს ერნი სარწმუნოებასა ; ზედ“. გვ. 78, გ). იმავე თხზულებაში იოანე ზედაზნელზე ნათქვამია: „განანათლოსო ყოველი ესე ქუეყანაჲ, ვითარცა პირველ ნინოო“ (გვ. 81). აქედან ჩანს, რომ იოანე ნინოს მისიის გამგრძელებელია.

ცნობილია, რომ თვით რიცხვი მამათა რაოდენობისა — 13 ტრადიციამ დაამკვიდრა. ცნობილია, რომ ესეც სიმბოლურია (ქრისტე და მისი 12 მოწაფე, თუმცა მამანი 17 მაინც იყვნენ). ისიც აშკარაა, რომ მათ ერთი საერთო მიზანი ჰქონდათ, ისისდა მიუხედავად, ისინი ცალკეულ ჯგუფებად მოვიდნენ თუ ერთად. მათი მიზნების ერთიანობა კი იმდროინდელი საქართველოს სულიერ ცხოვრებას უნდა განესაზღვრა.

„მარტირიკაში“ ანტონი წერს, რომ იოანე ზედაზნელს ღვთისმშობელი ავალებდა საქართველოში წასულიყო 12 მოციქულითურთ „განმნათლებლად ქართველთა ნათლითა ჭეშმარიტებისათჳს“ (ე. გაბიძაშვილისა და მ. ქავთარიას გამოც., გვ. 107). თუ გავითვალისწინებთ ანტონის მაქსიმალურ ორთოდოქსალობას, მისი შეფასება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. რას უნდა ემყარებოდეს ამგვარი შეფასებანი? ეს საკითხი სავანგგებო განხილვას ითხოვს. ქვემოთ შევეცდებით მხოლოდ ზოგიერთი რამ განვმარტოთ. ამთავითვე კი აღვნიშნავთ: ჩანს, ადრიდანვე გააზრებული ჰქონდათ ქართლის ქრისტიანიზების რამდენიმე ეტაპი; პირველი იყო ანდრია მოციქულის ქადაგება. ეს უნდა იგულისხმებოდეს იოანე საბანისძის სიტყვებშიც, რომ 500 წელზე მეტია ქართველები ქრისტიანობას იცნობენო. მეორე და უმთავრესი ეტაპია წმინდა ნინოს ქადაგებით ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ხოლო მესამე ეტაპია „ასურელ მამათა“ მოღვაწეობა, მათ მიერ ქართველთა განათლება „ჭეშმარიტებისა ნათლითა“, რაც დიოფიზიტობის გაძლიერებას უნდა გულისხმობდეს და არა მხოლოდ ზოგადად ქრისტიანობის ქადაგებას. მეოთხე და საბოლოო ეტაპად უნდა ჩათვლილიყო კირიონ ქართლის კათალიკოსის მოღვაწეობა, რომელმაც საბოლოოდ დაამკვიდრა ქართული დიოფიზიტური ორთოდოქსია (ზ. ალექსიძე).

ბაძვა-ზიარების მეტად გავრცელებული პრინციპის კვალობაზე სიმბოლურად არარეთი მოღვაწე წარმოუსახავთ ხოლმე მოციქულობრივი მისიით, მაგრამ „ასურელ მამათა“ დარად — იშვიათად.

თავისებურად საყურადღებოა მეცხრამეტე საუკუნის ტრადიციული თვალსაზრისი, რომ „ასურელი“ მამებიც, წმინდა ნინოც, წმინდა გიორგიც და გამოჩენილი საეკლესო მოღვაწენი, ბასილ დიდი და გრიგოლ ღვთისმეტყველი ქართველთა მონათლაცე ერიდან, კაბადოკიიდან იყვნენო (ი. გოგებაშვილი). მაშინ ამისი მეცნიერული მტკიცება არ უცდიათ. მეცნიერული მტკიცებით, „ათცამეტი“ მამანი ქართველები იყვნენ (კ. კეკელიძე). სირიაში მათი წასვლაც ადვილად ასახსნელია. გელათის აკადემიამდე ადრეულ პერიოდში თვით კონსტანტინეპოლზე მეტად ქართველთათვის უმაღლესი განათლების კერას აქაურობა წარმოადგენდა.

„ასურელ“ მამათა მოსვლით ქართველთა ცხოვრებაში შემოდის ახალი პეროვნება — განდეგილი. განდეგილობა არაა მხოლოდ ბერ-მონაზონობა. ბერ-მონაზონობა მისი ქრისტიანული სა-

ხეა. განდეგილობის მიზეზად მხოლოდ „სოფლის მდურვა“ ვერ ჩაითვლება. მისი მიზანი შეიძლება იყოს თავისთავად ყოფნა, შემოქმედებითი მარტოობა. როცა ექვთიმე ათონელი ტოვებს ივირონის წინამძღვრობას, რათა მთლიანად მიეცეს მწიგნობრობას, ესაა უკვე ბერის ახალი განდგომა. მარტოობისაკენ სწრაფვა ხშირად ამალლებისაკენ სწრაფვაა, მარტოსულობის განცდაც ხშირად ამალლებული სულის წუხილია.

«Когда восточные жрецы желали войти в доверие широкой аудитории, они произносили гневные слова, бичуя агентов государственного аппарата. И когда монахи уверяли, что отвергают все светские общественные институты, что они строят жизнь на новых началах религии и братства, то они часто встречали полное сочувствие простых людей» (История Византии, М., 1967, т. 1, с. 163).

სამწუხაროდ, ცალკეულ გამონაკლისთა გარდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (ტ. II, თბ., 1978, გვ. 614) არასრულყოფილადაა წარმოჩენილი მონასტერთა მნიშვნელობა, კერძოდ, ათცამეტ მამათა მონასტრებისა, მათთან დაკავშირებული ეკონომიური და სოციალური პრობლემები, სამონასტრო მიწათმფლობელობის ფორმები; ქუტაისი ინსტიტუტი, სტავროპიგიული მონასტრები და ა. შ. ერთი სიტყვით, ქართული მონასტერთა საერთო სახე.

VI საუკუნეში ჩნდება ქართული ბერ-მონაზონობა. ცხადია, ისტორია განპირობებდა ამას. მანამდე IV-V საუკუნეთა განმავლობაში, ეკლესია საქართველოში უკვე საკმაოდ რთული სისტემით იყო ჩამოყალიბებული. მისი შემდგომი განვითარება მონასტრებში ისე განხორციელდა, რომ უკეთ გამოკვეთილიყო კულტურულ-ისტორიული პროგრესის მაგისტრალური გზები. VI საუკუნეშივე ჩამოყალიბებული ჩანს მონასტერთა სამივე ძირითადი სახე: მარტყოფლური (ანაქორეტული; მაგალითად, მარტყოფი და, როგორც ჩანს, თვით ზედაზენიც), „ძმობა“ ანუ კინოვია (დავით გარეჯა) და ლავრა (ამათი შერწყმა; მაგალითად, შიო-მღვიმე).

საერთოდ კი, აღმოსავლეთის საქრისტიანო ცენტრებში სამონასტრო ცხოვრებას უკვე დიდი გამოცდილება ჰქონდა. ეს იყო კოპტური მონასტრები ეგვიპტეში (თებაიდა), სირია-პალესტინა, თუ კაბადოკია. ეტყობა, კაბადოკიურ ქვაბურ სავანეებს დიდი გავლენა ჰქონია ჩვენში.

მთავარი ისტორიული ფაქტი, რომელსაც ქართული ბერ-მონაზონობის წარმოშობა უნდა დაკავშირებოდა, 532 წელს სპარსეთის მიერ ქართლში მეფობის გაუქმება იყო. „ვითარცა მეფობაი დაესრულა ქართლსა შინა, სპარსი განდლიერდესო“,— გვაუწყებს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ იოანე ზედაზნელის მოღვაწეობის დასაწყისი ხანა ასეა განსაზღვრული: „ამალ-ნერგ იეფნის მაშინ ქართველნი და ორასნი ოდენ წელიწადნი წარსულ იუნეს მოქცევით მათითგან“ (ეს გულისხმობს 532 წელს, ე. ი. 532+200). აქედანაც ჩანს, რომ ასურელ მამათა მოღვაწეობა მოჰყვა 532 წლის ამბებს.

ამ დროს მონასტერთა ანტიპასრული მისია უნდა გამოხატულიყო ანტიმონოფიზიტურ ქადაგებაში. ეს მონასტრებში უფრო შესაძლებელი იქნებოდა, ვიდრე სამრევლო ეკლესიებში. 506 წელს დვინის კრებაზე სომხეთთან ერთად ქართველთა მიერ ანტიქალკედონური ორიენტაცია სპარსეთის გავლენით აიხსნება (ს. ჯანაშია, შრომები, 1, 115).

ჩვენში სამონასტრო სისტემათა დაარსება მოჰყვა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის დადებულ ე. წ. „საუკუნო ზავს“. ორი იმპერიის მიერ ქართველისთვის თავს დატეხილი ეს დიდი უბედურება სამარადუამოდ ცხადდებოდა. ორმა მსოფლიო იმპერიამ გაინაწილა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. საქრისტიანოს მეთაურმა ბიზანტიამ მაზდეანურ სპარსეთს დაუთმო ქრისტიანული ქართლი. ქართველებისაგან ბიზანტიასთან ოფიციალურმა საეკლესიო ურთიერთობამ აზრი დაკარგა. სადღა უნდა ეპოვათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების საყრდენი? ალბათ, ამ დროს უნდა მომხდარიყო უაღრესად მკვეთრი გარდატეხა ქართველთა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში: თუ მანამდე ქრისტიანობა საყოველთაო, კოსმოპოლიტურ იდეად აღიქმოდა, ამიერიდან ჩვენში სათავე ედებოდა ქრისტიანობის ეროვნულ და პირადინდივიდუალურ მსოფლგანცდად გამოცხადებას. რასაკვირველია, პირად-ინდივიდუალური რელიგიური ცდა იმთავითვე ქრისტიანობის საფუძველთა საფუძველი იყო. მაგრამ იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვეხებით, ამას კიდევ სხვა მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ეკლესიას მაზდეანობისაგან დიდი საფრთხე დაემუქრა და თანაც მეფობის გაუქმების გამო მოაკლდა სახელმწიფოებრივი მფარველობა, განდეგილურმა ღვთისმსახობამ ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა, როგორც სხვა დროს „ტაძრულ ცხონიერებას“ ენიჭებოდა. მონასტერი გახდა ეროვნულ პრინციპთა შინაგანი შენარჩუნების სავანე. სხვა ამგვარი გზა თითქმის აღარცკი ჩანდა.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ უძველეს რედაქციებში (კერძოდ ა და ბ რედაქციებში, ილია აბულაძის გამოცემით) შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ნაწილი:

I. „წინასიტყვა“ — „წერილი“ (იგი ა-სა და ბ — რედაქციებშია, ბ-ს აკლია). ესაა თეორიული შესავალი ლიტერატურულ-ისტორიული ცნობებით.

II ნაწილია საკუთრივ „ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“, თუმცა მას „დასაბამი ცხორებისა“ ეწოდება.

III ნაწილად ჩვენ გამოვყოფთ ერთ ჩანართს (ილია აბულაძის გამოცემით, გვ. 28-38), რომე-

ლიც, ჩვენი ვარაუდით, თვით იოანე ზედაზნელის ნაწერმოები უნდა იყოს. იგი შეიცავს სწავლა-დამოძღვრას.

IV ნაწილია მცირე დასასრული, რომელიც, ალბათ, გვიანი დამატებაა (მასში ძირითადად იოანეს მოწაფეების ამბებია გადმოცემული).

ვფიქრობთ, ამგვარი დაყოფა უფრო ნათლად წარმოგვიდგენს ტექსტის სტრუქტურას და მის ისტორიას. ამჯერად შევეხებით პირველ სამ ნაწილს.

I. 1. **თეორიული წინასიტყვა.** არაერთ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლს წამძღვარებული აქვს თეორიული შესავალი, მაგრამ თითქმის არსად არ გვხვდება ისეთი ვრცელი და მრავალმხრივი, როგორც „იოანე ზედაზნელის ცხოვრებას“ მოეპოვება. აღრეული შუა საუკუნეების მწერლობებში ძალზე იშვიათია პოეტიკურ-ესთეტიკური ხასიათის ნააზრევი და ამიტომ მცირედი მინიშნებანიცკი ყურადღებას იმსახურებს, და, მეტადრე, ისეთი მრავალმხრივი მოსაზრებანი როგორიც ამ „წინასიტყვაშია“, რაც მთელი აღრეშუასაუკუნეობრივი ქართული მწერლობისათვის ძალზე მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს.

„მიზეზნი არიან აღმძვრელ სიტყვისა და სიტყუა არს მიმთხრობელ მიზეზთა, რომლისათვის პირველ მივლენან საგრძნობელთა და მიართვინან მიმღებელსა და მიმღებელმან მისცის განმკითხველსა და განმკითხველმან დამმარხველსა; და ესრეთ გამოსახული იგი მოიქცის და დაებერის ნეხტუსა ენისა თვისისა და განგებულად ოხრინ, რაითა კუალად სასმენელთა სხუათა მისცემდეს თვით თანა-ზიარებათა სმენისაითა, რომელ არს აწინდელი ესე ჩუენი მოქცევაი“, — ასეთია თეორიული „წინასიტყვის“ დასაწყისი.

„სიტყუა“, „მიზეზი“ და გზა სიტყვისა, — აქ ძირითადად ეს სამი საკითხი შეგვიძლია გამოვყოთ.

ამთავითვე შევნიშნავთ: სიტყვის ესთეტიკურობა იმ დროს სპეციფიკურია. სიტყვა იმ დროს იმდენადვეა ესთეტიკური, რამდენადაც, ვფქვათ, ხატი. ხატის შინა-არსი მისგან მიღმური ღვთაებაა და ეს შინა-არსი არაა თვით მასში, ე. ი. ხატში. ასეთივეა სიტყვაც. მაგრამ არც ერთი და არც მეორე შემთხვევა არ გამორიცხავს ესთეტიკურობას. საქმე ისაა, რომ მიღმური შინა-არსისკენ ჩვენ მივდივართ ესთეტიკურის გზით, ხატის ესთეტიკური რაობის „გავლით“. სხვაა, როცა იმ მიღმურ შინა-არსამდე მივდივართ ფილოსოფიური გზით.

ცნობილია, რომ „სიტყვას“ იმ დროს მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, გაცილებით მეტი, ვიდრე დღეს აქვს. რა მნიშვნელობითაც არ უნდა ეხმარათ „სიტყვა“, იგი ასე თუ ისე უკავშირდებოდა „სიტყვა-ლოგოსს“. მაგრამ აქ მაინც ყურადღება გადატანილია სიტყვის მოქმედების გზაზე: „მიმთხრობელი“ — „მიმღებელი“ — „განმკითხველი“ — „დამმარხველი“. ყველა ესენი ერთმანეთის თანაზიარნი ხდებიან, რადგან ყველა მათგანს „გავლილს“ სიტყვა (იგულისხმება „მიმთხრობელის“ სიტყვა). ამ გზაზე თითქოს დასახელებულნი არიან პიროვნებანი: „მიმღებელი“, „განმკითხველი“ და „დამმარხველი“, მაგრამ მათი გამოყოფა, ვფიქრობთ, ცნობიერების საფეხურების მიხედვით ხდება. („საგრძნობელი“, — „მიმღებელი“ — „განმკითხველი“ — „დამმარხველი“). „სიტყვაზე“ ასეთი მსჯელობანი სამონასტრო სავანეთა მწიგნობრების ყურადღებას მიაპყრობდა „მიმთხრობელიდან“ გარემოქცეულ გზას სიტყვისას, ამიტომ „სიტყვა“ ვერ იქნება „ჩაკეტილი“ პიროვნებაში, ვერ იქნება მხოლოდ უკუმოქცეული პიროვნებისაკენ.

მიზეზსა და „მიზეზოვანზე“ მოძღვრება ნეოპლატონიზმიდან მოდის (პეტრიწის მოსაზრებანი პროკლეს ემყარება; იხ. „განმარტების“ თავები). V საუკუნისა ცნობილი „მიზეზთა წიგნი“. უფრო ადრე მიზეზ-მიზეზოვანთა საკითხები განიხილებოდა ნეოპლატონიკოსთა ალექსანდრიულ სკოლაში).

აქ, „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“, მიზეზთა მოაზრება, ერთი შეხედვით, თითქოსდა, არაა პატრისტიკული ხასიათისა. მაგრამ არსებითად აქ პატრისტიკა უნდა დავინახოთ, რადგან ეს არაა წმინდა კატეგორიოლოგია, აქ უფრო პლატონური თავისუფალი მსჯელობანია, რაც უფრო გვიან, კერძოდ, სჭოლასტიკაში ნაკლებად ჩანს. პატრისტიკა ითხოვდა გაცნობიერებულიყო ადამიანური სიტყვის დასაზღვრულობა. „ნუ ისწრაფი პირითა შენითა და გული შენი ნუ ისწრაფენ გამოღებად სიტყვისა წინაშე ღმრთისა, რამეთუ ღმერთი ცათა შინა არს და შენ ქუეყანასა ზედა. ამისთვის იყვნედ სიტყუანი შენნი მცირენ“. (ეკლესიასტე, 5,1).

„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ შესავალი სიტყვის მიზეზებს ეხება. „მიზეზი“ სიტყვის „გარეთაა“, ანუ ვფქვათ, სიტყვამდე არსებობს და იგი იწვევს („აღძრავს“) სიტყვას. მაგრამ „სიტყვას“ თან გაჰყვება თავისი „მიზეზი“, ისევე, როგორც ყოველ „მიზეზოვანში“ არსებობს მიზეზი.

ყოველივე ეს სიტყვით გადაეცემა „დამმარხველს“. ანუ მიდის სიტყვა მიზეზიდან მიზნისაკენ და ამით სიტყვა ერთიანებს მიზეზსა და მიზანს. მიზეზისა და მიზნის გამთლიანებით კი „სიტყვის“ ლოგოსური ბუნება მყღვანდება. ზემორე მსჯელობის ასეთ კონტექსტში შეტანა იმ დროისათვის სრულიად ბუნებრივი იყო (მეტადრე, რომ იქვე ავტორი ახსენებს „მსახურთ სიტყვისათა გამოცხადებით მაღლისაგან“).

„სიტყვაზე“ მსჯელობა აქ გამიზნულია ხალხურ-ტაურო სიტყვის მიმართ, რასაც მიანიშნებს მომდევნო ადგილები, კერძოდ, შემდეგი:

„არა თუ ადვილად საურავსა რასმე ვეძიებთ,

არამედ სიღრმეთაგან ზღვისათა პატიოსანთა მარგალიტთა, შრომით მოსაგებელთა, გუნებავს ცხადად გამოჩინებაი, რომელნი განმზადებულ არიან განუოფად სიმდიდრესა, უხრწნელსა საუსესა საღმრთოთა ნიჭთასა, ნათესავისა მიმართ ჩუენისა სიტყვითა მადლისათოს...“
(გვ. 4, ა).

ასეა გააზრებული სიტყვიერი შემოქმედების სიძნელეები. მაშინდელ აზოოვნებაში მეტად თავისებურად გადატყდებოდა ხოლმე ე. წ. „განწერილთა ცნობიერების“, ანდა „დაწყვეტილი გონების“ პრობლემა. გონება კაცობრივია, სულიაო ღვთაებრივი (ადამიანში სული ითვლებოდა ღვთაების ხატად და არა — გონება, ასეთია თვითშემეცნებული გონების ვნებანი. მსგავსი გააზრებაა ისიც, რომ „თავისისა ცნობისაგან ჩაკარდების კაცი ჭირსა“). ბასილ დიდი ამბობდა: „ჭეშმარიტებისა სიტყუაჲ ძნიად შესაპყრობელ არსო“ („სიტყვისა მისთვის მოსე წინაისწარმეტყველისა, რომელსა იტყვის, ვითარმედ: „ეკრძალე თავსა შენსა“, ც. ქურცაძის გამოც. გვ.19).

ყოველივე ამის საფუძველთა საფუძველი იყო მოძღვრება ორგვარ (ღვთაებრივ და კაცობრივ) სიბრძნეთა შესახებ. ზემორე სიტყვები ეხება, ასე ვთქვათ, შიდალიტერატურულ სფეროს, ლიტერატურაში სიტყვიერი შემოქმედების სიძნელეებს, რაც ზღვის სიღრმეთაგან მარგალიტის მოპოვების სიძნელეს ეტოლება. შემდეგ ნათქვამია: „განვიზრახე, რაითა ვემსგავსო ფუტკარსა შრომის მოყუარესა და სამოთხეთა შუენიერთა წიგნთა მეირ მოვიწილნეო“ (გვ. 6, ა). ყოველივე ეს მწერლური მოვალეობის ტრადიციულ გააზრებებს იმეორებს.

ავტორისათვის მიქაელს, ალბათ, ზედაზნის მამასახლისს, უბოძებია „ქარტა წულილი“, რომელშიც იოანესი და მისი მოწაფეების ამბები ყოფილა მოთხრობილი. ავტორს აქედან გამოუკრეფია მასალა თავისი ნაწარმოებისათვის ისევე, „ვითარცა ვინ მარცულეული ოქროი წარსცის ვისმე ხელოვანსა, რაითა შეკმნეს იგინი ჯუარჭალ შუენიერად ერთად შეკრებულთა“ (გვ. 4, ა).

I. 2. „დაწერებასა მწერალთასა ჯერ არს მოხსენებაჲ დიდისა მოსესი, დამწყებელისა სახლისა წერითსა“, — ნათქვამია იმავე „წინასიტყუაში“ (გვ. 7, ა).

აქ საყურადღებო ტერმინია „სახლის წერა“, შეიძლებოდა გვეფიქრა რომ, თითქოს, აქ უნდა ყოფილიყო „სახის-წერაი“, მეტადრე, რომ ამგვარი თუ ამის მსგავსი არაერთი ტერმინი არსებობს ძველ ქართულ მწერლობაში. მაგრამ „სახლის წერა“ სულ სხვაა. „სახლის წერა“ ნიშნავს „წყობილსიტყვაობას“. იგი კალკია და მომდინარეობს, როგორც ფიქრობენ, „ბეეთიდან“. ბეითი სალექსო წყვილეულია. ხოლო ეტიმოლოგიურად იგი ნიშნავს სახლს, კარავს, ორმხრივ გადაბურულს. ამდენად, ზემორე ტერმინში „სახლი“ ეტიმოლოგიურად შეესაბამება „ბეითის“, ტერმინოლოგიურად კი „სახლის წერა“ ხელოვნური ფორმაა. ასეა თუ ისე, თავის დროზე „სახლის წერა“ ტერმინოლოგიური მოსახმარი შესიტყვება ყოფილა და წყობილსიტყვაობას გულისხმობდა, რომლის დამწყებად მოსე ითვლებოდა. მოსე პირველი მწერალია და რადგან ყოველი მოვლენა ნათლად ჩანს თავიდაბ, ასევე მწერლობის რაობა მისი პირველსახის მიხედვით სურდათ გაეზიარებინათ. ამ შემთხვევაში ქართველი ავტორი ორიგინალური არაა. იგი მიჰყვება და მრავალმხრივ იმეორებს გიორგი ალექსანდრიელის „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ შესავალს (ილ. აბულაძე). (შეად. თხზულების დასაწყისი, რ. გვარამიას გამოც. გვ. 1). სხვათა შორის, მას ეხმაურებიან სხვა ქართული აგიოგრაფიული ძეგლებიც, კერძოდ, „კოსტანტინ კაბის მარტვილობა“ და „სერაპიონ ზარაზმელის ცხოვრება“. იმ დროს ავტორები ორიგინალობას არ ცდილობდნენ (ამით კი ხშირად აღწევდნენ წარმატებას). თანაც არსებობდა აზოოვნების ჰერმენევტიკული (განმარტებითი) წესი: პრობლემები მარადიული იყო, მხოლოდ მათი მოწოდების წესი იყო სხვადასხვაგვარი.

მოსე, როგორც მწერალი, უპირველესი გამომხატველი იყო იმგვარი შემოქმედისა, რომელიც თვალით ხილულს ან სხვისგან მონათხრობს არ ემყარებოდა. იგი ემყარებოდა ხილვას. ხილვის წყალობით მას უნდა აღეწერა უხილავი რამ ისე, ვითარცა თვალითა ხილული. ასეა განმარტებულ-გააზრებული მოსეს მწერლობა. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი აგიოგრაფიის თუ ჰიმნოგრაფიის შემოქმედებითი პროცესის გასაგებად. ნაწარმოებში გამონაგონი შეიძლებოდა შემოეტანათ ხილვაზე დამყარებით (გ. ფარულავა).

გასაგებია, რომ ავტორი მოსეს წიგნებიდან ისეთ ამბებს მოიხმობს, რომლებიც უფრო გააშინაარსიანებდა საკუთარ სათქმელს. ისე შორიდან იგი თანდათან, მარცვალ-მარცვალ კრებს ყოველივეს იოანეს სახის შესაქმნელად. „შეუწველი მაყვლოვანის“ გახსენება თვით მოსეს ამბებიდან აშოსაკლით კი არ ხდება, არამედ მოსახმობად ღვთისმშობლის სახისა, რომელიც ქართველთა მოციქულებრივი მოღვაწეობის მფარველი იყო („მოსეს გამოეცხადა ანგელოზი ღმრთისაჲ ცეცხლითა მაყუოლოვანსა მას შინა, საიდუმლოი ქალწულისაჲ“). შემდეგ ნათქვამია, რომ მოსე „განვლიდაო უდაბნოდ მთასა სინასა“ (გვ. 7, ა). შემდეგ საუბარია ხალხის ხსნაზე ეგვიპტელთაგან („ეგვიპტე ჯოჯოხეთისაჲ“; ევანგელური „ეგვიპტე ხსნისაჲ“), საუბარია ხსნაზე ურწმუნოებისაგან, შემდეგ პირველარსის ბუნებაზეა საუბარი და ა. შ.

ქვემოთ, ტექსტის ფაბულურ ნაწილში, აღწერილია იოანეს ასვლა ზედაზნის მთაზე. ზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზნის მთის სახეში სიმბოლურად შეიძლებოდა დაენახათ ქართველთა სინა. იოანე ზედაზნელი კი სინას მთაზე ამსვლელ მოხეს შეედარებოდა. საქმე ისაა, რომ როგორც დღეს კარგადაა ცნობილი, უმეცარსწილად კ. კეკელიძის გამოკვლევებით, მთელი მცხეთა და მისი შემოგარენი სიმბოლიზებული იყო ბიბლიური ტოპონიმითო: აქაა ანტიოქია (მტკვრისა და არაგვის შესართავში), არმაზისხევი, არმაზის მთა, ბაგინეთი (ქართლის ქედის კალთაზე), გეთსანანია (ნ. ქრისტესსკვარი), გორგოთის სერი (გოლგოთისა? ტეკინი ქედი მცხეთის ჩრდილო დასავლეთით), ლაზარეს წყარო (სოფ. გალავანთან) და სხვა (იხ. ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონიმია, II, ტოპონიმიური ძიებანი, თბ., 1975). ამათ გვერდით დგას ისეთი უძველესი ტოპონიმები როგორიცაა: აკაკების თარგი (წეროვანში; იქვეა ბრინჯის ხევი); მცხეთის ჩრდილოეთით არაგვის მარჯვენა მხარეს ბრინჯის ღელეა; საგურამოში იოანე ზედაზნელის წყალია (იგივე „ძველი წყარო").

ამისდაკვალად ზედაზენიც შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველთა სინას მთა, რომელზედაც ღვთაების გამოცხადება ხდება. ზედაზენზე ეუწყებოდა იოანეს ღვთაებრივი ჭეშმარიტება. მოხეც „განვიდა უდაბნოდ მთასა სინასსა", „რომელ მაღალთა უმწვერვალესთა მთათა უმაღლეს იქმნა („სახე იგი ჭეშმარიტისა მის სჯულისა მდებელისა მას ხსნად ისრაელისა წარავლინებდა" (გვ. 7, ა).

ასევე ზედაზენიდან იოანე წარავლინებდა თავის მოწაფეებს ქართველთა სულიერი ხსნისათვის.

გასათვალისწინებელია, რომ სინა, თურმე, აქადური მითოლოგიაში ნიშნავდა მთვარის ღმერთს, რომელსაც შუმერულად ნანნა ერქვა. თუ ფარნაოზ იყო არმაზი (ფარნაოზს „არმაზი" ერქვა), გვაქვს უფლება ვიკითხოთ: იქნება, ამ ფაქტებს უკავშირდება მირიან მეფის მეუღლის სახელიც? ანდა, ხომ არ იყო ზედაზენზე მთვარის კულტი?

I, 8. ქართულ თხზულებებში ეფრემ მცირესა და იოანე პატრიწიადე არ გვხვდება პირველარსზე ისეთი წმინდა ფილოსოფიური მსჯელობა, როგორიც ამ „წინასიტყვაშია". მთლიანი ორიგინალობა აქ არაა მოსალოდნელი. ავტორი ეყრდნობა „გამოსვლათა" წიგნს (8, 14, რაც გამოცემაში არაა მითითებული).

ავტორი განმარტავს: „არს იგი არს", ე. ი. ღმერთი არსებაა, და დასძენს: „რომელისა დასაბამი არ არსო" (გვ. 8). ე. ი. ღვთაება ყოველივე არსებულის პირველსათავეო, ყოველივე მისგან მოდის, მას კი დასაბამი არ აქვს. დაუსაბამოა. რაც მთავარია, ავტორი აცნობიერებს, რომ უნდა გააზრებულ იქნეს „ღმრთის მეცნიერების საზღვარი", ე. ი. ის, თუ სანამდე შეიძლება მისწვდეს ადამიანის გონება. პირველ ეს საყვარელ ძებნისას რომ „დაუსაბამობის" წარმოდგენას მისტიკამდე მიჰყავს. ადამიანი, აქ ასეა მინიშნებული: პირველარსის ღვთაებრივი დეფინიციები ზღვარდადებული, ფილოსოფიური დეფინიციები „დაუსაბამობის" ცნების მიღმა ვეღარ მიდის. თუმცა დაშვებულია, რომ თვით რაობა პირველარსისა გაცილებით მიღმურია, „უსაზღვროებაშია საგულვებელი. ამიტომ აქვე, როცა თავდება ფილოსოფიური დეფინიციები, შემოდის სახისმეტყველებითი წარმოდგენები: უნდა ვირწმენოთო „ნათელი იგი დიდი, შეიპურნეს იგინი ბნელმან და სიღრმეცა დაინქნენ. და რომელი ნათელი-იგი არს, ერთი უხილავი და უცვალებელი ღმერთი არს" (გვ. 8). ამრიგად, ფილოსოფიურ გააზრებას მოსდევს ღვთაების სახისმეტყველებითი წარმოდგენა, ხოლო ამას მოჰყვება ღვთისმეტყველება (მაშასადამე, წარმოდგენილია ასეთი საფეხურები: ფილოსოფია, ესთეტიკა და ღვთისმეტყველება. ცხადია, ეს დაყოფა პირობითია). ღვთისმეტყველებითი გააზრება პირველარსისა წარმოდგენილია საღვთო სახელების კვალობაზე:

„არს იგი უხილავი, უჟამო, დაუტევნელი, უცვალებელი, — უცვალებელ თვინიერ ვითარებისა, თვინიერ რაოდენობისა, ხატებისა, შეუპყრობელ და შეუნაწევრებელ, თვით იძრვის მარადის ძრვითა თავით თვისით ძლიერ. დაღათუ მიიწევის პირველისა მიზეზისა ყოველი, რომელი მისი არს..." (გვ. 8).

ესაა უკუთქმითი თეოლოგიის ნიმუში: ღვთაება გამოხატულია მხოლოდ უარყოფითი ნიშნებით. აქვე ფილოსოფიური და ესთეტიკური მომენტებიც ჩანს.

„არსისა" და „ერთის" ცნებების გააზრებანი ქართველ ავტორს ძე-ღვთაებაზე გადაჰქვს და თან ზოგიერთი ახალ ატრიბუტსაც უმატებს: „მხოლოდ ცხოველი და განმაცხოველელი, მომცემელი ცხორებისაო" (გვ. 8).

ამას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვება კიდეც გააზრება ღვთაების ანუ პირველარსის სხვა არსებად განფენისა. ეს კი იმდროინდელი გაგებით, იწყება ანგელოზებით ანუ ზეციური ძალებით:

„სული მომცემელი და შემოქმედი და არა შექმნული, რომლისაგან დადგა შექმნილიცა იგი ნათელი მეორეთა მათ ბრწყინვალეებათაო, ანგელოზთასა ვიტყვი..." (გვ. 9).

ეს საკითხები შემოქმედისა და შექმნილის შესახებ განვითარებას არეკვიგტულ წიგნებზე დაყრდნობით პოვებდა. ამაზედაც ეს გვხვდება, მაგალითად, ბასილ დიდთან, მაგრამ საფუძვლად მაინც არეოპაგიტიკა შეიქმნა, რაც ყველაზე სრულად გამოვლინდა იოანე სკოტ ერიეენასთან. ესეც პატრისტიკის გზა.

I 4. შევნიშნავთ: შუასაუუნეობრივ ავტორთან მთავარია, თუ რაა ინტენსიურად მო-

ხმობილი, თავი და თავი კი ამგვარი მოსაზრებებისა, ცხადია, ბიბლიაა (ამ შემთხვევაში იხ. I კორინთ., 15: „არს ხორცი შვინვიერი და არს ხორცი სულიერი (44), ეგრეცა წერილ არს: იყო პირველი იგი კაცი ადამ სამშვინველად ცოცხალად, ხოლო უკუანასკნელი ადამ სულად განმაცოცხველებელად (45)... „და ვითარცა-იგი შევიმოსეთ ხატი იგი მიწისაგანისაი, შევიმოსოთ ხატიცა იგი ზეცისაგანისაი“ (49). შემდეგ ავტორი გადადის ტრიადოლოგიის საკითხებზე, რასაც მოპყვება არიოზის წინააღმდეგ მიმართული მსჯელობა.

„ჰრცხვენოდნენ არიოზს, რომელმან დაბადებულად იკადრა თქუმად სიტყუაი იგი ღმრთისაი, რომელი-იგი მისი იყო და არა სხუაი. და ესე შეემთხვია, რამეთუ ვერ ცნა საზღვარი გუამისა და ბუნებისა მისისაი, ხედვიდა მას კაცად და ბუნებაი ღმრთეებისაი, დაუსაბამოი ვერა ცნა“ (გვ. 9).

სრულიად აშკარაა, რომ ავტორმა წარმოგვიდგინა გარკვეული თეოლოგიურ-ფილოსოფიური კონტექსტი, რათა ყოველივე მიემართა ორბუნებრიობის პრობლემის მართებულად გაზრებისაკენ. ამას ერთგვარად დასტურებს მომდევნო ანტიარიანული პოლემიკაც: „...არიანნიცა, რომელნი იტყვიან ქრისტესა, ვითარმედ სიტყუაი იყო ღმრთისაი; და სული კუალად დაბადებულთა შეაერთეს და იტყვიან, ვითარცა ადამიო, სიტყვაი იგი დაბადა ღმერთმან“ (გვ. 9).

ტრიადოლოგიის კონტექსტში განიხილება სიტყვა-ლოგოსის რაობა, კერძოდ, სიტყვა ვითარცა დემიურგი: „სიტყვა“ არაა დაბადებული, ის პირველადია, პირველარსია, ის თვითონაა დამბადებელი.

დაბოლოს ავტორი გადმოსცემს ანტიმაკედონურ მოსაზრებებს ფსალმუნზე და მათეს სახარებაზე დაყრდნობით: „სიტყვითა უფლისაითა ცანნ დამტკიცნეს დი სულითა პირისა მისისაითა ყოველი ძალი მათი“ (ფს. 32, 6).

„ყოველნი ცოდვანი და გმობანი მიეტევნეს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაი არა მიეტევოსო“ (მთ, 12, 31). ქვემოთ კვლავ შემოვა სული წმიდის თემა, კვლავ ეთიკურ-ფილოსოფიური ასპექტით, თანაც შემოვა თავად იოანე ზედაწინასეული გაზრებით, მისეულ „სწავლანში“.

ავტორი დასძენს: „სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელი მამისაგან გამოვალს და ძისა თანა თაყუანის-იცემების, იგი სული, რომელი წყალთა ზედა იქცოდა... დაბადებდა ყოველთა დაბადებულთაო“ (გვ. 11).

აქვე ნათქვამია: „ამა, მადლი გამოუთქმელი, ებრაულად იტყვის მოციქული ერთითა ხოლო ენითა და ყოველთა ენითა ბარბაროზთა ესმენა“ (გვ. 11).

ეს სიტყვები ეხმაურება „საქმე მოციქულთას“ მეორე თავის დასაწყისს, სადაც მოციქულებზე სული წმიდის მოფენაა აღწერილი. აქ ნათქვამია: „აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სუტყუად“ (საქმე, 2, 4).

„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ სიუჟეტის თვალსაზრისით, ეს სიტყვები უნდა გულისხმობდეს ათცამეტ მამებზე სული წმიდის მოფენას, რომ მათ შემდეგ სული წმიდისაგან მონიშებული ლოგოსური სიტყვა სხვებს გადასცენ.

II. 1. მეორე, ძირითადი ნაწილია საკუთრივ იოანეს ცხოვრება, რომელიც დასათაურებული ასე — დასაბამი ცხორებისა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისაი“.

ამ ნაწილში წმინდა ფაბულური ელემენტი ძალზე მცირეა. იგი შეიცავს არაერთ გადახვევას და ჩანართს: 1. პირველი ჩანართი შეიცავს ნინოს მოღვაწეობასა და სვეტიცხოველს ამბებს; 2. აქვეა განმარტება ზედაზენზე დამკვიდრებისა, 3. ფაბულურ ნაწილშივეა ჩართული იოანე ზედაზნელის „სწავლანი“.

იოანეს თავგადასავლის თხრობა არაა ბიოგრაფიული. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ არაა მართებული, როცა ჩვენ ცხოვრებათა ყანრის ყოველ ნაწარმოებს ბიოგრაფიულ პროზად ვთვლით. „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ამბები გადმოცემულია არა ბიოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ სხვა რამ კულტურულ-რელიგიური მიზანდასახულობით. მაგალითად, თავდაპირველი ამბები მოწოდებულია იმის ნათელსაყოფად, თუ იოანე „რომლისა მიზეზითა მოიწია ხოფელსა ამას ჩენსაო“ (გვ. 18). ესკი ასეა განმარტებული: „განმგებელმან მისმან, სულმან წმიდამან, წამს-უყვნეს მას ჭეშეანად ჩრდილოდ, რაითა მიუძღუეს ჭეშეანად ქართლად“ (გვ. 20). და ამიტომ იოანეც გამოეგზავრა და მოვიდა „კათოლიკე სუეტთან“.

ეს და კიდევ სხვა მომენტები გამიზნულია იმისკენ, რათა იოანე ზედაზნელის მომავალი ღვაწლი წარმოგვიდგეს ვითარცა გაგრძელება და განვითარება წმინდა ნინოს მოციქულებრივი მისიისა. მაგალითად, სიმბოლოებრივია თვით ის, რომ ქართლი ჩრდილოეთის ქვეყანაა (შუამდინარეთიდან იოანე მოდის „ჩრდილოდ“). ამის შემდეგ აზრს ანიშვებენენ: ქართლი „ჩრდილოა“, რადგან მოკლებულიაო ხარწმუნოების მზეს („მზეი სამართლისა“). ასეა „ნინოს ცხოვრებაშიც“.

ნინოსა და სვეტიცხოველთან კავშირები შემდეგს უფრო ღრმავდება.

II. 2. იოანე ზედაზნელის სახეში გამთლიანებულია რამდენიმე პარადიგმულ სახე-იდეალის ნიშნები, მაგალითად: იოანე ნათლისმცემლისა (აქედან გამომდინარე ილია წინასწარმეტყველისა), იოანე ღვთისმეტყველისა, სამოელ წინასწარმეტყველის (გვ. 6), მოსესი, ხოლო ბიზანტიური აგიოგრაფიიდან, უპირ-

ველეს ყოვლისა — სბა პალესტინელისა, ხოლო ქართული აგიოგრაფიიდან მას პირველსახე არ ჰყოლია, რადგან იგი თვითონ იყო ჩვენში განდეგილობის პირველსახე.

იოანე ზედაზნელის სახეში უნდა გაერთიანებულიყო იოანე ნათლისმცემლისა და იოანე ღვთისმეტყველის თვისებანი. ნათლისმცემლის იმიტომ, რომ იგი იყო სიმბოლო „უდაბნოს ანგელოზისა", ხოლო იოანე მახარებელი (ევანგელისტი) — სიბრძნისმეტყველისა. ამ მხრივ, ი. ზედაზნელი ჩანს თავისი „სწავლანით", რომელსაც ქვემოთ შევეხებით. ნიშანდობლივია, რომ შუასაუკუნეობრივ და ზნრად რენესანს ულ მწერლობაშიაც პერსონაჟთა ნიშან-თვისებანი ემბლემდროია. ეს ეხება მათ დასახასიათებლად მოხმობილ ეპითეტებსაც და შედარებებსაც. პერსონაჟთა ატრიბუტები ემბლემეროობას ემყარება, ასეა აქაც. იოანე ზედაზნელის სახესთან იოანე ნათლისმცემლის დაკავშირება შემდეგნაირად იქნა გამოხატული: კლემენტოზ კათალიკოსმა ზედაზენზე იოანეს ქვაბის აღმოსავლეთით მის სადიდებლად ააშენა ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელზე (გვ. 66). მაგამდე კი, ეკლესია იოანეს სიკვდილის შემდეგ, მისმა მოწაფეებმა ააშენეს. თვითონ იოანე კი ქვაბში ცხოვრობდა, ე. ი. ცხოვრობდა ნათლისმცემლის მსგავსად.

იოანე ზედაზნელის სახეში უნდა ეხილათ ილია წინასწარმეტყველიც თუნდაც იმიტომ, რომ მასში ხედავდნენ იოანე ნათლისმცემელს. ნათლისმცემლის პირველსახე კი ილია იყო (შდრ. მთ. 11, 14); ილია იბრძოდა ბაალის კულტის წინააღმდეგ ლიბანის ფინიკიაში (პალესტინაში). დამასკოს ჩრდილოეთით იყო ბაალ-ბეკი (მზის ქალაქი, ჰელიოპოლისი), სადაც მზის უმთავრესი სალოცავი იდგა. ევსევი კესარიელის ცნობით აქ დაარსებს სიპანსკოპოსო კათედრა და „ეს ქალაქი შეიქმნა ცენტრად აღმოსავლეთში ქრისტიანობის გავრცელებისა" (კ. კეკელიძე, კიმენი, II, გვ. 4). დავაკვირდეთ, რამდენი რამით ბგავს ყოველივე ამას ზედაზენზე იოანეს მოღვაწეობა.

II. 3. „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" შესწავლისას საჭიროა მოვიხმოთ ერთი ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ ქართულადაა შემონახული და ეწოდება „საკითხავი დღესასწაულთათვის..." იგი ეხება ხარება-ზობისა და ნათლისღების კალენდარულ საკითხებს. რადგან ზედაზენის მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელზე აშენდა, ამიტომ იოანე ნათლისმცემლის ეორტალოგიური საკითხავი გათვალისწინებული ექნებოდა „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" ავტორს. იოანე ნათლისმცემლის კულტი თუ უშუალოდ არ გულისხმობდა, გარკვეული თვალსაზრისით მაინც შეიძლებოდა გამოყენებულიყო ანტიგრიგორიანული პოლემიკისათვის. ზემოაღნიშნული „საკითხავი" ფსევდოპიგრაფიკულად ითვლება და ზედაწარწერილია იმპერატორ იუსტინიანეს სახელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხავში ნათქვამია:

„მეექვსესა მას დღესა თვისა იანვარისასსა ნათლისღებაჲ არს და შობასა და ნათლისღებასა ერთად ჰყოფენ და ამას ცდომასა მით შეცავენს პირველნი-იგი, რამეთუ არა ეკრძალნეს დღენი მას ხარებისასაო" და ქვემოთ მოჰყავს ხარების დღე — 25 მარტი (კ. კეკელიძე, კიმენი, II, 1946, გვ. 68).

მაშასადამე, ამ ნაწარმოების მიხედვით, VI საუკუნეში, იუსტინიანეს მიერ დაგმობილია ისინი, ვინც ნათლისღებისა და შობის დღეს ერთმანეთს ამოხვევენ, რადგან ამით გარკვეულად ჩრდილი ადგებოდა იოანე ნათლისმცემლის კულტს: შობის დღესასწაულით იჩრდილებოდა ნათლისღება.

ქვემოთ აღნიშნულია, რომ „ორი ჯერი არს მზისა ქცევაი წელიწადსა და დასწორებაი დღეთაი, ერთი ესე ქცევაი მზისაი, დღეს არს, ოცდახუთსა ივნისსა და ერთი იგი ქცევაი თთუესა დეკემბერსა ოცდახუთსაო..." „თთუესა მარტსა ოცდახუთსა ეხარა მარიამს გაბრიელისაგან... თთუესა ივნისსა ოცდახუთსა იშვა იოანე" (გვ. 70).

ამ „სწავლანით", იოანე ზედაზნელი ჩვენს წინაშე წარმოდგა იოანე ღვთისმეტყველის „როლში", რადგან ევანგელეთაგან სწორედ იოანეს სახარება არის ყველა სხვა, ე. წ. სინოპტიკურ სახარებაზე მეტად „თეოლიოული", მეტად „თეოლიოულ"-ღვთისმეტყველებით. ცხადია, სადვთისმეტყველო „პროგრამის" გარეშე წარმოუდგენელი იყო ქართული ბერ-მონაზონობა და სწორედ ასეთი „პროგრამის" მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იოანე ზედაზნელის „სწავლანს", გარდა „ახალი ალთქმისა", იოანე ღვთისმეტყველთან დაკავშირებული რეალიები გათვალისწინებული უნდა ჰქონოდათ შემდეგი ნაწარმოებითაც: „ცხორებაჲ და ქადაგებაი წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და მახარებლისა, იოანესე ღმრთისმეტყუელისაი", რომელიც მიეწერება პროხორეს (გარდ. 596 წ.) („ათონის კრებული"; გვ. 111-175). აქ იოანე მახარებელი წარმოსახულია ძედ წმიდისა ქალწულისა, დედისა უფლისა და ძმად ქრისტესი" (გვ. 111). ამას უნდა შემსგავსებოდა იოანე ზედაზნელი.

ქართული ეკლესიის ისტორიაში იოანე ზედაზნელი გამომხატველი უნდა ყოფილიყო ახალი ეტაპისა სულიერი ცხოვრების გაღრმავების თვალსაზრისით, ეს უნდა მომხდარიყო სწორედ იოანე ღვთისმეტყველის ქვალობაზე. შემდგომში, ეს თავის მნიშვნელოვანს აღარასოდეს აღარ დაკარგავდა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიის განვითარების გზა.

აქ მიზანშეწონილად მიგვანია ბოგიზოთ გ. ლეონიძის ერთი საყურადღებო ესსე „ქართული მესიანიზმი": „თუ შელინგის დოქტრინით, ახლა დგება ეკლესია-იოანესი — სამყარო სი-

ყვარულის და ენთუზიაზმის (I—სინტეტიიერის — პეტრესი, II-პავლესი — ეპოკა დოქტრინების), ჩვენმა ეკლესიამ არ იცის ერესები, არც ცხარე დოქტრინები, იგი თავიდანვე იყო ეკლესია „იოანესი“ (მან. ხელთაის გამოცემა: ქართული ლიტერატურული ესსე, 1986, გვ. 77).

ეკლესიაში იოანეს გზა მაინც განვითარების ერთი მხარეა, ესაა გზა განსაკუთრებული, ვიზიონერული სულიერებისა, სხვა გზაა პავლესი და სხვა — პეტრესი. „თუ პეტრე გამოხატავს ქრისტიანობის ეგზოთერიულ, საერთო-სახალხო მხარეს (ყველასთვის მინიშნებული აღსარება სარწმუნოებისა), იოანე ღვთისმეტყველი გამოხატავს მის ეგზოთერიულ მხარეს (რჩეულთათვის გახსნილი მისტიკური ცდანი“) (ს. ავერინცევი).

იქნებ იმის აღნიშვნასაც დაურჩეს მნიშვნელობა, რომ იოანეს ღვთისმეტყველის ზოომორფული „ემბლემა“ იყო არწივი, რომელიც ზოდიაკურ ნიშნთა ასეთ ციკლში შედის (V თვის ნიშნები): ლომი (ბიზანტიური?), ზეესი და არწივი (ბერძნული), იუპიტერი და ელვა (რომაული), ვენახი (ებრაული). ლომის, არწივის, „ელვისა“ და ვენახის ურთიერთკავშირი ქართული სახისმეტყველებისათვის არაა უცხო (იხ. ჩვენი: წმინდა ნინო და „დედა-უფალი“, ქართული აგიოგრაფია, 1987).

II, 4. იოანე ზედაზნელის სახისთვის ერთერთი უმთავრესი პარადიგმული სახეა მოსე წინასწარმეტყველი.

მოსემ სინას უდაბნოში მოიყვანა ეგვიპტედან გამოხსნილი ისრაელები. აქ დიდი უწყლობა დახვდათ, მოსემ ღმერთს შესთხოვა ზეელა. ღმერთმაც უსმინა და უჩვენა გზა წყლისაკენ. მოსემ ხალხი მოიხმო თავისაკენ: „მე ვდგეო თხემსა ზედა ბორცვისასა და კუერთხი ღმერთისაჲ ხელსა შინა ჩემსა“ (გამოსლვათაი, 17, 81, და ასე აღმოადინა წყალი მთიდან. მოსემ დიდება შესწირა ღმერთს: „დიდ არს უფალი უფროჲს ყოველთა ღმერთისა“ გამოს., 18, 11).

შეუძლებელია არ დაენახათ ამისი მსგავსება იმ ეპიზოდთან, როცა იოანემ ზედაზენზე წყალი აღმოადინა.

ზედაზნის „მთაჲ ესე პირველ ურწყული იყო და ყოველადვე ვერ საპოვნელელ წყალი გარემოს მისა“ (გვ. 48, ა). იოანეს ლოცვით „გამოხდა წყალი ტკბილი, გრილი და ფრიად შუენიერი მდიდრად, რომელი დღეს დის მოყოფთათვის მის მონასტრისათა“ (გვ. 50, ა).

ქართველი ავტორი მოსეს მიერ წყლის მოპოვებას ასე გადმოსცემს: ღმერთმაო „მოსცა წყალი უდაბნოსა ერსა თვისსა ისრაელსა, ხელითა მოსეს სითა... გამოუტეესა მდინარენი კლდისაგან ხმელისა ცემითა კუერთხისაითა... კლდე იგი სახე ქრისტესი იყო და კუერთხი იგი — ჰრიდილი ჯუარისაი“ (გვ. 50, ა).

ერთიცა და მეორეც ცხოვრების წყაროს სიმბოლო იყო. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ „წინასიტყვაში“ ავტორს მოყავს სამარიელ ქალთან ქრისტეს შეხვედრის ევანგელურ ეპიზოდი, რომელმაც წყალი მიაწოდა მაცხოვარს, ხოლო მას „ცხოვრების წყარო“ მიენიჭა. ავტორს სურს თქვას, რომ ვერ ძალმძსო მონიეზეა ცხოვრების წყაროსი, „რამეთუ ენა ბრკვინველ ვარო და ვერ მეტყუელ“ (გვ.6, ა). წყარო იყო სიმბოლო ადამიანური მეტყველებისა, რომელიც ლოგოსური ბუნებისად ითვლებოდა.

სინას მთაზე მოსეს ასვლა სულიერი ამაღლების სიმბოლო იყო (შდრ. გვ. 5). მოსე ბინელად არქმევდა სახელს საგნებსა და მოვლენებს. მოსეს ენიჭება ღვთის სიტყვა, რომელსაც გადასცემს ხალხს. ამისი მსგავსია იოანე ზედაზნელის მისიაც. ავტორი წერს: „მოვიდოდეს მათა ყოველთა კერძო და აღეშენებოდეს სიტყუათა და საკმეთა მათთგან“. „აღშენება“ აქ ნიშნავს „სიკეთით აღსვლებას“ (შდრ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“: „ფრიად ნუგეშინის-სცა მას ნეტარმან მან ღმრთისა კაცმან და აღაშენა ფრიად სანატრელი იგი მოხუცებულსა“. თ. 29.). არსებობს გ. ათონისეული თარგმანი ამბა დოსითეოზოს (VI ს.) საკითხვისა: „აღშენებისათვის სულისა სათნოებითა“ A — 126, გვ. 225).

II. 5. ზოგადად, თავისთავად ცხადია, რომ იოანე ზედაზნელისათვის განდეგილთაგან სანიმუშო უნდა ყოფილიყო სამა განწმენდილის მოღვაწეობა, ხოლო კირილე სკეთოპოლელის „საბა საალესტინელის ცხოვრება“ სანიმუშო თხზულება იყო ყველა დროის აგიოგრაფიისათვის. იგი დაიწერა დაახლოებით 555 წელს, ე. ი. როცა უკვე დამთავრებული ჩანს იოანეს მოღვაწეობა და შეიძლება მისი გათვალისწინებით შექმნილი იყო თავდაპირველი ნაწარმოებიც, რომლის არსებობას შემორჩენილი თხზულებანი მიანიშნებს („პირველი იგი ცხორებაჲ და საკმენი იგი ამის ნეტარისანი წერილ არიან პირველსა მას წიგნსა და ჩუენდა ნეტარ ჰრს მეორედ აღწერად“ (გვ. 18, ა).

ამიტომაც საყურადღებო შეხვედრები დასტურდება. ერთ კერძო შემთხვევაში პირდაპირაა მითითებული ქართული ნაწარმოების უშუალო წყარო.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ კკითხულობთ:

„ადგილი იგი, რომელსაც მიივლინა, გოდოლი იყო პირველთა მათ წარჩინებულთა, სადაი იგი კერპთმსახურები აღმაღლებულიაო. და ეშმაკნი მათ მიერ იმსახურებოდეს ნაზორევთა მათ კუამლითა, რაითამცა მათივე ადგილნი აღმაღლდა ღმრთის მსახურებაი, განწმიდნა მიერ გეხლოვნებანი იგი უკუეთურთა მათ ეშმაკთაი, ვითარცა ყო ოდესმე საბა ადგილსა მას კასტელისასა, განიოტნა ეშმაკთა გუნდნი. ილოცვიდა ნეტარი იგი ბერი და ევედრებიან ყოვე-

ლსა ყამსა ღმერთსა და დგან იგი შეუშფოთებლად, ყოველთა მათ ზედა მოსლვათა ეშმაკისათა მოითმენედ, ლოცვასა და მარხვასა, ვითარცა დედასა გონიერებისასა შევედრა" (გვ. 28, ა).

„სბა პალესტინელის ცხოვრება":

„მოვიდა ნეტარი მამაი ჩუენი სბა კასტელისა ბორცუსა, რომელი ჰშორავს ლავრასა ვითარ ოც უტტევან. აღმოსავალით კერძო მთისა მის იყო ბორცვი იგი საშინელ და უგზო სიმრავლისაგან დამკვიდრებულთა ეშმაკთისა მას ზედა... ხოლო ამან ნეტარმან და საკვირველმან „მაღალი შეიმოსა საცოდმისა" და ზეთი ცხოველისა ჯუარისაი ასხურა ადგილსა მას და დაადგრა ზედა ბორცსა მას თავადთა მარხუათა და მოუკლებელად გალმბითა მისითა განწმედა ადგილი იგი" (ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ტ. II, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1946, გვ. 157).

II. 6. „ასურელი მამების" ცხოვრება-წამებათა დემონოლოგია საგანგებო შესწავლას იმსახურებს. უამისოდ შეუძლებელი იქნება საერთოდ ქართული დემონოლოგიის სათავეების გათვალისწინება.

თვალის ერთი გადავლებითაც კი ცხადი ხდება, რომ ქართული აგიოგრაფია საამისოდ საკმაო მასალას გვაძლევს; ჯერ თვით „შუშანიკის წამება", სადაც პირველადაა დადასტურებული ის, რომ ინდურ-ირანული კეთილი ძალის გამასახიერებელი „დევი" ქართველთა წარმოდგენაში უკვე გადაქცეულია ბოროტ ძალად. სულ სხვადასხვაგვარად ჩანს დემონური ძალები „შოოსა და ევადგრეს ცხოვრებაში", ანდა „დავით გარეჯელის ცხოვრებაში". „აბიბოს ნეკრესელის წამებაში" მსგავს ძალთა განსახიერებაა საკულტო ცეცხლი. გიორგი მერჩულე ჩვენს ყურადღებას ამახვილებს ისეთ ასპეკტზე, რომელიც დღეს ასე გამოითქმის: დემონური მარად თანა სდევს ადამიანს და ცხოვრება კაცისა ესაა მარადიული ბრძოლა საკუთარ პიროვნებაში ჩაბუდებული დემონურის წინააღმდეგ (თავი VII). გიორგი ათონელმა დაამსხვრია ბულგარელთა წარმართული კერპი (თ. XI).

ერთი სიტყვით, დემონოლოგიურ სახეთა ნვენება იმთავითვე მრავალფეროვანი იყო.

ძალზე ინტენსიურადაა წარმოდგენილი ასეთი სახეები „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში", განსაკუთრებით, ზედაზნის შემოგარენში. აქაური გარემო და ჰაერიც კი, თითქოსდა, აღვსილია ავი სულებით. „მიუხდეს წმიდასა იოანეს და იწყეს ბრძოლად მისა" (გვ. 42, ა). ხან კი ასეთი სურათი იქმნება: „ვითარცა ნისლი ჭირი და ბნელი გამოხდა მთისა მისგან და უჩინო იქმნა და მიმართა ჩრდილოით კერძო" (გვ. 42, ა).

ამგვარი ხილვანი აქ მოწოდებულია თანამოდგაწეთა სულიერი განმტკიცების მიზნით. განმარტებულია, რომ ეს ძალები დაიძლევა ადამიანის შინაგანი ძალისხმევით. ამის [illegible] ლითს კი, თვით იოანე იძლევა: „ლოცვაი მისი აღვიდოდაო ცად, აერთა განსწმედდა და განვლოდაო ეთერსა" (გვ. 42, ა). (თვისთავადაც ეს წარმოდგენა მაღალესთეტიკურ განცდას ბადებს).

III. 1. „სწავლანი". „იოანე ზედაზნელის ცხოვრების" ტექსტის სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლის საფუძველზე შესაძლებლად ვრაცხთ წამოვჭრათ ერთი საკითხი. ამთავითვე შევნიშნავთ, რომ ქვემორე მიმოხილვა არაა გამიზნული საბოლოო დასკვნებისათვის, რადგანაც საამისოდ საკმაო მონაცემები არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, საკითხის დასმა მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია და დასკვნებიც სავარაუდო იქნება.

საკითხი ეხება ტექსტის ერთ ნაწილს, პირობითად — III ნაწილს, რომელიც ფაქტობრივად ჩართულია ზემოგანხილულ II ნაწილში (ილ. ბოლოძის გამოცემის 28-ე გვერდიდან 38-ე გვერდამდე).

ეს ნაწილი ტექსტში ერთგვარად გამოცალკევებულია. მას წინ უძღვის ორი განმარტება: 1. „პირველად, რაჲთა სამკაული იქმნას და გვირგვინ ჩუენისა ამის ქალაქისა იგი და მოწაფენი მისნი ათორმეტნი... (გვ. 27, ა). და 2. „მეორედ, რამეთუ ადგილი იგი, რომელსა მიივლინა, გოდოლი იყო პირველთა მათ წარჩინებულთა, სადა-იგი კერპთმსახურება აღმაღლებული იყო..." (გვ. 28, ა). შემდეგ ნათქვამია, რომ „ენებათ მამასა ჩუენსა იოანეს, რაითა მარტოდ იყოფვიდა" და სურდა მოწაფენი დაეგზავნა სხვადასხვა მხარესო, ამიტომ „კეთილმან მოძღურმან მოუწოდა დღესა ერთსა თვისთა მათ მოწაფეთა და ჰრქუა მათ: რაისა ხედგათ უკმად? ანუ არა უწყიათა, რამეთუ სარგებელისათვის ამის ქუეყანის წარმოგვავლინნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რამეთუ ახალ ნერგ არიან კაცნი ესე ამის სოფლისანი, ჯერ-არს თქუენდა, რაითა წახვიდეთ, კაცად-კაცადი და განმტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარებიეს ქრისტე უფალი ჩუენი არა სიტყვითა მოძღურებითა თქუენითა, არამედ რაითა თავნიცა თქუენნი სახედ მისცენთ" (გვ. 28, 30). და ამას მოჰკვება დამოძღვრა, რომელსაც ჩვენ „სწავლულნი" ვუწოდეთ.

ეს „სწავლანი" იოანე ზედაზნელის მოწაფეებისათვის, ასე ვთქვათ, მთელი მოღვაწეობის „პროგრამა" უნდა გამხდარიყო. იგი დამოუკიდებელი ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს. იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები პირველად იწყებდნენ ჩვენში სამონასტრო ცხოვრებას და ამითაც კანონიზებული იყო მათი სამოღვაწეო „პროგრამა". თანაც მათ კონკრეტული მიზანიც უნდა ჰქონოდათ. ჩვენი „ზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით, ეს იყო დიოფიზიტობის დამკვიდრება, მაშასადამე, გამრავლებული ორთოდოქსიის გაბერვრება. ეს უნდა გამოსჩვიოდეს ზემომოყვანილ სიტყვებში: „განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღსარებიეს ქრისტეო".

იოანე ზედაზნელი ქართველი ბერი-მონაზონობის მამამთავარი იყო. ამიტომ ქართველ ბერ-მონაზონებს იოანესგან უნდა მჭონოდათ სწავლა-დამოძღვრა, ანდა, ისიც არ იყო გამორიცხული, რომ იოანეს სახელით შედგენილიყო „ეთიკური-დგზეტიკური სწავლანი". მართლაც, ასეთი ხასიათისაა ის დამოძღვრა, რომელსაც „ცხოვრების" ავტორი იოანე ზედაზნელს მიაწერს. მაშინდელი მკითხველის შეგნებით, ეს დამოძღვრა იოანესი იყო და არა ავტორისა; თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ეს „სწავლანი" იოანესია. ნაწარმოებში ჩართვა ამას ხელს არ შეუშლის. ასეთ რაიმეს არ უარყოფდა მაშინდელი სამწერლო პრაქტიკა. ამას არც ის უშლის ხელს, რომ სხვა ავტორები ზოგჯერ არ ასახელებენ იოანეს როგორც მწერალს. მწერლური ღვაწლის იგნორირება ჩვეულებრივია.

აღნიშნული „სწავლანი" ფრიად საყურადღებო იქნებოდა იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა იგი იოანესი. მაგრამ ამ შემთხვევაში, არსებობს ტრადიცია, რომელმაც იოანესეულად შემოგვნახა სწავლა-დამოძღვრა.

დ. მუსხელიშვილი თეორიულ წერილში წყაროთმცოდნეობის მეთოდიკის საკითხებზე გამოთქვამს საყურადღებო თვალსაზრისს, რომ „სავსებით მართებულია წარსულის სიტუაციათა სავარაუდო რეკონსტრუქცია გვიანდელი ცნებებითო" (ქართულ შუასაუკუნეობრივ წყაროთა წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ზოგიერთი პრობლემა. — „მაცნე" (ისტ. არქ. ხელოვნების ისტორიის სერია), თბ. №-1986, 3, გვ. 58. რუსულად).

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში" ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მითითება იოანე ზედაზნელის „სწავლათა" არსებობაზე. აქ აღნიშნულია, რომ მან თავის მოწაფეებსო „ნაცვლად ძსისა და ყრმებრივთა საზრდელთისა მტკიცე და ძლიერი საზრდელი წინაუფო, ესე იგი არს საღმრთონი სწავლანი და მოძღურებანიო" (ილ. აბულაძის გამოც. გვ. 148).

ეს ძალზე მნიშვნელოვანი ცნობაა.

„სწავლანი" შემდეგ საკითხებს მოიცავს:

1. ზოგად-ეთიკური საკითხები; 2. სიმდიდრისკენ მიდრეკილების, ვერცხლისმოყვარეობისა და უძღებების განქიქება. 3. განქიქება მომთვრალეობისა, 4. ღვთაებისა და ადამიანის ორგვარი ბუნების განმარტება. 5. ადამიანის ხულიერი ამაღლების გზები.

წინასწარ გავითვალისწინოთ შემდეგი:

III. 2; ქართული დეკალოგი ანუ ქართული „ათი მცნება" „წმინდა ნინოს ცხოვრებაშია", მის IV თავში, რომელიც გადმოცემულია სალომე უფარმელის მიერ. ნინო ყვება, თუ ჩვენებაში როგორ ახილა ანგელოზი ჭაბუკის სახით, რომელმაც მას გადასცა ქრისტეს მიერ დაბეჭდილი წიგნი. მასში „დაწერილნი იყვნეს ათნი სიტყუანი, ვითარცა-იგი პირველფიცართა ქვისათა" (ე. ი. როგორც მოსესათვის ღვთის მიერ მიცემული ათი მცნება, დეკალოგი, პირდაპირი თარგმნით „ათი სიტყვა").

მოვიყვანთ ამ „ათ სიტყვას" მთლიანად:

ა. „პირველი სიტყუაჲ: სადაცა იქადგაოს სახარებაი ესე, მუნცა ითქუმოდის დედაკაცი ესე".

ბ. „არცა მამაკაცებაი, არცა დედაკაცებაი, არაშეჲ თქუენ ყოველნი ერთ ხართ" (გალ. 3,28).

გ. „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულითა წმიდისაჲთა" (მთ. 28, 19).

დ. „ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა დიდებად ერისა შენისა ისრაელისაჲ" (ლ. 2, 32).

ე. „სადაცა იქადგაოს სახარებაი ესე სასოფიერესსა, ყოველსა სოფელსა ითქუმოდეს" (მთ. 26. 13, მრკ. 14, 9).

ვ. „რომელმან თქუენ შეგიწყალნარნეს, მე შემიწყალნარებს, და რომელმან მე შემიწყალნაროს, შეიწყალნარებს მომავლინებელსა ჩემსა" (მთ. 10,40).

ზ. ფრიად უყვარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენნ მისსა სიბრძნესა ჭეშმარიტსა.

ᲗᲐ. „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცსნი თქუენნი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუეტად" (მთ. 10,28).

თ. ჰრქუა მარიამ მაგდალინელსა იესუ: „წარვედ, დედაკაცო, და ახარე ძმათა ჩემთა" (ი. 20,17).

ი. სადაცა ჰქადაგებდეთ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისაჲ წმიდისაჲთა („ნინოს ცხოვრებაა", — შატბერდის კრებული, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოცემა. გვ. 333. ბიბლიური დამოწმებანი გამომცემლებისაა).

ასეთია ქართული დეკალოგი.

III. 3. ჩვენ ეს მოვიტანეთ იმ მიზნით, რათა გამოჩნდეს, თუ რამდენად ეხმაურება მას იოანე ზედაზნელის „სწავლანი" და იმისთვისაც, რათა გვეჩვენებინა, თუ როგორ ჩაშოუალიბდა ქართული დეკალოგი, რომ მოსეს „ფიცარნი სჯულისანი" შემოდის იოანე ზედაზნელის ცხოვრების" ავტორის ცნობიერებაში და ეს ამ ნაწარმოების შესავლადანვე ჩანს (გვ. 6).

გასათვალისწინებელია, რომ მთელი „მოქცევაჲ ქართლისაჲ" და მისგან განსაკუთრებით „ნინოს ცხოვრება" ქართული ქრისტოლოგიის საფუძველთა-საფუძველია. მასში ხდება შემდეგი დროის იდეალების, თუ შეიძლე-

---

რევაზ სიხარულიძე
„ვიცი, რაჲასთვის ვარ"

ბა ითქვას, აკუმულაცია. ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ „ნინოს ცხოვრებაშია" მოცემული „ათი მცნება". იგი არსებითად „ახალ აღთქმას" ემყარება, მაგრამ თვით სისტემა ქართულია. ე. ი. მისი შედგენა ქართულ მწერლობას ეკუთვნის. ის ქართული ქრისტოლოგიის საფუძველია, ამიტომ, ბუნებრივია, იგი „იოანე ცხოვრების" იდეალთა საფუძველიც უნდა გამხდარიყო. ქართული თარგუმი, ანუ ბიბლიის გარდათქმა-განმარტება შესულია „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში". მასშია ჩართული ბიბლიური დეკალოგი. თქმა არ უნდა, რომ ქართული დეკალოგი ბიბლიური დეკალოგის გათვალისწინებითაა შედგენილი, ოღონდ, ვფიქრობთ, არა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორმა, არამედ უფაღლოდ ბიბლიის მიხედვით, რადგან ეს ნაწილი „ნინოს ცხოვრებისა" უნდა იყოს ძალზე ძველი, „ევსტათის მარტვილობაზე" ადრინდელი.

ამ დეკალოგში ძალზე ხშირია სამსიონერო-სამქადაგებლო მოწოდებანი; თითქმის ყოველ პუნქტშია ეს. ცხადია, დეკალოგის ამნაირი ხასიათი განპირობებულია ნინოს მოღვაწეობის მისით, მაგრამ ეს სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო ქართველ ბერ-მონაზონობისთვისაც. მათი მოღვაწეობა უმეტესწილად აქტიური, სხვათა ცხოვრებაში სიკეთის შეტანითაა აღბეჭდილი და არ იფარგლება მხოლოდ მკვრეტელობით.

ნუ გაგვიკვირდება, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ქართულ დეკალოგზე, რადგან ძველთაგანვე აღნიშნავდნენ, რომ არსებობსო ქართული დავითნი, ქართული სახარება, ქართული წელთაღრიცხვა (კ. კეკელიძე). ერთი ვარაუდიცაა: მცხეთასთან ქართველთა სიმბოლური „სინას მთის" არსებობა (რომელიც ზედაზნეში შეიძლებოდა დაენახათ), გაამართლებდა ქართულ დეკალოგს (მიუხედავად იმისა, რომ „ქრონოლოგიურად" ისინი დაშორებულნი იყვნენ: დეკალოგი ნინოს მიეწერებოდა, სინას წარმოდგენა კი იოანეს მოსესებურ საქმიანობას. საბოლოოდ მაინც ამ ფაქტებს შორის ღრმა კავშირები მყარდებოდა).

ამრიგად, ქართული ქრისტოლოგიის საფუძვლებს ქმნიდნენ:

„ნინოს ცხოვრება" და, კერძოდ, მასში შეესული დეკალოგი, ქართული თარგუმი „ევსტათის მარტვილობიდან" და ბერ-მონაზონული ცხოვრების საფუძვლები — „სწავლანი" იოანე ზედაზნელისა.

III. 4. ამასთანავე, და ეს არანაკლები მნიშვნელობისა ჩანს, იოანე ზედაზნელის ე. წ. „სწავლანი" უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი ტრაქტატი, რომელიც შეიცავდა დიოფიზიტურ პრინციპებს: თუ ითქმეტ მამათა ძირითადი მიზანი ანტიმონოფიზიტური მოღვაწეობა იყო, მოსალოდნელია, რომ მათ ექნებოდათ შესაფერისი „პროგრამა" და მისი შედგენა იოანე ზედაზნელს შეეფერებოდა. ანტიმონოფიზიტობა ანტიმაზდეანურ პოლემიკასაც გულისხმობდა. ამაზე უფრო დიდი მისია არ იდგა მაშინდელ ქართველ მოღვაწეთა წინაშე და, ბუნებრივია რომ სწორედ დიოფიზიტური დოქტრინა დაეცვათ ათეკმეტ მამებს, როგორც დიდი ხნის წინათაც ამტკიცებდა გ. ფერაძე და მას ემოწმებოდა ი. ჯავახიშვილი (ტ. I, 1979, გვ. 418) და დღეკანდელი სპეციალისტებიც (ზ. ალეკსიძე), რაც თანდათან მეტსა და მეტ დამაჯერებლობას პოვებს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საპირისპირო თვალსაზრისიც (ქ. კეკელიძე).

III. 5. ზოგადეთიკური შეგონებათა შემდეგ „სწავლანი" შეიცავს: ვერცხლისმოყვარეობის, სიმდიდრისა და უძღებების გმობას. დავიცვათო „ჯუარი მარხვისა", რომ ჩვენგან განრიდებული იყოსო „ეკლოვანი ესე კუეყანაჲ".

„სწავლათა" ერთი ადგილი აგებულია ძველთაძველ შეგონებაზე: „ნუ ფიალოობით ფვინითა, რომელითა არს სიბილწე" (ეფეს. 5, 18). ამ შემთხვევაში ქართველ ავტორს ლიტერატურულ წყაროდ შეიძლებოდა გამოეყენებინა როგორც იოანე ოქროპირიძის შესაბამისი ნაწარმოები, რომელსაც მიმართვდნენ ხოლმე ქართულ მწერლობაში, კერძოდ, იოანე ბოლნელი (რ. ბარამიძე). ასევე შეიძლო გამოეყენებინა ბასილ კესარიელის „მოთმრალთათვის" (იხ. ც. ჯორკაკიძის გამოცემა, თბ., 1983, გვ. 179-189).

მიუხედავად რამდენიმე საგულვებელი წყაროს არსებობისა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ბასილის ერთი საკითხავი, რომელიც განმარტავს მოხე წინასწარმეტყველის სიტყვებს „ეკრძალე თავსა შენსა" (იგავ. 9, 2).

საქმე ისაა, რომ ეს მოთხოვნა — „ეკრძალე" წარმოადგენს გამოხატულებას ქრისტიანული ადამიანთმცოდნეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპისა, რომ ადამიანმა დაიცვას თავისი თავი, თავისი ადამიანური ბუნება, განერიდოს უკეთურებას. აკ იგულისხმება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ: ადამიანს მინიკებული აქვს თავისუფლება, ე. ი. ის არ არის ყოველთვის განსაზღვრული. ამიტომ მან თვითონ უნდა შექმნას და შეინარჩუნოს თავისი თავი. ეს პრინციპები სხვა მხრივ უკავშირდება ადამიანის ორგვარი ბუნებისა და ორგვარი ნების საკითხს, რაც იქვე, ქვემოთ ვლინდება ამ ე. წ. „სწავლანში".

„სწავლანში" წერია: „არსებანი ვართ უკუდავად და განუკარვებელად დაბადებულნი, უფროის ყოველთა დაბადებულთა ხილულთა პატივცემულნი არსებანი დაუსრულებელითა და ამისთვის ჯერ-არს, რაითა თავი თვისნი დავიცვნეთ და ვეკრძალნეთ მერმისა მისთვის ცხორებისა" (გვ. 32, ა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია, სიტყვა-სიტყვით დამთხვევა ნაკლებად გვხვდება, მაგრამ აზრობრივად ზემოაღნიშნული მსგავსებაც ბასილის „სიტყვას". ყოველივე უფრო მეტად ითქმის „სწავლათა" მომდევნო ადგილთა შესახებ:

„მცირესა კაცებასა ჩუენსა კუალად ვრცელი ესე სოფელი დაბადა და უმეტეს მისსა სულითა მეტყუელითა და გონიერითა ადიდა იგი, რამეთუ მისცა მას აღსრულებანი დასაბამიერი და დაუსრულებელი სული უკუდავი. და ამით ჯერითა მოგუეახლა ჩუენ, ანგელოზთასა მას ბუნებასა, და ერთ კერძო იგი ჩუენი მსგავსი ცხოველთა მათ განჭარვებადთაი. და არა არს კაცი იგი ანგელოზ, არცა პირუტყუ, არამედ შორის მათსა" (გვ. 32, ა).

ბასილთან ვკითხულობთ:

„ხად დამბადებელისა ღმრთისა ქმნილ ხარ და უკუეთუ გენებოს, ძალ-გიც ანგელოზთა პატივსა მიჭუთომაი" (გვ. 26).

„ეკრძალე უკუე თავსა შენსა, რამეთუ ერთი იგი ნაწილი სულისა შენისაი სიტყვიერი არს და გონიერი, ხოლო მეორე იგი ვნებული და უსატყუოი" (გვ. 28).

ძნელი არაა საერთო დავინახოთ ბასილის ამ სიტყვასა და „იოანე ზედაზნელის ცხოვრებას" შორის (წყაროებად სხვაცაა საგულვებელი, მაგალითად. გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვის" და სხვანი). მაგრამ ამჯერად ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ ერთ გარემოებას: ამ ე. წ. „სწავლათა" ერთ-ერთი უმთავრესი თემაა ადამიანის ორგვარი ბუნებისა და შემდეგ ორგვარი ნების ჩვენება, რაც ზემომოყვანილ ადგილებთაც ჩანს და შემდეგ კიდევ უფრო ღრმავდება. ცხადია, ამით ვანმიმარტება ღვთაების ორბუნებრიობა, ე. ი. დიოფიზიტური დოქტრინა და გვეძლევა ანტიმონოფიზიტური პოლემიკის რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძველები. რასაკვირველია, ანტიმონოფიზიტური პოლემიკა მიმართული იყო არამართლმადიდებლური აღმსარებლობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო სწორედ ამისი ანტიმაზდეანური მიზანდასახულობა, ანუ ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ.

III. 6. სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შეხწავლის შედეგად ი. ჯავახიშვილმა მთელი სიღრმით წარმოაჩინა, რომ ისევე როგორც სხვაგანაც, ამიერკავკასიაშიაც სპარსეთი კატეგორიულად უბერდა მხარს მონოფიზიტობას. კონსტანტინეპოლში დიოფიზიტობა იყო. მონოფიზიტობა თავისი ბუნებით ქრისტიანობაში აღმოსავლურ ტენდენციებს გამოხატავდა და არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ყველაფრით: საერთო მსოფლალქმით, კულტურული ტრადიციებით. საქართველოში სპარსელთა ზეგავლენის ერთ-ერთი არსებითი ხაფუძველი მონოფიზიტობა იყო.

ამას თავისებურად აირეკლავს „სწავლათა" ფილოსოფიური განსჯანი:

„გონებაჲ გამომავალ არს ორთა მათ შორის ბუნებათა შერეულთა და იგი არს განმგებელ" (გვ. 32, ა).

„გონება განმგებელი იმისა, თუ საით მიიდრეგოს ადამიანი — სულისკენ თუ ხორცისკენ. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ გასარკვევია: რას ნიშნავს აქ „გონება"? ცხადია, აქ გონება არაა წმინდა სულიერება, რადგან იგი „გამომავალია" ორივე ბუნებიდან. ბასილ დიდის იმავე „სიტყვაში" აღნიშნულია: „უმეტესნი ცოდვანი გონებითა აღსრულებანიაო" (გვ. 20, 11). გონება განსჯაა, ისაა „ფიქრი, მიჩნევა, ზრახვა: „მოგონება", „გულის-ზრახვა" (ილ. აბულაძე), ხან გონება გულისხმობს „გულს" (იქვე, ლექსიკონში). უფრო მაღალმდგომი უნდა იყოს „სული", თავისი ზოგადი მნიშვნელობით: „კოსმიური სული", „სული წმინდა" („სულს" გააჩნია სხვა უფრო კონკრეტული მნიშვნელობაც: „სუნთქვა" ანდა ინდივიდუალური სული. (შდრ. ნ. ბარათაშვილი, ვისთანაც ასევე ორგვარი სულია: ერთი „კოსმიური" — „სული ბოროტი" და მეორე კონკრეტული — „სული ობოლი"). აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ დროს ხშირად ასეთი ზეადამიანი იერარქია არსებობდა; „სოფელი" — სული — გონი (ა. ლოსევი, პროკლეს „ადაშვრთა" რუსული თარგმანის ბოლო-სიტყვაობა).

III. 7. ქართული წარმოდგენითა და შეხებამისი სიტყვაბმარებით ყველაფერზე მაღლა დგას სული, ხოლო მას მოუვდება და ემორჩილება გონი. გონი ნებელობის განმსაზღვრელია.

კვლავ მივუბრუნდეთ საანალიზო ტექსტს:

„ორნი ნებანი ერთიერთისა წინააღმდგომნი გვკონან, ვითარცა მოციქული იტყუის: „ხორცთა გული უოქვამს სულისათვის და სულსა— ხორცთათვის და მზდომ არიან ურთიერთას" და კუალად იტყვის: არა რომელი მე მნებავს მასა, არამედ რომელი-ინა მძულს, მას ვყოფ... აწ უკუე არღარა მე ვიქმ, არამედ რომელი-იგი იყო ჩემ თანა დამკვიდრებულ არს ჩემ თანა ცოდვა" (გვ. 34, ა).

ე. ი. სული ეწინააღმდეგება ხორცს და ხორცი სულს. მაგრამ სული ვერ იქნება ხორციელი ბუნების გარეშე, მათ შორის გაუთიშველი კავშირია. სულსა და ხორცს შორისაა გონება, რომელსაც მართებს ადამიანი მიდრეკოს სულისკენ. გონება ინდივიდუალურია და ამიტომ ეს პრობლემა ყველას წინაშე ინდივიდუალურად დგება. მაგრამ ადამიანი აკეთებს ისეთ რაიმეს რაც მას არა ხურს. როგორც ჩანს, მაშინ ეს ასე გაიაზრებოდა: მე არ ვაკეთებ ამას, ამას აკეთებს ჩემში დამკვიდრებული „სხვა". ეს

„სხვათა“ ცოდვილი ბუნება; მე, ვხედავო „სხუასა სჯულსა ასოთა შინა ჩემთა“. „მე ვხედავ“ გულისხმობს, რომ „მე“ განერიდება „სხვას“, „მეს“ სურს ავტონომია, სურს სხვა ნება იგულვოს თავის თავში, სხვას გაუტოლდეს. ეს ნიშნავს: რაც არ უნდა უკეთურებამ მოიცვას ადამიანი, მან მაინც უნდა დაიტოვოს თავის თავში ისეთი რამ, რაც უკეთურებას განერიდება და ეს აქციოს თავის კეშმარიტ „მედ“.

„ხედავ, ვითარ განცხადებულად გვითხრობს ჩუენ მოციქული ორთა მათ ნებათა ურთიერთისა წინააღმდგომთა“, — მიმართავს იოანე ზედაზნელი თავის მოწაფეებს (გვ. 84, ა). მომავალ ბერ-მონაზონებს ყოველივე ეს უნდა გადაეცეოდათ ფსიქოლოგიური იმპულსად მარტორობაში შინაგანი ძალისხმევისთვის. ეს რომ ასეა, ჩანს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ (თ. VII), სადაც განხილულია მოციქულის ზემომოყვანილი სიტყვები. (ბალაბ. 5,17): „ხორცთა გული უთქვამს სულისათვის“ და სხვანი. მერჩულე საკითხის განხილვისას, როგორც გამოირკვა, ემყარება იოანე ოქროპირს, რაც კიდევ უფრო ამყარებდა ამ პრობლემას. იოანე ზედაზნელის „სწავლანში“ განხილული საკითხისადმი გიორგი მერჩულის შეხმიანება, ცხადია, შემთხვევითი არაა. ეს კონკრეტულად მიგვითითებს, რომ მას სახელმძღვანელო მნიშვნელობა შეიძლებოდა მინიჭებოდა.

ასე რომ, ორგვარი ნების პრობლემის ზემოადნიშნული სახით გაჩენა დიოფიზიტური დოქტრინის დამკვიდრების მიზნითაა მოწოდებული, ამიტომ განსაკუთრებით აქტუალური ჩანს VI საუკუნეში, ანტიმონოფიზიტური და ანტიმაზდეანური თვალსაზრისით. ამიტომ ყოველივე ეს იმთავითვე ქართული სამონასტერო იდეოლოგიად უნდა გამიზნულიყო. ამისი ქადაგება კი უპირველესად იოანე ზედაზნელს მოეთხოვებოდა.

III. 8. იოანე ზედაზნელის „სწავლანში“ მომთვრალეთა განქიქება უკავშირდება აგრეთვე მოსიდან მომდინარე ზემოადნიშნულ იდეას. ბ და ბ რედაქციებში ერთნაირადაა: „განვეკრძალნეთ ყამის მისთვის საზარელისა“, იქვე, 32 ბ, 33, გ).

ნუ მივეცემით მომთვრალეობას და ნუ შეგვაცდენს საკუთარი ბუნება; მარტო წარმავლობა კი არ ვართ, ჩვენში უკვდავი სულიერებაც არისო („ნუ მცირე გიჩნს თავნი თქუენნი, ვითარცა წარმავალთა და განკართებადთა...“ არსებანი ვართ უკუდავად და განუკარვებლად დაბადებულნი უფროის ყოველთა დაბადებულთაო“. გვ. 32, ა). გ რედაქციაშიც მომთვრალეობის განქიქება უკავშირდება სულის ხსნის იდეას.

ა რედაქციაში მას მოჰყვება ადამიანის ორგვარი, სულიერი და ხორციელი ბუნების განმარტება. ერთი სიტყვით მომთვრალეობისაგან განერიდება სულის გადარჩენაოო, — ასეთია ძირითადი ხათქმელი.

ამას იმიტომაც ალვნიშნავთ, რომ ეს შეიძლებოდა დაკავშირებოდა მარტვილიის ანუ სულთმოფენობის გააზრებას. სულთმოფენობა, იგივე მარტვილია (ცხადია, სულ სხვაა მარტვილობა) საერთოდ ამქვეყნად და კერძოდ ადამიანების სულში სული წმინდის შესვლას გულისხმობს. ასეთი რამ ყველას უნდა ეროგოს სულის განსაწმენდელად. მომთვრალეობა კი სულს ამღვრევს და მომთვრალის სულში მარტვილიის ფამს სული წმინდა ვერ ჩასახლდება იმიტომ, რომ ადგილს ვეღარ პოვებს. თუ ასეთ იდეას მართლაც ეხმაურება ქართველი ავტორი, მაშინ ის უფრო ბასილი დიდის საკითხავს უნდა ემყარებოდეს, სადაც ნათქვამია: „ვითარ შეგიწყნარნეს თქუენ მარტვილიამან, რომელთა — იგი ალვსებაჲ ესრეთ უხმარ მყავთ? რამეთუ მარტვილიასა საკმეტ აქუს სულისა წმიდისა მოსვლით გამოცხადებულნი, ხოლო შენ წინაითვე უსწრობ და დაამკვიდრებ შენს შორის სულსა მას არაწმიდასა და იქნები ტაძრად კერპთა“ (ც. ქურციკიძის გამოც. გვ. 188).

სხვაგან, მარტვილიისადმი მიძღვნილ საკითხავში, ღვინო და ვენახი ახალ სჯულსა და სულიწმინდას უკავშირდება. მხედველობაში გვაქვს კირილე იერუსალიმელის საკითხავი, რომელიც „სანურ მრავალთავში“ შედის.

მოციქულებისადმი სული წმინდის მოფენაზე აქ ნათქვამია: „ახალ იყო ნამდვილივე ღვინოჲ იგი და ახალ — ჴჯულისა მადლი, არამედ ახალი ღვინოჲ ცნობადისაი მის იყო ვენახისაი, რომელმან-იგი მრავალი ნაყოფი გამოიღო წინასწარმეტყუელთა თანა და ახალსა ჴჯულსა აღმოსცენდა, ვითარცა ვენახი ესე სჯმელი მარადის იგი ვენახი არნ, არამედ ყამად-ყამად უახლეესი ნაყოფი გამოიღოს, ეგრეცა სულმან წმიდამან“ („სინური მრავალთავი“, გვ. 188).

ამიტომაც საკმაოდ ფართოდაა მსჯელობა ორგვარ ნებაზე და ორგვარ ბუნებაზე, პირველადამის რაობაზე და „მეორე ადამზე“ (...მეორე ადამ, ბუნებითა მით პირველისა მის ადამისათა თვინიერ ხოლო ცოდვისათა“. 37, ა). მაგრამ ზემორე თვალსაზრისით, ხორციელი ბუნების დაცვის მიზნით, განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი ნათქვამი: არსებობსო „მრავალნი შრომანი კეთილნი, რომელნი თვინიერ ხორცთასა ვერ შეძლებელ არიანო“. (36, ა).

როცა უშუალოდ ლოგიკურად არ გრძელდება ეს აზრი, იგი სხვაგვარადაა გაძლიერებული, კერძოდ, თვითგანმაცნობიერებელი წიალსვლებით. აქ ნათქვამია, რომ ადამიანი არ უნდა დაემორჩილოს ქვედამზიდველ ძალებს. ეს გამოცხადებულია კრძალვის, თუ განერიდების კიდევ ერთ გამოვლინებად. და ამ კონტექსტშია ნათქვამი: „ვიცი, რაჲსათვის ვარ“ (გვ. 36, ა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ჩვენ კვლავაც დავუბრუნდებით ვარაუდს, რომ ყოველივე ეს თვით ი. ზედაზნელს ეკუთვნის, „სწავლათა“ ტექსტში თვითშემეცნების ფრიად ღრმა ფორმა უნდა დავინახოთ. ავტორი გადმოცემს ქრისტიანული ანთროპოლოგიის არსებით საკითხებს, მათ აკავშირებს ღვთაების ორბუნებრიობასთან და ამაზე მოფიქრალი პიროვნება აცნობიერებს: ვიცი, რაჲსათვის ვარ, განღმრთობა („ჯერ-არს ჩემდა, რაითა აღვიდე ღმრთისა ჩემისა საქმეთა“) და კრძალვა-განრიდება, — ასეა გააზრებული ცხოვრების მიზანი.

„მეს“ თვითგაცნობიერება აქ საკმაო სიღრმეს აღწევს. თავისებურია თვით აზრთა დინება. ცნებები „გაადამიანურებულია“, რაც მათ შთამბეჭდავობას ზრდის. ცხოვრების ბორკილი გააზრებული ვითარცა „მტერი მხიარული და მოყვარე ცრუ“ (გვ. 36, ა).

დასასრულ, წარმოვადგენთ რამდენიმე დასკვნას, მათ შორის, ზოგიერთს სავარაუდოსაც:

1. იოანე ზედაზნელის საქმიანობა, მისი „ცხოვრების“ მიხედვით, წარმოგვიდგება მოციქულებრივ ღვაწლად და წმ. ნინოს მოღვაწეობის გაგრძობად. იოანე ზედაზნელისა და, საერთოდ, ათცამეტ მამათა მოღვაწეობის ხასიათი უნდა განისაზღვროს ქართლში 532 წ. სპარსელთა მიერ მეფობის გაუქმების შედეგად შექმნილი ატმოსფეროთი. ათცამეტ მამათა ანტისპარსული ე. ი. ანტიმაზდეანური მოღვაწეობა ანტიმონოფიზიტურ პოლემიკაშიაც ვლინდებოდა.

2. „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ შესავალში „სიტყვისა“ და მიზეზ-„მიზეზოვანის“ ჭეშმარიტების განხილვა IV-VI სს-ის ნეოპლატონურსა და პატრისტიკულ იდეებს უახლოვდება. პირველარსის მრავალი სახით მოაზრება (ფილოსოფიური, სახისმეტყველებითი თუ თეოლოგიური) და ასევე ადამიანის ბუნების, განმარტებანი დიოფიზიტური იდეების განმტკიცებას ემსახურება.

3. იოანე ზედაზნელი წარმოსახულია სიმბოლურ-ემბლემატურად. მისი ემბლემური იერსახეებია: მოსე, იოანე ნათლისმცემელი და იოანე ღვთისმეტყველი. მოსესთან დაკავშირება იოანეს სახისა გვავარაუდოვნებინებს, რომ შეიძლება ზედაზენი ქართველთა სინად გაეაზრებინათ მცხეთასა და მის შემოგარენში უკვე არსებული ბიბლიური სიმბოლური ტოპონიმების კვალობაზე.

4. „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ტექსტის სტრუქტურულ-შინაარსობლივი ანალიზი და „დავით გარეჯელის ცხოვრების“ ცნობა საფუძველს გვაძლევს „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ჩართული მოწაფეებისადმი მიმართული სწავლა-დამოძღვრა თვით იოანეს ნაწარმოებად ჩავთვალოთ. ეს „სწავლანი“ შეიცავს სამონასტრო მოღვაწეობის ერთგვარ „პროგრამას“. იგი გვერდით უდგას ქართული ქრისტოლოგიის ისეთ საფუძვლებს, როგორიცაა „ნინოს ცხოვრებაში“ ჩართული ქართული დეკალოგი და „ევსტათის წამებაში“ მოცემული ბიბლიის თარგუმი.

მარინა თაბუკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალიზმი ქართული წარმართოვნის ხელოვნებაში

სიძველეთა შემსწავლელ მეცნიერებათაგან ხელოვნებათმცოდნეობას აქვს გამორჩეული საშუალება და ვალიც. მოიძიოს და წარმოაჩინოს ყველაზე ფაქიზი და მოუხელთებელი, ამავე დროს ურყევი, მტკიცე და მუდმივი მახასიათებელი თავისი საგნისა. ხელოვნების ყოველი ძეგლი, მით უფრო კი, ეროვნული ხელოვნების გზა, ამ გზაზე ფორმათა ცვალებადობის წესი, აღიბეჭდავს სამყაროსადმი მიმართების რაგვარობას, უნიკალურს — ეროვნულ მსოფლგანცდას, რომლის გაცნობიერება დღეს საგანგებოდ მნიშვნელოვანი ამოცანა გახდა. ზოგი რამ, ამ ამოცანის დასაძლევად საკურადღებო, მოგვცა ქართული ქრისტიანობამდელი ხელოვნების ერთი დარგის — ბრინჯაოს ქანდაკების კვლევამ.

ჩვენი ერის მეხსიერება ბუნდოვანდება, წყდება და იკარგება ქართული ქრისტიანობის საწყისებთან, რადგან აქ იგულისხმება მწერლობასა და ეკლესიას დაფუძნებული მთელი ქართული, ჩვენთვის თვალსაჩინო კულტურის საწყისი. საქართველოს ქრისტიანობამდელი, არქეოლოგიური წარსული კი თითქოს სრულიად სხვა შინაარსს გულისხმობს და ამიტომ ადამიანს, რომელიც თავს ქართული კულტურის მემკვიდრედ თვლის, უშრის გაორება და გასხვისება. ეს ცხადია, სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენს მიწაში მოპოვებულ წინარე ისტორიის განძს ქართული კულტურის ნაშთად არ ვაღიარებდეთ. ოღონდ, ჯერჯერობით, წარმართული კულტურის ძეგლები არ „მუშაობენ" ჩვენი თანამედროვეობისთვის, თუმც ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული საქართველოში.

ჩვენი ქრისტიანობამდელი ხელოვნების გააზრებას მკვიდრი საფუძველი აქვს: ქართული არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მიღწევები და ქართული სახელოვნებათმცოდნეო სკოლის მონაპოვარი. იგულისხმება ისიც, რომ წარმართული ხელოვნების შესწავლისას ქართული ქრისტიანული ხელოვნების კვლევის უზოგადესი შედეგების გათვალისწინება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი სახელოვნებათმცოდნეო სკოლის მეთოდის მომაჯვენება. წინამავალი რომ განსაზღვრავს მემკვიდრეს, ეს ცხადია, მაგრამ ხდება პირიქითაც — ცნობილმა ბევრი რამ უნდა გვითხრას თავის წინამორბედზე. სინამდვილეში ხომ კავშირები არ წყდება, არაფერი ქრება უკვალოდ თუნდაც ისეთი მძაფრი გარდატეხისას, როგორადაც ჩვენი დროის თვალთახედვით ალმსარებლობის შეცვლა ჩანს.

ბრინჯაოს ქანდაკება სახვითი ხელოვნების მთავარი სფეროა ქართულ წარმართულ კულტურაში. ეს მოვლენა დაახლოებით 2000 წლით აძველებს ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიას (ქართული წარმართობის პლასტიკის უძველეს ნიმუშებად, დღემდეგობით, უნდა ჩაითვალოს ცხოველთა ბრინჯაოს გამოსახულებები ბრილის უძველესი, XVIII-XIV საუკუნეებით დათარიღებული სამარხებიდან). ასეთი განცხადება, ცხადია, გულისხმობს იმასაც, რომ ქართული ქრისტიანობის თავდაპირველ ნიმუშებში დაკვლეულია ბრინჯაოს პლასტიკის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება: ქანდაკების ფუნქცია, თემატიკა, მხატვრული პრინციპები — გარდამავალია. საწყის ეტაპზე გარდამავალია თვით შინაარსიც, ახლებურად გააზრებული.

ქრისტიანობამდელი ბრინჯაოს ქანდაკების შინაარსის ახსნა დღეს რთული ამოცანაა. აქ არის მეტისმეტად ბევრი უცნობი, ათასწლეულთა მანძილზე დაკარგული ცოდნა. ასე რომ, ბევრი რამ, კონკრეტული, სრულებით აღუდგენელია, ზოგიც — ჯერჯერობით აღუდგენელი. მაგრამ მასალა თავად გვკარნახობს კვლევის პრობლემებს, მიმართულებას, ტერმინოლოგიური სახელდების წესს, შეფასების კრიტერიუმს, აღადგენს ქართულ ენაში დალეკილ ზიარი დროის მეხსიერებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართული წარმართობის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ქართული ქრისტიანობის გადასახედიდან.

ბრინჯაოს ქანდაკების თემაა ცხოველი და ფრინველი, უფრო აშვიათად — ადამიანი. ჩვენი შესწავლის საგანი სწორედ ცხოველ-ფრინველის გამოსახულებები იყო. მთავარი, რაც ამ მასალის შესახებ უნდა ითქვას, საყოველთაოდ ცნობილია — ესაა რელიგიური ხელოვნება. მაგრამ ჩვენ აქ ვეულისხმობთ არა მხოლოდ თემატიკის კავშირს უძველეს ქართულ რელიგიურ წარმოდგენებთან, არამედ, პირველ ყოვლისა, ის გვნდა ვთქვათ, რომ ნაკანდაკევნი ქართველ წარმართთა რიტუალის აუცილებელ წილს წარმოადგენდნენ. ისინი მონაწილეობდნენ რიტუალში, როგორც, ვთქვათ, ხატი — ქრისტიანულ ეკლესიაში წირვისას, სადაც სხვადასხვა ხელო-

ვნებები — ხუროთმოძღვრება, მონუმენტური ქანდაკება, მონუმენტური ფერწერა, მუსიკა, წიგნი და სხვა ერთიანად ქმნის რიტუალს და მხოლოდ ეს ერთიანობა არის შესაფერისი რელიგიური ქმედება. ამ ნაწილების შესწავლისას ერთიანობის გათვალისწინება ისევე ბუნებრივია, როგორც შემჩნისას — სინთეზის წესით ნაგულისხმევი მხატვრული და ფუნქციონალური ურთიერთკავშირი. არ უნდა დავიიწყოთ ისიც, რომ სინთეზის სიმტკიცის ხანაში ფორმის მხატვრული სახე და რელიგიური მნიშვნელოვნება, ანუ მხატვრული ფორმის აუცილებლობა რიტუალში, მაქსიმალურად არის ერთმანეთს მიახლოებული. ამის გამო რიტუალის მონაწილე მხატვრული ფორმის ანალიზი ბუნებრივად გადაიზრდება იმ მსოფლგანცდის კვლევად, რომელმაც კონკრეტული საკვლევი ფორმა, როგორც სარიტუალოდ აუცილებელი, გამოიწვია. მსოფლგანცდის ცვლილებადობას ახლავს სტილის ცვლილებადობაც მასზე დამოკიდებულ ხელოვნებაში და პირიქით — მხატვრული სტილის სტაბილურობა, მაგალითად, ქართული წარმართობის ქანდაკებისა, მსოფლმხედველობის მოდელის მდგრადობისა და. ამასთან დაკავშირებით, შეთანხმების სიმტკიცის წარმოდგენას გვავალდებულებს.

ქრისტიანული სინთეზის დაშლა, შეთანხმების კრიზისთან დაკავშირებული, კულტურის ისტორიაში აღორძინების სახელით სწორედ იმიტომ აღინიშნა, რომ მან გამოიწვია ხელოვნების, როგორც სულიერების მსაზურის, მნიშვნელობის ზრდა რწმენის შესუსტების საპირისპიროდ. რენესანსიდან მოყოლებული, ჩნდება და სულ უფრო იზრდება მხატვრული ფორმის შემქმნელისა და აღმქმელის პიროვნული პასუხისმგებლობა. თუკი სინთეზის სიმტკიცის ხანაში ავტორი იყო ოსტატი, ჩვეულებრივ, უსახელო, ახალ დროში იგი, ინდივიდუალური მხატვრული სტილის მფლობელი, შემოქმედი ხდება (ეს, ცხადია, არ ნიშნავს, თითქოს ოსტატს არ გააჩნდეს შემოქმედების უნარი, შემოქმედს კი ოსტატობა აკლდეს). შემოქმედს, საკუთარი სულიერი ცხოვრების ხარჯზე, ხელახლად აქვს მოპოვებული მიმართება ჭეშმარიტთან და ამ მოწაპოვრის გაზიარებისას, ანუ ფორმაქმნისას, ხილულ სამყაროს, როგორც მასალას, სულ უფრო და უფრო თავისუფლად ეპყრობა.

ასეთი დაშლა-კომპენსაციის მიზეზი, რაღა თქმა უნდა, ცხოვრებისეულია — იცვლება ხალხის დამოკიდებულება ზეყოფით სფეროსთან. ამ ცვლილებაზე ხელოვნება, რომლის თავდაპირველი და ძირითადი ვალი სწორედ ამ დამოკიდებულების სამსახურია, ახდენს სწრაფ და უტაუარ რეაქციას, თუ შეიძლება ითქვას, იქერს ადგილს იქ, სადაც სიცარიელე რჩება.

სინთეზის სიმტკიცის ხანაში ხელოვნება მთლიანად ეფუძნება საყოველთაო და ერთსულოვან შეთანხმებას. ყველასთვის ცნობილია საღვთო წერილი, ქრისტეს ისტორია, წმინდანთა ღვაწლი. მთავარი კი ისაა, რომ რწმენა სრულად და ეჭვმიუტანელია. ფასეულობები საყოველთაოა. ხელოვნებას არ ეკვლება მტკიცება თვალხილული და ხელმესახები ქვეყნიური დეტალის შემოტანით. შეთანხმების საგანი — იგივე გაზიარების საშუალება, ხილული ბუნებისმიერი კი არ არის, უხილავის ბუნებაა.

თანამედროვე ხელოვნებას, რომელმაც შეთანხმების ქვეყნიური საგანიც დაკარგა და გონითა და ინტუიციით უხილავის ბუნების მოხელთებას ესწრაფვის, ახლავე სჭირდება შესწავლა და ახსნა. სინთეზისგან განუყოფელი მხატვრული ფორმის აღქმა კი უშუალოა, რადგან მის შინაარსს, როგორც საკუთარ რწმენას და ცოდნას, მრევლი თავად ატარებს. მხატვრული ფორმა, ნიშნამდე დაყვანილიც კი, გამომსახველია, ვინაიდან აღქმისას აღდგება მასში ნაგულისხმევი შინაარსი. ასე რომ, მხატვრული ფორმა თავის შინაარსს უფრო გულისხმობს, ვიდრე მოიცავს, შინაარსი მის გარეთ არის, ხოლო ადექვატური აღქმა საყოველთაო შეთანხმებით არის უზრუნველყოფილი.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობა უნდა წარმოვიდგინოთ ბრინჯაოს ქანდაკებისთვისაც, ოღონდ, ქართული კულტურის ამ ეტაპაზე, ხელოვნების წილი სინთეზში შეცირებულია. ორსავ რელიგიის წიაღში სრული ზემოქმედება, უფრო ზუსტად კი, სრული საღვთისმსახურო აქტი, არის ის მთელი, რომელშიაც ხელოვნებას თავისი აუცილებელი წილი უდევს. ალბათ, არ შევცდებთ, თუ ამ მთელს, სინთეზის შედეგს, მოვიხსენიებთ, როგორც მონუმენტურს. აქვე შეიძლება განისაზღვროს მონუმენტური. როგორც საგანგებო მნიშვნელოვნება, რომელიც, საყოველთაო შეთანხმების საფუძველზე, უშუალო აღქმას გულისხმობს. აღქმის უშუალობა, ანუ რელიგიური ხელოვნების ნაგებობით ადექვატური აღქმა, ცხადია, ნიშნავს ადამიანის რიტუალში მონაწილეობას.

დღეს ადექვატური აღქმა გაშუალებულია როგორც ფორმის თვისებით — ფორმის მეზობიერებით (იგულისხმება, პირველ ყოვლისა, დაძველება, ნგრევა-განადგურების კვალი — დროითი დისტანციის ანაბეჭდი), ასევე ადამიანური ღირსებით — მზადყოფნით, თუნდაც, აღქმის აუცილებლობის გაცნობიერებით. ასეთი ხიდი-ბის შემწეობით საყოველთაო შეთანხმების საფუძველზე გაჩენილი მონუმენტური ფორმა ინარჩუნებს თავის თვისებას როგორც გარდუვალ ფასეულობასთან მაზნიარებელ დანიშნულებას. უშუალო აღქმის შესაძლებლობას მხატვრული ფორმა ოავად მოიცავს, როგორც სტილისტურ მახასიათებელთა ერთობლიობას,

ხოლო მაზიარებელი როლი სინთეზში თემატიკით არის განსაზღვრული.

ბრინჯაოს ქანდაკების თემატიკა, აგრეთვე, მოიცავს რელიგიურ მნიშვნელოვნებას, მაგრამ მისი როლი სინთეზში, სწორედ თემატიკასთან დაკავშირებით, მოკრძალებულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — თუკი ქრისტიანულ ფერწერაში, მაგალითად, თავად მხატვრულ ფორმასაც, სინთეზისგან გამოცალკევებით, მონუმენტური მნიშვნელოვნება აქვს დაკვლეული, ბრინჯაოს ქანდაკება, თავისთავად და დამოუკიდებლივ არ ატარებს ამ თვისებას (თუმცა, მშვენივრად „იტანს" გადიდებას); ფოტოგამოსახულებათა ეკრანზე პროეცირებისას, მაგალითად, ძნელია კია ქანდაკების მცირე ზომათა წარმოდგენა). სანაცვლოდ, იგი ატარებს მონუმენტურთან წილადრის უტუფარ ნიშანს. გავიხსენოთ, რომ მონუმენტური ქრისტიანობაშიაც არ ემთხვევა მთლიანად და სავსებით არა თუ სინთეზის ცალკეულ წევრს, არამედ თვით ხელოვნებათა სინთეზსაც. მიუხედავად ამისა, წილი, რომელიც შესაფერისია მთელისა, თავადაც მოიცავს მასთან ზიარ თვისობრიობას, არა მარტივად (ინფორმაციას მის შესახებ), არამედ ნამდვილად — როგორც მთელის სრულებით აღდგენის შესაძლებლობას. აქ, ცხადია, ის კი არ იგულისხმება, რომ დღევანდელი არქიტექტორი მუზეუმში დაცული ფრაგმენტის მიხედვით აღადგენს განადგურებულ ტაძარს, არამედ უფრო მეტი, რომ ადამიანს შეუძლია აღადგინოს შესაფერისი სულიერი მუზტი, ეს შესაბამისობა კი გაამყდავნოს ახალი, თანამედროვეობისათვის აუცილებელი ფორმით.

ჩვენში ხელოვნების ისტორია ძალზე ხანგრძლივ, თითქმის XVIII საუკუნემდე სინთეზის ისტორიაა და, ბუნებრივად, ქართულში უმაღლესი შეფასება გამოთქმის სიტყვით „შვენიერ", რომელიც ნიშნავს სწორედ შესაფერისობას წილისა მთელის მიმართ. თითქმის იგივე შინაარსის მომცველია წარმართული რიტუალის ერთი შემადგენელის სახელი — „საკადრისი". ამ კონტექსტში ქართული ხელოვნების აღიარებული ნიშანი — უბრალოება — უფრო ცხადად წარმოგვიდგება ამ სიტყვის პირველივე, მაღალი აზრით, რომელიც მით უფრო შესაფერისია, რომ იგი ქრისტიანულ ხელოვნებას ახასიათებს.

ქართული წარმართული ხელოვნების უბრალოების გასამარტად უნდა მოვიტანოთ ბრინჯაოს ქანდაკების მრავალი ნიმუშის მხატვრული ანალიზის შედეგები, ამის შემდეგ კი მივმართოთ იმ გზას, რომელიც ამ შედეგებმა გვიკარნახა:

ქართულ ქრისტიანობამდელ ქანდაკებაში მხატვრული სახე იქმნება მოცულობითი და გრაფიკული ნაგდევით. ამ უკანასკნელს დამხმარე მნიშვნელობა აქვს და ზოგი დეტალის (თვალები, პირი, რქის დანაწევრება) მოსანიშნად იხმარება. გამოსახულების ცალკეული დეტალები დაუნაწევრებელია, ლამის უსახოდ კი. ნაკვთები მხოლოდ მონიშნულია. არც ცხოველის სრული დახასიათებაა მიჩნეული აუცილებლად და პირუკუ: ჩართულია არასახვითი ელემენტი, ძირითადად, გარემოსთან მაკავშირებელი ულუფი. მნიშვნელოვანი ისაა, რომ მაკავშირებელი დეტალი მხატვრულადაც აუცილებელია. გამოსახულების საფუძველი თვალის ზოგადი მეხსიერებაა და აღქმაც ისეთ მზერას მოითხოვს, რომლისთვისაც მხატვრული დამაჯერებლობაა ძირითადი. მხატვრული სიმართლე იმვარად სახვით დამაჯერებლობას იწვევს, როცა მასალაზე მინიმალური ძალდატანებით მიღებული სახე, ინფორმაციის ნაკლულოვნებისა და დეტალთა დაუხვეწობის მიუხედავად, ცოცხალია, კონკრეტულიც კი. ამ შთაბეჭდილებას უზრუნველყოფს არასახვითი დეტალების ერთიმეორესთან დაკავშირების წესი. ამგვარად გამოლიანებული მოცულობისთვის ძირითადი ხდება სილუეტური მეტყველება. სილუეტში აღდგება ყოველი დეტალის სახვითობაცა და მხატვრული აუცილებლობაც. აქ უნდა აღინიშნოს მთლიანობის გამძაფრებული შეგრძნება, როგორც მთავარი ფორმამკვნელი პრინციპი ქრისტიანობამდელ ქართულ ბრინჯაოს პლასტიკაში.

მთლიანობის გარეშე, ცხადია, არ არსებობს არც ერთი მხატვრული ნაწარმოები. საკმე ის არის, თუ რა და როგორ მთლიანდება. ბრინჯაოს ქანდაკებაში მთლიანობის შეგრძნების გამყარებელი ფუნქციას მხოლოდ იმის გამო კი არ ვაღიარებთ, რომ სახე სწორედ უსახო დეტალების მოწესრიგებით იქმნება, არამედ იმიტომაც, რომ ეს სახე დამოკიდებულია ქანდაკების განთავსებაზეც. თუ გამოსახულება რაიმე ნივთის ნაწილია (ცულის, შტანდარტის, ბალთის...), იგი უსათუოდ მხატვრულად მთლიანდება ნივთთან, თუ ეს თავრიელია, სიბრტყეზე მისამაგრებელი მისი ულუფი, მოყვანილობითაც და ზედაპირის დამუშავებითაც, მთლიანად იზიარებს ქანდაკების მხატვრულ ენას, ხოლო როცა ეს გამოსახულება საკიდია — ჯაჭვს უკავშირდება — ეს გარემოება მის მხატვრულ ფორმას რაიმეგვარად მაინც უსათუოდ დაეკვლევა. ზოგჯერ ულუფი (ან ხვრელი) ისეა განთავსებული, რომ მხატვრულ სიცრცელეს ნივთის სილუეტი მხოლოდ შეკიდვისას აღწევს. მთლიანობის შეგრძნება, ამგვარად გამოლაგნებული, ჩვენი ხელოვნების გამორჩეული ნიშანი ჩანს. ახე რომ, ბრინჯაოს ქანდაკების მხატვრული ფორმა ატარებს თავისი, მთელის მიმართ წილობის ნიშანს. ამის გამო ნიხი შინაარსის გასარკვევად, ე. ი. იმის გასარკვევად, თუ რაში მდგომარეობს სახვითი ხელოვნების მონაწილეობის აუცილებლობა წარმართობისდროინდელ სინთეზში, ბუნებრივია, მივმართეთ ქართული ეთნოგრაფიის

ამ მიღწევებს, რომლებიც წარმართული რიტუალის შესწავლას დაეფუძნა.

ქართველ წარმართთა მსოფლმხედველობის საფუძველია ხილული ცისა და მიწის ერთიანობა. ციური ღვთაებებია, იერარქიული თანმიმდევრობით: მორიგე ღმერთი (მთვარე), მზე ქალი, კვირია. ამ უკანასკნელის ერთი ძირითადი ფუნქციაა მეკაჯშირეობა ზეციურ ტრიადას და ღვთისშვილთ სიმრავლეს შორის. ღვთისშვილი, იგივე — ღვთისნასახი, ცად — ვარსკვლავი, ქვეყნად ჯვრად, ხატად მოვლენილი, არის ბატონი თემისა, მხედარი, თემის გაპიროვნებული სახე. იერარქიის საბოლოო, მიწიერი რგოლი არის საყმო, თემი. მისი ღვთისშვილისადმი მსახურების მთავარი და ყველაზე სრული ფორმა — ხატობა — კოლექტიურია (ქართული წარმართობის სისტემისთვის იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალური ღვთაებათა პანთეონის ერთი უძველესი საფეხურთთავანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის ტ. X, XI, 1959, 1960 წწ). ქართული წარმართობის მოდელის არსს ყველაზე ზუსტად თვით სიტყვა „წარმართობა“ გამოხატავს. ეს არის უწყვეტი იერარქიული ჯაჭვი, მიწიდან ცისკენ და ციდან მიწისკენ წარმართული. ოღონდ მიწად თემის საცხოვრებელი იგულისხმება, ცად კი მთვარის საბრძანისი — ღვთის კარი. სამყარო აღიქმება შეეუღლად, მართად, მაგრამ ცნობიერდება, აგრეთვე, სხვა თემთა კავშირიც ცასთან. ცა ზარია და რადგან თემის პერსონიფიკაცია — იერარქიული ჯაჭვის საშუალედო რგოლი — ღვთისშვილი ცად ვარსკვლავად არის წარმოჩენილი, თემთა კავშირიც, რამ მსგავსი ეროვნული ერთიანობისა, ცაშია ატანილი ქართული კულტურის ამ არქაულ საფეხურზე. ეს საფეხური, თავის მხრივ, ზოგადქართული, ქრისტიანობას გადაჭიმული, ქვეყნიური ერთიანობის იდეისთვის ძალზე შორეულია წარსულია. მისი გამოძახილი შემოგვინახა ქართული წარმართობის მკვლევართაგან ღვთისშვილთა ბუნებისათვის დამოწმებულმა ცნობილმა ქართულმა ლექსმაც („ღვთის კარზე შავიყარენით სამოცდასამი ხატია...“).

ხატობას, ღია ცის ქვეშ, ხორცელდება თემისა და ღვთისშვილის დამოხვეევა. ღვთისშვილი, რომლის ერთი გამოვლინება არის თვით სალოცავი ტერიტორია, უდავო სიწმინდეთა მომცველი, დღესასწაულის დროს სისხლსავსეა. ხატობას, ღვთისშვილის ძალა, იგივე — ძლიერება და სიცოცხლისუნარი მისი მომსახურე თემისა — კონცენტრირებულია და სრულად წარმოდგენილი მიწაზეც და, მისი ზეციური ბუნების გამო, ცაშიც. ამ სინთეზს (ხატობას), რომელიც ცისა და მიწის ერთიანობას ამძაფრებს, ქმნის სხვადასხვა რიგის რელიგიურ ფასეულობათა საგანგებოდ თანმიმდევრული დამოხვეევა-შეკავშირება და საბოლოო თავმოყრა ხატში. ბრინჯაოს ჭანდაკების წარმოდგენა ქართულ წარმართულ დღესასწაულში სრულიად ბუნებრივია, რაკი მას უცილობელი საკულტო დანიშნულება აქვს. მაგრამ, ამას გარდა, ცოცხალთა გამოსახულებების რიტუალში მონაწილეობის უფრო კონკრეტული მინიშნებებიც გვაქვს: ლაშარის ჯვრის დღეობის აღწერისას ვერა ბარდაველიძე საგანგებო ყურადღებას უთმობს ჯვრისკენ მსვლელობისას ხატის მომსახურე თემთა თანმიმდევრულ შემოკრაციებს. პროცესიების შეხვედრისას სრულდება რიტუალი — თემთა დროშებს დაამთხვევენ მედროშე ხევსებრები და თავადაც ემოხვევიან ერთმანეთს. ასე, ვიდრე ჯვრის კარამდე, „აქ ამბორით მისალმების წესს შეასრულებდნენ და დროშებს იქვე განიერ სასანთლე კოშკზე დაადრძანებდნენ. ამნაირად თორმეტი თემის დროშები ლაშარს მოიყრიდნენ თავს და მეცამეტე ლაშარის ჯვრის დროშა აქ დახვდებოდა“ (ვერა ბარდაველიძე). დროშის ნაცვლად არქაული ხანისთვის, ბუნებრივია, უნდა წარმოვიდგინოთ შტანდარტი სხვადასხვა კომპოზიციებით, ჯაჭვ-საკიდებით, ზარაკებით. საკულტო მნიშვნელოვან საგანთა ასხმა-დადუნვვლის უამრავი მაგალითი, ფშავ-ხევსურეთში შემორჩენილი, აუწყარავებს, რომ ნივთთა კავშირი რიტუალში ხორციელდება სწორედ იმ წესზე, რომელიც მუზეუმში დაცული ბრინჯაოს საკულტო ინვენტარისთვის არის ბუნებრივი. ჯვარს შეწირული ნანადირევის თავ-რქის სიმრავლეც იმას მიგვანიშნებს, რომ ბრინჯაოს თავრიელებსაც თავიანთი ადგილი უნდა ჰქონოდათ სალოცავში.

ბრინჯაოს ჭანდაკება პატარაა. 8 და 4 სანტიმეტრი ჩვეულებრივი ზომაა თხი პარამეტრებისთვის, 15 სანტიმეტრი კი გამორჩევით დიდი. ამას ემატება უკვე აღნიშნული თვისება — მოლიანობის გამძაფრებული შეგრძნებით მართული დაქვემდებარება ნივთობრივი კონტექსტისადმი. ამ მხატვრული პრინციპის საფუძველიც რელიგიურია, რადგან რიტუალის წილია თვითონ ის ნივთიც, რომელსაც ჭანდაკება მხატვრულად უკავშირდება. გამორჩევით მნიშვნელოვანია ჯაჭვი — შიბი. ქართულ არქეოლოგიურ სურათში ჯაჭვთა სიმრავლე, მასიურობა და ძალა თავისთავადაც მეტყველია. თანაც, სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია (ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, თბ. 1985, გვ. 127 და შემდეგ), რომ ჯაჭვი ცასთან კავშირის ხილულ ნიშნად აღიქმებოდა და ისევე იყო მნიშვნელოვანი, როგორც თავად ჯვარი. ასე რომ ჭანდაკება არის მხოლოდ წილი წარმართიდან ზემისა, მაგრამ ეს წილი, სხვა შემადგენელების დარად, ნამდვილია.

წილის სინამდვილე მთელის მიმართ, ცხადია, მისი თვისობრიობის გაზიარებაა. ეს ცოდნა ჩადებულია ჩვენს ენაშიც, სადაც „წილ“ ნიშნავს „ნაცვლად“ „მაგიერ“; „წილნაყარი“ — ნაზია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევს; „წილთა“ დასტურდება, როგორც ზიარების საშუალების სახელი; „ნაწილიანს“ კი სასწაულმოქმედს ეტყვიან (...ქალწულდაურის ქმალი — ნაწილიან ყოფილას და — ქარაკაშჩიგით თუ ამაიწვედ. ამით გააღებიენდ პატრონს გამარჯვების დღეს...“). ესე იგი, ღვთაებასთან წილნაყარი სასწაულმოქმედია, როგორც ღვთაება თავად. ამ დამოკიდებულების ყველა შემორჩენილ მაგალითს ჩვენი წერილის სივრცე ვერ გასწვდება, მაგრამ ორიოდე კი უნდა მოვიტანოთ იმის საჩვენებლად, თუ რამდენად უეჭველია წილის საგანგებო ფასეულობის რწმენა, როგორ უბრალოდ აღდგენს იგი მთელს და რა როლის შესრულება შეუძლია ამგვარ დამოკიდებულებას ეროვნული კონსოლიდაციის საქმეში: „ძველი ჩვეულებით, ქართველები, სხვაგან თუ გადასახლდებოდნენ, თან გაიყოლებდნენ თავისი სალოცავიდან მუჭა მიწას, ნიშის (კოშკის) ნატეხს თუ კენჭს, თასსა და ა. შ.; ამ წმინდა საგანს ისინი ათავსებდნენ საკუთარ კოშკში, რომელსაც ახალ სამოსახლო ადგილას მამაპაპეული ხატის სახელობაზე აგებდნენ“ (ვერა ბერდველიძე). ვიფაც აღნიშნავს: „...ხოლო ლაშარის ჯვარის ბინა შეუცვლელი დარჩა დღემდე; გადასახლებულთ აქედან ნიშები (ნიშანი, წმინდა ადგილიდან აღებულ ქვა — ვაჟას შენიშვნა). აქვთ შეუცვლელი და დღესაც მიაქვთ, მაგრამ ეს მთელი ლაშარის ჯვრის გადასახლებას არ მოასწავებს; არ მოასწავებს აგრეთვე იმას, რომ თუ მუდამ წელს არა, ორ წელში ერთხელ მაინც „ყმა“ თავის ბატონს არ ეახლოს კარზე ძღვენით, საკლავით და საწირავით“. როგორც ჩანს, წილი მოიცავს მთელს სრულად აღდგენის შესაძლებლობას. აკ, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა მოხსენიებული სახვითი ხელოვნების ნიმუშები, მაგრამ მათი მოხვედრა სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიურ კომპლექსებში, უპირველეს ყოვლისა კი, სამარხეულ ინვენტარში, მიგვითითებს, რომ ბრინჯაოს ქანდაკებაც მოიცავდა ამგვარ შესაძლებლობას.

წარმართულ სინთეზში ბრინჯაოს ქანდაკების მნიშვნელოვნების უფრო სრული რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია მისი შინაარსის გარკვევა. ე. ი. ძიება იმისა, თუ რა მიმართებაშია გამოსახულების თემა სინთეზის საბოლოო მიზანთან. ქანდაკება ასახავს ცხოველს, მაგრამ რას გამოხატავს იგი? ამ კითხვაზე საპასუხოდ აუცილებელია თავიდანვე დავასახელოთ რიტუალის მიზანი. მიზანი არის არსებობა, საყმის ამკვეთნიური სიცოცხლე და სიძლიერე. ჩვეულებრივ წარმართული რიტუალის მიზნად მიიჩნევენ ნაყოფიერებას — ჯოგის, ნანადირევისა, საყმის სიმრავლეს. ეს ყოველივე, ცხადია, თემის სიცოცხლის უზრუნველსაყოფი პირობაა, მაგრამ ჩვენ სხვა საფუძველიც გვაქვს ვიფიქროთ, რომ არსებობის შენარჩუნება ქართულ წარმართობაში გაცნობიერებული იყო როგორც მიზანი და სიკეთე. ვერა ბერდველიძე წერს: „...რაც უფრო ნაკლებად ემსახურებოდა საყმო ადამიანს ღვთისშვილს და რაც, მაშასადამე, უფრო უმნიშვნელო იყო ღვთის კარზე ატანილი მისი სამსახურის ნაყოფი, მით მცირე იქნებოდა თემის მფარველი ძალა, დიდება და დადასება ღვთის კარზე. ხოლო სამსახურის აღუსრულებლობა იწვევდა მორიგე ღმერთისა და ღვთაებათა მთელი ტრიადის საშინელ განრისხებას ღვთისშვილსა და მის საყმოზე. თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდებოდა, სათემო ღვთაება და მისი საყმო დაუძლურდებოდნენ და, ბოლოს, შეუძლია მორიგე ღმერთს თემი სულაც ამოეწყვიტა, ხოლო საყმოს „დალევასთან“ ერთად თვითონ მისი მფარველი ღვთისშვილიც ქრებოდა ანდა „გამიწრივდებოდა“. ე. ი. ბოროტ სულად იქცეოდა“.

მაშასადამე, არსებობისთვის აუცილებელი იყო ღვთისმსახურება. ღვთისმსახურება არის რიტუალი, ყველაზე სრული ფორმით ჩვენს წარმართობაში — ხატობა. ხატობის აუცილებელი შემადგენელია მსხვერპლშეწირვა — სისხლიანი და უსისხლოც. იწირება საკუნელი, მონადირეთაგან — ნანადირევის თავ-რქა. ესენი წარმოადგენენ ბრინჯაოს ქანდაკების თემას. მსხვერპლობა არის ის ღირსება, რომელიც ცხოველის გამოსახულებას საკუთარ საგნად აქცევს. სამსხვერპლო ცხოველი შეწირვის აქტის ძალით მაშინვე ღვთაების წილი ხდება. სწორედ ამ რწმენამ გამოიწვია შემდეგი ქმედებაც: ხატობას შეწირული ყველა ცხოველის გულ-ღვიძლი ერთ ქვაბში იხარშება, იქვე ნაწილდება და ერთად იჭმევა. ეს აქტი, უთუოდ, საყმოს ღვთაებასთან ზიარების კოლექტიურ რიტუალად უნდა ვალიაროთ. მსხვერპლი და მისაგებელი აქაც იგივეობრივია. მემსხვერპლე ჯოგის სიმრავლეს მოელის ღვთაებისგან. ახე რომ, ბოსლიდან გამოუვანილი მსხვერპლი ისევ ბოსლის უნდა დაუბრუნდეს; ამრიგად, ცხოველი თავისთავადაც ატარებს მსხვერპლობის შესაძლებლობას და, ამავე დროს, მსხვერპლშეწირვის შედეგსაც წარმოადგენს. მსხერპლობა უნდა მივიჩნიოთ ბრინჯაოს ქანდაკების თემის ძირითად საკულტო ღირსებად არა მხოლოდ ჩვენი წარმართული რიტუალის მიზნიდან გამომდინარე, არამედ იმიტომაც, რომ ამ შინაარსით გადმოვიდა ცხოველის გამოსახულება ქართულ ქრისტიანულ ტაძარში (იგულისხმება ბოლნისის სიონის ხარისთავი რქებს შორის განთავსებული ჯვრით, სვეტიცხოველის ადმოსავლეთის ფასადის ორი ხარისთავი (ვახტანგისეული სვეტიცხოველიდან), მოკვეთილი ხარისთავის გამოსახულება დრანდიდან (ფუსაზეთის სახ. მუზეუმი). აქვე უნდა შევეხოთ ცხოველსა და ღვთაებას შორის არსებულ სხვა მიმართებებსაც: (იხ. მაკალათიას, შ. ჩართოლანის, ლ. ბედუკაძის წერილები კრებულში „სვანეთი“. თბ. 1977). ქართველ

ტომთა უძველესი რწმენით სხვადასხვა ცხოველი გვარის მფარველ ტოტემია; მოგვიანებით ზოგი მათგანი მნათობებს დაუკავშირდა, ხოლო ზოგი (ჰვარ-ხატები) ზოომორფულ სახედ იქცა. აქვე დავძენთ, რომ ქართულ ეთნოგრაფიაში აღნუსხულია გადმოცემები ღვთისშვილის რომელიმე ცხოველის ან ფრინველის სახით გამოჩენის შესახებ, ხოლო ირანის და ხარის მზისა და მთვარისადმი კუთვნილება დასტურდება ამ ცხოველთა ბრინჯაოს გამოსახულებებზე დატანილი შესაბამისი ასტრალური სიმბოლოებით.

ამრიგად, სრული შესაბამისობაა ბრინჯაოს ქანდაკების მხატვრულ ფორმას, რიტუალში მის კუთვნილ ადგილსა და იმ ფუნქციას შორის, რომელსაც ქართული წარმართობა სახვით ხელოვნებას აკისრებს. ვინაიდან ყოველთვის — მსხვერპლს ასახავს ქანდაკება, მნათობის კუთვნილად მიჩნეულ ცხოველს თუ ღვთისშვილის ცხოველის სახით გამოცხადებას — აისახება მხოლოდ წილი და არა თავად ღვთაება. მხატვრული ფორმის თემა არის ღვთაების კონკრეტულად, ხილულად გამოვლენილი წილი, რომლის სახე, ისევე, როგორც მისი განუყოფლობა ღვთაებისგან, დანამდვილებით არის ცნობილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანობამდელ ბრინჯაოს ქანდაკებაში მოქმედებს მეორადი სახვითობის პრინციპი — ცხოველის ქანდაკება ღვთაების სახის სახეა.

ასეთია ქართული წარმართობის სახვითი ხელოვნების რეალიზმი, რომელიც ზორაციდღება ძალზე ხანგრძლივად, არსებითად, ქრისტიანობის დამკვიდრებამდე. ისევე, როგორც ქართული წარმართობაა თვითმყოფადი მსოფლმხედველობა, მისი კუთვნილი სახვითი ხელოვნების რეალიზმიც გამორჩეული ხასიათისაა. მართალია, ბრინჯაოს ქანდაკებაში მისი თემა, რეალური ცხოველის სახეობა, ჩვეულებრივ, ამოცნობადია, მაგრამ მხატვრული ფორმით ცხოველი არ არის იმდენად სწორად და დაწვრილებით დახასიათებული, რომ კონკრეტულ გამოსახულებას რეალისტური ვუწოდოთ. ამგვარი შეფასება, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებდა მიმართებას: მხატვრული ფორმა — ემპირიული სინამდვილე.

ქართულ წარმართობაში, როგორც ზემოთ ითქვა, რეალისტურია საკულტო ქანდაკების თემის არჩევანი. ოდნავ უფრო ვრცლად ამ რეალიმის გასაოვლასაჩინოებლად: ხაბერძნეთში, სადაც ღმერთის გამოსახულების პროტოტიპი ადამიანია, ქანდაკება რეალისტურია. ეს რეალიზმი მხატვრული ფორმის ნიშანია, მისი ღირსებაა. რეალისტურია გამოსახულების ყოველი დეტალი. მცირე ნაწილიც რომ ვიპოვოთ, თუნდაც თითი, იგი იმდენად დახვეწილია, რომ მაშინვე ვიცნობთ როგორც ანტიკური ქანდაკების ფრაგმენტს; ბერძნული ქანდაკება, ცხადია, არის ასეთი დახვეწილი დეტალების მაღალმხატვრული მთლიანობა, მაგრამ დამსხვრეული ქანდაკებაც — უთავო, უხელფეხო — ინარჩუნებს მხატვრული ზემოქმედების ძალას (გავიხსენოთ ახლა მთლიანობის გამძაფრებული შეგრძნება). ქართული წარმართობის ქანდაკების მახასიათებელი). ეს მხოლოდ სიძველის ხიბლი კი არ არის, არამედ ნამდვილი პლასტიკური მეტყველება. ასეთი რეალიზმი, მხატვრული ფორმის ასეთი მაღალი ღირსება, გამოწვეულია სახვითი ხელოვნების დანიშნულებით ბერძნულ სამყაროში — ქანდაკება არის ღმერთის სახე, რომელიც თაყვანისცემისას, შესაბამისად მისი განთავსების ადგილისა, განიცდება როგორ თავად ღმერთი. ე. ი. ქანდაკება კერპია (ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა მისი თემა ღმერთია). საბერძნეთი კლასიკური წარმართობის, კერპთაყვანისცემლობის ქვეყანაა. იმის თქმა გვინდა, რომ რეალისტური ქანდაკება რეალურად ღმერთი არ არის, მაგრამ ღმერთის ადგილს კი იკავებს. ქართული წარმართობის ხელოვნებაში ეს ადგილი თავისუფალია.

ცხადია, ბერძნული ქანდაკება ღმერთია კონკრეტული მსოფლმხედველობის წიაღში. მსოფლმხედველობა იცვლება, მხატვრული ფასეულობა კი გარდუვალია. ისიც ცხადია, რომ ქართული წარმართობის ქანდაკებაც ღვთაების ემპირიულ სინამდვილეში გამეფდავნებული წილის სახეა, აგრეთვე, კონკრეტული მსოფლმხედველობის წიაღში. თუმცა ეს მსოფლმხედველობა ბევრად უფრო მდგრადი გამოდგა, მისი ქანდაკების მხატვრული ფასეულობა სულაც არ არის თავისთავად ცხადი, იგი საკვლევი და სამტკიცებელია. ბერძნული ქანდაკება თავის თავში მოიცავს საკუთარ ღირსებას, როგორც მხატვრულ ფასეულობას, ქართული ბრინჯაოს ქანდაკების მთავარი ღირსება კი ჩვენი კულტურის პერსპექტივაში გამეფდავნდა და ამოკვმედდა. ამ ღირსების არსი ასე შეიძლება გამოითქვას: საქართველოში ქრისტიანულ ხელოვნებას ახალი ამოცანების შესაბამისი ფორმის მისაღწევად არ დასჭირვებია ეროვნული სახვითი ტრადიციისგან მიღებული მხატვრული მემკვიდრეობის დაძლევა. ეს მოხდა სწორედ იმის გამო, რომ წინამორბედმა არ შექმნა ღვთაების მონუმენტური გამოსახულება — მხატვრულ ფორმაში აისახა მხოლოდ მისი წილი, მიწიერი გამოვლინების სახე, რომელმაც თავისი შინაარსის შესაბამისი ადგილი დაიკავა წარმართულ სინთეზში. ამის შედეგად ქრისტიანულმა ხელოვნებამ, რომელიც ღმერთის მიწიერი ცხოვრების მთელ ისტორიას ეკრძნობა, წინარე ეტაპის ძირითადი სახვითი პრინციპის დაურღვევლად დაიჭირა მისთვის თავისუფლად მოტოვებული ადგილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინამორბედი რელიგია ქრისტიანობის მიმართ ყოვლად უბრალოა, ისეთი, როგორიც უნდა იყოს ქვეყნიური სიცოცხლე მარადიულის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია გოშაძე

თორნთონ უაილდერის თეატრი

მსოფლიო ლიტერატურაში არც თუ ისე ხშირი მოვლენაა პროზასა და დრამაში თანაბრად ძლიერი შემოქმედი. სწორედ ასეთად წარმოგვიდგება დიდი ამერიკელი რომანისტი და დრამატურგი თორნთონ უაილდერი. უაილდერს — დრამატურგს, იუდჯინ ო' ნილის, ტენესი უილიამზის, არტურ მილერის გვერდზე აყენებენ და მათთან ერთად მეოცე საუკუნის ამერიკული დრამის დიდ ოთხეულს მიაკუთვნებენ. ამერიკული ლიტერატურის მკვლევარები კი ხშირად უწოდებენ მას მესამე დიდ პროზაიკოსს, ფოლკნერისა და ჰემინ გუეის შემდეგ.

უაილდერის თვითმყოფადი, ძალზე თავისებური შემოქმედება ყოველთვის განზე იდგა ამერიკული ლიტერატურის საერთო მდინარებისაგან და ძალაუნებურად დაუპირისპირდა კიდეც წითელ პერიოდად მონათლულ 20-იანი წლების ხელოვნების მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ მიმართებას.

მწერალი-მარქსისტი მაიკლ გოლდი სტატიაში „ნაზი ქრისტეს სახე" აღშფოთებული კითხულობდა თუ რატომ არ ვხვდებით უაილდერის ნაწარმოებში თანამედროვე ქალაქის ქუჩებს, მწრომელთა მონური შრომისა და ჩაგვრის აღწერებს. მოგვიანებით, 1941 წ. ამერიკელი მწერლების მეოთხე კონგრესზე, გოლდმა არანაკლები აგრესიით უწოდა უაილდერს მკვდარი ხელოვანი, რომლის შემოქმედება საინტერესოა მხოლოდ როგორც თავისი დროის შეცდომებისა და ბურჟუაზიული გემოვნების გამომხატველი. საგულისხმოა, რომ არა მარტო იმდროინდელ ამერიკულ კრიტიკაში, არამედ თანამედროვე რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც ვხვდებით გოლდის მოსაზრებების გარკვეულ მხარდაჭერას. მაგალითად, დ. ურნოვი უაილდერის რომანებისადმი წამძღვარებულ წინასიტყვაობაში პირდაპირ წერს იმის შესახებ, რომ გოლდის კრიტიკული პათოსი ძირითადში გამართლებულად მიაჩნია.

ვფიქრობ, მაიკლ გოლდის სტატია „ნაზი ქრისტეს სახე", მთლიანად დოგმატური და სწორხაზოვანი აზროვნების, მხატვრულ ნაწარმოებში არა აზრობრივი შინაარსის აქტუალურობის, არამედ აქტუალური მასალის, უშუალოდ კონკრეტული, ლოკალური სინამდვილის ამსახველი სურათის ძიების შედეგს წარმოადგენს.

უაილდერის პირველი მოთხრობის „კაბალას" (1926 წ.); ხოლო მოგვიანებით „მეფე ლიუდოვიკო ჩმინდას ხიდის" (1927 წ) გამოქვეყნების შემდეგ, ამერიკელმა ნეოჰუმანისტებმა იგი თავის ლიდერად გამოაცხადეს, მის შემოქმედებაში ნეოჰუმანიზმის იდეების პრაქტიკული განხორციელება დაინახეს.

ნეოჰუმანიზმი ფილოსოფიური დოქტრინაა, რომელიც როგორც ამერიკელი კრიტიკოსი რეკს ბარბეკესი წერს, არ გადაზრდილა რაიმე მნიშვნელოვან ან ნაკლებად მნიშვნელოვან მიმდინარეობაში, და ასევე დარჩა ვიწრო თეორიის ფარგლებში. ეს მოძღვრება შეიქმნა 20-იანი წლების დასაწყისში, ამერიკის ცნობილ ჰარვარდისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში. მისი თეორეტიკოსები იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორები ირვინ ბაბიტი და პოლ ელმერ მორი.

ნეოჰუმანისტები ფაქტიურად ქრისტიანულ მოძღვრებას ეურდნობოდნენ. მათი რწმენით, ფასეულია არა არსებული სინამდვილის გარდაქმნისაკენ მისწრაფება, არამედ თვითეული ადამიანის თვითჩაღრმავების გზით, საკუთარი ზნეობრივი სრულყოფისაკენ სწრაფვა.

ნეოჰუმანისტების აზრით, თანამედროვე ხელოვნებამ ადამიანი დეტერმინირებულ არსებად წარმოგვიდგინა, რომლის ფსიქიკასა და მოქმედება-საქციელს, განსაზღვრავს ან სოციალური გარემო ან მისივე ინსტინქტები. ასეთი შეხედულება ადამიანის ბუნების რაობაზე მთლიანად უგულებელყოფს პიროვნების შინაგან თავისუფლებას, და რაც მთავარია, უგულებელჰყოფს მის ეთიკურ მისწრაფებებს.

ნეოჰუმანისტებმა იკისრეს ადამიანის ღირსების დაცვის მისია. (ამ მიზნით მათ დარვინის

ევოლუციის თეორიაც კი უარჰყვეს), თავიანთ თავს რენესანსისა და ანტიკური სბერძნეთის ტრადიციების გამგრძელებლად მიიჩნევდნენ. ოცნებობდნენ ხელოვნებაში რენესანსის ჭარმონიული, შინაგანად მოლიანი პიროვნების მხატვრული სახის აღორძინებაზე და ვინაიდან მათი თანამედროვე სინამდვილე არ იძლეოდა ამის საშუალებას, წარსულს მიმართეს თავიანთი მზერა, წარსულში მეტ სიდიადეს ხედავდნენ, ვიდრე დღევანდელ დღეში.

ამგვარად ნეოჰუმანიზმისთვის დამახასიათებელი იყო წარსულის რომანტიკული განდიდება, არსებული სინამდვილის უარყოფა, მისი გარკვეულწილად იგნორირება. ლიტერატორი ტატიანა კაბანოვა, წერს იმის შესახებ, რომ ნეოჰუმანიზმი წარმოადგენდა რომანტიზმის რაციონალურ შესწორებას; მართლაც, კრიტიკებდნენ რა ნეოჰუმანისტები რომანტიზმისათვის დამახასიათებელ გრძნობების კულტს, გადაჭარბებულ მგრძნობელობას, ისინი ასევე ხედავდნენ გაფეტიშებული მეცნიერული რაციონალიზმის წიაღში, თანამედროვე პრაგმატული სამყაროს სულიერი სიღატაკის წინაპირობებს. ამიტომაც მათი შეხედულების თანახმად გრძნობა-გონების ჭიდილში საჭიროა გარკვეული წონასწორობის დაცვა.

20-30-იან წლებში მიმდინარეობდა თეორიული ხასიათის ბრძოლა ნეოჰუმანისტებსა და რეალისტებს ანუ ნატურალისტებს შორის (ამორ, სრულიად განსხვავებულ ცნებას, როგორც იგივეობრივი მნიშვნელობის შემცველს ისე ხმარობდნენ). ცნობილი ამერიკელი მწერლები, მათ შორის დრაიზერი, შერვუდ ანდერსენი, სინკლერ ლუისი და სხვები ებრძოდნენ ნეოჰუმანისტებს, როგორც „ანტირეალისტებს", ,,ეკამათებოდნენ „ანტირეალისტ" თორნთონ უაილდერსაც, ცხოვრებისეული კომფლიქტებისაგან, ცხოვრებისეული რეალობისაგან განდგომის გამო. უხეშად თუ ვიტყვით, ე. წ. რეალისტები მხარს უჭერდნენ სოციალური პროტესტის ლიტერატურას და ხელოვანის ამოცანას თანამედროვე სინამდვილის კონკრეტულ სოციალურ-ისტორიულ ასახვაში ხედავდნენ. ნეოჰუმანისტები, ანხოლუტურად უარყოფდნენ სოციალური გარემოს ზემოქმედებას ადამიანზე, უარყოფდნენ სოციალური პროგრესს და ისტორიის განვითარების ციკლურობის იდეას ქადაგებდნენ.

ვფიქრობ, დღეს ბევრი რამ განსხვავებულად წარმოგვიდგება 20-30-იანი წლების ლიტერატურული ბრძოლებიდან. თავად საკითხის იმგვარი დაყენება თუ რა უნდა ასახოს თავის შემოქმედებაში ხელოვანმა, გარკვეულ ეჭვს იწვევს. ამ შემთხვევაში კი ბრალმდებლის პოზიცია, ნებით თუ უნებლიეთ აზროვნების თავისუფლების წინააღმდეგია მიმართული. ერთ-ერთ ინტერვიუში ამერიკაში მოღვაწე ცნობილმა ჩეხმა კინორეჟისორმა მილოშ ფორმანმა შესანიშნავად თქვა: ,,თვითეული ადამიანი საკუთარ თავში ატარებს თავის შეფარდებით სიმართლეს. ყველას საკუთარი სიმართლე აქვს. მე ეს მივისწრაფი ადმოვაჩინო საყოველთაო ჭეშმარიტება. მე მინდა ის მუდმივად ვეძიო".

ბუნებრივია, დღეს, ალბათ, ეჭვს ადარ იწვევს უაილდერის შემოქმედების რეალისტური ხასიათი. საქმე ალბათ იმაშია, რომ ხელოვნების შეფასება-განსაზღვრა მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური კრიტიკული რეალიზმის კრიტერუმებითა და მხატვრული ნორმებიდან გამომდინარე ხდებოდა. ჯერ კიდევ არ იყო გაცნობიერებული, რომ შეიცვალა თანამედროვე რეალისტური ხელოვნების გამომხატველობითი ფორმა, გაფართოვდა მხატვრული ხერხების არსენალი, მხატვრული წარმოსახვის სფერო.

ტრადიციული რეალისტური ლიტერატურის მთავარი მიზანი — ინდივიდის სოციალურ გარემოსთან ჰიმართების წარმოსახვა, თანამედროვე ხელოვნებაში უკიდურესი სუბიექტივიზმით შეიცვალა. ირდვევა რა მხატვრული ნაწარმოების მთლიანობის არისტოტელესეული გაგება, მთავარი ხდება ავტორისეული გმირის ცნობიერების, მისი „შეს" მთლიანობის, სამყაროს პირადული, ემოციური აღქმა-განცდის, შინაგანი სინამდვილის, ადამიანის სულიერი ცხოვრების წარმოსახვა, თანაც უკვე არა მხოლოდ ცნობიერი, არამედ იმ ქვეცნობიერი და არაცნობიერი პროცესების გამოვლენით, სადაც შეგრძნებები, შთაბეჭდილებები, მოგონებები ართანმიმდევრულად მიედინება, სცილდება ლოგიკური, მწყობრი აზროვნების კონტროლის სფეროს. ბუნებრივია, თანამედროვე მხატვრული აზროვნების თავისებურება გამოხატვის საშუალებათა თავისებურებას განსაზღვრავს, იქნება ეს ცნობიერების ნაკადისეული შინაგანი მონოლოგი, შთაბეჭდილებათა ასოციაციური დალაგება, ასოციაციური თხრობა, განწყობილებათა დაჭერა-გადმოცემა, დროისა და სივრცის გასუბიექტურება, სუბიექტური დროის პრინციპში დროთა აღრევა და ა. შ. თვით დრამატულ ნაწარმოებში ხშირად აქტიურად შემოიჭრება ეპიკური მომენტი, როდესაც პიესაში მოთხრობილი ამბავი მთხრობელი-გმირის ცნობიერების პრიზმაშია გარდატეხილი.

თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში, სწორედ ტრადიციული თხრობის ხერხის სახეცვლილების გათვალისწინებით შეიძლება მხოლოდ უაილდერის შემოქმედებაზე საუბარი.

ისტორიის რა პერიოდსაც არ უნდა მიმართავდეს უაილდერი — ანტიკური ხანის სბერძნეთს, ძველ რომს, მე-17 საუკუნის პერუს თუ მეოცე საუკუნის დასაწყისის ამერიკის პროვინციას, ის მაინც თავისი ფორმის სინამდვილის სურათს ქმნის, გვიჩვენებს ადამიანის არსებობის არა სოციალურ-პოლიტიკურ, არამედ სულიერ-კულტურულ ასპექტს, თანამედროვეობ-

ის მწვავე მორალურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ პრობლემებზე დაგვიფიქრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილდერი უარყოფს სოციალური პროგრესის იდეას, რის დასტურადაც კაცობრობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია მოჰყავს, რომელშიც ფაქტიურად უცვლელად მეორდება ადამიანური გრძნობები, ურთიერთობები, მისწრაფებები, მოქმედება-საქციელი. არც კოლექტიურ დარაზმულ ბრძოლებს შეუცვლია სოციალური იერარქიის მარადიული არსი. უილდერის რწმენით, არსებობს ერთადერთი ეშმარიტი გზა, რომელსაც მორალური თვითშეგნების, მორალური სრულყოფის განვითარებისაკენ მივყავართ.

ნეოჰუმანისტურ მსოფლმხედველობასთან გარკვეული თანაზიარების გამო, რუსულ სამყოთა ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა შეხედულება უილდერის შემოქმედების ნეოჰუმანისტურ ხასიათზე.

მართალია, უილდერმა უდავოდ განიცადა ამერიკული ნეოჰუმანიზმის იდეების გავლენა, მაგრამ მისი შემოქმედების დაკვანა ამ მიმდინარეობამდე. მისი შემოფარგვლა ნეოჰუმანიზმით შეუძლებელია.

თორნტონ უილდერის შემოქმედებაზე საუბრისას, უცხოურ გამოკვლევებში სრულიად განსხვავებულ განსაზღვრებებს მიმართავენ, — ნეოჰუმანიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, მაგიური რეალიზმი, ტრანსცენდენტალიზმი, ეგზისტენციალიზმი. საერთოდ, უილდერის შემოქმედებითი მეთოდის განსაზღვრა საკმაო სირთულეს წარმოადგენს; მისი მრავალმხრივი, ძალზედ სპეციფიკური შემოქმედება არც ერთ ზემოხსენებული მიმართულების, თეორიის ყალიბში, არც ერთ ამ მოდელში არ თავსდება ზუსტად. მწერალი იყენებს ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხს და ამავე დროს მიუხედავად გარკვეული მსოფლმხედველობრივი თუ ესთეტიკური შეხედულებების თანაზიარების, არ დაიყვანება მოცემულ ლიტერატურულ მიმდინარეობამდე.

მწერალმა, ნაწილობრივ ალბათ თავისი ოჯახის მაღალი სოციალური მდგომარეობის წყალობით, მრავალმხრივი და ღრმა განათლება მიიღო, სწავლობდა ჭვეყნის საუკეთესო უნივერსიტეტებში, შეისწავლა ძველი ენები და ანტიკური კულტურა, თითქოს თავის თავში შეიწოვა განსხვავებული ესთეტიკურ-ლიტერატურული თეორიები, გავლენა განიცადა, როგორც უძველესი ლიტერატურის დაწყებული ანტიკური ტრაგედიიდან, ასევე უახლესი, მისი თანამედროვე ხელოვნების, — იქნება ეს გერტრუდა სტაინის ლიტერატურული თეორიები, ჭენრი ჯეიმსის ფსიქოლოგიზმი, ჯეიმს ჯოისის დროის ციკლურობის თეორია, მარკ ტვენის იუმორი, მარსელ პროუსტის სუბიექტური დროის განცდის დაბეგენილი ანალიზი, ანრი ბერგსონის თეორია საყოველთაო ევოლუციური პროცესის შესახებ, თავისუფლების ეგზისტენციალური გაგება.

თავისი სამი პულიცერის პრემიიდან ორი უილდერმა მიიღო პიესებში „პატარა ქალაქი" და „ბეწვის ხიდზე". ამ პიესების გარდა მის კალამს ეკუთვნის გონებამახვილური იუმორით დაწერილი კომედია „მექანიკოსი იორკენსიდან", (რომლის სიუჟეტის საფუძველზე, შეიქმნა ცნობილი მიუზიკლი „ჰელოო, დოლი" (კომპოზიტორი გერმანი) და ეგზისტენციალური დრამა „ალკესტა". ეს უკანასკნელი უილდერის შემოქმედების მკვლევარების, დონალდ ჰპერმანის, რეკის ბარბეკესის აზრით, ეგზისტენციალური იდეების მშრალ ილუსტრაციას წარმოადგენს და უფრო მეტი წარმიდგენით სარგებლობს, როგორც საოპერო ნაწარმოების ლიბრეტო. (კომპოზიტორი ჰინდერმანი). უილდერი ერთმოქმედებიანი პიესების რამდენიმე კრებულის ავტორიცაა. საერთო აღიარებით უფრო საინტერესოდ მიიჩნევს პიესების კრებული გაერთიანებული სათაურით „ხანგრძლივი საღამომო სადილი" (1931).

უილდერმა დრამატურგიული მოღვაწეობა დაიწყო ნაციონალური დრამის ფორმირების პერიოდში და ისევე როგორც მოგვიანებით, ტენესი უილიამზი, ისიც დაუპირისპირდა ყოფით დრამას, ისეთ ყოფით თეატრს, რომელიც ერთიულ, კერძო მოვლენების მხატვრული ფიქსაციით ქმაყოფილდება არ მიისწრაფის გაარღვევოს ერთიულთან შემოსაზღვრული ვიწრო ჩარჩოები. ამგვარად, უილდერი იბრძვის, ხელოვნებაში ნატურალისტური სტილისტიკის, ცხოვრების პედანტური კოპრების ხერხის თვითმიზნად ქცევის წინააღმდეგ და არა საერთოდ ნატურალისტური ხერხის გამოყენების წინააღმდეგ, რომელსაც თავადვე ხშირად მიმართავს (დროისა და ადგილის კოლორატის ჩვენებისას, დეტალების სკრუპულოზურად ასახვისას და ა. შ.). „თუ თქვენ მხატვარი ხართ (...), რომელი სიმართლე გირჩევნიათ, იზოლირებული შემთხვევის სიმართლე თუ ის, რომელიც შეიცავს გზას უსასრულობისაკენ?" — წერს იგი. ამიტომაც უილდერი ათავისუფლებს სცენას დეკორაციისაგან, რომელიც მოქმედებას დროისა და ადგილის კონკრეტულობას ანიჭებს, რაც მისი აზრით, ერთიული შემთხვევის ფიქსაციას ნიშნავს. უილდერის რწმენით, საჭიროა ინდივიდუალურის მხატვრული წარმოჩენა, მხოლოდ ზოგადკაცობრიულთან მიმართებაში, მაგალითისათვის მას მოჰყავს ძველი ბერძნული დრამა, რომლის გმირის ისტორია უკავშირდებოდა თავისუფლებისა და ბედისწერის მასშტაბურ ცნებებს.

მწერალი თეატრალურ წარმოდგენას რელიგიურ ცერემონიალს აღარებს, რომლის მსვლელობისას მაყურებელი ხედავს ადამიანის მდგომარეობას სამყაროში, მის დამოკიდებულებას

ბუნებასთან, კაცობრიობასთან, კოსმოსთან. სპექტაკლი აახლოებს ადამიანს თავისი არსებობის საიდუმლოებასთან, რაც მასში გარკვეულ რელიგიურ განცდას იწვევს. ამავე დროს ხელოვნების სხვა სახეობებისგან განსხვავებით, წარმოდგენა მიმართულია კოლექტიური გონებისკენ, რაც ასევე აახლოებს სპექტაკლს რელიგიურ რიტუალთან და იწვევს ფვითეული ადამიანის მიერ საკუთარი თანაზიარების შეგრძნებას მსოფლიოს ბედთან! უილდერი ამბობს, რომ თეატრი მისთვის ხელოვნების უმაღლესი სახეობაა, საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ კაცმა სხვებთან ერთად შეიგრძნოს თუ რას ნიშნავს იყო ადამიანი. დრამის უდიდეს უპირატესობას უილდერი ხედავს მის მაყურებლად აწყოფნი, რომელიც წარსულისა და მომავლის მუდმივ ზღვარზე იმყოფება და თავად ადამიანის არსებობის სპეციფიკის ადეკვატურ ფორმას წარმოადგენს.

უილდერის თეატრალურ-ესთეტიური შეხედულებები ვფიქრობთ არ წარმოადგენენ რაიმე სიახლეს და არც ახალ თეატრალურ პირობითობას გვთავაზობენ, თუმცა თორნთონ უილდერი, იგივე ტენესი უილიამზონისგან განსხვავებით, არც იჩემებს ახალი კონცეპციის შექმნას; იგი თავის თავს უწოდებს არა ნოვატორს, არამედ არქეოლოგს, მივიწუებული ღირებულებების აღმომჩენელს. ის ოცნებობდა თეატრის პირველყოფილი საწყისების ანუ თამაშის პირობითი ენის აღორძინებაზე; მაგალითისათვის მას მოჰყავს აღმოსავლური, კერძოდ იაპონური თეატრი „ნოს" პრაქტიკა, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა თავისი ტრადიციები, პირობითი თამაშის ენა.

უილდერის მიერ ყოფითი თეატრის უარყოფამ, მეორე უკიდურესობა გამოიწვია. მაგალითად, მის მიერ დეკორაციის ზმირად განმეორებადმა აქტიურმა უარყოფამ იდეა-ფიქსის ხასიათი მიიღო, თითქოს დეკორაცია შეიცავს თავის თავში მთელ სიბოროტეს და ხელს უშლის თეატრალური პროცესების განვითარებას. ბუნებრივია, უილდერს ამოძრავებდა, იმდროინდელი მოძველებული თეატრალური ესთეტიკის საზღვრების გაფართოების სურვილი და ამ მიზანს ის, ტენესი უილიამსის მსგავსად, აღწევს სწორედ თავისი თეატრალური პრაქტიკის წყალობით.

საინტერესოა, რომ ორივე დრამატურგი თავის თავს ანტირეალისტს უწოდებს, მაშინ როდესაც უილდერი უდიდეს რეალისტად რჩება არა მარტო ადამიანური ურთიერთობების და გრძნობების ანალიზისას, არამედ ყოველდღიური ყოფის მხატვრულად წარმოსახვის დროსაც.

უილდერის ' პიესებში შედარებით უკანა პლანზე იწევს მოვლენების ფსიქოლოგიური ასპექტი, მთავარი ხდება უკვე არა კონკრეტული გმირის შინაგანი სამყაროს, მისი განცდებისა და ურთიერთობების ხილმრივი პლასტიკის წარმოჩენა, არამედ თავად ცვალებადი, მოძრავი, მრავალფეროვანი სიცოცხლე იქცევა უილდერის პიესის მთავარ მომქმედ გმირად, ღრმა ფილოსოფიუსი და სათუთი დაკვირვების ობიექტად. „პატარა ქალაქში" რეჟისორის თანაშემწე პირდაპირ ამბობს, რომ პიესის მთავარი მომქმედი გმირი, სცენაზე არ ჩანს. უილდერის პიესების პერსონაჟთა არსებობა სამყაროს ორგანიზებული წესრიგის გამომხატველად იქცევა.

უილდერი, მარსელ პროუსტის მსგავსად, ყოველდღიური ცხოვრების მშვენიერებასა და განუმეორებელ მომხიბვლელობას შეიგრძნობს, მისგან მიღებული რიტული და წუთიერი მთავბებედილებების მხატვრულ ფიქსირებას ახდენს. მოვლენების არსში წვდომით, მწერალი მიისწრაფის თავისებურად გაგსსას მის წინაშე არსებული რეალობა და ამ მისწრაფებაში უყურადღებოდ არ ტოვებს ცხოვრების არც ერთ დეტალს, თვითეულ თუნდაც ძალზედ მცირე, თითქოს უმნიშვნელო მომენტს, იქნება ეს უსაულო საგანი, მოვლენა თუ ადამიანი, დროსა და სივრცეში უსასრულოდ გაშლილი მთლიანობის განუყოფელ ნაწილად აღიქვამს. ერთ-ერთი ინტერვიუში უილდერი ამბობს, „ამგვარად მე განვიხილავ ჩემს შემოქმედებას, როგორც სწრაფვას აღმოვაჩინო ყოველდღიური ცხოვრების ფარილმანების სიდიადე, იმ გრანდიოზული მასშტაბების გათვალისწინებით, რომლებიც უკარგავენ მას ყოველგვარ სიდიადეს და თვითეული ინდივიდუალური გრძნობის ღირებულებას".

მისი რწმენით ყველაფერს თავისი დანიშნულება, თავისი როლი აქვს მიჩნეული ამ უწყვეტი მოძრაობის, მარადიული განახლება-ქცდომის პროცესში, რომელსაც ანრი ბერგსონმა, საყოველთაო ევოლუციური პროცესი უწოდა.

უილდერი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვნად მიაჩნია, თვითეული რიგითი ამერიკელის მიერ მთელი სისრულითა და პასუხისმგებლობით ირწმენოს საკუთარი თანაზიარება მსოფლიოს ბედთან;

ადამიანი შესაძლოა ძალზედ მცირე როლს ასრულებს უდიდეს მთლიანობაში, ოვით კაცობრიობა, მთელ პლანეტასთან ერთად შესაძლოა უსასრულო მცირე ნაწილია მსოფლიო ცხოვრების, მაგრამ თვითეული ინდივიდის არსებობა, მისი სასიცოცხლო მისწრაფებები, საყოველთაო ევოლუციური პროცესის თანაზიარია, მთელთან კავშირში კოსმოსის, კაცობრიობის გამომხატველი ხდება.

პირველად მწერალმა თანამედროვე სინამდვილეს მიმართა ერთმოქმედებიანი პიესების კრებულში „ხანგრძლივი საღამოგამო სადილი". ეს პიესები, ფაქტიურად მსუბუქ იუმორისტულ პლანში დაწერილი ჩანახატები, ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებენ ახალი თემატიკის, ახალი გამოხატვის საშუალებების ძიების პროცესში, რომელიც დასრულებულ სახეს და უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო სრულყოფილ გამოხატულებას ჰპოვებს „პატარა ქალაქში“.

პიესების კრებულში „ხანგრძლივი საღამო ერთ სადილი“ პირველად გამოჩნდა მოქმედების წარმმართველის, კომენტატორის როლში რეჟისორის თანაშემწე, მან კონკრეტულ მოქმედებას ზოგადობა მიანიჭა და რიგითი ამერიკელის ყოფა კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კონტექსტში წარმოაჩინა.

თანამედროვე ხელოვნებაში, უმეტესწილად, ყოველდღიური, ბანალური არსებობის თემა დაკავშირებულია ადამიანის შინაგან კონფლიქტების, დაუმყოფელობის და უსასოების გრძნობების წარმოსახვასთან. ყოველდღიური ყოფის დამთრგუნველობაზე წერდნენ უილდერის თანამედროვეენიც, თომას ვულფი, დოს პასოსი, ტენესი უილიამში და სხვები.

უილდერი თითქოს იგივე თემას სულ სხვა რაკურსით წარმოგვიდგენს; — ყოველდღიურობას კი არ გაურბის, ან უარაყოფს მწერალი, არამედ მასში ჩაერთვებიან, მოვლენათა არსში წვდომით, თითქოს ხსნის ცხოვრებას მექანიკური ჩვევების გაცვეთილ საფარს და ახლებურად დანახული სინამდვილის მომხიბვლელობას შეგვარძნებინებს. მაგრამ რაც უფრო ღრმად წვდება მოვლენების არსში მწერალი, მით უფრო მასშტაბური, ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ხდება თვითეული მოვლენა, ყოველდღიურობა მითოლოგიურ შინაარსს იძენს, სამყაროს მარადიული თვისებების გამომხატველი ხდება, ყოფა-ყოფიერებას ასიმბოლოებს.

ყოფითობის მიღმა უსასრულო სივრცეში გასვლით, უალდერი ერთ დაუნაწევრებელ მთლიანობაში აქცევს მარადიულსა და წარმავალს, კონკრეტულსა და აბსტრაქტულს, ერთიულსა და საუოველთაოს, შემოსაზღვრულსა და უსასრულოს.

მისთვის დამახასიათებელია, ერთის მხრივ ინტერესი კონკრეტული ემპირული სინამდვილისადმი, ნივთებისა და საგნების სკრუპულოზური აღწერა-აღნუსხვა და ამავე დროს ადამიანის არსებობის მარადიული მოდელის შექმნისაკენ მისწრაფება.

თავად უალდერის ცხოვრებისეულ ხედვაში აირეკლება მისი როგორც დრამატურგის თავისებურება. აი, რას ამბობს იგი: „შეუნელებელი გაოცება იმ განსხვავების წინაშე, რომელიც არსებობს ყოველდღიური ცხოვრების წვრილმანებსა და დროისა და სივრცის იმ გრანდიოზულ მასშტაბებს შორის, სადაც ყოველი ადამიანი ასრულებს თავის როლს“.

ამ ორი პლანის — ყოფითის, კონკრეტულ-ემპირიულისა და მითოსური, ალეგორიულ-სიმბოლური მნიშვნელობის შემცველის ერთდროული თანაარსებობა, უალდერის დრამის პოეტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად იქცევა, მისი პიესების არქიტექტონიკურ თავისებურებას განსაზღვრავს. ამასთან ერთად, მის პიესებში დროისა და სივრცის სხვადასხვა პლასტებია მოცემული, ისინი პარალელურად თანაარსებობენ, ხან კი ურთიერთკვეთენ, ურთიერთგადაბმულნი, პიესის მრავალგანზომილებიან პოლიფონიურობას ქმნიან.

„ხანრძლივ საღამო ერთ სადილში“ და „პატარა ქალაქში“, ორის რამდენიმე მრე შეიძლება გამოვყოთ: მთხრობელის ანუ რეჟისორის თანაშემწის დრო, მითოსური ციკლური დრო და მოქმედების მიმდინარეობის დრო. ეს უკანასკნელიც, მიედინება არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, სადაც მწყობრად და სწორხაზოვნადაა გამოყოფილი წარსული, აწმყო და მომავალი, არამედ ცხოვრების ერთიან, შეუჩერებელ ნაკადს ქმნის, სადაც აწმყო ერთდროულად გულისხმობს წარსულსაც და მომავალსაც.

უალდერს, თომას ვულფის მსგავსად, უმთავრესად აინტერესებს მარადიული, უცვლელი სამყაროს დროისა და ადამიანის წარმავალი არსებობის დროის ურთიერთმიმართება, პრუსტის მსგავსად, ისიც თავისებურად ცდილობს გაქვავებული მარადისობის ფონზე გაელვებული წამის დაჭერას, მეხსიერების მეშვეობით მის შეჩერებას, წარსულის „გადარჩენას“.

უალდერმა უშუალოდ შესაძლოა არ გამოიყენა „ცნობიერების ნაკადის ტექნიკა“, არც ბერგსონისეული დროის გაგება გადმოუტანია პირდაპირი სახით, რომლის მიხედვითაც ჩვენი ცნობიერი ცხოვრების, ჩვენი არსებობის მთავარი საფუძველი მეხსიერებაა ანუ წარსულის გაგრძელება აწმყოში, მაგრამ უალდერის მხატვრული დროის სპეციფიკა, მეოცე საუკუნის ხელოვნებაში დროის სუბიექტივიზაციის საყოველთაო ტენდენციას ეხმიანება..

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ უალდერის პიესის გმირები ზნირ შემთხვევაში, ერთდროულად არსებობენ —შემოსაზღვრულ, კონკრეტულ დროსა და სივრცეში და მარადისობაში, მითოსური დროის სამყაროში.

თუკი დროისა და სივრცის მონაცვლეობა „ხანგრძლივ საღამო ერთ სადილში“ და „პატარა ქალაქში“ ერთი ლოკალური სივრცეა, ვფქვათ, გრიგორს-კორნერსის ფარგლებში ხდება, მის ცნობილ პიესაში „ბეწვის ბიდზე“ (რომელიც თავად უალდერისეე აღიარებდა ჯოისის ნაწარმოების „ფინეგანზე ქელეხის“ გავლენით დაიწერა) მოქმედება იშლება მარადისობაში, ავტორი არაისტორიულ, ზედროულ გარემოს მიმართავს.

პიესი „გმირები, ამერიკელი ჯორჯ ანტროპოსის ოჯახის წევრები არიან. ამ ოჯახის ამბავი კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორიას ასიმბოლოებს. გმირთა სახეები სტატისტიკაშია მოცემული, ისინი უცვლელად გადადიან ერთი საუკუნიდან მეორეში, ყინულოვანი ხანიდან, ბიბლიური დროის გავლით —

თანამედროვეობაში. ავტორი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საუკუნეების რაოდენობრივ მატებას არსებითი ცვლილება არ მოუტანია, სიცოცხლის განუწყვეტელ წრე-ბრუნვაში მეორდება ადამიანთა ბედ-იღბალი, ადამიანური ურთიერთობები და მისწრაფებები.

პიესის თვითეულ გმირში გარკვეული მისწრაფება სჭარბობს: მისტერ ანტროპოსში — ძლიერია სწრაფვა შემოქმედებითი აქტივობისაკენ, მისის ანტროპოსი, პირველ ყოველისა დედაა, ოჯახზე, შვილებზე ზრუნვით შეპყრობილი, ანტროპოსების ვაჟიშვილი გენრი, თვითმიზნური ნგრევისა და სიძულვილის გრძნობებით განმსჭვალული, ზოგადად სიბოროტეს ასიმბოლოებს ანტროპოსების მომსახურე, ლილი-სანინა კი მარადიული კეკლუცი ქალის, ცდუნების სიმბოლოა და ამასთან ერთად სოციალური იერარქიის ურაეობის განსახიერებაა, მთელი პიესის მანძილზე, რაც არ უნდა მოიმოქმედოს ლილი-სანინამ, როგორი მიაახლოებულიც არ უნდა ჩანდეს მის სანუკვარ ოცნებასთან გაბდეს მისის ანტროპოსი, მისი საბოლოო ადგილი მაინც სამზარეულოში აღმოჩნდება.

პიესა იწყება და მთავრდება სანინას ერთი და იგივე მონოლოგით. ავტორი ციტირების ხერხს მიმართავს და ამით ცხოვრების უსასრულო წრე-ბრუნვის პროცესის უცვლელობის, მუდმივი განმეორებადობის შეგრძნებას აძლიერებს.

პიესა „ბეწვის ბიდზე" — ისტორიის განვითარების ციკლურობის იდეის პირდაპირ ილუსტრაციას წარმოადგენს, ჩვენ მოვლენების მხოლოდ უბრალო ასპექტს ვხედავთ, გმირთა ხასიათები მოკლებულია ყოველგვარ ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს, უფრო აბსტრაქტული ალეგორიებია, ვიდრე ცოცხალი სახეები; მაგალითად ჯორჯ ანტროპოსში ძნელი შესაჩნევი არ არის ადამის სახის პარალელიზმი, თავად ავტორიც რამდენჯერმე მას ადამს ეძახის, ისევე როგორც მისის ანტროპოს ევას, მენრი ანტროპოს კაენს.

მწერალი ამ პიესაში, ვფიქრობ, ზედმეტად გაიტაცა ადამიანური დრამის კოსმოსურმა მხარეს, ბიბლიურ-მითოლოგიურმა პარალელიზმმა, მინიშნებებმა, თვითმიზნურმა, ილუსტრაციული ხასიათის სიმბოლოებმ, ზედმეტად რაციონალურმა ინტელექტუალიზმმა. მითოსური ციკლურობის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს პიესას, ერთფეროვან მხატვრულ ხერხად არის ქცეული. მასში დაირღვა ის საოცარი, ლაღი და ბუნებრივი ჰარმონია, რითაც უაილდერის დრამატურგიის საუკეთესო ნიმუში „პატარა ქალაქი" გამოირჩევა.

●

უაილდერის პიესა „ჩვენი პატარა ქალაქი" მოგვითხრობს მეოცე საუკუნის დასაწყისის ამერიკის ერთ-ერთი პროვინციული ქალაქის გროვერს-კორნერსის მკვიდრთა ყოველდღიურ ყოფაზე, მათ სახიცოცხლო მისწრაფებებზე, მოგვითხრობს, თუ როგორ გადიოდნენ ცხოვრების გზას ადამიანები დაბადებიდან სიკვდილამდე ამ პატარა ქალაქში, სადაც რეჟისორის თანაშემწის სიტყვით ერთი ცნობილი პიროვნებაც კი არ დაბადებულა. პიესაში ხაზგასმით დამიწებებული, ბანალური ყოფაა ნაჩვენები და ავტორიც ყოველგვარი სკეპტიციზმის გარეშე, ბრალი ირონიით გვესაუბრება მისი გმირების ცხოვრების უბადლო მოვლენებზე, ჩვენს წინაშე თითქოს მიედინება ადამიანთა არსებობის ერთიანი, მარად განმეორადი ნაკადი, შემდგარი ისეთი კანონზომიერი, თანმიმდევრული პროცესებისაგან, როგორიცაა ბავშვობა, ქორწინება, სიკვდილი.

„პატარა ქალაქში" მოქმედება ერთდროულად ორ პლანში ნაჩვენები; ერთი ზედმიწევნით კონკრეტულ, ყოფით სიტუაციებში ვლინდება, ხოლო მეორე აბსტრაქტულად — განმაზოგადებელი, ალეგორიული ხასიათისა, ერთის მხრივ — ყოველდღიური ყოფის უწვრილმანესი გამოვლინებები, ხოლო მეორეს მხრივ — ადამიანის ცხოვრება, როგორც წამიერი გაელვება ისტორიის განვითარების დაუსრულებელ პროცესში. ამ ორ მომენტს — ზედმიწევნით კონკრეტულსა და შეიძლება ითქვას „კოსმოპოლიტურს" შორის მოხსნილია შუალედური შრეები. „პატარა ქალაქში" ცხოვრება ნაჩვენებია თავის ბუნებრივ მდინარეში, განთავისუფლებული ყოველგვარი სახის საზოგადოებრივი წინააღმდეგობებისგან, იქნება ეს სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტი. პიესაში ჩვენ არ ვხვდებით თანამედროვე ცივილიზაციის პრაგმატულ სამყაროს, სადაც მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა ძირითად მიზნად იქცევა. მართალია გროვერს-კორნერსის მკვიდრები არ გამოირჩევიან დიდი ინტელექტით, მაგრამ ისინი ბუნებასთან კავშირში მეტად ალიქვამენ ცხოვრების მშვენიერებასა და სილამაზეს. როგორც პიესის ერთ-ერთი გმირი, მისტერ უები ამბობს, ისინი სიამოვნებას იღებენ მთის მიღმა ამომავალი მზის სურათის ცქერისას, ანდა უბრალოდ ფრინველებზე დაკვირვებისას. ყოველი მათგანი ინტერესით ამჩნევს წელიწადის დროების ციკლურ ცვლილება-მდინარებას, თვითეულის ცხოვრება უსაზღვრო მთლიანობის შესაძლოა ძალზედ მცირე, მაგრამ მისგან განუყოფელი ნაწილია, მთელ სამყაროსთან კავშირში რომ განიცდის მოძრაობა-განვითარებას. ამ სამყა-

მაია გოშაძე
თეატრმცოდნე უაილდერის თეატრი

ELIBRARY.GEO

როში არაფერია განსაკუთრებული, უფრო სწორად კი ყველაზე უმნიშვნელო და ბანალური მნიშვნელობას იძენს. პატარა ქალაქის გმირთა არსებობა გარეგნულად თითქმის არც გამოირჩევა ერთმანეთისაგან. ისინი ლაღად და ბუნებრივად მიჰყვებიან ცხოვრების მდინარებას, ისეთ მარადიულ გრძნობებს მიეკემლნენი, როგორიცაა — სიხარული და მწუხარება, სასოწარკვეთა და იმედი, სიყვარული და დედა-შვილობა.

„პატარა ქალაქის" მკვიდრთა ცხოვრების საერთო სურათის ფონზე გამოიყოფა ორი ოჯახის, გიბსებისა და უების ამბავი, მოზარდი ჯორჯ გიბსისა და მისი თანატოლი გოგონას ემილი უების სიყვარულის და ქორწინების ისტორია. პირველი მოკმედება, რომელსაც რეჟისორის თანაშემწემ „ყოველდღიური ცხოვრება" უწოდა, უფრო მეტად პატარა ქალაქის ცხოვრების სურათის პანორამას გვაცნობს. დაკვირვების ობიექტი მაქსიმალურად შემოფარგლულ-შემოზღუდულია და თითქმის მიკროსკოპული ხედვის არეშია მოქცეული. ცხოვრების ყოველი დეტალი ავტორის ყურადღებას იქცევს, იქნება ეს მისის გიბსის ბაღში მზესუმზირის უხვი რაოდენობა, დიდი კაკლის ხე, სადილის მზადებისა თუ საუზმის პროცედურა. არაჩვეულებრივი სიზუსტითა და მთრთოლვარებით ფიქსირდება ცხოვრება თავის უწერილმანეს, წამიერ გამოვლინებებში.

ადამიანის არსებობის მარადიული წრებრუნვა უსაზღვრო, შეუჩერებლად მოძრავ დროსა და სივრცეში წარმოგვიდგება. დროის თავისუფალ ოპერირებასთან ერთად, კონკრეტული შემოფარგლულ-შემოსაზღვრული, ლოკალიზებული სივრცე, ანუ გროვერს- კორნერსი ახალ განზომილებაში გადაიზრდება, უსასრულობას უერთდება. პიესის ერთ-ერთი მოქმედი გმირი, თერთმეტი წლის გოგონა, რებეკა უები, ერთი შეხედვით თითქოს სახუმარო ტექსტს წარმოთქვამს, როდესაც ვიღაც „დამთხვეულის" მიერ წერილზე მიწერილი მისამართის ციტირებას ამდენს, სინამდვილეში კი ამგვარად უსაზღვროების ეფექტს ქმნის; „ჯენ კროუფორდი, გროვერს-კორნერსი, სატონის ოლკი, ნიუ-ჰემ' შირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩრდილოეთ ამერიკის მატერიკი, დასავლეთის ნახევარსფერო, დედამიწა, მზის სისტემა, მსოფლიო, ღვთის საუფლო".

გროვერს-კორნერსი ამ უსასრულო სამყაროს მიკროკოსმოსს წარმოადგენს, სადაც ყოველი დეტალი ერთ სივრცეში ერთიანდება, თვითეულ ნაწილს თავისი კუთვნილი ადგილი, მნიშვნელობა და როლი აკვს მიჩნეული, თავის მხრივ პატარა გმირთა ცხოვრებაც იმ მოძრავი მთლიანობის ნაწილს ქმნის. თვით ემილი უებისა და ჯორჯ გიბსის შეუღლება წარმოდგენილია როგორც ბუნების ძალის ერთ-ერთი გამოვლენა, სამყაროს ორგანიზებული წესრიგის გამომხატველი. ამიტომ, როგორც რეჟისორის თანაშემწე ამბობს, ქორწილის სცენის მთავარ გმირს ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ ამ უხილავი ძალის ზემოქმედება ყველაფერში იგრძნობა.

პიესის მეორე მოქმედებაში განსაკუთრებით იგრძნობა კავშირი ერთეულსა და უნივერსალურს, გროვერს-კორნერსსა და მთელ სამყაროს შორის. პირველი მოქმედების შემდეგ განვლო სამმა წელმა, დედამიწაც და გროვერსიც, როგორც წამყვანი ამბობს, სამი წლით დაბერდნენ, ბავშვები, რომლებიც არც კი იყვნენ გაჩენილნი პირველ მოქმედებაში, უკვე ლაპარაკობენ, ის კი ვინც სულ ცოტა ხნის წინ თავს სიცოცხლით სავსედ თვლიდა, უკვე ძველებურად მარჯვედ ველარ აირბენს კიბეს. ბუნება, რეჟისორის თანაშემწის სიტყვით, სხვა მხრივაც იჩენს თავს; დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ახალგაზრდები ქორწინდებიან, თითქმის ყველა სამარეში დაოჯახებული ჩადის და არც გროვერს-კორნერსი წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს.

ადამიანის ცხოვრების ციკლი უაილდერის რწმენით ისეთივე წრებრუნვაშია, როგორც ბუნების წლიური ციკლი, ან მზის წრიული სვლა. ამ საყოველთაო განვითარება-მოძრაობის პროცესში ყველაფერი თავიდან და ამავე დროს განუმეორებელი თავისებურებით მეორდება; ადამიანური გრძნობები, მისწრაფებები, ურთიერთობები და ყოფა. ბაბილონში, ისევე როგორც ძველ რომში, ან ანტიკური ხანის საბერძნეთში, ყოველ საღამოს სამუშაოდან ბრუნდებოდა ოჯახის უფროსი, ყველანი ერთად სხდებოდნენ საკაზშმიდ, სახლის სახურავს კი ისევე ასდიოდა ბოლი, როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისის გროვერსის სახლებს.

ადამიანთა ბედის განმეორებადობის მოტივი ხშირად შემოდის პიესაში; მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული გროვერს-კორნერსის სასაფლაოზე იმავე გვარებს ამოვიკითხავთ, რასაც მეოცე საუკუნის დასაწყისის ქალაქის მკვიდრები ატარებენ, გროვერსების, კატრაიტების, გიბსებისა და უების ოჯახის წევრები.

„პატარა ქალაქში" ავტორი ადამიანის არსებობის მარადიული მოდელის შეკმნისკენ მიისწრაფის, რის გამოც ზოგ შემთხვევაში ფსიქოლოგიის ფენებში იკარგება ინდივიდუალური ნიშან-თვისებები, საქციელის კონკრეტული მოტივირებაც კი, როგორც ეს ერთ-ერთი ეპიზოდური პერსონაჟის საიმონ სიმპსონის შემთხვევაში მოხდა. ეს უკანასკნელი პიროვნებაც და თვითმკვლელობის ფაქტიც არსებითად გაუუხსნელი რჩება და მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიღებით უნდა დავკმაყოფილდეთ, მაგრამ ძირითადში, რა თქმა უნდა, პიესაში წარმოსახული მოვლენების განზოგადოებული ხასიათი, სულაც არ გულისხმობს აბსტრაქტულ ალეგორიულობასა და სქემატურობას. რუსი კრიტიკოსი ტატიანა კანაროვა თავის დისერტაციაში „თორნთონ უაილდერი — დრა-

მატურგი“ მწერლის პოეტიკის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად, მის მიერ განმეორებადობის მეთოდის გამოყენებას მიიჩნევს, რაც, მისი აზრით, ბოლომდე ხსნის ცხოვრების ინდივიდუალური გამოცდილების ილუზიას.

პიესის მესამე მოქმედებაში პირობითი ხერხია გამოყენებული. მოქმედება საქართველოში მიმდინარეობს. ემილი უები მეორე ბავშვზე მშობიარობას გადაჰყვა და „პატარა ქალაქის“ ჩვენთვის ცნობილ სხვა გმირების, მისის გიბსის, ული უების, ჯო კროუოფლის, საიმონ სიმპსონის და სხვათა მსგავსად გარდაცვლილთა სამყაროში მოხვდა, ამგვარად მწუხარების ამ საუფლოში ამქვეყნად გარდაცვლილთა საზოგადოებაა შეკრებილი. უაილდერი წერდა, რომ მის მიზანს არ წარმოადგენს საიქიო, იმქვეყნიური ცხოვრების სურათის ჩვენება. პიესაში უბრალოდ მცდელობაა მოიძებნოს უმაღლესი კრიტერიუმები ჩვენი ყოველდღიური ყოფის უწვრილმანესი გამოვლინებისათვის.

„პატარა ქალაქში“ იგივე სიუჟეტური სვლაა გაკეთებული, რაც უაილდერის რომანში „ქალი ანდროსიდან“. რომანის მთავარი გმირი, პამფილეკი იხსენებს ლეგენდას იმის შესახებ თუ როგორ, ერთ-ერთი გარდაცვლილი, საიქიოს მეუფის ნებართვით დაბრუნდა წარსულში, თავის მშობლიურ სახლში, მაგრამ დაბრუნების პირობას მომავლის ცოდნა წარმოადგენდა. მისი მშობლების მოახლეობული სიკვდილის გარდაუვალობის ცოდნა იმდენად შემზარავი აღმოჩნდა, რომ კაცმა უკან დაბრუნება არჩია.

ემილი უებიც, რეჟისორის თანაშემწის თაოსნობით ირჩევს უკან დასაბრუნებლად იმ დღეს, როდესაც მას თერმეტი წელი შეუსრულდა. ისიც ასევე ხდება მოქმედების არა მხოლოდ მონაწილე, არამედ გარედან შემფასებელიც.

ემილი უები თითქოს გამოეყოფა მთელ გარემოს და ჩვენც მისი ხედვის რაკურსიდან ხელახლა დანახულ რეალობას განვიცდით. ყოფის სიტუაცია თითქოს მეორდება, მაგრამ სულ სხვა მხრიდან გახსნილ სინამდვილეს წარმოაჩენს. ერთის მხრივ ემილი, ხოლო მეორეს მხრივ — მისი ოჯახის წევრები არიან. ავტორი თითქოს მათი არსებობის განსხვავებული რითმის დაპირისპირება-ჩვენებას ცდილობს, ერთის მხრივ ვხედავთ ემილის, დინჯი დაკვირვებისა და თვითჩაღრმავების მდგომარეობაში, ხოლო მეორეს მხრივ მისტერ და მისის გიბრხის აჩქარებული მოქმედება — საქციელს, სწრაფ, თითქოს ავტომატურ სიტყვასასუხს. ემილიმ იცის, რომ სულ ცოტა ხანში აპენდიციტის შეტევისაგან დაიღუპება მისი ძმა ული, უების ოჯახის წევრებს ბევრი სიმწარე მოელით, თავად ემილიც მეორე ბავშვზე მშობიარობას გადაჰყვება, მაგრამ ეხლა როდესაც ისინი ერთად არიან, მათ ერთი წუთიც მაინც შეუძლიათ ეგრძნობინონ ერთმანეთს ერთად ყოფნა, შინაგანი სიახლოვე და ურთიერთსიყვარული. მაგრამ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა. თვითეული მათგანი საკუთარ ჩვევათა ტყვეობაშია მოქცეული. გარეგნულ ფაცფუცსა და საქმიანობაში გართული ადამიანები თურმე ვერც კი აჩჩნევენ ერთმანეთს.

განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდება ემილისათვის უახლოესი ადამიანების, სრულიად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე მდგომარეობაში დანახვა და ამავე დროს მათი ახალგაზრდობის დაბრუნების, სიბერის ულმობელი პროცესის შეჩერების შეუძლებლობის გაცნობიერება. სიცოცხლის დაკარგვის შედეგ მისი მშვენიერების მწვავედ, მტკივნეულად აღქმა-განცდის მოტივი ემილის გამოთხოვების სიტყვებში აღწევს კულმინაციას. „მშვიდობით გროვერს — კორნერს... დედა, მამა, მშვიდობით საათის წიკწიკო, დედის მზესუმზრავა... საუზმე, ყავა, ახალგაუთოვებული კაბა, ცხელი ამაზანა, ძილი და გაღვიძება“

ბუნებრივია, პიესის მესამე მოქმედებაში გამოყენებული პირობითი ხერხი, ერთ-ერთი საშუალებაა იმ ნოსტალგიური განცდის ჩვენება-გამოხატვისათვის, რომელსაც ადამიანის ხანმოკლე, სიცოცხლის წამიერება, განვლილის დაბრუნების შეუძლებლობა იწვევს. ანალოგიური განცდა შეიძლება გამოვლინდეს სახლიდან წასული გმირის მოგონების სახით, როგორც ეს უილიამზის „შუშის სამხეიცეში“ ან შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ხანში შესული ადამიანის მოგონება, რომლის მეხსიერებას შემორჩა მხოლოდ, მისთვის კარგად ნაცნობი, ახლობელი სახეები, მათთან დაკავშირებული ამ განუმეორებელი სიახლოვის შეგრძნება, თავად ადამიანის განუყოფელ ნაწილს რომ შეადგენს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში უაილდერმა გაგვახსენა თითქოს უბრალო, მაგრამ სინამდვილეში ყველაზე მეტად ფასეული ადამიანური ღირებულებების შენარჩუნების აუცილებლობა, ადამიანი უნდა დაუბრუნდეს თავის წიალს, ბუნებას, სიცოცხლის ლაღ აღქმა-განცდას, ჭეშმარიტი ცხოვრება არის იქ, სადაც ადამიანს არა აქვს დაკარგული ნორმალური, ჯანმრთელი, სისხლხავსე არსებობის უნარი. ამიტომ გამოთქვამს რეჟისორის თანაშემწე სურვილს „პატარა ქალაქის“ ეგზემპლარი შთამომავლობას შემორჩეს, რომ ათასი წლის შემდეგ მოსულმა ადამიანმა კიდევ ერთხელ გაიხსენოს, ცხოვრების უბრალო და მარადიული ჭეშმარიტებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია მურღულია

პარადიგმული სახეები „დავითიანში“

დავით გურამიშვილის „დავითიანი“, ქართული სიტყვიერი კულტურის მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი, პარადიგმულ სახეთა მთელ წყებას წარმოგვიდგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სახეთა შესწავლის გარკვეული ტრადიცია არსებობს. ჩვენ შევეხებით ამგვარ სახეთა ადგილსა და ფუნქციას გურამიშვილის სახისმეტყველებითს სისტემაში.

მიზანშეწონილად გვეჩვენება ყურადღების გამახვილება ისეთ მნიშვნელოვან პარადიგმულ სახეებზე, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი შემოქმედი, ვისაც ქრისტიანულ თემაზე რაიმე დაუწერია — ესენია ბიბლიური ანდა ეგზეგეტიკური შრომებიდან მომდინარე სახეები. ამთვალ ყურადღებას იპყრობს ისინი, რომლებიც ღვთისმშობელს უკავშირდება.

საჭიროდ მიგვაჩნია ღვთისმშობლის სახელთა შეძლებისდაგვარად სრული ნუსხის წარმოდგენა „დავითიანიდან“:

„მარიამ ქალი“, „ოქროს სასანთლე“, „ლამპარგანუმქრალი“, „ზმირინ-გუნდრუკთ საკმეველი“, „საყნოსელად ალი“, „ქალწულთ გვირგვინთ სამკაული“, „უსასყიდლო მარგალიტი“, „ძვირფასი თვალი“, „ცხოვრების წყლის იათუღი“, „ოქრო“, „დედოფალი“, „ცხოვრების წყლის ღარი“, „ღვთის ძღვენთ წინამძღვარი“, „აბრამის კარი“, „სჯულთ კიდობანი“, „მოსიანთ ღვთის მცნების ჩასაწობელი“, „შეუწველი მაყვალი“, „საღმრთო ცეცხლგანუქრობელი“, „ელვა სულთ მანათობელი“, „საპოსილი უხრწნელი“, „ცეცხლთა თაყვანისცემის ღამშრეტი“, „ღვთის სამსხვერპლო“, „ფურნე“, „ცხოვრების პურთა მცხობელი“, „ცხოვრების წყაროს ენაზი“, „კლდე წყლის მომცემი“, „ნაოფიერი ვენახი“, „ღმრთის სიტყვის ხორცით მტვირთველი“, „ღვთის ძის კაცად აღმზრდელი“, „ადამის მხსნელის დედა“, „ღვთის სიბრძნის სავანე“, „ცათამდის მწვდომი კიბე“, „არსის საყრდისა სინათლე“, „ლამპარი გრძელად განუქრობელი“, „მთიებისა დედობით ბნელ ქვეყნის მანათობელი“, „მთა ლოდის გამომტყორცელი“, „დამამტვრეველი კერპთა“, „ცათაგან დაუტეველთა წიაღთა დამატეველი“, „სარწმუნოების ხარისხი“, „სჯულის მტკიცედ მპყრობელი“, „ქრისტიანეთა ზღუდე“, „მთა პოხილი“, „მთა ღვთისა“, „დავითის საგალობელი“.

საინტერესოა, რომ, უხვად იყენებს რა ტრადიციულ სახეებსა და სახელებს, პოეტი ოდენ „კატაფთიკური ჭრილში“ წარმოადგენს ღვთისმშობელს. არც ის უნდა დაგვრჩეს შეუმჩნეველი, რომ დ. გურამიშვილი თითქოს ერიდება წმინდა მარიამის თავისთავადი სახის გამოკვეთას და უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ქრისტესთან მიმართებაში წარმოაჩენს მას.

ახლა შევეხოთ ზოგიერთ იმ პარადიგმულ სახეს, რომლებიც „დავითიანში“ მხატვრულ დროსივრცულ მთლიანობას ქმნიან.

1. მთა — კლდე — კიბე

„მთა“ (სიმბოლური თვალსაზრისით, იგივე „კლდე“, „კიბე“) ღვთისმშობლის უმნიშვნელოვანესი და გავრცელებული სახეა. „მთა“, „კლდე“ და „კიბე“ ერთ შინაარსობრივ რკალში თავსდებიან.

„მთა“ არ არის მხოლოდ ღვთისმშობლის „მახასიათებელი“. ეს ცნება მრავალგზის იძენს სიმბოლურ მნიშვნელობას ძველი და ახალი აღთქმების წიგნებში, ასევე ბევრ სხვა რელიგიაში.

ასევე მრავალი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს „კლდეს“, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მაცხოვრის სახელთან:

«Бог, крепкий как скала. — Благодаря своей крепости скала такое же верное убежище, как и гора для беглеца. Углубление в скале даёт убежище и спасение... Бог именуется Скалой Израиля, ибо обеспечивает ему спасение. Этот смысл подчеркивается и другими аналогичными наимено-

ваниями Бога; он есть твердыня, крепость, прибежище, защита, ограда, щит, каменная гора». (Словарь Библейского Богословия, под редакцией Ксавье Леон-Дюфура и Жана Люмаси, Августина Жоржа, Пьера Грело, Жака Гийе, Марка-Франсуа, Лакана, Брюссель, 1974, с. 221—223).

მაგრამ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეს სახელები ღვთისმშობელსაც უკავშირდება. ამის მაგალითები ხშირია ქართულ სასულიერო მწერლობაში, განსაკუთრებით კი ჰიმნოგრაფიაში. მაგალითად:

„იაკობ კიბედ გიხილა. ხოლო მოსე
მაყვალად, დანიელ მთად, გედეონ
საწმისად...“ (იოანე შავთელი).

„...რომელსა დავით მთად პოხილად
გიწოდა,
რომელსა შინა დაიმკვიდა ქრისტემან“.
(იოანე მტბევარი).

„შენ, ღმრთისა დამტევნელო
გამოუთქუმელად,
კიბეო, რომელსა ზედა გარდამოჴდა
ღმერთი და ხატი მონისაჲ მიიღო დღეს...“
(იოანე მტბევარი).

„ვითარცა ბჭესა დაკშულსა და მაყუალსა
შეუწყალსა და მთასა ლოდის მშობელსა...
...გეევდრებით შენ...“ (იოანე მტბევარი).

მთის (კლდის) სიმბოლიკას ჩვენ ვხვდებით (საკმაოდ ფარულ კონტექსტში) „ნინოს ცხოვრებაში“, რომელიც ქართული ქრისტიანულ-სიმბოლური აზროვნების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს; არმაზის ნგრევისას, როდესაც „იკმნეს ჭუზილნი სასტიკნი და ზმანი საზარელნი და მეხისტანნი შესაძრწუნებელნი“ და „თითოეული სახიდ თჳისა მირბიოდეს“, ნინო სრულიად უშიშრად იდგა კლდეს თავშეფარებული: „ხოლო ნეტარი ნინო ეამსა მას ზეგარდამოჴსა ძალისაგან წარწყმედისა კერპთასა მდგომარე იყო უშიშად მახლობელად იდგილისა მის, მცირეს საფარველსა კლდისასა ქუეშე მდგომარე და შესწირვიდა ღმერთისა ქებასა და მადლობასა“ (არსენ ბერი, „ცხოვრება ნინოსი“).

ბუნებრივად ჩნდება აზრი, რომ ნინოს გადამრჩენელი კლდე, რაც ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია, სწორედ ქართველთა მომაქცევლის ქართლში გამომგზავნელსა და მფარველს (წმ. მარიამს) უკავშირდება.

დავით გურამიშვილი, როგორც ღრმად რელიგიური პოეტი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ზემონახსენებ სიმბოლურ სახელებს, მითუმეტეს, რომ მის მხატვრულ ქმნილებაში ღვთისმშობლის სახეს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი მიეკუთვნება.

ამ თვალსაზრისით ძალიან ნიშანდობლივია „ლეკთა ტუვეობიდან“ თავდახსნილი და ავდრის გამო კლდეს შეფარებული პოეტის ვედრება („ვედრება ღვთისმშობლისა დავითისაგან, ოდეს იმ ზეით თქმულს ლოდ-გამოკვეთილს კლდეს შეეფარა ავის დრის მიზეზითა“). „ნინოს ცხოვრების“ ზემოდასახელებული პასაჟის მსგავსად, „დავითიანშიც“ პიროვნება, რომელსაც ღვთისმშობელი მფარველობს, კლდეს აფარებს თავს გასაჭირის ჟამს. აღსანიშნავია, რომ მარიამის „ქების“ შემდეგ (ამას ეძღვნება მთლიანად თავი LდD. გურამიშვილი თითქოსდა პირდაპირ აიგივებს მის გადამრჩენელ მთასა და ღვთისმშობელს:

რომელმან მთამან დამფარა, მას ითაზედ
იმ სეტყვებითა,
მეც იმ მთას მსხვერპლი შევსწირე, რაც
გითხარ იმ სიტყვებითა.

„რაც გითხარ იმ სიტყვებითა“ სწორედ ზემონახსენებ თავს (LდD) მიანიშნებს. ამ პირდაპირი მინიშნების გარდა, ჩვენ ვხვდებით მსგავს სახეებს, რომლებიც, უნდა ითქვას, ყოველთვის მთლიანობას ქმნიან მაცხოვრის სიმბოლურ სახელებთან:

„მთავ ღვთისავ, მთაო პოხილო“;
„კლდეო წყლისა მომცემო“;
„კიბეე, ცათამდის მწდომელო“,
„მთავ, ლოდის გამომტყორცელო“;

საინტერესო სახეა „მთა პოხილი“; ცნება „პოხილი“, როგორც სულხან-საბა ორბელიანი მიუთითებს, ჯერ კიდევ ძველ ალთქმაში გვხვდება (ესაია, 5, 2) და განმარტებულია, როგორც „ნივთთ მეტნთა“. მაშასადამე, ამ სიმბოლური სახის შინაარსი მეღვნდება გარდამეტებულ არსებობაში, ან, როგორც იოანე მტბევარი იტყვის, „დაუტევნელი ბუნების დატევნაში“:

ეჰა, მიუწედომელსა საიდუმლოსა,
რამეთუ დაუტევნელი ბუნებაჲ
ღმრთეებისაჲ ჯორცითა დატევნულ იქმნა
და ღმერთი შეუწერელი ქალწულისა გან
იშვა.

„მთა პოხილი“ ქართულ ჰიმნოგრაფიაში დადასტურებულია. მაგალითად, იმავე იოანე მტბევარის „იამბიკონში“ ვკითხულობთ:

წჯიმაჲ საწმისად გარდამოსრული პირველ,
რაჟამს იხილა გედეონ, გუაუწყა ჩუენ
შობისა შენისა საიდუმლოჲ, სძალო,
რომელსა დავით მთად პოხილად გიწოდა,
რომელსა შინა დაიმკვიდრა ქრისტემან.

ეს სახე, რომელიც დავით ფსალმუნთა ავტორთან არის მოხსმობილი, ბუნებრივია, თავის კუთვნილ ადგილს იკავებს გურამიშვილთანაც, რომელსაც, როგორც ცნობილია, ბიბლიური დავითი. თავის მეორე პოეტურ „მედ“ გაუხდია.

ამ მსჯელობის მერე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მთა“, „კლდე“, „გამოქვაბული“ არა მხოლოდ ქრისტესა და ღვთისმშობლის სახედ არის ჩათვლილი, არამედ ეკლესიისაც. ქართული ჰიმნოგრაფია ამგვარ გააზრებასაც იცნობს (ცხადია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, ქრისტიანული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლმხედველობით, ქრისტე და ეკლესია ურთიერთგამსჭვალავი ცნებებია):

მოვედით დღეს, მორწმუნენო, და ჯხილოთ ქუაბი, რომელი გუაუწყებს სახესა მას ეკლესიასასა...

რაც შეეხება „კიბეს", ეს სახე, მომდინარე ძველი აღთქმიდან, („იაკობის კიბე"), ისევე როგორც „მთა", ციხა და დედამიწის, ღვთაებისა და კაცობრიობის შემაერთებელ ხიდად ითვლება, ამასთან, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით. ღვთისმშობელი — კიბის „საშუალებით" მაცხოვარი მოეკლინა ქვეყანას და მისივე „შეწევნითვე" იბადება პერსპექტივა განღმრთობისა, „ზეცად აყვანისა". ამ სახის კლასიკურ განმარტებად შეიძლება ჩაითვალოს იოანე მტბევარის „იამბიკონის" ერთი სტროფი:

შენ, ღმრთისა დამტევნელო
გამოუთქუმელად,
კიბეო, რომლისა ზედა გარდამოხდა
ღმერთი და ხატი მონისა მიიღო დღეს და
ზეცად
ამიყვანა შენ მიერ, ქალწულო,
ამისთვისცა სარწმუნოებით გადიდებთ!

ამ სახის ანალიზისას ტ. მოსიაძ მოაქვს საინტერესო მაგალითები „დაუჯდომელიდან" („აკათისტო" — VIII ს. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ნიმუში) და „ძლისპირნიდან".

მაუვალი

ბიბლიური მოსესგან წარმომავალი ეს სახე („უჩუენნა მას (მოსეს — გ. მ.) ანგელოზი უფლისა ცეცხლითა ალისათა მაყლოვანითა გამო, და იხილა, ვითარმედ მაყლოვანსა მას აღტყდების ცეცხლი და მაუფალი იგი არა შეიწუებისა" („გამოსვლათა", 3, 2)., მრავალგზის დასტურდება ქართულ მწერლობაში. ამჯერად დაგვეპირდება ბიბლიური სიმბოლიკით „პოხილი" ძეგლის, იოანე მტბევარის „იამბიკონის", დამოწმება. ეს ჰიმნი ქრისტეშობას ეძღვნება და მასში, სულ ცოტა, ორჯერაა დადასტურებული ჩვენთვის საინტერესო სახე:

1. ვითარ შვა ქალწულმან, ვისწავოთ, და
ვითარ
ცეცხლი საღმრთოჲ წიალითა იტჯრთჲ
დღეს
და არაჲ შეიწუეა, ვითარ მაყუალი".

და 2. ვითარცა ბჭესა დაჴშულსა და
მაყუალსა
შეუწუელსა და მთასა ლოდის მშობელსა,
რომელი იქმნა თავ საკიდურთა,
გეეედრებით...

„მაუვალი" ჩანს იოანე მინჩხის ნაწარმოებშიც „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი":

შეუხებელმან
საღმრთომან ცეცხლმან უსხეულომან
არაჲ აღაგზნა
მსგავსად მაყულისა წმიდაჲ ქალწულო,
და განსაკჳრვნა.
ძალნი ზესკნელს ცათანი,
ვითარცა მოსე მთასა სინასა!

ამ სახეს ვხვდებით სხვა სვინგელოზთანაც („გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი"): „სახე იყო მაუფალი ხატისა ყოველად წმიდისა შენისა, ქალწულო ღმრთისმშობელო..."

ჰიმნოგრაფიის მაგალითების დამოწმება ნიშანდობლივად ჩანს, რადგან, როგორც ტ. მოსიაც აღნიშნავს, სასულიერო პოეზიიდან და „დავითიანიდან" სავანგებოდ ამოკრებილი მარიამის სიმბოლო-ეპითეტები ნათლად მიგვანიშნებს, რომ გურამიშვილის უშუალო წყარო ჰიმნოგრაფების შემოქმედებაა..."

ამ სახეს ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაშიც ღრმად გაუდგამს ფესვი. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული შეხედულების კვალობაზე, უკვე აღვნიშნეთ, რომ ბიბლიური სიმბოლიკის ფუნქციონირების თვალსაზრისით, კლასიკურ ძეგლად უნდა იქნეს მიჩნეული „ნინოს ცხოვრება". წინა მაგალითისამერ, ახლაც, მაყვალის სიმბოლიკის შემთხვევაშიც, ქართული ეროვნული ცნობიერების კვალს „ნინოს ცხოვრებასთან" მივიყვანართ. ნინომ, რომელიც ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში მარიამის ლოცვა-კურთხევით გამოუგზავნა, მცხეთაში სამკვიდროდ აირჩია ე. წ. „მაყულოვანი", ადგილი, რომელიც მაცხოვრის დედის სიმბოლიკით არის აღბეჭდილი — თითქოს, მითოსური ანთეოსის მსგავსად, ქართველთა მომაკცეველიც „ღვთისმშობლის ადგილიდან" იღებს სულიერ ძალებს თავისი მისიის შესასრულებლად:

„ხოლო ღირსმან ნინო მადლი შეწირა ყოველად-სახიერსა ღმრთისა და წარვიდა საყოფლად თჳისად, შორის მაყვალთა მათ, რომელნი მდგომარე იყვნეს, სამოთხეს მახლობლად კუპაროზთა მათ საკვირველთა" და კიდევ: „ესეივითარითა მოღაწეებითა დადგრა ადგილსა მას შორის მაყვალთა, ეჭვს წელ" (ძეგლები, III, გვ. 25).

წმიდა ნინო, ჩვეულებრივ, ამ ადგილას ლოცულობს ხოლმე. მეფე მირიანის შეკითხვაზე, თუ სად არის ამჟამად ნინო, მას პასუხობენ: „ილოცავს ჩვეულებისაებრ მაყვალთა მათ შორის". ბუნებრივია, „დავითიანის" ავტორი გვერდს ვერ აუვლიდა ამ საყოველთაოდ გავრცელებულ „კანონიკურ" სახეს ღვთისმშობლისახ. დ. გურამიშვილი საკმაოდ ორიგინალურ კონტექსტში წარმოაჩენს ამ სიმბოლოს:

ვით შეუწუველო მაყვალო, საღმრთო
ცეცხლ-განუქრობელო,
მიხსენ, ნუ დამწვავ საკმილით, იესოს
ქრისტეს მშობელო!

აქ ოსტატურადაა გამოყენებული დაპირისპირების ხერხი — პოეტი ეკედრება წმ. მარიამს,

რომ მან სიმბოლურად „ცეცხლ-განუკრობელმა" (ცეცხლი აკ ქრისტეა), დაიცვას დავითი ჯოჯოხეთის არასიმბოლური ცეცხლისგან. ამ პასაჟს ახლავს მეორე შინაარსობლივი მომენტიც: პოეტი ცდილობს დადგაროს ადამიანური სრულქმნილების გამომხატველ „შეუწველ" ღვთისმშობელს, მაშასადამე, თავადაც გახდეს „შეუწველი", ეზიაროს სრულქმნილ ადამიანურ ბუნებას.

ვუბრუნდებით რა „მაყვლოვანის" სიმბოლიკას, საგულისხმოდ გვეჩვენება აღვნიშნოთ, რომ ქართულ ჰიმნოგრაფიას შეუმუშავებია ამ ცნების საპირისპირო ცნება, ვიტყოდით, „ანტისიმბოლო", რაც მხოლოდ ზრდის ღვთისმშობლის ზემოდასახელებული სახელის მნიშვნელობას.

არსენ ბულმანიისმისეული ნინოსადმი მიძღვნილ „გალობაში" წერს:

...ურჩისათვის ერისა
ეკლოვანთა ფიცხელსა სულითა მოძრავმან
ბრძენმან ნინო თავი თავისი უმსხვერპლა.

„ეკლოვანი ფიცხელი", რაც ნიკოლოზ გულისბერიძის ტერმინოლოგიას გვაგონებს, უნდა ნიშნავდეს მოუკეცველ, ბნელში მყოფ ერს და ეს ცნება, ჩვენი აზრით, სწორედ „მაყვლოვანის" საპირისპირო მნიშვნელობით უნდა იყოს ტექსტში ჩართული. გავიხსენოთ „აბოს წამება": „ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოგარჩია..."

ამავე აზრს უნდა ატარებდეს იოანე მტბევარის („გალობანი წმიდისა ბასილისნი") ერთი ფრაზა: „რომელმანცა ენითა უძლურითა, ვითარცა ლამპარითა ცეცხლისათა, შეუწუნა ეკალნი გმობისანი სულისა წმიდისა მადლითა, მღვდელთ-მოძღვარსა ბასილის ყოველნი ვაკურთხევთ!" ეკალთა „შეწვა" და მაყვლის „შეუწველობა" სწორედ ზემონახსენებ ანტინომიას უნდა გულისხმობდეს.

საწმისი

ეს სიმბოლო ქრისტიანულ ლიტერატურაში, როგორც იოანე ზავთელი აღნიშნავს, გედეონისგან დამკვიდრებულა:

იაკობ კიბეج გიხილა, მოსე
მაყვლად, დანიელ მთად, გედეონ
საწმისად..."

„საწმისს" ვხვდებით იოანე მტბევართანაც:

წვიმაჲ საწმისად გარდამოსრული პირველ,
რაკამს იხილა გედეონ, გუაფუწყა ჩუენ
შობისა შენისა საიდუმლოჲ, სძალო...

ტ. მოსია აღნიშნავს, რომ ამ სახეს იყენებს მიქელ მოდრეკილიც, რომელიც ღვთისმშობელს ასე სახელდებს: „საწმისი საწმიდისა, შემწუნარებელი ხალმთოსანა ცუარისა".

გურამიშვილი იცნობს ამ სიმბოლოს და ორჯერ იყენებს მას. ერთ-ერთ თავში (ლბ) „დავითიანის" ავტორი ლოცვის ყამს ასე მიმართავს ქრისტეს:

სახით, ვითარცა საწმისზედ, ცვარო
ზეგარდმო წვეთილო...
მიკსენ ცხოვარი წყმენდილი, იესო
მწყემსო კეთილო!

ამავე სახეს ვხვდებით „უკვდავების წყაროს ოგავში":

დავით თქვა ღვთისა მაგივრ სიტყვა
ძლიერი ერთია!
გარდამოკდესო, ვით წვიმა, საწმისზედ
მონაწვეთია.
ვით მან თქვა, ნათლად მობრწყინდა მის
ნათლის შენაერთია,
მისვე დავითის ძედ თქმული, იესო ქრისტე
ღმერთია.

ვენახი

„ვენახს", ბიბლიური სიმბოლიკის თვალსაზრისით, ასე განმარტავენ:

«Иисус дает Богу то, чего не смог Ему дать Израиль. Он — плодоносный Виноградник, Лоза истинная... Он — подлинный Израиль. Он насажден Своим Отцом, взращен и обрезан, чтобы принести обильный плод... Он воистину приносит свой плод, отдавая свою жизнь, проливая Кровь Свою, как высшее доказательство любви... и вино, плод Виноградника, становится в Таинстве Евхаристии и таинственным знамением этой крови, пролитой для скрепления нового Союза — Завета... Истинный Виноградник — это Он, но также Его Церковь, члены которой находятся в общении с Ним» (СББ, вз. 137).

ვენახი არა მხოლოდ ქრისტესა და ეკლესიის, არამედ წმინდა მარიამის სიმბოლური სახელია. ღვთისმშობლის ამ სახელის საგანგებო გამოყოფა თითქოს არცაა აუცილებელი ქართულ საეზოვნო სამყაროში მისი საყოველთაო მნიშვნელობის გამო.

ამ მნიშვნელობის უცილობელ დასტურად ქართული „ავე მარია" — „შენ ხარ ვენახიც" — იკმარებდა და მაინც აუცილებლად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ამ შემთხვევაშიც პარადიგმატიკის საფუძველმდები შეიძლება ყოფილიყო „ნინოს ცხოვრება", რომელიც (არცაა მოულოდნელი და გასაკვირი) ქართული ქრისტიანული აზროვნების (უფრო ზუსტად, ქრისტიანულ ღირებულებათა სიმბოლური მნიშვნელობის გაგზრება-განმარტების) ნიმუშად, პირველსახედ, აგიოგრაფიულ პარადიგმად ქცეულა. ამგვარ ნიმუშობას, ყველაზე უწინარეს და უმეტესად, ამტკიცებს ვაზის ჯვარი, რომელსაც მარიამი გამოატანს წმინდა ნინოს, როცა ქართლში გამოსტუმრებს:

„ბაზინ წმიდამან დედოფალმან (ღვთისმშობელმა — გ. მ.) მიყო კელი ზედა კერძი ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვენაკისასა და

მოკკუეთა მისგან და შეემნა ჯუარის სახედ და მისცა იგი კელთა ნინოჲსთა. და ჰრქუა: ამით ნიშითა სძლო ყოველთა მანჭანებათა ეშმაკისათა წარგებმართოს ქადაგებაჲ შენი, და თანაშემწე ეყო და არა დაგიტეო შენ", (ძეგლები, III, გვ. 17).

„ვენახი", როგორც ღვთისმშობლის სახელი, „დავითიანში" დამოწმებულია თავში ლდ:

ნაყოფიერო ვენაკო; ვით ვაზო მორჩ-
უკნობელო,
უკვდავებისა მტევანთა მოკვდავთა
მოსართობელო,
მაჩრდილობელო ნერგო და კეთილთა
შრტოთა მყნობელო!
მიგრილე ცოდვით საწვავსა, იესოს ქრისტეს
მშობელო!

დ. გურამიშვილთან ვაზის სახება ქრისტესაც უკავშირდება. ეს ზედა სტროფშიც ნათლად ჩანს, მაგრამ სპეციალურადაა ხაზგასმული შემდეგ სტრიქონებში:

ვაქებ მიტომა, დავითის შრტომა
ზედ გამოიბა კარგი ყურძენი.

დ ე დ ო ფ ა ლ ი

დედოფლის სახელი უკავშირდება როგორც ღვთისმშობელს, ისე წმინდა ნინოს. „ეს სიტყვა იმთავითვე გამოუყენებია ქრისტიანობას. „დედუფალია" მარიამ ღვთისმშობელი, იგი სულიერი „დედუფალია", ისევე როგორც სულიერი უფალია ქრისტე" (რ. სირაძე, წმ. ნინო და დედა-უფალი, მნათობი", 1985, № 2, გვ. 158-159).

ქართული აგიოგრაფია, როგორც ითქვა, იცნობს ამ სახელს. „ნინოს ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „მაშინ წმიდამან **ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲛᲐᲜ** მიყო კელი კერძო ცხედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა და ვენაკისასა და მოკკუეთა მისგან და შეემნა ჯუარის სახედ და მისცა იგი კელთა ნინოჲსთა..."

„დავითიანში" ამ სახესაც ვხვდებით. თავში „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენოსურთ ლიაში დაეფლა, იმის მონახიბად ღვთის მშობლის შესახს" ავტორი წერს:

ზეცად გესავ, ერთო ღმერთო, ქვეყნად
ერთ უფალო,
ყოვლად წმინდავ ღვთისმშობელო, დიდო
დედოფალო,
ცოდვის ლიას უკუვარდი, ღრმად შიგ
დაეეფალო,
თუ შენ მე არ აღმომიყვან, ძნელად
აღმოვალო.

გამოთქმულია შეხედულება, რომ სახელი „დედოფალი" (ნაგულისხმევია წმინდა ნინოსთან მიმართება) ქრისტიანულ მეტყველებაში შესაძლოა ძველი, წარმართული, ქრისტიანობამდელი სამყაროდან იყოს დამკვიდრებული, ცხადია, ახლებური შინაარსით („ნინოსთვის ამ ატრიბუტს შეიძლებოდა თანხლებოდა ძველი შინაარსი, ცხადია, ქრისტიანულად გადააზრებით" (რ. ...რაძე). ამ თვალსაზრისით ძალიან საგულისხმოა გვიჩვენება ის ფაქტი, რომ „დავითიანში" დადასტურებულია წარმართული ქალ-ღვთაების, ჩვენ ვფიქრობთ, უძველესი სახელი — „ქალთა-მზე". ერთგან პოეტი პოლემიკური ტონით ამბობს:

ტანსა რაც გინდა უყავი, თავს ნუ
შემირყეო,
უკაცოროდ ნუ ვიქნები, ძმაო, ამაზეო,
რომ ეს სიტყვა შემოგკადრე, ვერ
გითავაზეო,
შენს ქალთა-მზეს ბევრითა სჯობს ჩემი
მზეთა მზეო.

უნდა ვიფიქროთ, რომ „ქალთა მზე", რომელიც ასე მკვეთრადაა დაპირისპირებული მამაღმერთთან („მზეთა მზესთან"), ქრისტიანული ღვთაების ანტითეზადაა მიჩნეული, ფრიად საგულისხმო ძველი ეტიმოლოგიური ერთეულია და საგანგებო შესწავლას, ანალიზს მოითხოვს.

ხ ე

ამ სიმბოლოს ძირები მორეულ წარსულშია საძიებელი. ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ეს სახე მრავალჯერაა გამოყენებული, ხის სიმბოლო ასე განიმარტება:

«В глазах человека дерево есть осязательное проявление жизненной силы, которую Творец разлил в природе», (СББ, გვ. 276).

ხე, ბიბლიური წარმოდგენით, შეიძლება კარგიც იყოს და უვარგისიც. ამას ნაყოფიერების მიხედვით აფასებენ. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ხის სიმბოლიკა სამი მიმართულებით განვითარდა:

ხე ცხოვრებისა

ბიბლიის კვალობაზე ეს ხე უკვდავების უკავშირდება. ამის საპირისპიროა ცრუ სიბრძნის სიმბოლო — ხე ცნობადისა, რომლის ნაყოფის მირთმევაც, ბიბლიური თვალსაზრისით, ადამიანმა დაკარგა უკვდავებასთან წილნაყარობა.

ქრისტეს მიერ ცოდვის გამოსყიდვის საბოლოო მიზანი ის არის, რომ ადამიანმა იგემოს ცხოვრების ხის ნაყოფი.

ხე საღვთო სამეფისი

აღმოსავლეთის მითოლოგია იცნობდა კოსმიური ხის სიმბოლოს, რომელიც სამყაროს სახეობრივ ხატს წარმოადგენდა. ეს სიმბოლო ბიბლიას არ აუღია მისი დადებითი მნიშვნელობით, საღვთო წერილი ამ სახეში ხედავდა ხელოვნურ ადამიანურ დიდებას, დაფუძნებულს სიამაყეზე ბიბლიის თანახმად, საღვთო სამსჯავროზე ეს ხე მოიკვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე წყევლის ნიშნად იქცევა, როდესაც მას სახრჩობელად, ადამიანის დასახჯელად იყენებენ. საღვთო წერილის თანახმად, იესომ თავის თავზე აიღო ეს წყევლა. ჯვარზე აიტანა რა ადამიანთა ცოდვები. ამდენად, ხე ჯვარცმისა ხსნის ხედ იქცევა. მაშასადამე, წყევლის უძველესი ნიშანი ახალ აღთქმაში ცხოვრების ხედ იქცა.

შემოთქმულიდან ცხადია, რომ ხის ფარულ მნიშვნელობაზე მსჯელობისას, უპირველესად, ხაზი უნდა გაესვას იმ აზრს, რომელიც მას რაღაც უმაღლესთან დაკავშირებულად რაცხს. ასევე მნიშვნელოვანია ხე, როგორც სიმყარის, სიმტკიცის, უფრო მეტიც — არსის სიმბოლო (ამიტომ იქცევა ხის მოჭრა საკრალურ აქტად).

როგორც შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „ნინოს ცხოვრებაში" დადასტურებულია ხის მოჭრის (ეცემა ძველი რწმენა) და მისგან ჯვრის გაკეთების (ძველის ახალში გარდახსნა) სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

ხის სიმბოლიკას ძალიან ხშირად ვხვდებით ქართულ ჰიმნოგრაფიაში. იოანე მინჩხი თავის ჰიმნში „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი" წერს:

კაცებაჰ, პირველ ხისა განდაცემული,
აწ აღსდგა ძელისა მის აღმართებითა
რომელსა ზედა ივნო მკსნელმან
ქორცითა...

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც „ნინოს ცხოვრებაში", „პირვანდელ" ხეს უკავშირდება „შემდგომი" ჯვარი, რომელიც დაცემული ძველი ჭეშმარიტების გარდასახულ აღდგენას გულისხმობს.

„ხე" ქართულ ჰიმნოგრაფიაში სხვაგვარადაც გააზრებულა, კერძოდ, ორმაგი სიმბოლიკის სიბრტყეზე (თავად სიმბოლო, როგორც მხატვრული სახე, გამოუყენებიათ ღვთაებრივი ჭეშმარიტების მატარებელი იდეალური ქრისტიანი ადამიანის წარმოსაჩენად). ზოსიმე მთაწმინდელი ეკვთიმე ათონელისადმი მიძღვნილ „დასდებელნში" ასე მიმართავს ქების ადრესატს:

რტო-ნაყოფიერ იქმენ, ღმერთ-შემოსილო,
აღმოცენებულ ძირთაგან ღმრთის
მსახურთა,
და-რა-ენერგე თანა წარსადიენელსა
საღმრთოთა წერილთასა და გამოიღე
ნაყოფად ტკბილად გულის-ხმის-ყოფა
მათი.

იგივე მნიშვნელობით არის წარმოდგენილი ხის სიმბოლიკა ბასილი მთაწმინდელის „გალობანში", რომელიც ასევე ეკვთიმე ათონელს ეძღვნება.

დავით გურამიშვილთან ხის სიმბოლიკას ვხვდებით როგორც ტრადიციული, ისე განსხვავებული მნიშვნელობით. მაგალითად, ქვემოდამოწმებულ სტროფში დაცემული და კვლავ აღდგენილი ხის სიმბოლიკაა (იგულისხმება, რომ პირველი ცოდვით დაკნინებულ ადამიანშიც სიამ ახლად აღდგენა პირვანდელი ნათელი):

იგ მოკვეთილი, ნაყოფ კეთილი
ისევ განცხოველდა, მე ვით ვილხენდი,
მტრით დაცემული, ცეცხლ მიცემული
საგრილ-საჩრდილად მე მას ვირხევდი.

ასევე ტრადიციულია შემდეგი წაკითხვაც:

ბაღი დავითის ბაღისებრ აროდეს
აღშენდებიან.
არც მისებრ ხეთა დაირგვის, არცა რა ზედ
მოიბმიან.

აქაც ძალიან საგულისხმოა ორმაგი სიმბოლიკა — ამ სტრიქონებში დავითის საგვარეულო შტოში განსხეულებული ქრისტეც იგულისხმება და მისივე (მეფესალმუნე დავითის) შემოქმედების ნაყოფიც — „დავითნიც". ამის საფუძველს ის ქმნის, რომ მაცხოვარი, სიტყვა, ლოგოსი, შემოქმედების საწყისის იგივეობრივიცაა, იგი პირველი ხატი შემოქმედისა, პირველი „გამოსახული" და, მიუხედავად იმისა, რომ ის დროში არ არის შექმნილი (შემოქმედების ნებისმიერი სხვა ნაყოფისაგან განსხვავებით), არამედ მარადიულად „იქმნება", იშობება, მაინც პირველმიზეზნის მიმართება მასთან გარკვეულ ანალოგიას ბადებს (და ბადებდა) შემოქმედისა და მის მიერ „დაბადებული" მხატვრული სამყაროს ურთიერთმიმართებასთან. ზემოთქმულში კვლავ დაგვარწმუნებს შემდეგი სტროფი: „დავითის ბაღის ხილი ჯობს სხვათა წალკოტის ხილებსა: ვინც შჯამს სნეული, გაჯაკურნავს, ბრმას თვალებს აღუხილებსა".

პარადიგმულ სახეთა „მიგრაციის" თვალსაზრისით, საინტერესოა „დავითიანის" ეს სტროფი:

დავით შევმოსე ხლითა, რომელიც მოსა
ხე დავით:
მას ხეს მოხედა უფალმან კეთილის
მოსახედავით.
ნუ მედავებით, მარიდეთ გულს ლახვრად
მოსახედავით,
ის დავით კარგით მოსა ხით, მე დავით
მოსახედ ავი.

ცხადად არის ნათქვამი, რომ დ. გურამიშვილის შემოქმედების საზრისი იგივეა, რაც ფსალმუნთა ავტორისა. სხვა საქმეა, რომ წინარე დავითმა „უკეთ შემოსა" ხლითან ხე, ვიდრე მომდევნომ. ხოლო რომელ „ხეზეა" ლაპარაკი, ამას პოეტი კიდევ ერთხელ მოგვახსენებს თავში „მეოთხე დავითის შესხმა და დავითნის ქების იგავი":

ამად ამ წიგნსა სახელად უწოდე
„დავითიანი",
დავით შევაწყევ, შევკონე, ვით ვარდნი
და ვით იანი,
გულსა მოვსწყვიტე მუწუკი, მება ზედ ავი
თიანი,
ზედ გულზე ვიბი იგი ხე კაციანი და
ღვთიანი.

აქ გაცხადებულია „დავითიანის“ შექმნის მიზანი — ესაა სულიერი კთარზისი შემოქმედების გზით, რაც. გარკვეული აზრით, ჭეშმარიტად ღვთაებრივი გზაა (ღმერთი ხომ, უპირველესად, შემოქმედია). დ. გურამიშვილს სწამს, რომ სახელქმნადობის გზით იგი უკუთადგმის როგორც პირველი ცოდვის, ისე საკუთარ ცოდვათა სიმძიმეს („გულსა მოვსწყვიტე მუწუკი, ზედ მება ავი თანნი“) და ეზიარება განკაცებული ღვთაების („ხე კაციანი და ღვთიანი“) ჭეშმარიტებას. აი, სწორედ ამ „ორგუნებოვანი ხის“ სიმბოლიკას ეხებოდა ავტორი. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დავითიანი“ — ეს არის თავიდან ბოლომდე ქრისტეური გამსჭვალული „სურა“:

მოდი, მსმენელო, ისმინე, დაჩუქდეს
ვიტყვი სუ რასა.
უკვდავებისა წყაროთი (ქრისტეი — გ. მ.)
მოგაოთმეე სავსე სურასა.

სახეობრივ სიბრტყეზე დ. გურამიშვილს „ხე“ სხვადასხვანაირად აქვს გამოყენებული, თუმცა ეს ერთგვაროად სეცილდება ამ სიმბოლოს პარადიგმულ მნიშვნელობას. მაგალითად:

ამისთვის მე არ შევსძღეე, რაც დავრგევ
ოგავთ ხე ველად,
უფრო ადვილად აღვლიან ზედ ყრმანი
დასარხეველად.

ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ

„ქორწილი“ ახალი აღთქმიდან მომდინარე სიმბოლური სახეა:

«Иисус не ограничивается тем, что снова возводит брачное установление к первоначальному совершенству, которое было в нем затемнено человеческим грехом. Он также дает ему новую основу, от которой и проистекает его религиозное значение в Царстве Божием. И сам он становится Женихом Церкви, заключая Новый Союз — Завет...» (СББ, გვ. 105—106).

„ქორწილი“ ღვთაებისა და ადამიანის ურთიერთკავშირის სრულიად ბუნებრივი სიმბოლური ხიდია, რაკიღა მაცხოვარი გაჯრეტულია როგორც „სიძე“ ანდა „მკვიდრი მეჯნური“ (გურამიშვილის ტერმინია). სიყვარული არის ის ენერგია, რომელიც ამ სიმბოლურ ტერმინს სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს. ქართულ სასულიერო სიტყვახმარებაში ეს ტერმინი დადასტურებულია. მოვიტანთ ერთ-ერთ უაღრეს მაგალითს:

„არამედ აბრაჰამ ჭეეულნისა მისგან ურწმუნოთა ნათესავთადმი განაშორა ღმერთმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ჭეეულნისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათჳს, რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუსაბელელი... და მიუძღუეს საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა.

ამგვარი სახისმეტყველებით მორწმუნე ეკლესია, ვინც უმწიკვლო, შეურყეველი ქრისტეანული ცხოვრების წესით „ზეციურ სიძესთან“ საქორწინოდ გამზადებულა. „ქორწილი“ ღვთაებრივ ნეტარებას ნიშნავს, ხოლო ამ ქორწილზე მორწმუნის მოხვედრა — სამოთხეში მოხვედრას. „დავითიანში“ კკითხულობთ:

„ნუ ხარ სულელი, ზარმაცი-უდები,
არ დგეკარგოს ქრისტეს ქორწილი“.
„ვარ მე მტერთაგან მწარედ გაცრცელი,
ტანთ საქორწინე საცმელთ ხეული“.
„სიზმრად ვიხილე, კარს გარეთ ვრეკედი,
ქორწილში შესვლად შეგნით ვიწევდი,
ქრისტეე, მიბიძე ასეთი ბედი,
შენსა მას ქორწილ მეცა მიწევედი!“

ჩვენ წარმოვადგენით რამდენიმე პარადიგმული სახე, რომლებიც „დავითიანში“ გვხვდება. ცხადია, დ. გურამიშვილის ქმნილება გაცილებით მეტ ამგვარ სახეს იცნობს (მაგალითად, „ყუავილს“, „რქას“, პარადიგმულად წარმოსახულ „ქართლს“ და ა. შ.). ქრისტიანული, თუ კერძოდ, ქართული, აზროვნებისათვის დამახასიათებელი პარადიგმული სახეები გურამიშვილს შემოქმედებაში ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ერწყმიან არაპარადიგმულ სახეებს და ერთ მთლიან მხატვრულ სამყაროს ქმნიან, ამიტომ მათი გათვალისწინება ხელს შეუწყობს „დავითიანის“ სრულყოფილ აღქმას. ამასთან, საფიქრებელია, რომ დაკი გურამიშვილის, როგორც ძველი და ახალი ლიტერატურული კულტურების ტრადიციათა შემაერთებელი რგოლის, პოეზიის შესწავლა (ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით) გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მდგრადი პოეტური მნიშვნელობის სახეების თავისთავადი მნიშვნელობით გამოყენების ნიუანსებსა თუ ამ მნიშვნელობის ევოლუციაზე. „დავითიანში“, როგორც ძველი კულტურული ტრადიციის ერთგვარი სინთეზატორი და ფიქსატორი, ამ მხრივ, კვლევისათვის საინტერესო მასალას იძლევა.

არანაკლებ მნიშვნელოვნად გვიჩვენება თვალის გადაკვეთება ამაზეც, თუ რაგვარად იძენენ მხატვრულ მნიშვნელობას დ. გურამიშვილთან, ერთი შეხედვით, ოდენ ქრისტოლოგიური შინაარსის ცნებები, როგორ ხდება ნაწარმოების კონტექსტში ცნებათა განსახოვნება, როგორ ბუნებრივად ხდება რაციონალური ან თუნდაც მისტიკური შემეცნების გადასვლა სახისმეტყველებითს შემეცნებაში; პარადიგმულ სახეთა უმრავლესობა სწორედ ამით არის საინტერესო, რომ მათს კონსტრუირებაში ორივე შემეცნების იმპულსი მონაწილეობს. ეს უკანასკნელი გარემოება კი თვალსაჩინოს ხდის ქრისტიანული აზროვნების ესთეტურ ბუნებას, რაც არაერთგზის დადასტურებიათ და რაც ასე ცხადად გამოსჭვივის „დავითიანში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოლკნერის გაკვეთილები

„ჩვენი დღევანდელი ტრაგედია საყოველთაო და ყოვლისმომცველი შიშია, რაც იმდენი ხანია გვაძრწოლებს, რომ ლამის შევეჩვიოთ კიდეც. სულიერ პრობლემებს ვიღა ჩივის, ყველას ერთი კითხვა აკვიატებია, როდის გააკამეტვერებენ, — ამბობდა უილიამ ფოლკნერი 1950 წლის 10 დეკემბერს, სტოკჰოლმში, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მიღებისას, — მჯერა, ადამიანი არა მარტო გაუძლებს, გაიმარჯვებს კიდეც... იმიტომ, რომ სული აქვს მომადლებული, სული, რომელსაც თანაგრძნობის, თავგანწირვისა და ამტანობის უნარი შესწევს. პოეტის, მწერლის ვალი ამაზე წერაა. მისი დანიშნულებაა, შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ლმობიერებას, თავგანწირვას — დიდებით რომ მოსავდა ადამიანის წარსული. პოეტის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საერდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლებინოს". დიდი ამერიკელი მწერლის სიტყვის ეს ფრაგმენტი დამოწმებულია უილიამ ფოლკნერის წიგნიდან „საუბრები", რომელშიც გაერთიანებული გამოსვლები თუ კითხვა-პასუხები ინგლისურიდან ქართულად თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. აღნიშნული კრებული 1984 წ. დასტამბა გამომცემლობა „ნაკადულმა".

„საუბრები", ზემოთ ნახსენები გამოსვლის გარდა, შეიცავს უილიამ ფოლკნერის მიმართვას ახალგაზრდა მწერლებისადმი და ჟურნალისტ ჯინ სტაინთან, ვირჯინიის უნივერსიტეტის, უესტ-პოინთის სტუდენტ-ლექტორებთან გამართული საუბრების ჩანაწერებს. წიგნს წინასიტყვაობის მაგიერ უძღვის ეან-პოლ სარტრის ესეი „დრო ფოლკნერის რომანში „ხმაური და მძვინვარება".

აგერ უკვე რამდენიმე წელია, პაატა და როსტომ ჩხეიძეები ნაუფიერად თარგმნიან ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენელთა ესეებსა თუ სიტყვებს, რითაც წარმატებით ემსახურებიან ქართული მთარგმნელობითი მწერლობის ესეისტური ხასიათის ნაწარმოებებით გამდიდრებას. განსაკუთრებით საჭიროა ამგვარი ლიტერატურა დამწყებ შემოქმედთა მსოფლმხედველობისა და ხელწერის სრულყოფილი ფორმირებისათვის.

ნობელის პრემიის მიღებასთან დაკავშირებით წარმოთქმულ სიტყვაში ლაურეატი წარმოგვიდგენს თავის შეხედულებას, რომლის თანახმადაც ხელოვანის, კერძოდ, მწერლის უმთავრესი მოწოდებაა, ასახოს „ადამიანის გულის ჭიდილი საკუთარ თავთან, ურომლისოდაც ღირებული ვერაფერი შეიქმნება, რადგან მხოლოდ ესაა დაწერის ღირსი, ღირსი ტანჯვისა და ოფლის ღვრისა"; ხოლო ჩვენი ყოფა-ცხოვრების ყველა სხვა დანარჩენ პრობლემას ამ გადამწყვეტი ორთაბრძოლის ფონად თვლის. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ თვალსაზრისს მწერალი კიდევ არაერთხელ უბრუნდება და განმარტავს თავის სიტყვებსა თუ საუბრებში.

ამავე გამოსვლის დასაწყისში უილიამ ფოლკნერი გვიმხელს საკუთარი შემოქმედების, ანუ ვთქვათ, „პირადულ", „კერძო" მიზანს; მე თავდაუზოგავად ვიღვწოდიო, — ამბობს მწერალი, — „არა სახელის მოსახვეჭად, ან, მითუმეტეს, გამორჩენისათვის, არამედ იმისთვის, რომ ადამიანური სულისაგან რაღაც მანამდე არარსებული შემექმნა".

ესეი-სიტყვაში, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდა მწერლებისადმი და წაკითხულია 1958 წლის 24 აპრილს ვირჯინიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან, უილიამ ფოლკნერი ეხება, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა ჩვენთაგანის პრობლემას" — პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, რამაც ჩვენს ეპოქაში ფრიად რთული ხასიათი მიიღო. სწორედ ამიტომ მწერალი მგზნებარედ მოუწოდებს თავის მსმენელ-მკითხველებს: „ვიხსნათ კაცობრიობა, რათა ისევე

არ დაკარგოს სული, როგორც ტახებს, ულაყებსა და ბუღლებს კოდავენ; გადავარჩინოთ პიროვნება არარაობად ქცევისაგან, სანამ გვიან არ არის და ადამიანურობა არ გაჭკრობია", — უილიამ ფოლკნერი ახალგაზრდა თანამოკალმეთა ადგილს ამ ბრძოლის ავანგარდში ხედავდა.

მწერალი გადაჭრით უარყოფს იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „პიროვნება არარაობა და წონასა და მნიშვნელობას მაშინ შეიძენს, როცა უსახელოდ ჩაიკარგება რომელიმე ჯგუფში და თავის პიროვნებას მას შეწირავს". უილიამ ფოლკნერი ხელოვანის ღირსებას უპირველესად მის ინდივიდუალობაში გულისხმობს.

აქ უნდა შევეხოთ მწერლის შენიშვნებს შემოქმედისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თაობაზე. უესტ-პოინტში უილიამ ფოლკნერს ასეთი კითხვა დაუსვეს:

„ხერ... თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ მთავრობას... შეუძლია ხელოვანი მუშში იყოლიოს?"

„კარგ ხელოვანს, ვინ რა უნდა დააკლოს, — პასუხობს მწერალი, — კარგს მუშში ვერავინ იყოლიებს, რადგან თვითონ ხელოვანიც კი ვერ ემორჩილება თავის თავს. მეორეხარისხოვანი შესაძლოა მანქანად გადაიქცეო, პროპაგანდისტად, პიროვლხარისხოვანი — შეუძლებელია. მას ვერავინ მოდრეკს, თვითონაც კი ვერ მოდრეკს საკუთარ თავს".

მწერლის ამ სიტყვების ჭეშმარიტების საუცხოო დადასტურებაა თვით მისივე ცხოვრება და შემოქმედება. ვიდრე პროფესიონალურ ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგებოდა, ფოლკნერმა ბევრი ხელობა (ნავის მართვა, სახლების ღებვა, მფრინავობა) შეისწავლა და გამოსცადა, სისხლხორცეულად გაითავისა ადამიანური ყოფის ავ-კარგი, გაიგო ყოველივეს ნადი ფასი. და სწორედ ამიტომაც იყო, რომ ფოლკნერს მიზნად არასდროს დაუსახავს თავისი კალმის ნაყოფით ქვეყნის ხელისუფალთა კეთილგანწყობის დამსახურება ანდა გამდიდრება. მისი აზრით, მწერლისათვის აუცილებელი და ყოველად საკმარისია თუნდაც მინიმალური ცხოვრებისეული პირობები. „ჩემი გამოცდილებით, — გვანდობს მწერალი, — მუშაობისათვის მხოლოდ ქაღალდი, თამბაქო, საჭმელი და ცოტაოდენი ვისკი მჭირდება". იქვე ფოლკნერი, ჩვეული ხალასი იუმორით, შენიშნავს, რომ თვით მისთვის, როგორც მწერლისთვის, „საუკეთესო" თანამდებობა „ბარისტაიოს მეპატრონეობა იქნებოდა", რადგან ამ შემთხვევაში წერისათვის ეგზომ საჭირო ბევრი თავისუფალი დრო და ელემენტარული საარსებო მატერიალური სახსარი გაუნდებოდა.

ფოლკნერი კატეგორიულად მიუთითებს, რომ „მწერალს ეკონომიური თავისუფლება არაფრად არგია... თუ მწერალი პირველხარისხოვანი არაა, თავს იტყუებს, დრო და ეკონომიური პირობები არა მაქვსო". ერთ-ერთ საუბარში ფოლკნერი იხსენებს ბევრით საგულისხმო ეპიზოდსაც. თავისი ცხოვრებიდან, როდესაც, ცოლის შეწირვის შემდეგ, იძულებული გახდა, დაეწერა რომანი („სავანე") ფულის გულისათვის, რადგან იმ ხანებში ფინანსურად ძლიერ გაუჭირდა. ეს ნაწარმოები თავის დროზე ვერ გამოქვეყნდა, ხოლო როცა დაიბეჭდა, წარმატება არ ხვდა წილად, გამომცემელი გაკოტრდა, ავტორს ცენტიც არ აუღია.

მწერლობისთვისო, აღნიშნავდა ფოლკნერი, აუცილებელია „ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ტალანტი... ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი დისციპლინა... ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი შრომა. არასდროს არ უნდა დაკმაყოფილდე იმით, რასაც აკეთებ, რადგან ის არასდროს არ იქნება ისეთი კარგი, როგორიც შეიძლება ყოფილიყო". და მაინც მწერლის საბოლოოდ ფორმირებისათვის, ფოლკნერის აზრით, უმთავრესი სხვა სამი რამაა: „გამოცდილება, დაკვირვება და წარმოსახვა. აქედან რომელიმეს, რომელიც გნებავთ, შეუძლია დანარჩენები შეცვალოს".

და კიდევ ერთი აუცილებელი პირობა: წერა სიამოვნებას უნდა განაცდევინებდეს ავტორს...

ვირჯინიის უნივერსიტეტის თანამედროვე ლიტერატურის ბოლო კურსის სტუდენტებთან საუბრისას, 1957 წლის 9 მარტს, ფოლკნერი ეხება ხელოვნისა და გარე სამყაროს, მწერლისა და მკითხველის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს და ხაზს უსვამს ცხოვრების გადამწყვეტ გავლენას შემოქმედებაზე. „ვფიქრობ, — ამბობდა ფოლკნერი, — მწერალი თავისი გარემოს შესაბამისად უნდა წერდეს". და შემდეგ: „თუ კარგი მსმენელები იქნა, კარგი პოეტებიც გამოჩნდებიან. თუ მწერლობა ისეთი ვერ არის, ეს მწერალთა ბრალი როდია, გარემოს ბრალია, გარემოსი, რისი ნაწილიც მკითხველები არიან — ხალხი, ვინც კითხულობს. ეს რაღაცას უშვრება იმ ბაღის, რითაც ჩვენ ვსუნთქავთ, ეს ჰქმნის წიგნის გარეგან სახეს...". მართლაცდა, მკითხველთან ინტელექტუალური თუ გრძნობადი ცნობიერების დონე ბევრწილად განსაზღვრავს მწერლობის ხარისხს. ვთქვათ, თამარის ეპოქის ქართველთა მოწონივე საზოგადოების ნატიფი გემოვნება მოითხოვდა რუსთველის გენიის გაბრწყინებას, ხოლო მოგვიანებით, როდესაც ქართლის ცხოვრება დაღმართით დაეკანა, საბარსული პოეზიის ყაიდაზე შექმნილმა, ძირითადად, მდარე თხზულებებმა უკიდურესად დააკვეთა ჩვენში ლიტერატურული ავ-კარგის გარჩევის უნარი.

მწერალ-მკითხველის პრობლემა ერთი მხრივაც იქცევს ყურადღებას, ესაა ე. წ. „წერერლის ენის" საკითხი (იგულისხმება ჯოისისა და ელიოტის ექსპერიმენტები). ფოლკნერის აზრით, მწერალმა უნდა „იმნაირად წეროს, რომ ხალ-

ხმა გაუგოს. იმას კი არ ვამბობ, ყველა იმბეც�smile გაუგოს-მეთქი, მაგრამ მან უნდა წეროს საკოველთაოდ მიღებულ ენაზე, რომლის სტატუციური მნიშვნელობაც ყველასათვის საერთოა".

ზშირად გატაცებით ვსაუბრობთ ხოლმე ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებში ზორცშესხმულ მწერლისეულ ალეგორიულ-სიმბოლურ სახეებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ფოლკნერი ერთგან იუმორით შენიშნავს, რომ ჩემს ქმნილებებში თურმე უამრავი სიმბოლური ხატი ყოფილა, რაზედაც „წარმოდგენაც არ მქონია"-ო. მისი აზრით, მწერალი უმთავრესად გაუცნობიერებლად, ნინასწარი განზრახვის გარეშე მიმართავს ალეგორიულ სახეებს და, ფოლკნერის სტატუციებისა არ იყოს, „განსწავლული პროფესიონალი სიმბოლოზმის" სამუდამო ტუვეობაში არ უნდა ჩავვარდეთ.

მხატვრული შემოქმედების საიდუმლოებათა კვლევისას წინა პლანზე იკვეთება არაცნობიერის პრობლემა, რაც ჩვენს შეგნებაში, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ავსტრიელი ექიმ-ფსიქოლოგის ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიტიკურ მოძღვრებასთან. კარგა ხანია, ამ თეორიის ირგვლივ ლაპარაკი (უმთავრესად — დილეტანტური), ასე ვთქვათ, მოდადაა ქცეული მთელ მსოფლიოში და ამიტომაც ბუნებრივია, რომ ფოლკნერისაც ჭკოხეს, თუ როგორ აფასებს მწერლური თვალსაზრისით ფსიქოანალიზს. ეტყობა, მწერალს უკვე მობეზრებული ჰქონდა ამ საკითხზე მსჯელობა და ერთგვარი გაღიზიანებით პასუხობს: „ნიუ ორლეანში რომ ვცხოვრობდი, ყველა ფროიდზე ლაპარაკობდა, მაგრამ მე არ წამიკითხავს, არც შექსპირს წაუკითხავს; ვეტვინ, მელვილს წაკითხოს და დარწმუნებული ვარ, მობი დიკს კი მართლაც არ ექნება წაკითხული". არადა, თავად ფოლკნერის ზემით განხილული შეხედულება სიმბოლოალეგორიების თაობაზე საკუთარ ნაწარმოებებში, სწორედ რომ კიდევ ერთხელ ცხადყოფს არაცნობიერის განსაკუთრებულ როლს ხელოვნის წარმოსახვასა და საქმიანობაში.

გამოსარჩევია ფოლკნერისეული დამოკიდებულება ლიტერატურის ჟანრებისადმი; მწერალი მთავარ კრიტერიუმად იღებს „მოკლედ თქმის" პრინციპს და სიტყვაკაზმული შემოქმედების უმაღლეს დარგად აღიარებს პოეზიას (შდრ. რუსთველური: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი"), რადგანაც „მხოლოდ პოეტს შეუძლია ისეთი ჯადოსნობა, რომ ადამიანური მღელვარების სურათი სონეტის ოთხსტეტ სტროფოში დაგანახოთ. ესაა ღვთით ბოძებული ტალანტი. მოკლედ თქმის ხელოვნება ის არის, რომ ყველაფერი ერთ სიტყვაში გამოთქვათ; ეს სწადია პოეტს, მაგრამ ისიც ვერ ახერხებს ამას და ოთოხსტეტ სტროფოს იმიტომ ანდომებს". სხვა საუბარში ფოლკნერი გულახდილად ამბობს, „მე ხელმოცარული პოეტი ვარ", როგორც, ალბათ, ყველა რომანისტი, ვინაიდან თითოეულ მწერალს თავდაჯერებულად პოეტობა სურსო. ფოლკნერი, ლეკსის შემდეგ, ურთულეს ჟანრად თვლის ნოველას, ხოლო ნოველის შემდეგ — რომანს (დაღმავალი გრადაციის აზრით). მწერლის ამ თვალსაზრისის მართებულობის დასტურად კმარა, გავიხსენოთ, რომ თანამედროვე ეპოპეაში პოეტთა დიდი ნაწილი, რაკი სათქმელი მარტო ლექსით სრულყოფილად ვერ გამოხატა, ნოველას, მოთხრობასა და რომანს მიმართავს.

იმ მრავალ საგულისხმო საკითხთა შორის, რომელნიც განხილულია „საუბრებში", განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დროის არსის ფოლკნერისეული გააზრება, რაც მწერლის შემოქმედების გასაგებად ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს. ფოლკნერის თეორიით, „დრო მედინია, რომელსაც არ გააჩნია სხვა არსებობა, გარდა პიროვნებათა წამიერი გარდახასვისა. არ არსებობს „იყო" — არსებობს მხოლოდ „არის". „იყო" რომ არსებულიყო, ნუხლი და დარდი არ იქნებოდა... და თუ არსებობს „იყო", მაშინ არ იარსებებს ისეთი რამ, როგორიც „იქნება". დრო არაა გაყინული...".

ვფიქრობთ, მთარგმნელები მართებულად მოიქცნენ, წიგნს სარტრის ეხი რომ წარუმძღვარეს, რითაც ქართველ მკითხველებს ერთგვარად გაუადვილეს ფოლკნერისეული დროის აღქმა. სარტრის აზრით, რომანში „ხმაური და მძვინვარება" „ფოლკნერმა თავიდანვე კი არ გაიაზრა მწყობრი თხრობა და მერე კი არ აუარა მისი ნაწილები, არამედ სხვაგვარად თხრობა არ შეეძლო". და შემდეგ: რომანში „თხრობა კი არ ვითარდება, პირიქით, ყოველი სიტყვის მიღმა აღმოვაჩენთ სასტიკ და ხაძულველ აწმყოს, რომლის სიმძაფრე წამდაუწუმ იცვლება".

ფარდობითობის თეორიის შემუშავებამ დროის პრობლემაც ახლებურად წარმოაჩინა; წარსული, აწმყო და მომავალი, ასე ვთქვათ, ერთ სიბრტყეზე გაიაზრეს, რის საფუძველსაც იძლევა თუნდაც ადამიანის ცნობიერებისათვის დამახასიათებელი მოვლენები (სიზმარი, წინათგრძნობა და მისთ). ფოლკნერისეული დროის კვლევისას ეს მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ.

...სხვათა შორის, საინტერესოა მწერლის დამოკიდებულება ქალებისადმი. ვიჩარინის უნივერსიტეტში, ერთ-ერთი საუბრისას ფოლკნერს ჭკოხეს:

„სერ, როგორ გგონიათ, ლიტერატურაში ქალთა ხასიათების გამოხატვა უფრო იოლია, თუ კაცთა ხასიათებისა?"

მწერალი პასუხობს:

„ქალების შესახებ წერა უფრო ხასიამოვნოა, რადგან ქალები ბრწყინვალენი არიან, სა-

ოცარნი; მათზე ძალიან ცოტა ვიცი, და ამიტომ ქალების შესახებ უფრო მსიამოვნებს წერა, ვიდრე კაცების შესახებ; უფრო მიძნელდება კია, ასეა და... ვფიქრობ, ქალები უფრო ძლიერნი არიან, უფრო მიზანსწრაფულნი, ვიდრე კაცები...“

ერთგან მწერალი გულახდილად აღნიშნავს, რომ „მომხიბლავ ქალად“ ყოფნაც კი მინატრიაო.

თავის საუბრებში ფოლკნერი არაერთხელ ეხება კრიტიკოსისა და ხელოვანის ურთიერთობის საკითხს. მისი აზრით, შემოქმედს არა აქვს დრო, კრიტიკოსებს ყური უგდოს, რადგან თვითონვე შესანიშნავად უწყის საკუთარი ნაღვაწის ნამდვილი ფასი; განსაკუთრებით სახიფათოდ თვლის რეცენზია-განხილვების გაცნობას. დამწყებთათვის, ვინაიდან „შესაძლოა, კრიტიკის კითხვამ ახალგაზრდა მწერალს ზიანი მოუტანოს, დააბნიოს, ჩააფიქროს იმ სიმბოლოებზე, რასაც კრიტიკოსი, ვინც „ყოველთვის მწერალზე უფრო ერუდირებულია, იპოვის მის წიგნში“; ხოლო სტუდენტებისათვის, როგორც შენიშნავს მწერალი, კრიტიკული წერილები, ალბათ, სასარგებლოაო.

საყურადღებოა ფოლკნერის მიმართება წარსულის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი. ამ მხრივ მწერალი საუკეთესოთა შორის გამოარჩევს ორ ქმნილებას: ბიბლიასა და „დონ-კიხოტს“; ბიბლიური სამყაროსადმი ინტერესი ერთგვარად განაპირობა ფოლკნერების ოჯახურმა გარემომ, ხოლო სერვანტესის რომანთან მწერლისეული დამოკიდებულება განსაკუთრებულია: „დონ-კიხოტი ალტაცებასაც მგვრის და სიბრალულსაც ალმიძრავს, — ამბობდა ფოლკნერი, — თავსაც ვიქცევ მისი ამბებით. იგი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გააკეთოს თავის დახავსებულ გარემოში, სადაც იძულებული იყო ეცხოვრა. ფარისევლები მის იდეალებს უნიათოს არქმევდნენ, მაგრამ, ჩემი რწმენით, დონ კიხოტის იდეალები უნიათო სულაც არ გახლავთ. მისი სწრაფვა — ცხოვრებაში განახორციელოს ეს იდეალები — ტრაგიკულიც არის და კომიკურიც. „დონ-კიხოტს“ რომ ვფურცლავ, ჩემს თავს ვხედავ ხოლმე და მგონია, რომ მისი ყოველი გადაკეთხვის მერე უკეთესი ვხდები“.

მართლაცდა, ყოველი კაცთაგანი დონ-კიხოტს ემსგავსება, როდესაც ჩვენს სასიკეთო სურვილებსა და ქმედებას სათანადო ასპარეზი არ ეთმობა. სერვანტესის გმირის მთავარი ღირსება მისი ბედისწერისადმი შეურიგებლობაა, დონ-კიხოტს მხოლოდ სიკვდილი თუ შეაჩერებს, ლამანჩელი რაინდი ბუნებითა და საქციელით გამოუსწორებელი ოპტიმისტია; მისი ფილოსოფია მოქმედების, სიკეთის ფილოსოფიაა და არა — სამყაროს პასიური ჭვრეტისა. სწორედ ამიტომ ბევრ საერთო თვისებასა თუ შტრიხს ალმოაჩენს თითოეული ჭეშმარიტი მწერალი, ხელოვანი სერვანტესის გმირთან. ყოველი შემოქმედი, როგორც შეუძლია, შეუპოვრად ესწრაფვის ადამიანური სულის უფროდაუფრო გაკეთილშობილებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელოვანის, როგორც სულიერი მოძღვრის, როლი დღევანდელ ვითარებაში, როცა, ჩვენი ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნის პრობლემა პირველადაა შემაშფოთებლად რეალური.

უილიამ ფოლკნერი სავსებით ეთანხმება ტოლსტოისეულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც დიდი ლიტერატურა მთელი კაცობრობისათვის მისაღები კარგი გაკვეთილია. თავად ფოლკნერის ცხოვრება-შემოქმედებაც ტოლსტოის ამ შეხედულების საუცხოო დასტურია. ფოლკნერის მემკვიდრეობა შთამომავალთათვის ჩინებული გაკვეთილია, რომელზეც ვსწავლობთ პირველთაგან უწმინდეს მცნებებს: ომედს, რწმენას, სიყვარულს.

ზაზა სიხარულიძე.

გასულ ათწლეულში მრავალმხრივ ესთეტიკური ძიებათა შორის შეინიშნება ერთი მთავარი ხაზი, რომელიც განპირობებს 50-70-იანი წლების აშშ-ის პოეზიის ყველა მომართულებების მრავალმნიშვნელოვან ერთიანობას, უფრო სწორედ ერთგვარ მხატვრულ სოლიდარობას, რომელიც ლიტერატურულ ბრძოლებში დაიბადა. ამ პერიოდის ამერიკული პოეზია პოეტური პრინციპების აშკარა უარმყოფელია. იმ პრინციპებისა, რომლებიც თავდაპირველად ტ. ს. ელიოტმა ჩამოაყალიბა, ხოლო შემდეგ მისმა მოსწავლეებმა განამტკიცეს.

ამერიკის ომისშემდგომი ათწლეულების პოეზია ესაა რეაქცია „იმპრესიონალური პოეზიის" ესთეტიკასა და პოეტიკაზე „იმპრესიონალური პოეზიას" საფუძვლად დაედო ტ. ს. ელიოტის მიერ ჯერ კიდევ 1910 წელს „პოეტური აღორძინების" ჟამს შექმნილი თეორია, რომელიც ჩამოაყალიბა ესსეში „ტრადიცია და შემოქმედებითი ინდივიდუალობა". ავტორი წერდა „პოეტი გამორჩეული და საინტერესოა არა პირადი ცხოვრებით გამოწვეული ემოციებით... პოეზია სივრცე არ გახლავთ ემოციებისათვის, არამედ მათგან გაქცევაა და ეს პირადულის გამოხატვა კი არა პირადულისაგან თავის დაღწევაა..."

როცა 50-ინი წლების დასასრულს ჩ. ოლსონმა განაცხადა, რომ „ტ. ს. ელიოტის სკოლა" აღარ არსებობსო, მისი განცხადება ესთეტიკურ პოლემიკაში მონაწილის ცხარე რეპლიკად მიიჩნიეს მხოლოდდამხოლოდ. მაგრამ ათწლეულის შემდეგ ცხადი გახდა: ელიოტის მიმდევარი პოეტები პოეტური პროცესისაგან განზე დარჩნენ და ადგილი იმ მრავალრიცხოვან სკოლებს დაუთმეს, რომლებიც პოეტიკის „ღია ფორმათა" ბაზაზე აღმოცენდნენ. ამ მომართულების მიმდევართა ინტერვიუების კრებულს, რომელიც კრიტიკოსმა ე. ფესმა გამოსცა „ახალი ამერიკული პოეტიკა" ეწოდება. არსებითად მასში ლაპარაკია არა „ახალ", არამედ „ნამდვილ" ამერიკულ პოეტიკაზე, რომელთა სათავეებს ამ კრებულის შემდგენლები: ჩ. ოლსონი, ა. გინსბერგი და სხვ. უოტმენის, პაუნდისა და უილიამსის შემოქმედებაში ეძებენ.

ე. ფესის ანთოლოგია საკმაო წარმოდგენას იძლევა 50-60-იანი წლების „ღია პოეზიის" ჩამოყალიბების არცთუ ისე ადვილ გზებზე. თუმცა კრიტიკოსს მხედველობიდან გამორჩა, რომ ოლსონის „პროეცირებული ლექსი", ბლაის „სილრმისეული ხატები" ა. გინსბერგის თვითგამოხატვის სპონტანური კულტი და სნაიდერის მითოლოგიზმი მოწოდებულია გააფართოოს პოეზიის შესაძლებლობანი ადამიანის შინაგანი სამყაროს მხატვრული გააზრებისათვის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაუბრუნოს პოეზიას დაკარგული ლირიული ოვისება.

ბოლო ხანს აშშ-ის უკანასკნელი ათწლეულის პოეზიაში ლირიკის რეაბილიტაციას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კრიტიკოსები. ამას უკანასკნელ ჟამს გამოცემული წიგნების სათაურებიც მიანიშნებენ: ა. ობერგის „თანამედროვე ამერიკული ლირიკა", ჯ. ჰოლდენის „თანამედროვე ლირიკის რიტორიკა" და სხვ.

საკუთარი ბიოგრაფიისადმი მზარდი ინტერესი ღრმა ცვლილებებს მოასწავებდა თვით პოეტურ აზროვნებაში, ეს იყო ნიშანი ესთეტიკური ორიენტირის ცვლისა, უფრო სწორად, ეს გახლდათ ლიტერატურული გემოვნების შეცვლის სიმპტომი. ამ საკითხს ეძღვნება პოეტისა და კრიტიკოსის „ანტიელიტარული ერესის" აქტიური მონაწილის ლუი სიმპსონის წიგნი „გემოვნების რევოლუცია".

ავტორის ყურადღების ცენტრში ოთხი ავტორია: დილან ტომასი, რობერტ ლოუელი, სილვია პლატი და ალენ გინსბერგი. „ოდენის პოეზიას — ამბობს ავტორი — ერთი მეტად არსებითი თვისება აკლდა — მგზნებარება. ის მგზნებარება, რომელმაც დილან ტომასის ამერიკელი მსმენელი აღაფრთოვანა და გააოგნა. ეს თვისება იყო დამახასიათებელი 50-60-იანი წლების დანარჩენი პოეტების: რ. ლოუელის და ს. პლატის შემოქმედებისთვისაც, რაც კიდევ ერთხელ დასტურებს უოლეს სტივენსის მსჯელობათა სიმართლეს, რომ ამერიკელი პოეტისათვის „ლექსთათხზვა არა მარტო ლიტერატურული, არამედ თვით ცხოვრებისეული მოღვაწეობაა".

„ლირიკაში ბიოგრაფიული მასალის მხატვრული გარდასახვის სხვადასხვა ხერხებს" განიხილავს თავის წიგნში „ხუთი ტემპერამენტი" დევიდ კელსტოუნი. ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს „პოეტური ტემპერამენტის" ორ ტიპს. რიგი პოეტებისა თავის შემოქმედებას ისე უცქერენ, როგორც შრომატევად სიტყვათწყობას. მალარმეს მსგავსად მათ შეუძლიათ გაიმეორონ: „ლექსები იქმნება არა აზრებისაგან, არამედ სიტყვებისაგან". ასეთები არიან ჯ. ოდენი და მისი 40-50-იანი წლების ამერიკელი მოსწავლეები. საწინააღმდეგო ტემპერამენტის პოეტებს მიაჩნიათ, რომ ლექსები იქმნება არა იმდენად სიტყვათაგან, რამდენად ემოციათაგან, რომელთა გამოსახატავად სიტყვები „თავისთავად" სპონტანურად იბადებიან. ამ „ემოციურმა" ტიპმა, აღნიშნავს დ. კელსტოუნი, გაიმარჯ-

ვა სწორედ 50-იანი წლების მეორე ნახევრის „ულიმღამო“ ტიპზე. დ. კელსტოუნი „მსხვილი ქლანის“ მეთოდს მიმართავს. იგი განიხილავს ელიზაბეტ ბიშოფის, რობერტ ლოუელის, ჯეიმს მერილის, ედრიენე რიჩის და ჯონ ეშბერის შემოქმედებას იმ მიზნით, რომ აჩვენოს მათ ლირიკაში ავტორისეული „მეს“ პრინციპების აგება. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში ისინი სხვადასხვაა და ავტორის ამოცანა, არსებითად, მათ შორის განსხვავებათა დაწერილებით აღწერამდე დაიყვანება. მიუხედავად ამისა დ. კელსტოუნის მონოგრაფია მრავალმხრივაა საყურადღებო.

ბოლო წლების კრიტიკულ-ბიოგრაფიული გამოკვლევების ფონზე განსაკუთრებით გამოირჩევა „თანამედროვე ლირიკის რიტორიკა“, არამარტო იმიტომ, რომ იგი დღევანდელობისათვის ნაკლებპოპულარულ თემაზეა დაწერილი. ეს ერთერთი საუკეთესო წიგნია ამერიკის დღევანდელ პოეზიაზე. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა 70-იანი წლების ცნობილი პოეტის, პოსტმოდერნისტის ჯ. ეშბერის ლირიკის „რიტორიკული სტრუქტურის“ განხილვას.

„უპიროვნო“ პოეტიკის კანონის გადალახვის არსი, ჯ. ჰოლდენის აზრით, მოდერნისტული პოეზიის აბსტრაქტულ-სტატიკური კონსტრუქციების ნგრევაშია. „აღმსარებელმა“ პოეტემმა შექმნეს ახალი „რიტორიკა“, შეიტანეს რა ლექსში აქტიური მთხრობელის („მეს“) ხატი. ლირიულ მონოლოგში აისახა პოეტის მხატვრულ ამოცანათა ახალი გაგება: ავტორს მიზნად აქვს მკითხველისათვის გარემომცველ სამყაროზე საკუთარ შეხედულებათა ჩვენება და ამით პოტენციური აუდიტორიის „მსოფლგაგების ინტენსიფიცირება“.

თუ 60-იანი წლების „პიროვნული პოეზია 40-50-იანი წლების „იმპერსონალიზმის“ ეტაპია ყოფა იყო, 70-იანი წლების პოეზიაში, თავის მხრივ, ნათლად გამოიხატა „აღმსარებლობითი ექსცესების“ იგნორირება. აქტიური მთხრობელი თანდათან უკანა პლანზე იწევს, ისე რომ ინფორმაცია, გამოხატული დინამიური თხრობითი ფორმით, სულ უფრო „განუსაზღვრელ პირდაპირ“ ელერადობას იძენს. შეინიშნება, აღნიშნავს ჯ. ჰოლდენი, 50-იანი წლების მოდერნიზმის თავისებური „უპიროვნო-სტატიური“ სტილისკენ მიბრუნება.

ამასთან ძველი „რიტორიკული“ კანონების აღორძინება ყველაზე მკვეთრ ფორმებში „პოსტმოდერნისტულ“ პოეზიაში აღინიშნება: პოსტმოდერნისტული „რიტორიკის“ არსი, ჯ. ჰოლდენის თვალსაზრისით შემდეგშია: ფსევდოაღმსარებლობა, ფსევდოშინაარსობრიობა. რატომ „ფსევდო?“ იმიტომ, რომ პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის ცენტრალური თეზისი — მიბაძვა, პაროდიაა. ჯ. ჰოლდენი პოსტმოდერნიზმის „რიტორიკის“ არსს ჯ. ეშერის ლირიკის ფონზე განიხილავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯ. ჰოლდენის თანამოაზრენი პოსტმოდერნიზმის შესახებ არც ისე ბევრნი არიან. კრიტიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჯ. ეშერის შემოქმედება ახალი სიტყვაა ამშ-პოეზიაში. ადვილი შესაძლებელია, რომ უნივერსიტეტის ტიპოგრაფიებში უკვე იბეჭდება წიგნები, რომლებშიც 70-იანი წლების „ჯ. ეშბერის დეკადად“ იწოდება. თუმცა ამერიკული პოეზიის ისტორიას არა კრიტიკოსები, არამედ პოეტები ქმნიან და ამ რეალურ ისტორიაში პოსტმოდერნიზმს, ალბათ, არ შეუცდებით თუ ვიტყვით, მეტად მოკრძალებული ადგილი უჭირავს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32.
პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-25
პრიზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორეტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 11. 08. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 10. 88 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 2059 უე 01530 ტირაჟი 70.000

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ